



F-660
1965

პანოპტაუმიანი ძიებანი

I



Академия наук грузинской ССР

ИНСТИТУТ РУКОПИСЕЙ ИМЕНИ К. С. КЕКЕЛИДZE



ПАЛЕОГРАФИЧЕСКИЕ РАЗЫСКАНИЯ

I

ИЗДАТЕЛЬСТВО «МЕЦНИЕРЕБА»

ТБИЛИСИ — 1965

პადმოგრაფიული ძიებანი

I

F 2938



4Г
499.962.1—72
პ 152

წინამდებარე კრებულში განხილულია ქართულ პალეოგრაფიის ზოგიერთი საკითხი. კერძოდ, ქართული დამწერლობის, წარწერების, წყლის ნიშნები, ქაღალდის დამუშავების, გადამწერებისა და სხვა საკითხი. კრებულში შესული ნაშრომები დამუშავებულია ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული ხელნაწერი კრებულებისა და ისტორიული საბუთების საფუძველზე.

შინაარსი--СОДЕРЖАНИЕ

1. ა. ბ ა ქ რ ა ძ ე, XVI—XVIII სს. საქართველოს საკათალიკოსო და სა- თავადო მდივან-მწიგნობართა ქრონოლოგიური რიგი	7
A. К. Бакрадзе, Хронологический ряд патриарших и кня- жеских писцов Грузии XVI — XVIII вв.	32
2. ლ. ქ ა ჯ ა ი ა, განკვეთილობის ნიშნები ძველ ქართულ ხელნაწერებში (VII—X სს.)	33
Л. Р. Каджая, Разделительные знаки в древнегрузинских рукописях (VII—X вв.)	44
3. რ ა მ ა ზ ბ ა ტ ა რ ი ძ ე, ქალაქის დამუშავების საკითხისათვის ფე- ოდალურ საქართველოში	45
P. M. Патаридзе, К вопросу обработки бумаги в феодаль- ной Грузии	56
4. ც. ჭ ა ნ კ ი ე ვ ი, დაქარაგმების წესები ძველ ქართულ ხელნაწერებში (V—X სს.)	57
Ц. А. Чанкиева, Сокращения в грузинских рукописях (V — X вв.).	94
5. ე ლ. შ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი, ერთი ქართული ოთხთავის დათარიღების სა- კითხისათვის	95
E. M. Мачавариани, К вопросу датировки одного грузин- ского четвероглава	107
6. რ ა მ ა ზ ბ ა ტ ა რ ი ძ ე, XIV—XV საუკუნეების ქართული ხელნაწე- რების ჭვირნიშნები	109
P. M. Патаридзе, Водяные знаки грузинских рукописей XIV — XV веков	119
7. ნ. შ ო შ ი ა შ ვ ი ლ ი, ურბნისის ძველი ქართული წარწერები	131
Н. Ф. Шошинашвили, Древне-грузинские надписи из Урбниси	154

ა. ზამრამძე

XVI—XVIII სს. საქართველოს საკათალიკოსოს და სათავადოს მდივან-
ფიგნობართა ქრონოლოგიური რიგი

წინამდებარე წერილი წარმოადგენს ნაწილს იმ სამუაშოსი, რომელიც მუ-
შავდება ჩვენს მიერ და რომელიც ეხება საქართველოს მდივან-მწიგნობრებს.
წარმოდგენილ წერილში ჩვენ შევეცადეთ დაგვედგინა საკათალიკოსო კარისა
და ცალკეული პოლიტიკური ერთეულების (სათავადოების) მდივან-მწიგნო-
ბართა ქრონოლოგიური რიგი, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო დოკუმენტუ-
რი მასალის საფუძველზე. სამეფო კარის მდივნების მსგავსად, აქაც ეს თანამ-
დებობა მემკვიდრეობითი ჩანს ზოგიერთ საგვარეულოში. მაგრამ, ვინაიდან სა-
მეფო კარის მდივნებთან შედარებით საკათალიკოსო და სათავადოების მწიგ-
ნობრების შესახებ ნაკლები ცნობებია შემონახული, ცალკეული საგვარეულო-
ების გამოყოფა (გარდა მაღალაძეების გვარისა) არ ხერხდება და ჩვენ მათი
ქრონოლოგიური რიგის დადგენით უნდა დავკმაყოფილდეთ.

ყველაზე ადრინდელი ცნობა საკათალიკოსო კარის მდივნის შესახებ ეხე-
ბა XVI საუკ. 40-იან წლებს.

1. ათანასე. კათალიკოსის კარის მწიგნობარი. 1542 წ. დაწერა კათალიკოს
თეოდოსის მიერ მაღალაძე ქადაგ რომანოზისათვის მიცემული სახლკარის
წყალობის წიგნი¹.

დღემდე არსებული კათალიკოსთა რიგის მიხედვით თეოდოსი კათალიკო-
სი არც 1542 წ. და არც მის ახლო პერიოდში ცნობილი არ არის. საბუთი წარ-
მოადგენს დედანს, რის გამოც იგი ეჭვს არ იწვევს. ამის საფუძველზეა ალბათ,
რომ ზ. ალექსიძემ მე-15-16 სს. კათალიკოსთა რიგის დადგენის დროს შესწორე-
ბა შეიტანა კათალიკოსთა დღემდე არსებულ ტაბულაში და 1542 წ. ქვეშ თეო-
დოსი კათალიკოსი მოათავსა².

2. ერაჯ. საკათალიკოსო კარის მწიგნობარი. დაწერა 1562 წ. ნიკოლოზ კა-
თალიკოსის მიერ გედევან მაღალაძისათვის მიცემული სოფ. ჩოჩეთის წყალო-
ვის წიგნი³. ნიკოლოზ კათალიკოსის მოღვაწეობა 1562—84 წწ. მოდის. ხელ-
ნაწერთა ინსტიტუტში დაცულია მამულის ნასყიდობის წიგნი კერძო პირებისა,
დაწერილი ვინმე ერაჯ მეტეხელიშვილის მიერ 1558 წ.⁴ დამწერი არავი-
თარი ტიტულით არ მოიხსენიება, ჩვენის აზრით, ნიკოლოზ კათალიკოსის მწიგ-
ნობარი ერაჯ და 1558 წ. საბუთის შემდგენელი ერაჯ მეტეხელიშვილი, შესაძ-
ლებელია ერთი და იგივე პირი იყოს; თუმცა, საჩუქხაროდ, ამ მო-

¹ ხელნაწერთა ინსტიტუტი Hd—1353.

² მოხსენება წაკითხულია ხელნ. ინსტიტუტში 1961 წ.

³ ხელნ. ინსტ., Ad—1498/9. თ. ეო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, ტ. II, გვ. 403—404.

⁴ ხელნ. ინსტ. Sd—734. ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს სიძველენი, ტ. II, გვ. 361.

საზრების პალეოგრაფიულად დასაბუთების შესაძლებლობას ჩვენ მოკლებული ვართ, ვინაიდან Ad—1498/9 საბუთი წარმოადგენს პირს. საყურადღებოა აგრეთვე ამ საკითხისათვის ცენტრარქივში დაცული დოკუმენტი, რომელიც მიცემულია რომელიც კათალიკოსის (სახელი არ იკითხება) მიერ ელიოზიძე გელევანის შვილებისათვის და რომელიც წარმოადგენს მიწის წყალობის წიგნს⁵. ეს საბუთი შედგენილია 1622 წ. ვინმე მეტეხელის ერაჯირსშვილის მიერ. წინა დოკუმენტში, რომელიც მე-16 საუკ. ეკუთვნოდა (1558 წ.) მოხსენებული აყო ვინმე ერაჯ მეტეხელისშვილი, ხოლო 1622 წ. საბუთში და ისიც კათალიკოსის მიერ გაცემულ საბუთში ჩანს ვინმე მეტეხელი ერაჯირსშვილი. აქ გარკვეულად რალაც თანამიმდევრობას აქვს ადგილი. უეჭველია აქ საქმე უნდა გვექონდეს მამასა და შვილთან, რომელნიც კათალიკოსის კარზე მოღვაწეობდნენ, შესაძლებელია ორივე მწიგნობრად, მაგრამ აქ უნდა აღინიშნოს, რომ არც ერაჯირსშვილი და არც მეტეხელისშვილი ამ შემთხვევაში გვარი არ უნდა იყოს, ვინაიდან ერთ საბუთში ერაჯ მეტეხელისშვილია მოხსენებული, ხოლო მეორეში მეტეხელ ერაჯირსშვილი. ამ დოკუმენტებში დამწერნი, როგორც ჩანს, მამის სახელით არიან მოხსენებულნი.

3. იოთამ მჭადას ძე. კათალიკოსის მწიგნობარი. 1610 წ. დაწერა ზებედე კათალიკოსის მიერ ზურაბ გარეყანიძისათვის მიცემული ყმების წყალობის წიგნი (ზებედე კათალიკოსად არის 1603—1610 წწ.)⁶.

4. კოზმან. კათალიკოსის მწიგნობარი. მთავარდიაკონი. მოხსენებულია როგორც მწიგნობარი 1629 წ. ზაქარია კათალიკოსის მიერ შიო ეგაძისათვის მიცემულ მიწის წყალობის წიგნში და როგორც დამწერი 1630 წ. ზაქარია კათალიკოსის მიერ ელია ზუმბულიძისათვის მიცემულ მოურაობის წყალობის წიგნში⁷.

5. გიორგი ბაღდაშვილი. მდივან-მწიგნობარი ეედემოზ კათალიკოსის კარზე 1630—38 წწ.⁸. იგი 1637 წ. კათალიკოსის კარის მწერლად იხსენიება⁹.

6. ფარემუზ ბაღდადელი. კათალიკოსის მდივანი 1649 წ. დაწერა ქრისტეფორე კათალიკოსის მიერ პაპუა მაღალაძისათვის მიცემული საბალახეს ამოკვეთის წიგნი¹⁰. ქრისტეფორე კათალიკოსი ტაბულით ჩანს 1643—60 წწ. მისივე მოღვაწეობის დროს ჩანს კარის მდივანი ვინმე ბაღდაშვილი, რომლის სახელი საბუთში არ იკითხება და რომელსაც შეუდგენია 1651 წ. კათალიკოსის მიერ რამაზასა და მისი ძმისათვის მიცემული გაყრის წიგნი¹¹. შესაძლებელია კათალიკოსის მდივანი ბაღდაშვილი იგივე ფარემუზ ბაღდადელი იყოს. მაგრამ გადაწყვეტით ვერაფერს ვიტყვით, ვინაიდან საბუთი წარმოადგენს პირს და ხელის შედარების შესაძლებლობას მოკლებული ვართ.

⁵ საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი (ცსსა), ფ. 1448, № 9914.

⁶ ცსსა, 1450, 17/156.

⁷ ხელნ. ინსტ., Hd—2391, ცსსა, ფ. 1450, 31/145.

⁸ ხელნ. ინსტ. Hd—1710, ცსსა, ფ. 1450, 38/191, 31/119—120.

⁹ ცსსა, ფ. 1450, 31/119.

¹⁰ ცსსა, ფ. 1448, № 5058.

¹¹ ცსსა, ფ. 1450, 31/105.

7. რევაზ კათალიკოსის მდივან-მწიგნობარი. დაწერა 1675 წ. დომენტი კათალიკოსის მიერ ისე ჭარბულის შვილებისათვის მიცემული გაყრის წიგნი¹².

12. იოვანე სვეტიცხოვლის კანდელაის შვილი. მთავარ დიაკონი, მწიგნობარ-მგალობელი. 1719—1731 წწ¹³. დომენტი და ბესარიონ კათალიკოსების კარზე. აღგენს კერძო პირთა საბუთებსაც.

9. დავით ალექსიძე (1745—1824). კათალიკოსის მწერალ-მწიგნობარი—1776¹⁴; დიკასტირიის მწიგნობართ-მთავარი—1779—1810¹⁵; ბატონიშვილის დავითის მდივან-მწიგნობარი 1790 წ.¹⁶.

10. დიმიტრი ალექსიძე. დიკასტირიის მწერალთ-მთავარი, მწერალ-მწიგნობარი 1792—1806 წწ.¹⁷. მწერალ-მწიგნობრად იგი 1802 წ. იხსენიება¹⁸.

11. ტრიფილე. მწიგნობარ-წინამძღვარი. 1788¹⁹; 1789 წ. იგი იხსენიება დიკასტირიის მდივნად²⁰.

დასავლეთ საქართველოში საკათალიკოსო კარის მდივან-მწიგნობართა შესახებ სულ სამიოდე ცნობა გვაქვს შემონახული.

1. იესე. მდივანი. 1682 წ. დაწერა აფხაზეთის კათალიკოსის დავით ნეცხაძის მიერ ბიჭვინტისათვის მიცემული ყმების შეწირულების წიგნი²¹.

2. ეფთვიმე. ბერი, არქიდიაკონ მგალობელ-მწიგნობარი. ერისთვის შვილი დაწერა გრიგოლ აფხაზეთის კათალიკოსის მიერ ბიჭვინტის ეკლესიისათვის მიცემული ყმის შეწირულების წიგნი²². საბუთი დაუთარილებელია; ბ. ლომინაძის მიერ დადგენილი დასავლეთ საქართველოს კათალიკოსთა რიგის მიხედვით გრიგოლ კათალიკოსის მოღვაწეობა 1696—1742 წწ. მოდის და ჩვენი საბუთიც ამ წლებით უნდა დათარიღდეს²³.

3. გიორგი მდივან-მწიგნობარი. დაწერა ბესარიონ კათალიკოსის მიერ კობახიძეებისათვის ბორს გლეხების წყალობის წიგნი²⁴. საბუთი უნდა დათარიღდეს ბესარიონ კათალიკოსის მოღვაწეობის დროით. 1742—1769 წწ.²⁵.

უფრო მეტი მასალა შემონახული საკათალიკოსო კარის მდივნების—მაღალაძეების საგვარეულოს შესახებ. რაც შესაძლებლობას გვაძლევს მეტნაკლებად

¹² ცსს, ფ. 1450, 2/177.

¹³ ხელნ. ინსტ., Ad. ფ. №№ 1727, 1742, 1792. Hd—9689; ცსს, ფ. 1448, № 5620, ფ. 1450, 29/49.

¹⁴ ხელნ. ინსტ., Hd—15028.

¹⁵ " " Hd—11305, 1848.

¹⁶ " " Hd—1818.

¹⁷ " " Hd—788; Hd—1540.

¹⁸ ცსს, ფ. 1450, 41/217.

¹⁹ ხელნ. ინსტ., Ad—168.

²⁰ ცსს, 1448, № 5104.

²¹ ცსს, 1448, № 1526.

²² ცსს, 1448, № 1508.

²³ ბ. ლომინაძე, მასალები დასავლეთ საქართველოს XVII—XVIII სთა ისტორიის ქრონოლოგიისათვის, მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის, 1954, ნაკვ. 31.

საბუთის უზის ვარიანტი კათალიკოსის მრგვალი ბეჭედი, მთავრული ლეგენდით, რომლის ქრონიკონი დაზიანებულია. თ. ყორღანის ქრონიკების მეორე ტომში მოტანილი აქვს გრიგოლ კათალიკოსის ბეჭდის ლეგენდა სრული ქრონიკონით, რომელიც უდრის 1696 წ. (ტბდ.).

²⁴ ხელნ. ინსტ., Hd—8461.

²⁵ ბ. ლომინაძე, დსახ. ნაშრომი.

ბად დადგინდეს მათი გენეალოგია. ყველაზე ადრინდელი ცნობა ამ გვარის შესახებ მე-15 საუკუნისაა და ამ გვარის მიერ სვეტიცხოვლის ქადაგობის მიღებას ეხება.

როგორც აღნიშნავს ვ. ბერიძე, მე-15 საუკუნის რამდენიმე საბუთის თანახმად, მაღალაძეებს ქადაგობა და სათანადო მამულები მას შემდეგ მიუღიათ, რაც „სოფლის ვითარებისაგან პატიოსანი ივანიძის ძეთა საქადაგო სახლი და საკელო უმკვიდრო ქმნილ იყო“²⁶. ვ. ბერიძე მიუთითებს თ. ჟორდანიას გამოცემას და აღნიშნავს, რომ განსვენებული მკვლევარი მაღალაძეთა „გაქადაგების“ ფაქტს ალექსანდრე დიდის ძის—გიორგის მეფობაში აქცევს (ე. ი. 1446—1465 წლებში), მაგრამ საბოლოო დასკვნისაგან იგი თავს იკავებს და სხვა დოკუმენტებთან შეჯერება აუცილებლად მიიჩნია. თუმცა, საბუთი მას უტყუარად მიიჩნია. დოკუმენტი თ. ჟორდანიას დათარიღებული აქვს 1391 წლით, რაც არ შეესაბამება არც გიორგი მეფისა და არც ალექსანდრეს მეფობის წლებს. ამ დროს საქართველოში ბაგრატ მეხუთე ზის ტახტზე, და ამ შეუსაბამობას თვით თ. ჟორდანიაც აღნიშნავს. თ. ჟორდანიას მიერ გამოცემული ამ დოკუმენტის დედანი დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტის Qd ფონდში № 6995-ით და ამის გამო ჩვენ გაცილებით მეტი შესაძლებლობა გვაქვს რაიმე გარკვეულობა შევიტანოთ ამ საკითხის ირგვლივ. საბუთი უტყუარია; ამას მოწმობს, უპირველეს ყოვლისა, ბეჭედი და ხელრთვა მეფე ალექსანდრესი (ბეჭედი ოთხკუთხაა, ლეგენდით: „მონა ღთისა ალექსანდრე“ და ხელრთვა: „ალექსანდრე ვამტიცებ“). საბუთი დაწერილია სამეფო კარის მწიგნობრის იოვანეს ხელით. თ. ჟორდანიას გამოცემით გადმომწერს ქორონიკონი გადმოუღია „ით“ (1391 წ.). რომელიც, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ალექსანდრეს მეფობის ხანას არ შეესაბამება.

საბუთში ქორონიკონი შემდეგი ასოებით არის წარმოდგენილი „რთ“ ე. ი. თარიღი გამოდის 1421 წ. (109+1312); მოხსენებული ალექსანდრე თარიღის მიხედვით უნდა იყოს ალექსანდრე დიდა (1413—1443 წწ.). მას ჰყავდა შვილები გიორგი და დემეტრე, რომელნიც მოხსენებული არიან საბუთში. მაგრამ მოხსენებული ალექსანდრე გიორგი მეფის ძე კი არ არის (როგორც ეს საბუთშია), არამედ მისი ძმისწული კონსტანტინე მეფის ძე²⁷. მეორე ალექსანდრე, რომელიც, როგორც აღნიშნავს ვ. ბერიძე ზემოდასახელებულ წერილში, თარიღის გარდა სხვა ყველა მოთხოვნილებას აკმაყოფილებს, არის კახეთის მეფე გიორგის ძე ალექსანდრე (1476-1511). თარიღის ადგილი საბუთში აშკარად ჩანს, რომ გადაშლილია, რის გამოც საბუთში მოხსენებული ალექსანდრეს ვინაობის დადგენა ძნელდება. ვინაიდან ქორონიკონის ადგილი წაშლილია, ჩვენ ვფიქრობთ, რომ აქ შესაძლებელია „რთ“ (ე. ი. 189+1312=1501 წ.)²⁸ ყოფილიყო, რაც ალექსანდრე კახთა მეფის მეფობის წლებს უდგება. ასეთ დათარიღებას რამდენადმე ეწინააღმდეგება XV ს. I ნახევარში ერთ-ერთი მაღალაძის ქადაგად მოხსენება. კერძოდ, 1443 წ. ვხვდებით ვინმე ქადაგ დიმიტრი გაგლისშვილს, რომელსაც დაუწერია ვარამ დიასამიძის მიერ სვეტიცხოველისათვის მიცემული ყვიბისს გლეხის შეწირულების წიგნი²⁹.

²⁶ ვ. ბერიძე, წინარებელ მაღალაძეთა მშენებლობა მე-17 — 18 სს. საქართვე. მუხ. მოამბე, ტ. XIV—B, გვ. 196.

²⁷ თ. ჟორდანი, ქრონ. II, გვ. 191—192, 192—193.

²⁸ ი. ვ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტ., 1948, ტ. IV, გვ. 25.

²⁹ შესაძლოა ქორონიკონი ყოფილიყო რდთ ან როთ (1381, 1491 წ.)

იგივე პირი მოხსენებულია მაღალაძის გვარით 1449 წ. გიორგი მეფის მიერ სვეტიცხოველისათვის მიცემულ სოფელ გომნის შეწირულების წიგნში³⁰.

1472 წ. მეფე კონსტანტინემ დაუმტკიცა მაღალაძე ვედევანს თეძამზე ყმა-ძამულის წყალობა³¹. 1502 წ. მიწის ნასყიდობის წიგნში მოხსენებული არიან დემეტრე და პაატა მაღალაშვილები³². მომდევნო პერიოდში ცნობები მათ შესახებ უფრო ხშირია და ისინი უკვე სხვა თანამდებობაზეც ჩანან: მაგ. პაპუნა 1561 წ. მეღვინეთუხუცესია³³, 1562 წ. გედეონი ქადაგი³⁴, 1624 წ. ქრისტეფორე კათალიკოსმა უბოძა მაღალაძე ივანეს გომნის მოურაობა³⁵. 1638 წ. იოვანე (იგივე პირი უნდა იყოს) უკვე სახლთუხუცესია³⁶.

პირველი ცნობა ამ საგვარეულოში მდივნობის სახელს არსებობისა ეკუთვნის 1667 წ. კათალიკოს ნიკოლოზის მიერ მაღალაძეებისათვის მიცემულ ზვრის წყალობის წიგნში 1667 წ. მოხსენებული არიან მაღალაძეები სახლთუხუცესი რევაზ, ქადაგი ნიკოლოზ, მდივანი ადამ³⁷; ადამ მაღალაძე საკათალიკოსო კარის მდივანად ჩანს 1667—1693 წწ.³⁸. (საერთოდ კი იგი ჩანს 1672 წლიდან, Ad—1689). საბუთის დამწერად ნიკოლოზ მაღალაძესაც ვხვდებით, 1675 წ.³⁹, მაგრამ იგი მდივანი არ არის.

ამ პირთა ურთიერთდამოკიდებულება ირკვევა შემდეგი დოკუმენტებიდან: 1681 წ. დომენტი კათალიკოსი უბოძებს მაღალაძე სახლთუხუცესს პაპუნას და მის შვილებს რევაზს, ნიკოლოზს, მამუქას, ადამს, ზურაბს და დემეტრეს ციხედიდის მოურაობას და არმაზს⁴⁰. ამავე წლით დათარიღებულ ცენტრარქივში დაცულ პაპუნა მაღალაძის ანდერძში მოხსენებული არიან პაპუნა და მისი შვილები რევაზ, ნიკოლოზ, ადამ, ზურაბ, ხორეშან და პაატა⁴¹. პაატა, როგორც საბუთიდან ჩანს, ადრე გარდაცვლილა, რის გამოც იგი მხოლოდ ორ დოკუმენტში 1649 წ. და 1665 წ.⁴² ჩანს. პაპუნა სახლთუხუცესობის გარდა 1673 წ. სვეტიცხოველის ქადაგადაც იხსენიება და მასთან ერთად საბუთში მისი ძმები ბეჟან და იესე ჩანს⁴³. ხოლო 1665 წ. ციცი ციციშვილის მიერ პაპუნა მაღალაძესათვის გლეხის წყალობის წიგნში იხსენიებიან მისი ძმები ბეჟან და გედეონ⁴⁴. 1644 წ. წეროვნელთა მიერ გაბრიელ ელიოზის ძე გედევანიშვილისათვის მიცემულ საღაპე წიგნის მოწმეა პაპუნას მამა ნიკოლოზი⁴⁵.

³⁰ თ. ჟორდანიია, ქრონიკები, ტ. II, 255.

³¹ იქვე, 260—261.

³² ხელნ. ინსტ., Ad—1669.

³³ " " Qd—6994.

³⁴ თ. ჟორდანიია, ქრონიკები, ტ. II, 403—404.

³⁵ ხელნ. ინსტ., Ad—1756.

³⁶ " " Hd—1710.

³⁷ ხელნ. ინსტ., Ad—1646.

³⁸ " " Ad—1646, Sd—407.

³⁹ " " Ad—553.

⁴⁰ " " Ad—1689.


⁴¹ ცსსა, ფ. 1448, № 5038.

⁴² ხელნ. ინსტ., Qd—7010. ცსსა ფ. 1448, № 5058.

⁴³ " " Ad—1667.

⁴⁴ " " Qd—7010.


⁴⁵ ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები საქ. სოციალური ისტ., წ. 1, № 37.



დემეტრე არც ერთ სხვა დოკუმენტში პაპუას შვილად არ ჩანს. პაპუა სახლთხუცესია 1681 წლამდე⁴⁶.

1692 წ. ნაზარალიხანმა დაუმტკიცა მაღალაძე რევაზ სახლთხუცესს, მის ძმებს ნიკოლოზს, ადამს და მის (თუ მათ) შვილებს დემეტრესა და ამილბარს გლეხების წყალობა და სოფ. გომნი სამოურაოდ⁴⁷, ხოლო 1694 წ. გიორგი მეფის გლეხების წყალობის წიგნში იხსენიებიან მაღალაძე არქიმანდრიტი ნიკოლოზ, მისი ძმები ადამ და ზურაბ და ძმისწულები დემეტრე, ამილბარ, სოლომონ და სარიდან⁴⁸.

გასარკვევია ვისი შვილები არიან მოხსენებული პირები. 1700 წ. მანგლელი იოსებ ჭავჭავიშვილის მიერ ავთანდილ ჭავჭავიშვილისათვის მიცემულ ნასყიდობის წიგნში იხსენიებიან კათალიკოსის სახლთხუცესი ამილბარ და მისი ძმა მდივანი სოლომონ⁴⁹, ხოლო 1710 წ. იმამყულიხანის მიერ რევაზ მაღალაძისათვის მიცემული კახეთის მამულების მიბარების წიგნში სახლთხუცეს რევაზის შვილები ამილბარ სახლთხუცესი, სოლომონ და გიორგი⁵⁰.



რევაზის შვილებიდან ამილბარ სახლთხუცესია, სოლომონი კი მდივანი⁵¹. სოლომონი ამ თანამდებობაზე ჩანს 1072—1738 წლებში⁵². მის შემდეგ კათალიკოსის კარის მდივანია ნიკოლოზი, რომელიც ჩანს 1730 წლიდან. იგი 1737 წლიდან მდივნის შვილად იწოდება⁵³, 1741 წლიდან კი მდივანი 1769 წლამდე⁵⁴. ნიკოლოზი სოლომონ მდივნის შვილია და იგი მდივნობასთან ერთად სვეტიცხოვლის ქადაგ-მგალობელია⁵⁵. მისი ძმები არიან იაკობ, სვიმონ

⁴⁶ ცსსა, ფ. 1448, № 5038.

⁴⁷ ხელნ. ინსტ., Qd—1344.

⁴⁸ " " Qd—8923.

⁴⁹ " " Ad—1571.

⁵⁰ " " Ad—1577.

⁵¹ დემეტრეს ნათესაობის შესახებ სხვა ცნობა არ გვაქვს. სარიდანის შესახებ ქვემოთ ვგვიხსნება საუბარი.


⁵² ხელნ. ინსტ., Sd—575. ცსსა, ფ. 1448, № 79.

⁵³ ცსსა, 1448, № 2896. ხელნ. ინსტ., Hd—2022.

⁵⁴ ცსსა, ფ. 1448, № 969. ფ. 1450. 15/117.

⁵⁵ ხელნ. ინსტ., Ad—1685, Hd—6258; ცსსა, ფ. 1448, №№ 961, 9215.

და იოანე, რომელნიც იხსენიებიან ერასტი მაღალაძის მიერ თავის ბიძაშვილ მდივან სოლომონისათვის 1738 წ. მიცემულ ვენახის ნასყიდობის წიგნში⁵⁶.



ჯაჯანა შიხაიდარისშვილის მიერ 1672 წ. კათალიკოსის სახლთხუცეს პა-
ნუსათვის მიცემულ მიწის ნასყიდობის წიგნში იხსენიებიან პაპუას ძმა ბეჟან
და მათი შვილები. საბუთში აღნიშნულიადა თქვენსა შვილთ რევაზსა და
ხუცოსა, იასეს, მამუკასა, ადამსა, ზურაბსა და საამს, დემეტრეს...⁵⁷.

დოკუმენტის ეს ადგილი ორგვარად შეიძლება იქნეს გაგებული: „თქვენი
შვილები“ შეიძლება მხოლოდ პაპუას ეხებოდეს, შეიძლება პაპუასა და მის
ძმას ბეჟანს. ჩვენის აზრით, უკანასკნელი ვარიანტი უფრო სწორი უნდა იყოს,
ვინაიდან რიგ დოკუმენტებში იხსენიებიან პაპუა თავისი შვილებით: რევაზ, მა-
მუკა, ადამ, ზურაბ. რაც შეეხება დანარჩენ პირებს—ხუცოს, იასეს, საამს, ისი-
ნი არც ერთხელ არ ჩანან პაპუას შვილებად.

ამ სამი პირიდან ორი—ხუცო და საამ ბეჟანის შვილები არიან. ამას ადას-
ტურებს 1700 წ. იოვანე კათალიკოსის მიერ ხუცია მაღალაძისათვის მიცემული
სოფ. აშენდის მოურაობის წყალობის წიგნი, რომელშიც ნათქვამია. რომკა-
თალიკოსსან პატრონსან იოვანემ... შეგიწყალეთ და გიბოძეთ შენ. ჩვენსა და
საყდრისა ჩვენისა ერთგულად ნამსახურსა ყმას მაღალაძეს ხუციას, ძმასა შენსა
ფირაბს, საამს და ზაზას... ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და ჩვენცა მოკი-
თხული ვქენით და ბატონიშვილის კათალიკოსისაგან წიგნი გქონდათ და მამას
თქვენის ბეჟანისათვის აშენდის მოურაობა მიეცა. ახლა იმისი მოურაობა შენს
განაყოფს იასეს ქონდა, იმისთვის თავის წილში ნარგები ვეძისკვევის მოურაობა
მიგვიცემია და თქვენთვის ისრევე თქვენი სამკვიდრო აშენდის მოურაობა გვი-
ბოძებია...⁵⁸. ამ საბუთიდან ირკვევა, რომ ხუცო, ფირან, საამ და ზაზა ბეჟანის
შვილები არიან. საამის შვილია ფირან, ხოლო ძმისწულია იორამ, რომელნიც
იხსენიებიან 1738 წ.⁵⁹.

1703—24 წწ. ვახტანგ მე-6-ის მიერ მაღალაძეებისათვის მიცემული სოფ.
ბარეთის მოურაობის წყალობის წიგნიდან ჩანან ადამ მაღალაძის შვილები: პა-
პუა, თომა და მამუკა⁶⁰, ხოლო 1712 წ. მაღალაძეთა გაყრის წიგნში იხსენიებიან
სახლთხუცესი ამილბარ, ძმა მისი სოლომონ და მისი ბიძაშვილები პაპუა და
სარიდან⁶¹; ამავე დოკუმენტში სარიდან ზურაბის შვილად არის მოხსენებული.
სარიდანთან ერთად წილს იღებს ელისე, რომელიც მისი ძმა უნდა იყოს. 1714
წ. სვიმონ მაღალაშვილმა მიჰყიდა მამული თავის ბიძაშვილებს „სარიდანს,

⁵⁶ ხელნ. ინსტ. Ad—1498/7.

⁵⁷ „ „ „ Ad—1276.


⁵⁸ ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, საქართველო, სიძველენი, ტ. II, გვ. 215.

⁵⁹ ცხსა, ფ. 1450, 29/135. ვისი შვილია იორამ გაურკვეველია.

⁶⁰ ცხსა, ფ. 1448, № 5069.


⁶¹ ხელნ. ინსტ., Ad—1679.

ძმასა თქვენსა ელისეს და პართენის და შვილსა თქვენსა ზურაბს⁶². ზურაბ
 სარიდანის შვილი უნდა იყოს.



ნიკოლოზ პაპუას ძე ქადაგი უშვილო იყო.

1723 წ. დომენტი კათალიკოსმა უბოძა მალაღაძე ამილბარს და მის შვილებს გიორგის, დემეტრეს და რევაზს ძეგვს ბაგა, ხოლო 1738 წ. კარსნის მურაობის ნასყიდობის წიგნში მოხსენებული არიან მალაღაძე სახლთხუცის შვილი დიმიტრი და მისი ძმები გიორგი სახლთხუცისი, რევაზ და იოანე⁶³.



1779 წ. გოგია მალაღაძე იმყოფებოდა მალაღაძე სახლთხუცის ამილბარს, მის ძმას დავითს და მის შვილებს გაბრიელს, დიმიტრის და იოანეს ნიბს ყმა⁶⁴.

ამილბარ გიორგი სახლთხუცისის შვილია და ამილბარ სახლთხუცისის შვილი შვილი, ისიც სახლთხუცისია და ამ თანამდებობაზე ჩანს 1772—1805 წწ.⁶⁵

მალაღაძეების გვარში მე-18 საუკ. კიდევ ერთი პირი ჩანს მდივნის თანამდებობაზე. ეს არის იოსებ მალაღაძე, რომელიც პირველად 1787 წ. დამწერად⁶⁶, ხოლო 1789—1808 წწ. საკათალიკოსო კარის მდივნად ჩანს⁶⁷. დასადგენია იოსებ მდივნის ადგილი ჩვენ მიერ შედგენილ გენეალოგიურ ტაბულაში. ჩვენ მოგვეპოვება მხოლოდ ერთი საბუთი, სახელდობრ 1806 წ. ამილბარ სახლთხუცი შვილებისა და იოსებ მდივნის დავის წიგნი სახელოების შესახებ, რომლის საშუალებითაც ირკვევა, რომ იოსებ მდივან ნიკოლოზის სოლომონის ძის შვილი ყოფილა.

⁶² ცსსა, ფ. 1450, 29/102.

⁶³ ხელნ. ინსტ. Ad—1686, Ad—1738.

⁶⁴ " " Ad—1690.


⁶⁵ ცსსა, ფ. 1450, 29/111. ხელნ. ინსტ., Ad—2028.

⁶⁶ ხელნ. ინსტ., Hd—4962.

⁶⁷ " " Hd—2253, ცსსა 1448, № 5576.

სოლომონ
 ↓
 ნიკოლოზ
 ↓
 იოსებ

ასეთია ძირითადად მაღალაძეთა გვარის გენეალოგია, რომელსაც, მართალია, მცირეოდენი მასალის საფუძველზე, ცოტა რამ შეიძლება დაემატოს შედარებით ადრე ხანისა, და სახელდობრ მე-16 საუკ. შესახებ. 1504 წ. ალექსანდრე მეფემ უწყალობა გედევან მაღალაშვილს, რომელსაც ქადაგის თანამდებობა ეჭირა და მის შვილს მამუკას მისი „...სამკვიდრო და საბოლოო მიუღვეარი მამული—ვეძისხევი, რომელიც მისი სახელო მამული ყოფილა“⁶⁸. 1561 წ. სვიმონ მეფის მიერ სოფლის წყალობის წიგნში მოხსენებული არიან მელვინეთუხუცესი პაპუნა მაღალაძე და მისი შვილი გედევანი⁶⁹. 1562 წ. მოხსენებულია ქადაგი მაღალაშვილი გედეონი, რომელიც წინა საბუთში მოხსენებული გედეონ პაპუნა მელვინეთუხუცესის შვილი უნდა იყოს და მისი შვილები რომანოზ და ნიკოლოზ⁷⁰. მოტანილი ცნობების საფუძველზე სავსებით გასაგებია ზემოხსენებულ პირთა ურთიერთდამოკიდებულება გარდა 1504 წ. მოღვაწე გედევანსა და პაპუნა მელვინეთუხუცესს შორის არსებული დამოკიდებულებისა. ვინაიდან ტრადიციის მიხედვით შვილს პაპის სახელს არქმევდნენ, ხოლო პაპუნა მელვინეთუხუცესის შვილს გედევანი (1561 წ.) ერქვა, საფიქრებელია, რომ პაპუნა 1504 წ. მოხსენებული გედევანის შვილი იყო და მის შვილსაც (ე. ი. პაპუნას შვილს) პაპის პატივსაცემად იგივე სახელი ერქვა. მამუკა პაპუნას ძმა არის.



ნიკოლოზ გედევანის ძე (მოხსენებული 1562 წ.) შესაძლებელია იყოს ცნობილი სახლთუცესის პაპუნა მაღალაძის მამა. იგი უკანასკნელად იხსენიება 1644 წ., როგორც მოწმე⁷¹. იგი ამ დროს 80 წელს გადაცილებული იქნებოდა. მაგრამ ამ საკითხის გადასაწყვეტად დამატებითი ცნობებია საჭირო.

მაღალაძეების საგვარეულო საკათალიკოსო კარზე საკმაოდ დაწინაურებული ჩანს და მის ცალკეულ წარმომადგენლებს ძველთაგანვე მაღალი თანამდებობანი უჭირავთ კათალიკოსის კარზე. 1700 წ. ნაზარალიხანის მიერ ამილბარ მაღალაშვილისათვის მიცემულ სახელოს წყალობის წიგნში აღნიშნულია „...დაგიმტკიცეთ და გიბოძეთ სახლთუცობისა და ჯანიშინობის წიგნი... აგრევე როგორც თქვენს მამა-პაპათ კახეთს სვეტიცხოვლის მამულების სახლთუცობა და ჯანიშინობა ძველთა კელმწიფეთ ჩვენთა მამა-პაპათაგან გქონებოდა... აგრევე თქვენს მამა-პაპათ ნაქონი სამკვიდრო მდივნობა და ბუკედი... ისევ გიბოძეთ

⁶⁸ თ. ყორღანიძე, ქრონიკები, ტ. II, გვ. 323.

⁶⁹ ხელნ. ინსტ. Qd—6994.

⁷⁰ ქრონიკები, ტ. II, გვ. 403—404.

⁷¹ ნ. ბერძენიშვილი, სტ. დოკ., ტ. I, № 37.

ჯოვლის კაცის უცილობლათ გქონდეს⁷² საკათალიკოსო კარის სახლთხუცობა და მდივნობა, როგორც ამ საბუთიდან ჩანს, მემკვიდრეობითი სახელო იყო ამ საგვარეულოში.

სახლთხუცესის თანამდებობაზე ამ საგვარეულოდან ჩვენ ვხვდებით შემდეგ პირობებს: პაპუას (1644—1681 წწ.)⁷³, მის შვილ რევაზს (1683—1710)⁷⁴, ამილბარ რევაზის ძეს (1705—1730)⁷⁵, გიორგი ამილბარის ძეს (1730—1776 წწ.)⁷⁶, ამილბარ გიორგის ძეს (1772—1805)⁷⁷, გაბრიელ ამილბარის ძეს (1808)⁷⁸.

მდივნებად მაღალაძეთა გვარში შემდეგი პირობე ჩანან: ადამ (1667—1698)⁷⁹, სოლომონ რევაზის ძე (1702—1738)⁸⁰, ნიკოლოზ სოლომონის ძე (1741—69)⁸¹, იოსებ ნიკოლოზის ძე (1769—1819)⁸².

ამრიგად, მაღალაძეთა გვარში ძირითადად სამი სახელო ჩანს: ქადაგობა, სახლთხუცესობა და მდივნობა. მე-17 საუკუნეში ჩვენთვის გაურკვეველია როგორ იყო ეს თანამდებობანი განაწილებული მაღალაძეთა გვარში. ქადაგის თანამდებობაზე პირველად ვხვდავთ დიმიტრი მაღალაძეს 1443 წ.⁸³, 1501 წ. მასარებელ მაღალაძეს⁸⁴, 1504 წ. ვედეონს⁸⁵, 1542 წ. რომანოს⁸⁶, ხოლო 1562—92 წწ. ისევე ვედეონს⁸⁷. პაპუას მამა ნიკოლოზი ამავე თანამდებობაზე უნდა ყოფილიყო. თუმცა ამის პირდაპირი დამამტკიცებელი საბუთი ჩვენ არ გვაქვს. პაპუას სახლთხუცობასთან ერთად სვეტიცხოველის ქადაგის ხელიც ეჭირა და იგი ამ ტიტულით იხსენიება 1673 წ.⁸⁸ რაც შეეხება პაპუას შვილებს, აქ აშკარად ჩანს სახელოთა დანაწილება. რევაზი სახლთხუცესია, მისი ერთი ძმა—ნიკოლოზ ქადაგი, ხოლო მეორე ძმა ადამ—მდივანი, ე. ი. სამივე ხელი ერთი სახლის ხელშია. მომდევნო პერიოდში სახლთხუცესია რევაზის შვილი ამილბარ და მდივანია მისი შვილი სოლომონ. შემდეგ კი დოკუმენტური მასალის მიხედვით ეს სახელოები გაყოფილი ჩანს შემდგენიარად: სახლთხუცობა ამილბარ რევაზის ძის ჩამომავლების ხელშია მთელი მე-13 ს. ხანძილზე (და თანაც ის მუდამ უფროს შვილზე გადადის), ხოლო მდივნობა და ქადაგობა სოლომონ რევაზის ძის მემკვიდრეებს ეკუთვნით. ამ სახელოთა გაყოფა უნდა მომხდარიყო რევაზ მაღალაძის შვილებს შორის. 1806 წ. მაღალაძეების (ამილბარის შვილებისა და იოსებ მდივნის) დავის გარიგების წიგნში სახელოების შესახებ იოსებ მდივანს აღუნიშნავს, რომ როდესაც „...ჩვენი მა-

⁷² ხელნ. ინსტ., Ad—1590.

⁷³ ნ. ბ ა ქ რ ა ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, სოც. დოკ., ტ. I, № 37, ცსსა 1448/5038.

⁷⁴ ხელნ. ინსტ., Qd—8939; ცსსა, 1450, 29/112.

⁷⁵ ცსსა 1450, 29/129; ხელნ. ინსტ., Ad—1571.

⁷⁶ ცსსა 1448/2771. 1450, 29/90.

⁷⁷ ცსსა, 1450, 29/111; ხელნ. ინსტ., Ad—2028.

⁷⁸ ხელნ. ინსტ., Ad—1596.

⁷⁹ „ „ Ad—1646, Sd—407.

⁸⁰ „ „ Sd—575, ცსსა, 1448/79.

⁸¹ ცსსა, 1448/969; ხელნ. ინსტ., Hd—5290

⁸² ხელნ. ინსტ., Hd—2253, ცსსა, 1450, 42/273.

⁸³ თ. ე ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, ტ. II, გვ. 255.

⁸⁴ ხელნ. ინსტ., Qd—6995.

⁸⁵ თ. ე ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, ტ. II, გვ. 323.

⁸⁶ ხელნ. ინსტ., Hd—1353.

⁸⁷ თ. ე ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, ტ. II, გვ. 403—404; ხელნ. ინსტ., Ad—1588.

⁸⁸ ხელნ. ინსტ., Hd—1667.



მა-პაპანი გაყრილან, სახლთხუცობა თქვენის (ე. ი. ამილბარის მამა-პაპის, ბ.) სახლისათვის წილში მიუციათ მდივნობა. მორდლობა და სხვანი ჩვენ დაბევრჩომიათ⁸⁹. ამავე საბუთით სახლთხუცობა თეიმურაზ მეფეს, მჭადისჯვართან ბრძოლის შემდეგ, ე. ი. 1754 წ. გიორგისათვის ჩამოურთმეგია და დავით მაღალშვილისათვის მიუცია (დავითი ნიკოლოზ მდივნის ძმა უნდა იყოს), დარადგან პაპა თქვენი (ე. ი. გიორგი) უსახელოდ დარჩა, მაშინ ჩვენს წილში ნარგები მდივნობა სახლთხუცესის ყოფილს გიორგის მიეცა, ქადაგობა, ბეჭედო და მამათმთავრობა ვაღმა მხარისა ნიკოლოზ მამაჩემს დარჩა“-ო. ანტონ II კათალიკოსს აღუდგენია გიორგი სახლთხუცესის თანამდებობაზე და მდივნობა, მორდლობა, ქადაგობა და მამათმთავრობა ისევ იოსების მამის ნიკოლოზისათვის დაუბრუნებია.

საბუთების მიხედვით მაღალაძეებში პირველად მდივნად აღამი იხსენიება (1669 წ.). 1700 წ. ნაზარალიხანის მიერ ამილბარ მაღალაძისათვის მიცემულ სახელის წყალობის წიგნში აღნიშნულია, რომაგრევე თქვენი მამა-პაპათ ნაქონი სამკვიდრო მდივნობა და ბეჭედი. (ჩამოთვლილია ყმები და მამულები), ესენიც კათალიკოსს ისევ ებოძებინა შენთვის და შენის ძმებისათვის და ჩვენ ისევ გიბოძეთ, ყოვლის უცილობლათ გქონდეს...⁹⁰. ამ საბუთში საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მდივნობა ჯერ კიდევ ამილბარის წინაპრებში სამკვიდრო სახელო ყოფილა, ისე რომ. აღმაზე აღრე ამ თანამდებობაზე მაღალაძეთა რომელიმე წარმომადგენელი სავარაუდებელი. ამის შესახებ ჩვენ პირდაპირი ცნობა არ გვაქვს, მაგრამ ამ მხრივ საყურადღებოა ნიკოლოზ კათალიკოსის მიერ 1588 წ. გედეონ ელიოზისშვილისათვის მიცემული გლეხების წყალობის წიგნი, დაწერილი მდივნის რომანოზ ქადაგისშვილის ხელით⁹¹. რომანოზი წერს კათალიკოსის მიერ გაცემულ საბუთს, ე. ი. რომანოზი კათალიკოსის მდივანი უნდა იყოს. იგი დოკუმენტში გვარის გარეშეა მოხსენებული, მაგრამ აქვეა აღნიშნული, რომ იგი ქადაგის შვილია. ქადაგობა კი, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, უკვე მე-15 საუკუნიდან მოყოლებული მაღალაძეთა საგვარეულო ხელია. აქედან გამომდინარე, რომანოზი მაღალაძეა და იგი ჩანს უფრო ადრეც, სახელდობრ 1562 წ., როგორც გედეონ მაღალაძე ქადაგის შვალი⁹². ამრიგად, მაღალაძეთა საგვარეულოში ჯერჯერობით პირველ მდივნად სავარაუდებელია რომანოზ გედევანის ძე მაღალაძე, რომელიც ჩანს 1562—1588 წ.⁹³ მდივნად იგი 1588 წ. იხსენიება.

ამ თანამდებობათა გარდა, მაღალაძეებს ვხედავთ საკათალიკოსოში შემავალი სოფლების მოურავებად. 1561 წ. პაპუნა სოფ. გომნის, ეძანისა და ჩოჩეთის მოურავია⁹⁴. 1624 წ. გომნის მოურავია ხუცია⁹⁵. 1658 წლიდან პაპუნა კრწანისისა⁹⁶, ხოლო 1681 წ. ციხედიდის მოურავად ჩანს⁹⁷ (ციხედიდის მოურაობა შემ-

⁸⁹ ცსსა, ფ. 1448, № 8822.

⁹⁰ ხელნ. ინსტ., Ad—1590.

⁹¹ " " Hd—2526; ცსსა, ფ. 1450, 2/189.

⁹² თ. ქო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, ტ. II, გვ. 403—404.

⁹³ " " ტ. II, გვ. 403—404; ხელნ. ინსტ., Hd—2526.

⁹⁴ ხელნ. ინსტ., Qd—6994.

⁹⁵ " " Ad—1756.

⁹⁶ " " sd—2975.

⁹⁷ " " Ad—1689.

2. პალეოგრაფიული ძიებანი

F 2938



ღვე მისი შვილის რევაზის ხელშია,—Ad—1744). 1696 წ. იოვანე კათალიკოსმა უბოძა რევაზს ზერტის მოურაობა⁹⁸. 1700 წ. ამილბარი მოხისის მოურავია⁹⁹. 1706 წლიდან სასლთხუცესი ამილბარი თრიალეთში სოფ. ჩამძვრალის, მშვარეთის და მელის სოფლის მოურავია¹⁰⁰. 1723 წ. პაპუა ადამის ძე თრიალეთში სოფ. ბრეთის მოურაობას იღებს¹⁰¹. 1725 წ. ხუცია აშენდის მოურავად ჩანს¹⁰². ამილბარ მაღალაძე 1780 წლიდან ალაიანის¹⁰³, 1798 წ. ზემო ავჭალის მოურავია¹⁰⁴, ხოლო 1789 წ. მას ანტონ კათალიკოსმა უბოძა მოხისის, ნაქულბაქევის, შაბადინის, აზამბურის, ტფილისის და ქალაქს გარეთ ავლაბარსა და გარეთუზანში მსახლობელ სვეტიცხოვლის ყმათა მოურაობა და ზერტის მეღალეობა¹⁰⁵. 1802 წ. გიორგი მაღალაშვილი. სოფ. ჩეკურის მოურავია¹⁰⁶. გარდა ჩამოთვლილი სოფლებისა მაღალაძეები არიან კარსნის, ატენის, მეტენის და დისევის მოურავები¹⁰⁷ (საყურადღებოა ის ფაქტი, რომ კარსნის და ატენის მოურაობა მათ ხასყიდობით აქვთ შეძენილი). მათ სამოურაოდ ჰოქნიათ აგრეთვე სოფ. ვეძისხევი, რომელიც 1766 წ. სხვისთვის გადაუციათ¹⁰⁸. 1718 წ. სარიდან ზურაბის ძეს დომენტი კათალიკოსმა უბოძა სოფ. ყორანთის ნაცვლობა და მეღალეობა¹⁰⁹. 1723 წ. პაპუა ადამის შვილი თრიალეთის სოფლების ხასადარია¹¹⁰. 1801 წ. გიორგი მაღალაშვილი ახმეტისა და თიანეთის სამცხეთო სამწყსოს მამათავარია¹¹¹.

გარდა სამწიგნობრო მოღვაწეობისა, მაღალაძეები დიდ სამშენებლო საქმიანობას აწარმოებდნენ საკათალიკოსო კარზე. მათგან ყველაზე აღსანიშნავი არიან პაპუა მაღალაძე, მისი შვილი ნიკოლოზ და შვილშვილები სოლომონ და ნიკოლოზ. ამ მხრივ საყურადღებო ცნობებს იძლევა პაპუა მაღალაძის 1681 წ. ცნობილი ანდერძი, დაცული ცენტრარქივის ძველი საბუთების ფონდში (ფ. 1448, № 5038), ამილბარ მაღალაძის ნაღვაწის წიგნი (Ad—1703), ეპიგრაფიული მასალა და ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერები.

პაპუნა მაღალაძე მოღვაწეობდა ოთხი კათალიკოსის—ევედემოზ დიასამიძის, ქრისტეფორე ურდუბეგისშვილის, დომენტი ბატონიშვილისა და ნიკოლოზ ამილახორის კარზე. როგორც მისივე ანდერძიდან ჩანს, მას აუშენებია შილდის ბოლოს სოფ. ფაშანი, მაშავერაზე სოფ. ველკეთილი, ქციაზე სოფ. თავმგრგვალა, დიდომს აქეთ ნაქულბაქევი, გორის პირს აშენდა, ფცის პირას ბერძნული, თრიალეთს სოფ. ბეშქენაშენი, კლონეთი და ჭიტები, წყლუთი, კავთისხევის წყალზე სოფ. შუბანი. მასვე აუშენებია დარბაზი, ზერები, ვენახები, საწნახელმარნები, წისქვილები ძეგვს, ატენს, ალაიანში, ციხელიდს, წეროვანს, ნიბს,

98 " " Ad—1878.

99 " " Ad—1590.

100 " " Ad—1774.

101 ცსსა, ფ. 1448, № 5070.

102 ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, საქ. სიძვ. ტ. II, გვ. 207.

103 ხელნ. ინსტ., Ad—1776.

104 " " Ad—1574.

105 ცსსა, ფ. 1450, 29/106.

106 " " ფ. 1448, № 8836.

107 ხელნ. ინსტ., Ad—1738, Ad—1740; ცსსა, ფ. 1450, 23/60, 41/69.

108 ხელნ. ინსტ., Ad—1693.

109 ცსსა, ფ. 1448, № 2770.

110 " " ფ. 1448, № 5139.

111 " " ფ. 1448, № 8836.

ზერტს, მცხეთას, კეთისხევს. მასვე აუშენებია „ქალაქს სასახლე საჯინთა...“ მარნითა და ეზოთა...“; მაგრამ განსაკუთრებით ინტენსიური მშენებლობა მას იავის რეზიდენციაში, სოფ. წინარეხში გაუშლია. აქ მას აუგია „ორგან სასახლე ასეთი, რომე უკეთესი ჩემს ტოლ-კაცს არავისა ჰქონდა, ქვევრითა, მარნითა, ბაღბოსტნითა, შესავლითა და გამოსავლითა“. ამ სასახლის გვერდით 1679 წ. პაპუმ ააშენა ციხე, რომლის კოშკს მისი საამშენებლო წარწერა აქვს¹¹². პაპუას შვილებიდან ყველაზე ცნობილია ნიკოლოზი, რომელიც არა ერთხელ ჩანს დოკუმენტებში სვეტიცხოველის ქადაგ-მონაზონისა და არქიმანდრიტის ტიტულით. ნიკოლოზი თავის მამის მსგავსად, ეწევა საამშენებლო მოღვაწეობას. აშენებს და აღადგენს ეკლესიებს. სასხორში თავის დის ხორაშანის საფლავზე აგებს მცირე ეკლესიას¹¹³, 1682 წ. „მეორედ აღაშენებს ნიბის ეკლესიას¹¹⁴. მასვე შეუკეთებია 1677 წ. „მალაღანთ ეკლესია“, მოახატენა და აღპურვა კანკელით¹¹⁵. საამშენებლო საქმიანობასთან ერთად ნიკოლოზ მალაღაძე ამზადებდა ნუსხებს, იძენდა და სვეტიცხოველს სწირავდა ძველ ხელნაწერებს და გამოდიოდა ხელნაწერთა დამხადების ინიციატორად. იგი ადგენდა აგრეთვე დოკუმენტებსაც. მისი კულტურულ-ლიტერატურული მემკვიდრეობიდან, როგორც აღნიშნავს ლ. მენაბდე, აღსანიშნავია აგიოგრაფიული თხზულება „ცხოვრება და შესხმა ახლად მოწამედ გამოჩენილისა შიოსის და ხუთთა მონაზონთა, რომელნი დახოცნეს დავით გარეჯას ლეკთა უღმრთოთა“, რომელიც სპეციალურად მოგვითხრობს ლეკთა მიერ დავითის ლავრის დარბევის ისტორიას¹¹⁶.

მალაღაძეთა საგვარეულო რეზიდენციაში, წინარეხში ნიკოლოზ მღვდელთმობძღვრის კაპელის დასავლეთის კედელზე გამოხატულია პაპუა, მისი მუუღლე ელენე, ექვის ვაჟი: რევაზ, ნიკოლოზ, მამუკა, ადამ, ზურაბ, პაატა, ქალიშვილი ხორაშან და უცნობი პირი გიორგი, რომლის ვინაობა გაურკვეველია.

მალაღაძენი განაგრძობენ მშენებლობას მე-18 ს-შიც, სახელდობრ, ნიკოლოზის ძმისწული, რევაზ სახლთუხუცესის შვილი, მდივანი სოლომონი 1716 წ. აშენებს სამრეკლოს¹¹⁷. მასვე დაუმზადებია ზოგიერთი ხელნაწერი, შეუდგინა საძიებელი სამართლის კრებულისა¹¹⁸. ქ. შარაშიძის დაკვირვებით. მას გარკვეული წვლილი მიუძღვის ვახტანგის სტამბის საქმიანობაში. კერძოდ, მას დაუმზადებია სტამბისათვის მხედრული შრიფტის ხელნაწერი ნიმუში¹¹⁹. როგორც აღნიშნავს ვ. ბერიძე, მე-17—18 ს. მიჯნაზე „მალაღანთ ეკლესია“ წინარეხში მთელი ფეოდალური ანსამბლის ცენტრს წარმოადგენდა. კათალიკოსთა ერთგული აზნაურების ოჯახი აქ საფუძვლიანად იყო დამკვიდრებული¹²⁰. ამის შესახებ მე-18 საუკუნისათვის ვახუშტი ბაგრატიონსაც აქვს შემონახული ცნობა: „წინარეხს ზეით არს მონასტერი ყოვლად წმიდისა, ბეთლემად სახელდებუ-

112 ვ. ბერიძე, წინარეხელ მალაღაძეთა მშენებლობა მე-17—18 ს., საქ. მუხ. მოამბე, ტ. XIV—B, გვ. 199.

113 ვ. ბერიძე, წინარეხი-გომისჯვარი, სასხორი, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. 4, № 6, 1948, გვ. 609—610.

114 ვ. ბერიძე, წინარეხელ მალაღაძეთა მშენებლობა, გვ. 199.

115 იქვე, გვ. 197.

116 ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. I, ნაკვ I, 1962, თბილისი, გვ. 201—202.

117 ვ. ბერიძე, წინარეხელ მალაღაძეთა მშენებლობა, გვ. 200.

118 ვახტანგ VI, სამართლის წიგნი, გვ. 3—20. თ. ენუქიძის გამოცემა.

119 ქ. შარაშიძე, პირველი სტამბა საქართველოში, 1955, გვ. 112—114.

120 ვ. ბერიძე, წინარეხელ მალაღაძეთა მშენებლობა, გვ. 201.



ლი და იქვე სახლობენ აზნაურნი მალალაქენი¹²¹. მაგრამ აღნიშნავია, იმავე მე-18 საუკუნეში მათი რეზიდენცია აქ მოშლილა. მართალია მალალაანთ ეკლესიაში ჯერ კიდევ იმარხებიან ამ გვარის წევრები, მაგ. სახლთხუცეს გიორგის ძე გაბრიელ, რომლის საფლავის ქვის წარწერა გამოქვეყნებული აქვს ვ. ბერიძეს¹²². იგი 1749 წ. გარდაცვლილა 18 წლისა, მაგრამ ქართლის ერთ-ერთ აღწერაში, რომელიც 1764 წ. აღრინდელი ჩანს, აღნიშნულია: „წინარეს მალალაშვილების სასახლე ხარაბა დამწვარა“¹²³, ხოლო 1829 წ. მალალაქეთა მამულების აღწერაში, რომელიც თვით მალალაქეთა მიერაა შედგენილი, აღნიშნულია, „ზემო წინარესს საკუთარი ჩვენი ნასახლარი და ნაბაღვარი თავისის შემოდღუდიელებითა (sic) დაშთენილი წინაპართა ჩვენგან რომელიც აწ გატყვევებული არის“¹²⁴, ასეთივე მდგომარეობაში უნახავს მალალაქეთა რეზიდენცია პ. იოსელიანს 1847 წ. თავის მოგზაურობის დროს¹²⁵.

საინტერესო ცნობას იძლევა ანტონ კათალიკოსის მიერ ალავერდის აზნაურიშვილის დავით მგალობლიშვილისათვის 1793 წ. მიცემულ ალავერდის მდივნობისა და სარგოს წყალობის წიგნი, სადაც აღნიშნულია, რომ „...თქვენის ოჯახის საერთო სახელო ალავერდის მდივნობის სარგო და შემოსავალი რამდენსაჲმ წელიწადს დააკლებოდა შენის ზიძაშვილის დავით მდივნისაგან, რომ შენ წერა არ გცოდნოდა და რადგან შვილიც მოგესწრა რომ შენაშვილო მოხვედ და შენს სამკვიდრო სახელის მდივნობას გევედრე, ვისმინეთ ვედრება თქვენი და გიბოძეთ ალავერდის მდივნობა და მდივნობის შემოსავალი შენი წილი რადგან მისის უმალღესობის მეფის განაჩენი და ოქმები გქონდა და ალავერდლების წერილებიც ხელთ გეჭირა რომ იმათანაც არ მოგშლოდა ჩვენც სიკვლითა ამით დაგიმტკიცეთ და გიბოძეთ მდივნობის ნახევარი სახელო და სარგო...“¹²⁶.

როგორც მოტანილი ციტატიდან ჩანს, ალავერდელს თავისი საკუთარი მდივანი ჰყოლია და ეს თანამდებობა მგალობლიშვილთა ოჯახის „საერთო სახელო“ ყოფილა. ამ ცნობიდან გამომდინარე უეჭველია სხვა საეპისკოპოსო კათედრებსაც ეყოლებოდათ თავისი მწიგნობრები. მაგრამ სამწუხაროდ ცნობები ამ საკითხის ირგვლივ მეტად მცირეა, სულ ორი საეპისკოპოსოს მდივნის შესახებ გვაქვს შემონახული ცნობები: ალავერდისა—აღმოსავლეთ საქართველოში და ჭყონდიდისა—დასავლეთ საქართველოში.

ალავერდის მდივნებად ჩანან შემდეგი პირები:

1. ბეჟან (1773—36 წწ.) მდივან-მწიგნობარი¹²⁷. 1785 წ. ალავერდელი ნიკოლოზის მიერ კაკაბელ სესიასთვის მიცემული წყალობის წიგნი დაწერილი ყოფილა მდივან ბეჟან გელოვანის ძის დავით მდივნის მიერ¹²⁸. ამ დოკუმენტიდან ირკვევა ბეჟანის გვარი.

¹²¹ ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, 1941, გვ. 14.

¹²² ვ. ბ ე რ ი ძ ე, წინარეხელ მალალაქეთა მშენებლობა, გვ. 202.

¹²³ ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, ქართლის 1725—40 წ. აღწერის ნაწყვეტი, საისტ. კვებულა, წ. 4, 1929, გვ. 20—34, როგორც აღნიშნავს ვ. ბერიძე, საბუთის მიკლთენება 1725—40 წლებსათვის სავსებით დამაჯერებელი არ არის.

¹²⁴ ხელნ. ინსტ., Qd—1328.

¹²⁵ Описание Кватяхевского монастыря, რომელიც დართული აქვს Жившии, Пеленко-го Монаха, თავი I.

¹²⁶ ცსსა, ფ. 1448, № 5327.

¹²⁷ ცსსა, ფ. 1448, № 958, ხელნ. ინსტ., Sd—2965/3.

¹²⁸ ხელნ. ინსტ., Qd—7986.

2. გიორგი (1743—51 წწ.)¹²⁹. მდივანი.

3. დავით მდივანი. ჩანს 1770—1802 წლებში¹³⁰. ზოგიერთ დოკუმენტში იგი მდივან ბეჟან გელოვანის ძედ იხსენიება და ამდენად იგი გელოვანია¹³¹. 1786 წ. ნიკოლოზ ალავერდელის მიერ იასე მაჭავარიანისთვის მიცემული მამულის წყალობის წიგნი შედგენილია დავით მდივანის მგალობლიშვილის მიერ¹³². ხოლო 1793 წ. ანტონ კათალიკოსის მიერ ალავერდის აზნაურის შვილ მგალობლიშვილ დავითისათვის მიცემულ წყალობის წიგნში აღნიშნულია, რომ „...შეგიწყალებ და გიბოძებ... თქვენის ოჯახის საერთო სახელო ალავერდის მდივანობის სარგო და შემოსავალი რამდენსამე წელიწადს დაკლებოდა შენის ბიძაშვილის დავით მდივანსაგან“¹³³. ამდენად გამოდის, რომ დავით მდივანი გელოვანია და ამასთან ერთად მგალობლიშვილის გვარსაც ატარებს, რაც შესაძლებელია ყოფილიყო. ჩვენ არა ერთხელ ვხვდებით დოკუმენტებში სხვადასხვა პირებს, რომელნიც ორმავ გვარს ატარებენ. მაგ. ბარათაშვილები თავის განაყოფებით, ელიოზიძე გედევანისშვილები, თუმანიშვილი ხოსიტაშვილები, მაგრამ აღსანიშნავია, რომ დავით მდივანის მამა მდივანი ბეჟან გელოვანი არც ერთხელ არ არის მგალობლად მოხსენებული (თუმცა ეს, რასაკვირველია, არ გამორიცხავს მის ამ თანამდებობაზე ყოფნას და ამ ფაქტის მოუხსენებლობის შემთხვევითობას). გარდა ამისა, ზემოთ მოტანილ მდივანობის სარგოს წყალობის წიგნში ნათქვამია, რომ „...შეგიწყალებ და გიბოძებ შენ ალავერდის აზნაურის შვილს მგალობლიშვილს დავითს... თქვენის ოჯახის საერთო სახელო ალავერდის მდივანობის სარგო და შემოსავალი რამდენსამე წელიწადს დაკლებოდა შენის ბიძაშვილის დავით მდივანსაგან...“ ამ ფრაგმენტთან გამოდის, რომ დავით მდივანი დავით მგალობლიშვილის ბიძაშვილია, ე. ი. დავით მდივანი ბეჟან გელოვანის ძეა, ხოლო დავით მგალობლიშვილი, შესაძლოა სხვა პირი იყოს. მაგრამ ამ უკანასკნელ მოსაზრებას ეწინააღმდეგება შემდეგი საბუთები: 1784 წ. ალავერდელი ენდრონიკასშვილ ნიკოლოზის მიერ კონდოლის მოურაობის სარგოს წყალობის წიგნში მოხსენებულ არის ალავერდის საყდრის პირველი აზნაურის შვილი გელოვანიძე ბეჟანის ძე მდივანი და კონდოლ-კისისხევის მოურაი დავითი, მისი ძმისწული გიორგის ძე ბეჟან და მისი შვილები დიმიტრი და პაატა¹³⁴. ხოლო 1802 წ. ანტონ კათალიკოსმა უბოძა მგალობლიშვილს მდივანს დავითს და მის შვილებს დიმიტრის, პაატას და იოსებს და მის სახლის კაცს დავითს ახატლის ხოლო¹³⁵. ამ დოკუმენტების ცნობებიდან ჩანს, რომ ბეჟან გელოვანის ძე მდივანი დავით და მგალობლიშვილი მდივანი დავით ერთი და იგივე პირები არიან. 1784 წ. საბუთში მოხსენებული არიან დავით ბეჟან გელოვანის ძის შვილები დიმიტრი, პაატა, ხოლო 1802 წ. მდივანი დავით მგალობლიშვილის შვილები დიმიტრი, პაატა და იოსები. ამრიგად დავით გელოვანის ძე მგალობლიშვილის მოღვაწეობის პერიოდი 1770—1802 წწ. შემოსისაზღვრება. მაგრამ ამ წლებს რომელიმე მონაკვეთში (რა წლიდან—გაუტკვეველია) მას დროებით დაუპარგავს ეს სახელო, რომელიც ანტონ კათალიკოსს 1793 წ. კვლავ დაუბრუნებია მისთვის.

¹²⁹ ცსსა, ფ. 1448, №№ 13, 563.

¹³⁰ ცსსა, 1448, №№ 623, 5327.

¹³¹ ცსსა, 1448, №№ 15, 959; ხელნ. ინსტ., Qd—7986.

¹³² ცსსა, 1448, № 561.

¹³³ ცსსა, 1448, № 5327.

¹³⁴ ცსსა, ფ. 1448, № 1202;

¹³⁵ ცსსა, ფ. 1448, № 2024.

ის გარემოება, რომ მგალობლიშვილები ალავერდის მდივნები იყვნენ დასტურდება აგრეთვე 1750 წ. ალავერდელის მიერ (სახელი არ იკითხება) ალავერდის წმ. გიორგის ტაძრისათვის მიცემული ყმა-მამულის წყალობის წიგნით, რომელიც შედგენილი ყოფილა მდივან იასე მგალობლისშვილის მიერ¹³⁶.

ალავერდის მდივანი უნდა იყოს იოსებ მგალობლიშვილიც, რომელსაც შეუდგენია 1795 წელს ზურაბ ბეროშვილის მიერ წმ. გიორგის ალავერდის დეკანოზ იოსებ გარსევანიშვილისათვის მიცემული ყმობის წიგნი¹³⁷.

როგორც ზემოთ მოტანილი ცნობებიდან ჩანს, ალავერდის საეპისკოპოსოს მდივნები მგალობლიშვილთა გვარის წარმომადგენლები არიან. 1743—51 წწ., როგორც უკვე აღვნიშნეთ, ალავერდელის კარზე ვახუშტის ვინმე გიორგი მდივანს, ხოლო 1784 წ. კონდოლის მოურაობის სარგოს წყალობის წიგნში მოხსენებული არის ბეჟან გელოვანის ძე მდივანი დავით და მისი ძმისწული ბეჟან გიორგის ძე¹³⁸. ე. ი. დავით მდივანს ჰყოლია ძმა გიორგი. ხომ არ შეიძლება იყოს დავით მდივნის ძმა, მგალობლიშვილთა გვარის წარმომადგენელი და 1743—51 წწ. ალავერდელის ცნობილი მდივანი გიორგი ერთი და იგივე პირი?

მგალობლიშვილთა გვარში მდივნობის საკუთარ უფრო ადრეც არსებულა, რაც ჩანს ნახარაღისანის მიერ პეტრე მგალობლიშვილისათვის მიცემულ მდივნობის წყალობის წიგნიდან¹³⁹.

4. გიორგი. მგალობელ-მდივანი, რომელმაც დაწერა ვაზბრეღელ ჰყონდიდლის (ბეჟან დადიანის ძე) მიერ გიორგი ბერიძისათვის მიცემული წყალობის წიგნი¹⁴⁰. საბუთი უთარიღია.

ცალკეულ სათავადო-სამთავროებს თავისი საკუთარი მდივან-მწიგნობრები ჰყავდათ და ბუნებრივია, რომ მათ მიერ ყოფილიყო შედგენილი აქ გაცემული დოკუმენტები. მაგრამ, ზოგჯერ ამ საბუთებს სამეფო მდივნები წერენ და საბუთის ტექსტიდან გაურკვეველი რჩება ვისი მდივნები არიან ეს პირები. მაგ. ანტონ რაჭის ერისთავის მიერ გიგუნა გლოველისათვის მიცემულ წყალობის წიგნში აღნიშნულია: „მე მდივანს მღვდელს სვიმონს დამიწერია“¹⁴¹. ამ წიგნისადადებიდან გაურკვეველი რჩება რაჭის ერისთავის მდივანია სვიმონი თუ სამეფო. ამ საკითხს არკვევს მეორე დოკუმენტი, ყმის წყალობის წიგნი, დათარიღებული 1790 წლით და მიცემულ იმავე რაჭის ერისთავ ანტონის მიერ გიგუნა გლოველისათვის¹⁴², რომელიც დაწერილი ყოფილა მეფის კარის მდივნის ჰლვდლის სვიმონის მიერ. სამწუხაროდ, ასეთი შემთხვევები შედარებით მცირეა და ხშირად საკითხის გარკვევა ძნელდება, ან და შეუძლებელი ხდება. ასეთი პირები არიან მდივნები: ქაიხოსრო ლეჟავა, დემეტრე ყოდალაშვილი, ზურაბ ხერდინასშვილი, თამაზ მუსხრამიძე, იესე ასათიანი, ლეონ და სხვ¹⁴³. მათ მიერ შედგენილი დოკუმენტები ცოტა რაოდენობითაც არის შემონახული და ეს გარემოებაც აფერხებს ამ საკითხის გარკვევას.

136 ცსსა, ფ. 1448, № 169.

137 ხელნ. ინსტ., Qd—871/52.

138 ცსსა, ფ. 1448, № 1202.

139 ცსსა, ფ. 1448, № 555.

140 ხელნ. ინსტ., Ad—1538.

141 „ „ Hd—2865.

142 „ „ Hd—1844.

143 ხელნ. ინსტ., Hd—3997, Hd—14026, Hd—2056, Hd—4356.

ველაზე მეტი ცნობები შემონახულია ამილახორების მდივან-მწიგნობობების შესახებ, რის გამოც ჩვენ ისინი ცალკე გამოვყავით.

1. პატა მახანაშვილი. ამილახორის კარის მდივანი. დაწერა 1626 წ. იოთამ ამილახორის მიერ დავით თეგუტურმაზიძისათვის მიცემული ყმა-მამულის წყალობის წიგნი¹⁴⁴.

2. იასე პარკაძე. ამილახორის მდივან-მწიგნობარი. 1656—80 წწ.¹⁴⁵ იგი მხოლოდ ერთ დოკუმენტში იხსენიება გვარით¹⁴⁶. ოთარ ამილახორის მიერ ჯვარ-პატიოსანისათვის მიცემული ყმების შეწირულების განახლების წიგნი დაწერილია ამილახორის მდივან-მწიგნობარის იესეს ხელით¹⁴⁷. ეს დოკუმენტი დათარიღებულია 1617 წ. (ქორონიკონი „ტე“). შესაძლებელია ამ საბუთის შემდგენელი იესე იგივე იესე პარკაძე იყოს და ამ შემთხვევაში მისი მოღვაწეობის დრო 1617—1680 წწ. მოდის. მაგრამ ვინაიდან დოკუმენტი წარმოადგენს პირს, მათი ხელის შედარების შესაძლებლობას მოკლებული ვართ და გადაწყვეტით ვერაფერს ვიტყვით.

3. ბიძინა პარკაძე. შიო კოლაშვილის მიერ დავით ჯავახიშვილისათვის 1690 წ. მიწის ნასყიდობის წიგნი დაწერილია ბიძინა იასეს შვილის პარკაძის მიერ¹⁴⁸; 1688 წ. იგი ამილახორის მდივნის შვილად იხსენიება¹⁴⁹. იგი სამღვდელ პირია¹⁵⁰ და ამილახორის კარის მდივან-მწიგნობარად ჩანს 1688—1728 წწ.¹⁵¹.

პარკაძეების საგვარეულოდან ჩვენ კიდევ რამდენიმე პირს ვხვდებით საბუთის შემდგენლებად. ისინი დოკუმენტებში მართალია მდივნებად არ იხსენიებიან, მაგრამ ვინაიდან მათი გვარის ორი წარმომადგენელი ჩანს მდივნის თანამდებობაზე და ეს თანამდებობა გარკვეულ გვარებში მემკვიდრეობითი ჩანს, არ არის გამორიცხული ის გარემოება, რომ მათაც ეს ხელი ექირათ. თუმცა აღსანიშნავია, რომ ეს პირები კერძო პირების დოკუმენტთა შემდგენლებად ჩანან. ესენი არიან: იესე პარკაძე, მდივან ბიძინას შვილი, რომელიც 1738 წ. ჩანს¹⁵², დათუნა პარკაძე 1694 წ.¹⁵³, და ნიკოლოზ პარკაძე 1699—1703 წწ.¹⁵⁴.

4. ივანე. ამილახორის მდივან-მწიგნობარი. დაწერა შავერდაშვილის მერ ბერიბა ზარბიძისათვის 1680 წ. მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნი¹⁵⁵.

5. პაპუნა ჯავახაშვილი. ამილახორის მდივან-მწიგნობარი. 1689 — 1704 წწ.¹⁵⁶.

6. დავით ჯავახაშვილი. ამილახორის მდივან-მწიგნობარი 1725—1764¹⁵⁷; ადგენს როგორც ამილახორთა მიერ გაცემულ, ასევე კერძო პირთა საბუთებს

144 " " Ad—1388.

145 " " Hd—14192; Sd—2929, Sd—695.

146 " " Ad—643/ა.

147 " " Hd—11396/ბ.

148 ცსსა, ფ. 1450, 46/295.

149 ცსსა, 1450, 31/131.

150 ხელნ. ინსტ., Hd—2806, Hd—5276.

151 ცსსა, ფ. 1450, 31/131, ხელნ. ინსტ. Qd—8709.

152 ცსსა, ფ. 1448/1090.

153 ხელნ. ინსტ., Sd—561.

154 " " Hd—10126; ცსსა, ფ. 1448—1063.

155 " " Ad—643/ბ.

156 ცსსა, ფ. 1448, № 527; ხელნ. ინსტ., Ad—913.

157 ხელნ. ინსტ., Hd—1252, Hd—5355, Qd—802.



1706 წ. გიორგი ნინიაშვილის მიერ პატა ყანჩაელიშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნი დაწერილია დათუნა ჯავახაშვილის მიერ¹⁵⁸, დათუნა ჯავახაშვილი, ჩვენის აზრით „დავით ჯავახაშვილი მდივანი უნდა იყოს. თუმცა მათი ხელის შედარების შედეგად ვერავითარი მსგავსება ვერ აღმოვაჩინეთ. დათუნა ჯავახაშვილის მიერ შედგენილ მიწის ნასყიდობის დოკუმენტში აღნიშნულია, რომ „...ჩვენი ნასყიდი ვენაჟი ბატონმა გივმა ამილახორმა გამოგვართვა და ზვარზე დადვა და იმის სანაცვლოდ გვიბოძა მახარაულო მიწა“, რაც გვაფიქრებინებს, რომ აქ ამილახორის მდივანი უნდა იყულისხმებოდეს. ამრიგად, მისი მოღვაწეობის წლები 1706—1769 წწ. მოდის.

7. გიორგი ჯავახაშვილი, ამილახორის მდივანად ჩანს 1733 წ.¹⁵⁹. დამე-17 ს. დაუთარილებელ საბუთში¹⁶⁰.

ჯავახაშვილების საგვარეულოდან საბუთის შემდგენლებად გვხვდებიან: დემეტრე¹⁶¹, იოსებ—1758 წ.¹⁶², სოლომონ 1786 წ.¹⁶³.

8. ვახუშტი. სამილახორის მდივან-მწიგნობარი. 1699—1713 წწ.¹⁶⁴. მის მიერ შედგენილი სულ სამი დოკუმენტი გვაქვს შემონახული და არც ერთ მათგანში პირდაპირი მითითება, რომ იგი სამილახორის მდივანია, არ გვაქვს. მაგრამ, თვით საბუთის შინაარსი გვაფიქრებინებს ამას. ერთი ამ საბუთთაგანი აერთხდელ ამილახორის მიერაა გაცემული, მეორე ეხება ამილახორთა პირობას საამილახორო მამულების შესახებ, ხოლო მესამე სამილახოროში მდებარე სოფ. რენეს მამულის ნასყიდობას, რომლის მოწმეა თითონ ამილახორი.

9. იოანე. ალექსას შვილი. ამილახორის მდივანი. 1780—1792¹⁶⁵.

მე-17 საუკ. გადამწერებს შორის თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ბედისმწერლიშვილების გვარს. მათ მიერ შედგენილია არა ერთი დოკუმენტი და გადაწერილია მთელი რიგი ხელნაწერებისა. ეს პირები არიან იესე, ფარემუხ, ნათანაელ და გიორგი ბედისმწერლიშვილები.

საინტერესოა საკითხი, არიან თუ არა ისინი მდივნები და თუ არიან, ვის კარზე მოღვაწეობენ და რა ურთიერთდამოკიდებულებაში არიან ისინი ერთმანეთთან. ბოლო საკითხის გარკვევისათვის საინტერესო ცნობას იძლევა ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერთა ახალ ფონდში დაცული მარხვანის (Q—663) ახდერძი: „მე ცოდვილმან და ყოველთა უნარჩევესმან ბედისმწერლიშვილმა ფარემუხ დაეწერე ეს სამი რვეული და ამას ზემოთ ჩქმი ძმმ (ძმამ) დაწერა და ვინცა შენდობით მომიკსენოთ, თქუენცა მოვიკსენოს უფალმან. ამინ... კელეჯავ მე ფრიად ცოდვილმან და ყოველთა კაცთა უნარჩევესმან ბაღდიაშვლმან ბედისმწერლისშვილმან იესე წმიდანი ესე და სულთა განმანათლებელი მარხუანი მისის სტოდიელ სწყლთა სრული და უნაკლულო. ჩემ ცოდვილისათვის ლოცვა ყვეთ ღთს გვედრები, და, თუ რა მე ჩისა უცებობითა დაჰკლებოდეს იაიმე, წყევესა ნუ ჰყოფთ ოწნო ჩწნო.ღო ზე ცოდვილი გიორგი ბედისმწერა-

158 ხელნ. ინსტ., Hd—6542.

159 „ „ Sd—720.

160 „ „ Hd—3388

161 „ „ Sd—264.

162 ცსსა, 1448, № 517.

163 „ „ 1450, 28/224.

164 ხელნ. ინსტ. Hd—1553, Hd—2136, Hd—2142.

165 „ „ Hd—291, Hd—1730.

ლი მეუღლე მისი. ამინ. ძმა ჩემი შემომეწია ამ სამს რვეულსა“¹⁶⁶. როგორც ანდერძიდან ჩანს, ხელნაწერი გადაუწერია ორ ძმას იესე ბაღდაშვილ ბედისმწერლიშვილსა და ფარემუზ ბედისმწერლიშვილს. გადამწერის მეორე ანდერძში მოცემულია ხელნაწერის გადაწერის თარიღიც. „სრულ იქმნა წმიდა ესე მარხუანი კელითა იესესითა თსა მტსა იგ, დღესა დ. ქკსა ტ ნ ე“¹⁶⁷ ე. ი. 1667 წ.

ფარემუზი საბუთის შემდგენლად მხოლოდ ერთხელ ჩანს 1665 წ. ციცი ციციშვილის მიერ პაპუა მაღალაშვილისთვის მიცემული აკველ ყმის წყალობის წიგნი შედგენილია ციციშვილის კარის მდივნის ფარემუზის მიერ („დაიწერა კელითა კარისა ჩვენისა მდივნის ფარემუზისათა“)¹⁶⁸. მართალია, ფარემუზი გვართ არ არის მოხსენებული „მაგრამ, ჩვენის აზრით. აქ საქმე უნდა გვჭონდეს ფარემუზ ბედისმწერლიშვილთან“¹⁶⁹. უფრო ხშირად იგი ხელნაწერთა ანდერძებში გვხვდება როგორც გადამწერი 1664—1667 წწ.¹⁷⁰. რაც შეეხება იესეს, იგი დოკუმენტის შემდგენელია და ხელნაწერთა გადამწერიც 1664—1695 წწ.¹⁷¹.

პირველ ანდერძში იესე და ფარემუზთან ერთად იხსენიება ამ საგვარეულოს შესაძენი წარმომადგენელი გიორგი, რომელიც აქ ბედისმწერლად იწოდება, და მისი მეუღლე. ანდერძიდან გაურკვეველი რჩება მისი დამოკიდებულება ხელნაწერის გადამწერებთან. იგი, შესაძლებელია, მათი ძმა იყოს. გიორგი მოღვაწეობდა 1679—1710 წწ.¹⁷² და ძირითადად ჩანს როგორც დოკუმენტების შემდგენელი. 1677—1708 წწ.¹⁷³. გვხვდება ამავე გვარის მეოთხე წარმომადგენელი, ისიც ცნობილი გადამწერი, ნათანაელ, რომელიც იესეს მსგავსად ხშირად ორ გვარს ატარებს: ბედისმწერლიშვილსა და ბაღდადეღიძეს. იგი საბუთის შემდგენელი და აგრეთვე ხელნაწერთა გადამწერია¹⁷⁴.

როგორც მასალიდან ჩანს ბედისმწერლისშვილებიდან იესე და ფარემუზი სამღვდელთა პირები არიან.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამ საგვარეულოს წევრებიდან, მხოლოდ ერთი პირი იესე და ისიც მხოლოდ ერთ საბუთში, რომელიც მიცემულია ციცი ციციშვილის მიერ 1682 წ. წმ. ნიკოლოზის ეკლესიისათვის იხსენიება მდივან-მწიგნობრად. „...დაიწერა წიგნი ესე შეწირულობისა კელითა კარისა ჩვენისა მდივან-მწიგნობრისა ბედისმწერლიშვილის იესესითა“¹⁷⁵. საყურადღებოა ის გარემოება, რომ იესე ბედისმწერლიშვილის მიერ შედგენილი ყველა დოკუმენტი

¹⁶⁶ ხელნ. აღწერილობა, Q ფ., ტ. II, № 663.

¹⁶⁷ " " " Q ფ., ტ. II, № 663.

¹⁶⁸ ხელნ. ინსტ., Qd—7010.

¹⁶⁹ აღნიშნული დოკუმენტებისა და ფარემუზ ბედისმწერლიშვილის მიერ გადაწერილ მარხუანის (Q—663) ხელის შედარების მოკლებული ვართ, ვინაიდან Q—663 დაწერილია ნუსხურით.

¹⁷⁰ ხელნ. აღწერილობა, H ფ., ტ. 4, № 1742; Q ფ., ტ. II, № 663.

¹⁷¹ " " " H ფ., ტ. 2, № 1742, 314 v—316r, Hd—6171.

ხელნ. ინსტ., Ad—641; Hd—6171. იესე ბედისმწერლიშვილი იხსენიება როგორც დამწერი გივი ვახაშვილის მიერ ბატონ თამაზისათვის მიცემულ საყომლოს ნასყიდობის წიგნში, რომლის თარიღია 1634 წ. საბუთი წარმოადგენს პირს (ცსსა, ფ. 1450, 20/24/რის გამოც თარიღი საეკვეთდ მივაჩინია.

¹⁷² ხელნ. ინსტ., Hd—14648; Sd—96.

¹⁷³ " " " Sd—623; ცსსა, 1450, №6/239.

¹⁷⁴ მის მიერაა გადაწერილი 1621 წ. დავითნი, (H—16), ბიბლია (H—1207) და ეჟანა 1672 წ. (H — 1755).

¹⁷⁵ ხელნ. ინსტ., Ad—641.

კერძო პირების მიერაა გაცემული, გარდა ზემოდსახელებული საბუთისა, სადაც იგი ციციშვილის კარის მდივნად ჩანს. ეს ცნობა ჩვენ გვაძლევს ნებას იესე ბედისმწერლიშვილი ციციშვილების კარის მდივნად მივიჩნიოთ. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხელნაწერთა ანდერძებში მოხსენებული გადამწერ ბედისმწერლიშვილების დამკვეთნი სხვადასხვა პირები არიან: ქართლის მთავარ-ეპისკოპოსი ნიკოლოზ ჩხეიძე, რევაზ ერისთავის ასული ლუარსაბ შაჰნავაზის ძის მეუღლე მარიამ და ყაფლანისშვილები (ორბელ ყაფლანის ძე და ყაფლან ორბელის ძე)¹⁷⁶.

1672 წ. დომენტი კათალიკოსის მიერ პაპუა მალაღისათვის მიცემული წყალობის წიგნი შედგენილია იესე ბაღდაშვილის მიერ, რომელიც მდივნობის ტიტულის გარეშეა საბუთში ნახსენები (Ad—1689). ვინ უნდა იყოს ხსენებული პირი? არის იგი მდივანი თუ არა, და თუ არის ვის მდივნად უნდა იყოს იგი მიჩნეული. ეს ბოლო საკითხი დგება იმასთან დაკავშირებით, რომ ამ დროს ცნობილი მდივან-მწიგნობარი იესე ბედისმწერლიშვილი, რომელიც ჩვენ ციციშვილის კარის მდივნად მიგვაჩნია, ატარებს ბედისმწერლიშვილის გარდა ბაღდაშვილის გვარსაც. Q—663 მარხვანის ანდერძში როგორც გადამწერი იხსენიება ბაღდაშვილი ბედისმწერლისშვილი იესე. აქედან გამომდინარე, იესე ბედისმწერლიშვილი და იესე ბაღდაშვილი ერთი და იგივე პირია. მაგრამ ამ მოსაზრებას რამდენიმე ფაქტი ელობება წინ. იესე ბაღდაშვილი ადგენს კათალიკოსის მიერ გაცემულ დოკუმენტს, იმ დროს როდესაც იესე ბედისმწერლიშვილი ციციშვილების კარზე ჩანს. ვაუგებარია რატომ შეადგენდა დომენტი კათალიკოსის მიერ გაცემულ დოკუმენტს ციციშვილის მდივანი. იესე ბაღდაშვილის (Ad—1689) და იესე ბედისმწერლიშვილის (Ad—6413, Hd—832) მიერ შედგენილი საბუთების ხელის შედარების შედეგად არსებითი მსგავსება ვერ ვხვდებით. ერთი შეხედვით სრულიად სხვადასხვა ხელია. თუ დაუკვიდრებით შეიძინევა პატარა მსგავსებანი ზოგიერთ ასოთა მოხაზულობასა და ასოთა გადაბმაში. მაგ. „ე“-ნის მოხაზულობა; „დ“-ნის და „ა“-ნის, „კ“-ნისა და „ვ“-ნის „ი“-თან და „ე“-ნის „ს“-თან გადაბმა. აღსანიშნავია ისიც, რომ შედარებული დოკუმენტების დაწერის დრო 10 წ. არის დაშორებული. ერთი იმდროს Ad—641 ციციშვილების შეწირულების წიგნი შედგენილია 1682 წ., ხოლო Ad—1689 დომენტი კათალიკოსის წყალობის წიგნი—1672 წ. შესაძლებელია გვეფიქრა იმ შემთხვევაში, თუ აქ ერთი და იგივე პიროვნება ივარაუდებოდა, რომ 10 წ. განმავლობაში მას ხელი ცოტა მაინც შეეცვლებოდა, მაგრამ აქაც წინააღმდეგობას ვხვდებით. ჩვენ გავაჩნია უფრო ადრინდელი საბუთი და სახელდობრ 1667 წ. (Hd—832), რომლის ხელი წააგავს 1682 წ. საბუთის ხელს და ისეთივე მსგავსება აქვს 1672 წ. საბუთთან (Ad—1689).

ყველა ზემოთ აღნიშნულ წინააღმდეგობებს (გარდა ერთისა, რომელზეც შევჩერდებით) შეიძლება მეტნაკლებად ახსნა-ვანმარტება მოეძებნოს. ჩვენ დასაშვებად მიგვაჩნია, რომ ერთი და იმავე პირის მიერ შედგენილი საბუთი სხვადასხვა ხელით იყო დაწერილი, ე. ი. მათ შორის, როგორც აღვნიშნეთ, არსებითი მსგავსება არ იყოს, მით უფრო, როდესაც საქმე ეხება კათალიკოსის მიერ გაცემულ საბუთს და ციციშვილების ან კერძო პირთა დოკუმენტებს. სასველით გასაგებია, რომ კათალიკოსის საბუთს მდივანი უფრო მონდომებით, უფ-

რო ლამაზად დაწერდა (Ad—1689), ვიდრე ვინმე ბახუტა უკანბერიძის მიერ კაცემულ საბუთს (Hd—832).

იესე ბაღდაშვილი და იესე ბედისმწერლიშვილი, როგორც ზემოთ აღნიშნული იყო Q—663 მარხვანის ანდერძით ორივე გვარით იხსენიება (ხელის შედარების შესაძლებლობას მოკლებული ვართ, ვინაიდან ხელნაწერი დაწერილია ნუსხურად).

ერთადერთი წინააღმდეგობა, რომელსაც ჩვენ მეტნაკლებად ანგარიში უნდა გაუწიოთ, არის ის ფაქტი, რომ კათალიკოსი დომენტი თავის სახლობეცეს პაპუა მაღალაძისათვის მიცემულ წიგნს აწერინებს სხვის მდივანს, რაც საეკლესიო მიგვაჩნია. იესე ბედისმწერლიშვილი ციციშვილის მდივანია, და აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დომენტი კათალიკოსის მიერ კაცემულ საბუთში ნათქვამია „...ციციშვილი ჩემი დისწული ბატონი ციცი (ე. ი. დომენტი კათალიკოსის დისწული,—ა. ბ.) ჩამოიყვანეთ შუა და ციხედიდის მოურაობის წყალობას გვეაჩენით. იმ კელად ვერ მოგეციოთ. ამისთენ რომე ცოტა რამე სხვა მამულე გაძლიეთ და თქვენ არ ინდომეთ. კიდევ ციცი შუა ჩამოიყვანეთ და გიბოძეთ ციხედიდის მოურაობა და არმაზი...“¹⁷⁷, ე. ი. ამ წყალობაში რაღაც დამსახურება ციციის მიუძღვის. საბუთს აქვს ციციის ბეჭედი ლეგენდით „სახლის ზუცესი ციცი“. ბედისმწერლიშვილები, როგორც ჩანს. იმდენად დახელოვნებული გადამწერი-მდივნები იყვნენ, რომ მათ დამკვეთებად სულ სხვადასხვა პირები გამოდიან, როგორც ეს ზემოთ იყო აღნიშნული.

საინტერესოა აგრეთვე ის ფაქტი, რომ ბაღდაშვილების საგვარეულოდან მდივნებს საკათალიკოსო კარზეც ეხვდებიოთ. ასეთია გიორგი 1630—38 წწ., რომელზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი.

ბედისმწერლიშვილთა გვარის სხვა გადამწერი არც ერთხელ არ გვხვდებიან მდივნის თანამდებობაზე. ვინაიდან ცნობილია, რომ მდივნობა გარკვეული საგვარეულოების თანამდებობა იყო, საფიქრებელია, რომ ამ გვარის სხვა წარმომადგენლებს, რომელნიც საკმაოდ ცნობილი გადამწერები და ამასთან ერთად დოკუმენტების შემდგენლები იყვნენ, მდივან-მწიგნობრის თანამდებობაც სჭეროდათ, თუმცა ჭერაჭერობით ამის პირდაპირი მითითება არ გვაქვს.

1701—1719 წწ. საბუთის შემდგენლად გვხვდება იესეს შვილი ნიკოლოზ, რომელიც თავის მამის მსგავსად ციციშვილების კარზე ჩანს¹⁷⁸, და იოანე ბედისმწერალი დამწერი ტატიშვილების 1674 წ. გაყრის წიგნისა¹⁷⁹.

ციციშვილების მდივან-მწიგნობრებიდან ცნობილი არიან აგრეთვე შემდეგი პირები:

1. დავით კაკაძე. დაწერა 1699 წ. ოქრუა ბეგიასშვილის მიერ თამაზა ნიხიასშვილებისათვის მიცემული სასაფლაოს ნასყიდობის წიგნი¹⁸⁰.

2. სვიმონ კაკაძე. მდივან-მწიგნობარი 1727—45 წწ.¹⁸¹.

¹⁷⁷ ხელნ. ინსტ., Ad—1689.

¹⁷⁸ ე. თაყაიშვილი, საქართველო, სიძველენი, ტ. III, № 170; ცსსა, ფ. 1450, 47/125.

¹⁷⁹ ხელნ. ინსტ., Sd—607 (პირი).

¹⁸⁰ ცსსა, ფ. 1450, 35/14.

¹⁸¹ ცსსა, 1448, № 8768; ხელნ. ინსტ., Qd—8981, Qd—698.

3. ზაალ ორჯონიკიძე. 1774—1795 წწ.¹⁸². იგი სახლბუცესის თანამდებობაზეც ჩანს¹⁸³, მხოლოდ გაურკვეველია ვისი; მოსალოდნელია, რომ ციციშვილებს.

4. გივი მალაქრაძე. დაწერა ზალ ფანასკერტელ-ციციშვილის მიერ ნარიამ-ნიშვილ ბერისათვის მიცემული სითარხნის წიგნი¹⁸⁴. საბუთი უთარილოა. მის დასათარიღებლად ზალ ციციშვილის მოღვაწეობის განსაზღვრა დაგვეხმარება. მე-10—17 სს. ისტორიულ დოკუმენტებში ზაალი გვხვდება მე-17 ს. 60-იან წლებში¹⁸⁵, მაგრამ ვადაწყვეტილ საბუთის დათარიღება მაინც ძნელდება. სხვა სათავადოების მდივნებიდან დოკუმენტებში გვხვდებიან:

1. ლევან. საორბელიშვილო კარის მდივან-მწიგნობარი 1718—27 წწ.¹⁸⁶.
 2. იესე ნინიაშვილი. ჯავახიანთ მდივან-მწიგნობარი. 1721—1727 წწ.¹⁸⁷.
 იგი სამღვდლო პირია¹⁸⁸.

3. თამაზ ქარელი. ქსნის ერისთავის მდივანი 1755—66 წწ.¹⁸⁹. თამაზ ქარელი თავის შვილებით იხსენიება უფრო ადრეც, სახელდობრ 1718 წ. ნასყიდობის წიგნში, როგორც საბუთის მიმღები. მაგრამ აქ იგი მდივანად არ იწოდება¹⁹⁰.

4. პაატა ბიბილური. მდივანი ერისთავისა. დაწერა 1805 წ. დავის გადაწყვეტილების წიგნი ყმის შესახებ დიმიტრი ციციშვილისა და ზაალ დავითისშვილის შორის¹⁹¹. გაურკვეველია რომელი ერისთავის მდივანია. შესაძლებელია ისიც ქსნის ერისთავის მწიგნობარი იყოს.

დასავლეთ საქართველოს მდივნებიდან ცნობილი არიან შემდეგი პირები:

1. მიშველი. გიორგი ლიპარტიანის კარის მდივანი. ჩანს მე-17 საუკ. ბოლოს¹⁹².

2. გვაჩასპი. მდივანი. მის მიერ არის შედგენილი წერეთლების მიერ გაცემული და მიღებული მთელი რიგი დოკუმენტებისა¹⁹³. იგი საბუთებში ყველგან გვარის გარეშეა მოხსენებული და თანაც ყველა საბუთი უთარილოა. ლევან აბაშიძის მიერ ანუკა ბატონიშვილისათვის მიცემულ მამულის ნასყიდობის წიგნში მოხსენებულია გორჯასპი წერეთლის მდივანი¹⁹⁴. ეს იგივე გვაჩასპი მდივანი უნდა იყოს, სამწუხაროდ იგი ამ საბუთში მოხსენებულია როგორც მოწმე, რის გამოც ხელის შედარების შესაძლებლობას მოკლებული ვართ. საბუთი დათარიღებულია 1736 წლით და ამის საფუძველზე გვაჩასპი მდივნის მოღვაწეობა ამ წლებშია სავარაუდებელი. წერეთლების დოკუმენტებში, რომლებიც მდივან

¹⁸² ცსსა, 1448, № 5401, ხელნ. ინსტ., Hd—3971, Hd—8080, Hd—1273.

¹⁸³ ხელნ. ინსტ., Hd—1273.

¹⁸⁴ „ „ „ „ Sd—844.

¹⁸⁵ საბუთს აქვს ჭვირნიშანი, რომელიც, რ. პატარიძის აზრით, მე-18 ს-მდე არ გვხვდება.

¹⁸⁶ ცსსა, 1448, № 5552; ხელნ. ინსტ., Sd—695.

¹⁸⁷ ხელნ. ინსტ., Qd—1023/3, Sd—686, Sd—694.

¹⁸⁸ ხელნ. ინსტ., Sd—694.

¹⁸⁹ ცსსა, 1448, № 903; ხელნ. ინსტ., Hd—5218.

¹⁹⁰ ცსსა, 1448, № 5100.

¹⁹¹ ხელნ. ინსტ., Hd—616.

¹⁹² ქუთაისის მუზეუმი, № 1010, 1178.

¹⁹³ ხელნ. ინსტ., Hd, ფ. №№, 2173, 2530, 2649, 2747, 2750, 2787.

¹⁹⁴ „ „ „ „ Hd—1286.

ევაქსპის მიერ არის შედგენილი: ამ საგვარეულოს სხვადასხვა პირები არიან მოხსენებული: პაპუნა წერეთელი, მისი ძმა დავით და შვილები: ბეჟან, ქაიხოსრო, ქველი, ნიკოლოზ. ეს პირები მოხსენებული არიან მთელ რიგ იმერეთის სამეფოს საბუთებში, რომლებიც შოთა ბურჯანაძის მიერ დაახლოებით დათარიღებული არის 1730—50-იან წლებით¹⁹⁵. ამის საფუძველზე მდივან ევაქსპის მოღვაწეობაც დაახლოებით ამ წლებით უნდა შემოისაზღვროს.

3. გიორგი მანიშვა. მდივანი მამია გურიელისა. 1739 წ.¹⁹⁶.

4. გვგია ოქრომქედიშვილი. წერეთლის მდივანი, დაწერა 1744 წ. დათვია წერეთლის მიერ შოშია ფალავანდიშვილისაგან სესხის აღების¹⁹⁷ წიგნი.

5. იესე. გურიელების მდივანი. 1761—1776 წწ.¹⁹⁸

6. თნოფრე. (რაჭის) ერისთავის კარის მწიგნველი და მდივანი. 1768 წ. დაწერა როსტომ ერისთავის მიერ მერაბ ჯაფარიძისათვის მიცემული ვენახის წყალობის წიგნი¹⁹⁹.

7. სვიმონ. გურიელის მდივანი. ადგენს მამია გურიელის მიერ მამუკა ნაკაშიძის და მისი ძმის თანდარიხისათვის მიცემულ ყმა-მამულის წყალობის წიგნს²⁰⁰. საბუთი უთარიღია. მაგრამ მას უზის მამია გურიელის ბეჭედი. მხედრული ლეგენდით, რომელზეც ჩანს დაწიანებული თარიღი: „მონა ვარლთისა, ყმა ზონტქრისა, ხანი გურიისა, მამია 17...“.

8. პეტრე. დადიან-გურიელ მამიას კარის მდივანი. შეადგინა სანთლის შეწირულების წიგნი²⁰¹.

9. იოანე იოსელიანი. დადიანის მდივანი 1789—99 წწ.²⁰².

10. დავით ხუბულავა. დადიანის კარის მდივანი. 1520 წ.²⁰³.

ამრიგად, დოკუმენტური მასალის შესწავლის შედეგად დგინდება შემდეგი.

1. საკათალიკოსო კარს და ცალკეულ პოლიტიკურ ერთეულებს—სამთავროებს და სათავადოებს ჰყავდათ თავისი საკუთარი მდივან-მწიგნობრები. მათი რიცხვი, მასალების სიმცირის გამო, ჯერჯერობით დაუდგენელია.

მდივან-მწიგნობრები ჰყავდათ აგრეთვე ზოგიერთ საეპისკოპოსო კათედრებს.

2. დოკუმენტურ მასალებში პირველად საკათალიკოსო კარის მდივანი მოხსენებულია 1542 წ. (ათანასე), ხოლო სათავადოსი—სამილხოროსი—1656 წ. (იასე პარკაძე).

3. აღსანიშნავია, რომ ისევე როგორც სამეფო მდივნებს შორის, აქაც ძდევნობის ხელი მემკვიდრეობითი ჩანს ზოგიერთ საგვარეულოში. მაგ. მაღალაძეების საგვარეულოს წარმომადგენლებს მთელი XVI—XVIII სს. მანძილზე

195 შ. ბურჯანაძე, იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროების ისტ. დოკუმენტები, წ. 1, № 69, 99.

196 ხელნ. ინსტ., Hd—10274/3.

197 " " " Sd—1214.

198 ხელნ. ინსტ., Hd—11269, Hd—12899.

199 " " " Hd—15011.


200 ხელნ. ინსტ., Hd—13893.

203 ხელნ. ინსტ., Qd—9023.

201 " " " Hd—1538.

202 ხელნ. ინსტ., Qd, ფ. №№ 1248, 1250, ცსსა, ფ. 1448, № 3337.

საპალატიების გენეალოგიური შტო



ეჭირათ მდივან-მწიგნობრის თანამდებობა საკათალიკოსო კარზე, ხოლო სპაში-
 ლასორის მდივნებად კი არაერთხელ ჩანან ჯავახაშვილებისა და პარკაძეების
 საგვარეულოს წევრები.

საკათალიკოსო კარის მდივნები

1. აღამ შალაძე 1672 (1686)—1698
2. ათანესე, 1542 წ.
3. გიორგი, (დას. საქართველო) 1742—1769 წწ.
4. გიორგი ბაღდაშვილი, 1630—1638 წწ.
5. დავით ალექსიძე, 1745 (1776) 1824 წწ.
6. დიმიტრი ალექსიძე, 1792—1806 წწ.
7. ერაჯ, 1562 წ.
8. ეფთვიმე, (დას. საქ.) 1696—1742 წწ.
9. იესე, (დას. საქ.) 1682 წ.
10. ივანე კანდელაკიშვილი, 1719—1731 წწ.
11. იოთამ მჭადასძე, 1610 წ.
12. იოსებ შალაძე, 1783 (1789) 1819 წწ.
13. კოშმან, 1629—1630 წწ.
14. ნიკოლოზ შალაძე, 1730 (1741)—1769 წწ.
15. რევაზ, 1675 წ.
16. რომანოზ შალაძე, 1588 წ.
17. სოლომონ შალაძე, 1687 (1702)—1738 წწ.
18. ტრიფილე, 1783 წ.
19. ფარემუზ ბაღდადელი, 1649 წ.

ამილახვრების მდივნები

1. ბიძინა პარკაძე, 1688—1728 წწ.
2. გიორგი ჯავახაშვილი, 1733 წ.
3. დავით ჯავახაშვილი, 1725—1768 წწ.
4. დათუნა პარკაძე, (დამწერი) 1694 წ.
5. დემეტრე ჯავახაშვილი, (დამწერი) [XVIII] ს.
6. ვასტუტი, 1699—1713 წწ.
7. იასე პარკაძე, 1656—1680 წწ.
8. იესე პარკაძე, ბიძინას შვილი, (დამწერი), 1738 წ.
9. ივანე, 1680 წ.
10. იოანე ალექსანდრევილი, 1780—1792 წწ.
11. იოსებ ჯავახაშვილი, (დამწერი), 1758 წ.
12. ნიკოლოზ პარკაძე, (დამწერი) 1699—1703 წწ.
13. პატა შახანაშვილი, 1626 წ.
14. პაატა ჯავახაშვილი, 1689—1704 წწ.
15. სოლომონ ჯავახაშვილი, (დამწერი) 1786 წ.

ციციუშვილების მდივნები

1. ვივი შალაძე, [XVII ს. II ნ.].
2. დავით კაკაძე, 1699 წ.
3. ზალ ორჯონიძე, 1774—1795 წწ.
4. იესე ბედისმწერლიშვილი, 1664—1695 წწ.
5. სვიმონ კაკაძე, 1727—1745 წწ.

სსსპ სათავადაზნაუროს მდივნები

1. გეაქასპი, წერეთლების მდივანი, 1736 წ.
2. გიორგი, თურმანბეგის მდივანი, 1657 წ.
3. ვიორგი შანიშავა, გურიელების მდივანი, 1739 წ.
4. გოგია ოქრომჭედლიშვილი, წერეთლების მდივანი, 1744 წ.
5. გიორგი ბედისმწერლიშვილი, (დამწერი) 1679—1710 წწ.
6. დავით ზუბულავა, დადიანების მდივანი, 1820 წ.
7. თამაზ ქარელი, ქსნის ერისთვის მდივანი, 1718 (1755)—1766 წწ.
8. იესე, გურიელების მდივანი, 1761—1776 წწ.
9. იესე ნინიაშვილი, ჯავახიანთ მდივანი, 1721—1727 წწ.
10. იოანე ბედისმწერალი, (დამწერი) 1674 წ.
11. იოანე იოსელიანი, დადიანების მდივანი, 1789 წ.
12. ლევან, საორბელიშვილოს მდივანი, 1718 წ.
13. მიშველი, ლიპარტიანების მდივანი (XVI ს.).
14. ნათანაელ ბედისმწერლიშვილი, (დამწერი) 1674—1708 წწ.
15. ნიკოლოზ ბედისმწერლიშვილი (დამწერი), 1701—1719 წწ.
16. ონოდრე, რაქის ერისთვის მდივანი, 1768 წ.
17. პაატა ბიბილური, ერისთვის მდივანი, 1805 წ.
18. პეტრე, დადიან-გურიელის მდივანი, [XVIII სს.].
19. სვიმონ, გურიელის მდივანი. [XVIII ს.]
20. ფარემუზ ბედისმწერლიშვილი, (დამწერი), 1664—1667 წწ.

საპისკოპოსოების მდივნები

1. ბეჟან გელოვანი, ალავერდის მდივანი, 1733—1736 წწ.
2. გიორგი, ალავერდის მდივანი, 1747—1751 წწ.
3. გიორგი, კეკელიძის მგალობელ-მდივანი.
4. დავით მგალობლიშვილი, ბეჟან გელოვანის ძე, ალავერდის მდივანი, 1770—1802 წწ.
5. იასე მგალობლისშვილი, ალავერდის მდივანი, 1750 წ.
6. როსტომ მგალობლიშვილი, ალავერდის მდივანი, 1795 წ.

А. К БАКРАДЗЕ

ХРОНОЛОГИЧЕСКИЙ РЯД ПАТРИАРШИХ И КНЯЖЕСКИХ
 ПИСЦОВ ГРУЗИИ XVI—XVIII вв.

Резюме

В статье на основании изучения документального материала установлен хронологический ряд патриарших и княжеских писцов («мди-
 ван-მცნობარი») Грузии XVI—XVIII вв. Первое упоминание патриар-
 ших писцов относится к 1542 г. (Афанасий), а княжеских к 1656 г. (Иа-
 се Паркадзе).

Должность писца стала наследственной среди некоторых родов. В
 труде установлена генеалогия семьи Магаладзе, представители которой
 являются патриаршими писцами в XVI—XVIII вв. Представители семьи
 Паркадзе и Джавахашвили в тот-же период являлись писцами князей
 Амилахори. В документах встречаются также писцы князей Цицишви-
 ли, Орбелишвили, Дадиани, Рачинских и Ксанских эриставов. Эти све-
 денія свидетельствуют о существовании писцов во всех административ-
 но-феодальных единицах Грузии.

ლ. ჭაჯაია

ბანკმითილობის ნიშნები ძველ ქართულ ხელნაწერებში
(VII—X სს.)

ძველ ქართულ ხელნაწერებში სასვენი ნიშნების გარდა განკვეთილობის ნიშნებიც იხმარებოდა. ხელნაწერებში განკვეთილობის ნიშნების ხმარებას პირველად ივ. ჯავახიშვილმა მიაქცია ყურადღება და თავის „ქართულ პალეოგრაფიაში“ აღნიშნა, რომ: როგორც განკვეთილობის, ასევე სასვენი ნიშნები ქართულ მწერლობაში ჯერ კიდევ VI საუკუნიდან იხმარებოდა. მაგრამ, შემდეგ, არაბთა ბატონობაში, VII—VIII სს.-ში მომხდარი შედარებითი დაქვეითების წყალობით, სასვენი ნიშნების ხმარებას გადაჩვეულან და ეფერებ მცირის ხანამდე (XI ს.), რომლის სახელთანაც არის დაკავშირებული ხელნაწერებში სასვენი ნიშნების ხელმოვრედ შემოღება, მხოლოდ განკვეთილობის ნიშნებს იყენებდნენ¹.

VII—X საუკუნეების ხელნაწერების საგანგებო შესწავლამ გამოავლინა, რომ სასვენი ნიშნების ხმარება არც ამ პერიოდში შეწყვეტილა². განკვეთილობის ნიშნები კი, VII—X საუკუნეებში, როგორც ამას ქვეით დაეინახავთ, რამდენიმე ხელნაწერშია დაცული.

განკვეთილობისა და სასვენი ნიშნები ქართულ დამწერლობაში გრაფიკულად სავესებით იდენტურია (>, ., :), მაგრამ ფუნქციონალურად ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. სასვენი ნიშანი წინადადებაში გამოჰყოფს გარკვეულ პერიოდს, მოკლეს ან გრძელს³. განკვეთილობის ნიშანი კი, როგორც ამას ტერმინიც⁴ მიუთითებს, სიტყვებს მიჯნავს ერთმანეთისაგან. მისი ფუნქციაა მხოლოდ მექანიკური გაყოფა-გაცალკეება სიტყვებისა და არა წინადადებათა და წინადადებების წვერებს შორის გრამატიკულ-ლოგიკური ურთიერთობის გამოხატვა. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ განკვეთილობის ნიშნით არა ჩართო ცალკეული სიტყვებია გამოყოფილი, არამედ ზოგჯერ რთული სიტყვებიცაა დანაწილებული. ამ წესით განკვეთილობის ნიშანი გვიანდელი საუკუნეების (XV—XVIII) ხელნაწერებში იხმარება. ადრეული ხანის (VII—X სს.) ძეგლებში კი იგი ამ ფუნქციით თანმიმდევრულად არ არის გამოყენებული.

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, 1949, გვ. 144—145.

² ლ. ჭაჯაია, პუნქტუაცია ძველ ქართულ ხელნაწერებში (V—X სს.), ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, ტ. V, 1963 წ., გვ. 67—82.

³ იქვე, გვ. 82.

⁴ ტერმინი განკვეთილობა პირველად ეფერებ მცირესთან გვეხდება. იგი მას ხმარობს თავისი „გარდამოცემის“ შესავალში, სასვენი ნიშნებთან დაკავშირებით (იხ. ხელნაწერთა ინსტიტუტის A კოლექცია, № 24, 4რ; თ. ქორდანია, ქცები I, გვ. 48).

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს გაარკვიოს VII—X სს. ხელნაწერებში განკვეთილობის ნიშნების ხმარების წესი და მათი განსხვავება სასვენი ნიშნებისაგან. საკითხს განვიხილავთ ქრონოლოგიური თანმიმდევრობით.

ჩვენამდე მოღწეული პირველი ძეგლი, სადაც ეს ნიშანი იხმარება, არის ხანმეტი ლექციონარი. ძეგლი თარიღდება VII საუკუნით. ხელნაწერი დაწერილია ერთ სვეტად, მსხვილი ასომთავრული ასოებით. თავბოლონაკლულია, შედგება 54 გვერდისაგან. ხელნაწერში აკ. შანიძე გამოჰყავს ორ ხელს: პირველი თერთმეტი გვერდი გადაწერილია ერთი ხელით, დანარჩენი კი სხვა ხელით. ამ ორ ხელს ერთმანეთისაგან განასხვავებს არა მარტო ასოთა მოხაზულობა, არამედ სხვადასხვა ტექნიკური ნიშნებიც, რომლებიც დასმულია ხელნაწერში. მაგალითად, ყოველი აბზაცის ბოლოს, პირველ ნაწილში, წერტილებია დართული. მეორე ნაწილს კი ეს წერტილები არ მოეპოვება*. სასვენი ნიშნებად ხელნაწერში იხმარება ერთი ან ორი წერტილი. ერთი წერტილის ხმარება ძალიან იშვიათია და როცა კი გვხვდება, ძირითადად დღევანდელი მძიმის მნიშვნელობითაა გამოყენებული. ორი წერტილი კი დასმულია წინადადების ბოლოს.

გარდა სასვენი ნიშნებისა ხელნაწერში იხმარება >* ნიშანიც. ეს ნიშანი, რომელზედაც გვიჩვენა ჩვენი ყურადღება შევაჩეროთ, პირველ გადაწერთან სტრიქონს ზევით არის სიტყვის ბოლოს მოთავსებული; მეორე გადაწერი მას ზოგჯერ სიტყვის შუაში ხმარობს. ისმის კითხვა: რა ფუნქცია აქვს > ნიშანს და შეიძლება თუ არა რაიმე კანონზომიერება მის გამოყენებაში?

ტექსტში პირველი გადაწერი > ნიშანს სვამს მხოლოდ იქ, სადაც სიტყვებს შორის დაცულია შუალედი, მაგრამ ამ შუალედით ყოველი სიტყვა არ არის გამიჯნული. ზოგჯერ შუალედიდან შუალედამდე ორი და ორზე მეტი სიტყვაა გაერთიანებული, > ნიშანი კი მოქცეულია ამ შუალედებში:

... ივიხუბრძანა
 მათ' იესუ': დაიხილეს
 იგი' დათავყანის
 ხცესმას'. ხ' რ'ლი
 მეშორგულდეს
 დამოხუჭდამათ'
 იესუ' ხეტყოდამათ
 დახრქულა': მომეცა
 მეყოველიჭელ'მ
 წიფებაეცათაშინა'... გვ. 7.

წარვედით' დამო
 იმოწაფენით' ყო
 ველინი' წარმართ
 ნი':' დანათელ
 ხცემდეთმათ'
 სახელითამამი
 საათა' დამისა
 ათა' დასულისა
 წმიდისათა': გვ. 8*.

ხელნაწერში > ნიშნით გაყოფილია არა მარტო რთული სიტყვა, არამედ ზოგჯერ მარტივიც:

* ტექნიკური მიზეზის გამო > ნიშანი ტექსტში შეცვლილია ' ნიშნით.

ბ აკ. შანიძე, ხანმეტი ლექციონარი, 1944, გვ. 018.

ბ სტრიქონების რიგი მოყვანილი გვაქვს ხელნაწერის მიხედვით.

ხუთ' ხართ' ძმთა
ჩემთა' რაათაწარვი
დენგალილად' და
მუნ' მიხილონმე': გვ. 3.

ხოლო' იგინიწარ
ვიდეს' აღრემი' ერ
საფლავით'... გვ. 1.

ხოლოიგინი' მოხუ
ჭდეს' დაშეხუერ
დესფერქთამისთა
დათავყანის' ხცეს
მას': გვ. 2.

მამასადამე, ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ირკვევა, რომ ტექსტში > ნიშანი დასმულია მხოლოდ იქ, სადაც გადამწერის მიერ სტრიქონში სიტყვებს შორის დატოვებულია ცარიელი ადგილი. > ნიშნის ხმარების ეს პრინციპი ტექსტში ბოლომდის არ არის გატარებული. ხელნაწერის მეორე გადამწერი ზოგჯერ არღვევს მას:

ხოლოჩუნ'ხუესავთ' ვითარმედიგია'
რომელმანიჭსნესისრაჲლი': და' ა'
მასყოელისათანა' ესე'მე
სამს' დღსარს' ვინაათ
გან' ესეხიქმნა: გვ. 23.

და' მო' ხეცსენ'ნეს' სიტ
ყუანიესე' დამიხიქ
ცეს' დახუთხრნეს'
სიტყუანი' ესე'... გვ. 17.

დაშთახხედა' დაინლო
ნატილონიიგი'ხოლო მდებ
ა' რენი' დაწარვიდა'
თუსაგან' დადახუ
კვრდა'საქმესესე'
და'აჰ'ა' ორნიმათგა
ნი' მივილოდეს'... გვ. 19.

და ჰრქუეს' მას' ან
გელოზთამათ' დედა
კაცო' რაასახტირ'
ხოლომანხრქუა' მათ'
რამეთუ' აღილეს' უფალიჩემისა
ფლავით' დაარა'
უწყი' სადადად'ე
ეს იგი: გვ. 35.

როგორც მოყვანილი ტექსტიდან ჩანს, მეორე გადამწერს სიტყვები ზოგჯერ დაწერილი აქვს ერთმანეთის მიყოლებით, უშუალოდის გარეშე და ერთერთი სიტყვის ბოლო მარცვალზე დასმული აქვს > ნიშანი, ან სტრიქონში დატოვებულია ცარიელი ადგილი, მოსალოდნელი ნიშანი კი არ ჩანს. შეგვხვდა ისეთი მაგალითიც, როდესაც ეს ნიშანი ერთ სიტყვასთან სამია. გადამწერის მიერ ამ ნიშნის ნებისმიერი ხმარება, ალბათ, გამოწვეულია იმით, რომ ის წერის პროცესში სიტყვებს შორის ერთნაირ ინტერვალს ვერ იცავს, და არა მარტო სიტყვებს შორის, არამედ ასოებიც კი ზოგჯერ არათანაბარი მანძილით არის დაშორებული. ამიტომ ხშირად ჭირს გაგება, სიტყვები ერთმანეთის მიდევნებით არის დაწერილი, თუ განცალკევებით. სიტყვებს შორის ინტერვალი მეორე გადამწერთან, პირველისაგან განსხვავებით, უფრო მოკლეა. როგორც პირველი, ასევე მეორე გადამწერიც > ნიშანს სასვენ ნიშანთან ერთადაც ხმარობს (>:). პირველი გადამწერი ზოგჯერ > ნიშნით სასვენ ნიშანსაც გამოაჟყოფს (> : >).

სასვენ ნიშანთან განკვეთილობის ნიშნის ხმარება გვაქვს აგრეთვე უძველეს თარიღიან ძველში, 864 წლის სინთურ მრავალთავშიც. ხელნაწერი დაწერილია კალიგრაფიული ასომთავრულით, ორ სვეტად. გადამწერილია რამდენიმე პირის მიერ, ძირითადად გამოიყოფა სამი ხელი⁷. ხელნაწერის უმეტეს

⁷ აქ. შ ა ნ ი ძ ე, სინთური მრავალთავი, 864 წ., გვ. 299.

ნაწილში, რომელიც გადაწერილია მაკარი ლეთეთელის მიერ⁸, განკვეთის ნიშნად სტრტიქონს ზევით დასმულია ერთი წერტილი, სასვენ ნიშნად კი—ორი წერტილი (:):

ხოლოაწიგივე უდედო ამის
 თჳს ვითარცა და მბადებელი:
 და უმამო ვითარცა და ბად
 ებული უმამო ქუეყანასა
 ზედა და უდედო: ცათა შინა:
 შეიკდამე აწ მწვალებე
 ლო მოკითხვისა მისთჳს
 ანგელოზ მთავრისა ვა
 ბრიელისა რომელმანი ვი
 მარიამს ახარა: 42r.

დაცნნილარს ცოდვაჲ
 იგი ჩუენი დაცნნილარს
 პირველი იგი ჩუენი წყევალ
 რომელი იტყჳს ეკალთა და
 კუროას თავთა: აღ
 მოგიცნებდეს შენ ქუეყანაჲ
 აღმოიფხურა ეკალი
 იგი აღმოკუარდა
 კუროას თავი იგი: 20v.

ხოლო რწმინდასამას ქალწულსა ფრიად
 შემსგავსებულს სახ
 ელი: რამეთუ მარიამ ეწოდა რომელი
 ითარგმანებისგან მანათლ
 ებელ: დარაჲმე უბ
 რწყინვალს: არს ქალწულ
 ებისა ნათლისა რომლისა
 განსათნობათა ცაჲ
 ქალწულად უწესდ რომელი ნ ბ
 უნებათა მათთა სა
 ხიერად მიუთხრობედ: 11v.

რამეთუ მათ იგი თავადი შეიწ
 ყნარეს ივლტოდარაჲ
 ძკრის ზრახვისაგან ჰე
 როდსა: ხოლო უკუანა
 ასკნელ იშლი თანა შეე
 რაცხების: რამეთუ შემდგომად
 აღმოსლვისა იორდა
 ნით მაშინ მოციქულთამ
 იერ იშმან იცნა: 37v⁹.

ხანმეტრ ლექციონარის მსგავსად სინური მრავალთავის ვადამწერიც (·) ნიშანს სვამს მხოლოდ სიტყვებს შორის მოქცეულ შუალედებში¹⁰. აქაც ზოგჯერ რამდენიმე სიტყვა ერთად დაწერილი. ერთად იწერება უმთავრესად მეშველზმნიანი, თანდებულისანი, ნაწილაკიანი და ისეთი სიტყვებაც, რომელთაც წინ კავშირი უძღვის. რთული სიტყვები კი განკვეთილია, მაგალითად: «უვარის ყოლად», «თაყუანის ვეცმას» და სხვა. (·) ნიშანი სინურ მრავალთავშიც ზოგჯერ დასმულია სასვენ ნიშანთან ერთად. განკვეთილობის ნიშანი ორ წერტილთან ერთად (:·) ზოგჯერ გამოხატავს დამთავრებულ აზრს, ხოლო მარტო ორი წერტილი აღნიშნავს პაუზას. შდრ.:

მსაკვრველებათაჲ ამ
 ათ რამეთუ სხუათა განუ
 მზადა უკუდავებაჲ:

რამეთუ შენ შორის ღთებისა მადლ
 მან განისუენა რაჲთა
 აცხოვნოს ნათესავი:

⁸ აკ. შ ა ნ ი ძ ე, სინური მრავალთავი, 864 წ., გვ. 209.

⁹ Sin—32.

¹⁰ გამონაკლისის სახით ზოგჯერ დარღვევებსაც აქვს ადგილი. ვ. ი. სიტყვასთან არის შეაღწევი, მაგრამ მოსალოდნელი ნიშანი არ ჩანს.

ხოლოგი: იყოვე უქუდავ:
 ესევითარი: სხუაჲ მოწყალე
 ბისათჳს: არავინ: აღე
 სრულა: არცაიყო: ა
 რცაარს: არცა ყოფადარს: 42v.

კაცთაჲ: ვითარცამოწყალემ
 ანუფალმან: დაარლარა: ეშ
 ინის: ადამს: გუელისა
 მისთჳს: მზაკუვარისა:
 რამეთუმორაჲვიდა: უფალიჩუენი: ყრ
 ძალი: მტერისაჲ: განაბნია: 20r.

ერთი წერტილი (·) განკვეთილობის ნიშნად გამოყენებულია აგრეთვე ქსნის ოთხთავსა (X ს.)¹¹ და X საუკუნის ორ ფრაგმენტში: Q—209, Q—211. იხმარება იმავე წესით, როგორც ეს გვაქვს ხანმეტ ლექციონარსა და სინურ მრავალთავში (ოღონდ ქსნის ოთხთავის მეორე ნაწილში¹² ეს კანონზომიერება დარღვეულია: ზოგჯერ სიტყვებს შორის მოთავსებულ შუალედებში მოსალოდნელი ნიშანი დასმული არ არის):

„მიუგოიესუ: დაჰრქუა
 მას: ნეტარხარშენ.
 სიმონ: ძეო იონაასო:
 რამეთუჲროცთა: დასისხლ
 თა: არაგამოგიცხა
 დესშენ: არამედმამამან
 ჩემმან: ზეცათამან:
 (A 509, 1r).

არასადა: აღმოიკითხე
 თაწიგნთაშინა: ლოდი:
 რლ შეურაცხყვეს: მაშე
 ნებელთა: ესეიქმნათა
 ვსაკიდღურთა: უფლისა
 მიერიყო ესე: დაარსსა
 კვრველ: წინაშეთუალთაჩუნე
 თა: (A 509, 4r).

დაალიზარდა: მსგავსად
 ყრმისა: ვწარს: ბუნებაჲ: კა
 ცთაჲ: მსგავსად: ჳმისამისებრ
 მთავარ: ანგელოზისა: რწისათჳს
 ძრწიან: ანგელოზნი: დაცანი:
 დაქუეყანაჲ: დაყლი: დაბადებული
 დამბადებელისა: თჳსისაგან:
 (Q 209, 1r).

ოდეს: გიხილეთ: შენ:
 უცხოჲ: დაშეგიწყნ
 არეთ: შენ: ანუ
 შიშუველი: დაშეგ
 მოსეთშენ: ოდეს
 გიხილეთშენ: უძ
 ლურებასა: შინა
 ანუსაპყრობილესა:
 დამოვედით: შენდა: (Q—211, 1r).

ამრიგად, ზემოჩამოთვლილ ხელნაწერებში გამოყენებული ნიშნები, როგორც მოტანილი ტექსტებიდან ჩანს, გადამწერების მიერ იხმარება იქ, სადაც სიტყვებს შორის დატოვებულია შუალედი. ხომ არ ასრულებენ ისინი ტექსტში სასვენი ნიშნების მოვალეობას? ამ კითხვას უარყოფითად უნდა ვუპასუხოთ, რადგან სასვენი ნიშნები ტექსტში, როგორც ზევით აღვნიშნეთ, გარკვეულ პერიოდს მოიცავს, მოკლეს ან გრძელს. მძიმის მსგავსი ნიშანი და ერთი წერტილი (>,) ძალიან ხშირად იხმარება, ზოგჯერ ყოველი სიტყვის შემდეგაც კი. შდრ.:

¹¹ ხელნაწერთა ინსტიტუტის A კოლექცია, № 509.

¹² ვფიქრობთ, ეს მეორე ნაწილი სხვა ხელით უნდა იყოს გადაწერილი.

რომლითამე უკუე შესხმისა
 სიტყუთა შევამკოთ ქა
 ლწულეებისაიგი ბატონს
 ებაჲ რომელთა ქებათა
 ლაღდებითა უკრწნე
 ლსამას ოვლბდთხატსა:
 ანუ რომლითამე სულიერთა
 გალობათა სიტყუთა
 ვადიდებდეთ უფროჲს
 დიდებულსამას ანგელოზთასა: 8r.

დაპირველ ივინი შევიდ
 ეს დაუთხრეს ჩემთვის
 ებისკოპოსსა იოვანეს და
 მან შემეწოდა მე და
 მკითხვიდა ვითარმედ ნანდ
 ვილ ვგრეარსა: დავსრ
 მთ დავდევ დამიუთხ
 არ ჩუენებაჲ ივი: ხი
 ლვაჲ ივი პირველი და
 მეორე: 65r¹³.

ხოლოდღეს მოვიდა ვითარცა
 კაცი დავითარცა კაცი მ
 წყსის: სამწყსოსა
 თუსსა დარამეთუღმერთარს
 დააცხოვნებს სოფე
 ლსა: ჰ ბრძენთაჲ მ
 ათ: ტკბილთაჲ ჰ შე
 მასმენელთა: კაცთ
 მოყუარეთაჲ: 36v.

და იტყოდანეტარი ივი ვდ ვა
 ივიმეზავრსა უცხოსა ვერ ჰელ
 ეწიფების შესლვად სახელ უცხოასა
 მოქალაქისა და სავანე ყოფად: არა
 თუ პირველად ჰკითხოხ სახლისა
 უფალსა: მას დაბრძანებთა მისი
 თაშევიდის: ვგრეთვემტერსა ჩუენსა
 ეშმაქსა ვერგულეწიფების ჩუენდა
 შემოსლვად: 1r¹⁴.

დაგანხითქუასიტ
 ყუაფესე ჰურიჲ
 თაშოვრის ვედღენ
 დელად დღედმდე:
 ხათერთმეტნი ივი
 მოწაფენი წარვი
 დეს გალიოლად მთა
 სამას... გვ. 6.

დააღმართა ცხედარსაშედა დედა
 კაცი ივი დათაყუანისცამას: და ჰქა
 მას მასმიესმე კაცისათუს ერთისა
 რომელი იყოფვის ებისკოპოსსა თანა
 რომლისაჲ სახელი იოვანე: ვდ არს
 ივი მოწაფე ქესი და ყოველი რლი სთ
 ხოს მოსცემს მას და მრავალ
 ნისაკვრელებანიუქმნიან სა
 ხელითა მისითა: 61r.

ზემოთ მოყვანილი ტექსტების შედარებისას ირკვევა, რომ (>, ·) ნიშნები სასვენი ნიშნებისაგან განსხვავდება. სახელდობრ: 1. გამოიყენება ხშირად, თითქმის ყოველი სიტყვის შემდეგ. 2. ზოგჯერ დასმულია სასვენი ნიშნებთან ერთად (>, ·, ·:).

მაშასადამე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ ნიშნებს ტექსტში დაკისრებული აქვს განკვეთის ფუნქცია. ერთი წერტილი (·) და (>) ნიშანი განკვეთის ნიშნებია, მაგრამ განკვეთის ნიშნით ზოგჯერ ყოველი სიტყვა კი არაა გამოყოფილი, არამედ იგი ერთად დაწერილი რამდენიმე სიტყვის შემდეგ არის დასმული. ასეა ისეთ ძეგლებშიც, სადაც განკვეთილობის ნიშნების უხმარება

¹³ მაგალითები მოყვანილია სინთური მრავალთავიდან. პირველი მაგალითი მაკარი ლეოთელისაა, მეორე—სხვა გადამწერის.

¹⁴ Sin—32; A—1769 (ექვთიმე მთაწმიდელის ავტოგრაფი).

¹⁵ ხანმეტი ლექციონარი. H—2124, 968, წ.

სისტემურ ხასიათს ატარებს. კერძოდ: Sin—35 და XI საუკუნის ისტორიულ დოკუმენტებში¹⁶.

Sin—35 ე. გარიტის დათარიღებით X საუკუნის ხელნაწერია¹⁷. იგი გადაწერილია არაკალიგრაფიული ასომთავრული ხელით. ტექსტში განკვეთილობის ნიშნად გამოყენებულია ორი წერტილი, რომლითაც განკვეთილია ყოველი სიტყვა, არა მარტო სიტყვა, არამედ თანდებულები, ნაწილაკები, კავშირები, ზოგჯერ სიტყვა შუაშია გახლეჩილი და განკვეთის ნიშანია დასმული. მაგრამ აქაც (თუმცა იშვიათად), არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ორი ან სამი სიტყვა წერია ერთად და განკვეთის ნიშანი დასმულია ამ ერთად დაწერილი სიტყვების შემდეგ. მაგალითად:

ვითარმედ აღვიკრბალნე: ჯორცნიჩემ
ნიდადავემონნე: მესამშალ
წრვაჲ: არს: უკეთურთა: გან: ს
ულთა: რამეთუგანციდიედ: შორი:
თა: დაჰნებავენ: გარდაქცევ
ად: რომელთა ეგნპელი: შეყვიან:
თავისა: თუისისა: გან: წმედ
ასა: 14.

ამათ: თანა: გამოვალს
ღმერთი: თითოეულისა: მის: თა: ნა:
სახიერებთა: მადლითა: ს
ულითა: თუისითა: ხოლო: მეტ
ყუელთა: მათითა: ბუ
ნებათა: რომელთა: იგი: აღთ
ქმისა: მის: გან: რჩულისა:
სული: მათი: და: საცნობელ
ნი: გულთა: მათთან: მკუ
დარ: იქმნეს: 44.

ხელნაწერს ქართული რვეულგებრივი პაგინაციის პარალელურად ბერძნული პაგინაციაც აქვს გაკეთებული. ზოგჯერ ტექსტში სათაურის ბოლოს მიწერილია ბერძნული სათაურიც (6v, 9r, 39r). შესაძლებელია, ხელნაწერი ბერძნულიდან იყოს გადმოთარგმნილი და განკვეთილობის ნიშნებიც დედნიდან იყოს ვადმოტანილი.

ბერძნულ ხელნაწერებში განკვეთილობის ნიშანი ამ წესით მხოლოდ ერთ ძეგლში შეგვხვდა. იგი წარმოადგენს XI საუკუნის ოთხთავის ფრაგმენტს, შედგება 19 ფურცლისაგან (რეკ. 99)¹⁸. განკვეთილობის ნიშნად გამოყენებულია ერთი წერტილი, რომელიც სტრიქონს ზევით მდებარეობს. აქაც, სინური ხელნაწერის (№ 35) მსგავსად, განკვეთილია ყოველი სიტყვა, ნაწილაკი, არტიკლი. იშვიათად გვაქვს ორი სიტყვის ერთად დაწერის შემთხვევა და, ქართულის მსგავსად, განკვეთილობის ნიშანი დასმულია მეორე სიტყვის ბოლოს (იხ. სურათი 1).

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ განკვეთილობის ნიშანი ბერძნულსა და რომაულში ადრეული პერიოდებიდან იხმარება და გადამწერები

¹⁶ ისტორიულ დოკუმენტებში, XI საუკუნიდან მოყოლებული, ხელნაწერებისაგან განსხვავებით, როგორც წესი, მხოლოდ განკვეთილობის ნიშანი იხმარება. განკვეთილობის ნიშნით გამოყოფილია ყოველი სიტყვა, მაგრამ ზოგჯერ აქაც არის რამდენიმე სიტყვის ერთად დაწერის შემთხვევა.

¹⁷ G. Garitte, Catalogue des manuscrits georgiens litteraires du mont sinai. Louvain, 1956, გვ. 97; ხელნაწერი ორთოგრაფიული მონაცემებით უნდა ეკუთვნოდეს X საუკუნის ბოლოს და XI ს. დასაწყისს. (მაგ. უ-ს მაგივრად ო-ს ხმარება და სხვა).

¹⁸ აქ იგულისხმება ის ბერძნული ხელნაწერები, რომლებიც დაცულია ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკასა და ლენინგრადის სამეცნიერო აკადემიის ბიბლიოთეკაში.

λαλμαμου·θαί· και·
 ἐξηλθον·οἱ·φωρισται
 οι· και· ἤρξαντο· συζη
 τῆν· αὐτῶ· Ζητοῦν
 τῶ· παρ' αὐτοῦ· σημεῖ
 ον· ἀπὸ· τοῦ· οὐρανοῦ·
 ὅτι· παρ' αὐτοῦ· αὐτόν·
 και· ἀεμάξασ· τῶ· πνι·
 αὐτοῦ· λέγει· τί· ἤγασ
 μθα· αὐτῆ· σημεῖον·
 βωιζητῆ· ἀμὴν· λέγω·
 ὑμῖν· ἔδοθησεται·

 1
 10
 1

ამ ნიშანს ყოველი სიტყვის შემდეგ სვამდნენ¹⁹. ადრეული ხანის ხელნაწერებში განკვეთილობის ნიშანი ყოველი სიტყვის შემდეგ დაუშვებელია, რადგან ბერძნული „უნიციალური“ დამწერლობისათვის სიტყვათა განცალკევებით წერა უცხოა. ჯერ კიდევ 995 წლის სახარებაში არ მოიძებნება არავითარი კვალ სიტყვის ან წინადადების გასაყოფად²⁰. მხოლოდ „მინუსკულური“ დამწერლობის შემოსვლით ხორციელდება ბერძნულში სიტყვათა გაყოფა²¹. თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ ლოგიკურად გამოიტიხებელია, რომ ადრეული პერიოდის ხელნაწერებში განკვეთილობის ნიშანი ყოველი სიტყვის შემდეგ იქონიდა დასმული. მართლაც, VII—IX სს. ბერძნული ხელნაწერების სპეციალური შესწავლის შედეგად გამოიკვია, რომ ამ დროის ხელნაწერებში განკვეთილობის ნიშნით ყოველი სიტყვა კი არ არის განკვეთილი, არამედ ზოგჯერ წერტილიდან წერტილამდე, ქართულის მსგავსად, რამდენიმე სიტყვაა ერთმანეთის მიჯრით დაწერილი. ხელნაწერის გადასინჯვის დროს კი შთაბეჭდილება რჩება ისეთი, თითქოს ერთი წერტილი ყოველ სიტყვასთან არის დასმული (იხ. სურათი 2,3). შეიძლება მსგავსი შემთხვევები ჰქონდათ მხედველობაში, როდესაც აღნიშნავდნენ, რომ ბერძნები და რომაელები თავდაპირველად ერთი წერტილით გამოჰყოფდნენ ყოველ სიტყვას²².

მაშასადამე, თუ გავითვალისწინებთ ბერძნულ-რომაულის მონაცემებს და შევედარებთ ქართულისას, მაშინ ქართულ ხელნაწერებში გამოყენებული ნიშნები (>, ·, :) უნდა მივიჩნიოთ განკვეთილობის ნიშნებად. ბერძნულის მსგავსად ამ ნიშნების მდებარეობაა სტრიქონს ზევით. ქართულ ხელნაწერებშიც თავიდანვე ყოველი სიტყვა არ იყო დაცილებული ერთმანეთისაგან ინტერვალით, არამედ ზოგჯერ ინტერვალიდან ინტერვალამდე ერთმანეთის მიდევნებით იწერებოდა ორი და ორზე მეტი სიტყვა. ამიტომ არის, რომ VII—X სს. ხელნაწერებში განკვეთილობის ნიშნები ყოველი სიტყვის შემდეგ არ გვაქვს, როგორც ეს ახასიათებს გვიანდელი ხანის ძეგლებს, რადგან ვადაწყვეტებმა შედარებით გვიან დაიწყეს ერთმანეთისაგან ყოველი სიტყვის გამოჯვნა²³. მაგალითად, ანასეულ ქართლის ცხოვრებაში (XV ს.) განკვეთილობის ნიშნით ყოველი სიტყვაა გამოყოფილი. ასეთივე ვითარებაა აგრეთვე XVI—XVIII საუკუნეების მთელ რიგ ხელნაწერებში.

მაშასადამე, VII—X საუკუნეების ხელნაწერებში განკვეთილობის ნიშნებად გვხვდება: >, ·, :. ხანმეტ ლექციონარსა და სინურ მრავალთავში განკვეთილობის ნიშანი სასვენი ნიშნების პარალელურად გამოიყენება. იბადება კითხვა: რატომ იხმარება ორივე ნიშანი ერთდროულად, ისინი ერთი პერიოდისაა, თუ ქრონოლოგიურად ერთი უსწრებს მეორეს? მასალის სიმცირის გამო ვადაპტირთ რაიმეს თქმა ძნელია. შესაძლებელია, ამ საკითხის გარკვევაში პალიმფსესტიების შემდგომი გამოიჭრება დაგვეხმაროს.

განკვეთილობის ნიშნები, როგორც ზევით იყო აღნიშნული, VII—X საუკუნეების ხელნაწერებში ძალიან მცირეა. არც შემდეგი საუკუნეების (XI—

¹⁹ В. Классовский, Знаки препинания в пяти важнейших языках, СПб, 1882, გვ 1; Е. Филомафитский, О знаках препинания вообще и в особенности для русской словесности, 1882, გვ. 82.

²⁰ V. Gardthausen, Griechische palaeographie, 1913, გვ. 398.

²¹ იქვე, გვ. 399.

²² В. Классовский, დასახ. შრომა; Е. Филомафитский, დასახ. შრომა.

²³ მაგალითად, X—XII საუკუნეების ხელნაწერებში ჯერ კიდევ არის შემორჩენილი რამდენიმე სიტყვის ერთად დაწერის შემთხვევები.

ἸΗΛΩΝ ΠΕΤΡΕΥΡΑΔΕΝ
 ΟΝ ΔΕ ΚΑΤΑ ΠΑΝΤΑ
 ΚΑΘΟΛΟΓΟΤΙΤΑ ΧΟΡΙΣ
 ΑΜΑΡΤΙΑΣ ΠΡΟΣΕΡΧΟ
 ΜΕ ΘΛΟΥΝ ΜΕΤΑ ΠΥ
 ΡΗΣΙΑΣ ΤΩ ΘΡΩΩ
 ΤΗΣ ΧΑΡΙΤΟΣ ἸΝΑ ΛΑΒ
 ΟΜΕΝ ΕΛΕΟΣ ΚΑΙ ΧΑΡΙΝ
 ΕΥΡΩΜΕΝ ΕΙΣ ΕΥΚΥ
 ΡΟΝ ΒΟΗΘΕΙΑΝ ΠΑΣ
 ΓΑΡ ΑΡΧΙΕΡΕΥΣ ΕΖΗΛΩ
 ΜΑ ΒΑΝΘΜΕΝΟΣ ὙΠΕΡ
 ΛΗΩΝ ΚΑΘΗΣΤΑΤΑ
 ΤΑ ΠΡΟΣ ΤΟΝ ΘΗ ἸΝΑ
 ΠΡΟΣΦΕΡΗ ΔΩΡΑΤΕ

სურ. 3. ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერი, VIII—IX საუკუნე

XIV) ძეგლებში ჩანს მისი ხმარება ხშირად. დღესდღეობით ამ პერიოდის ხელნაწერებიდან განკვეთილობის ნიშანი მხოლოდ ერთ ხელნაწერში დადასტურდა (Ier—148). პროფ. რ. ბლეიკი მას XI—XII საუკუნეებით ათარიღებს²⁴. სამაგიეროდ, განკვეთილობის ნიშანი XI საუკუნიდან სიგელ-გუჯრებში და ხელნაწერი წიგნების ანდერძ-მინაწერებში შემოგვინახა. მაგალითად, ხელნაწერთა ინსტიტუტის A კოლექციის ხელნაწერმა № 135 (1035 წ.), 47r. ათონის XI საუკუნის ხელნაწერმა²⁵, იერუსალიმის ხელნაწერებმა (XI ს.) № 96, 24, 25 და სხვა. შემდგომი საუკუნეების (XV—XVIII) ძეგლებში კი განკვეთილობის ნიშნის ხმარება უფრო ხშირია.

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ: ძველ ქართულ ხელნაწერებში განკვეთილობის ნიშნები იხმარებოდა ადრეული პერიოდიდან (VII ს.), განკვეთილობის ნიშნის მქონე ხელნაწერები VII—X საუკუნეებში ძალიან მცირეა. კერძოდ, იგი გვხვდება: ხანშეტ ლექციონარში (VII ს.), სინურ მრავალთავში (864 წ.), ქსნის ოთხთავში (X ს.), ორ X საუკუნის ფრაგმენტსა და Sin—35-ში (X ს.). ამ ხელნაწერებში განკვეთილობის ნიშანი ზოგჯერ დასმულია არა ყოველი სიტყვის, არამედ ერთად დაწერილი რამდენიმე სიტყვის შემდეგ. ეს გამოწვეულია იმით, რომ ადრე ინტერვალის გარეშე რამდენიმე სიტყვა იწერებოდა ერთად. გვიანდელი საუკუნეების (XV—XVIII) ხელნაწერებში კი სიტყვები იწერება ცალ-ცალკე და განკვეთილობის ნიშანიც ყოველ სიტყვასთან გააქვს.

Л. Р. КАДЖАЯ

РАЗДЕЛИТЕЛЬНЫЕ ЗНАКИ В ДРЕВНЕГРУЗИНСКИХ РУКОПИСЯХ (VII—X вв.)

Резюме

В древнегрузинских рукописях, наряду с знаками препинания, применялись и разделительные знаки. Графически эти знаки выражались одинаково (>, ., ;), но различались по правилу их использования. Знаки препинания ставились после определенного периода (краткого или долгого), а разделительные разделяли каждое слово друг от друга.

По этому принципу эти знаки встречаются только в позднейших рукописях (XV—XVIII вв.), а в ранних рукописях (VII—X вв.) этот принцип не характерен. Здесь они ставятся там, где между словами имеется промежуток. Но в VII—X вв. не каждое слово разделялось промежуточком, писцы иногда между промежуточками слитно писали несколько слов. Вследствие этого, разделительным знаком в рукописях раннего периода не отделяется каждое слово друг от друга.

²⁴ იხ. R. Blake, Catalogue des manuscrits géorgiens de la bibliothèque patriarcale grecque à Jérusalem.

²⁵ Н. Марр, Описание пяти пергаментных рукописей. „ЗВО“, Петербург, 1900, т. III, стр. 24.

რამაზ პატარიძე

ქალაქის დაგეგმვის საკითხისათვის ფეოდალურ
საქართველოში

საუკუნეების მანძილზე საქართველოში ერთ-ერთ ძირითად საწერ მასალად ქალაქი იხმარება. ქალაქის სადაურობისა და ქალაქის ჭვირნიშნების საფუძველზე ხშირად ზედმიწევნითი სიზუსტით შეიძლება ესა თუ ის წერილობითი ძეგლი დათარიღდეს. პალეოგრაფიული ძიებისას უსათუოდ ანგარიში უნდა გაეწიოს ქალაქისა და ქალაქის ჭვირნიშნების ქრონოლოგიურ მონაცემებს. საქართველოში სხვადასხვა დროს სხვადასხვა ქვეყნის ქალაქია გავრცელებული. ამიტომ ქალაქი არა მარტო დროის ფაქტორია, არამედ ქალაქის სადაურობის საფუძველზე შესაძლებელია გარკვეული დასკვნების გამოტანა ქვეყნებს შორის ეკონომიური და სავაჭრო ურთიერთობათა შესახებ.

უძველესი ქართული ხელნაწერები ქალაქზე XI საუკუნისაა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ უადრეს XI საუკუნისა საქართველოში ქალაქი ცნობილი არ ყოფილა. თვით ტერმინი „ქალაქი“, სავარაუდებელია, ქართულმა უშუალოდ არაბული ენისაგან შეითვისა, ქალაქის წარმოების ადრეულ ხანაში. რადგან VII—IX საუკუნეების მანძილზე საქართველოში არაბები ბატონობენ, ხოლო ქალაქის წარმოება არაბებმა მე-8 საუკუნეში დაიწყეს და უკვე მე-9 საუკუნეში არაბული ქალაქი მთელ მახლობელ აღმოსავლეთში გავრცელდა, ამიტომ საფიქრებელია, რომ VIII—IX საუკუნეებში საქართველოში ქალაქი ცნობილი უნდა ყოფილიყო. ამავე საუკუნეებში უნდა ვივარაუდოთ ტერმინის „ქალაქი“ გაჩენაც ქართულ ენაში. დღეს ამ ვარაუდის სასარგებლოდ უფრო მეტი ცნობები გვაქვს.

ივ. ჯავახიშვილი „ქართულ პალეოგრაფიაში“ წერდა:

„როდის შემოდის პირველად ქართულ მწერლობაში ტერმინი „ქალაქი“ ჯერ კიდევ გამოსარკვევია. ჯერჯერობით შემიძლია მხოლოდ შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ დავასახელო პირველ ძეგლად, სადაც ეს სიტყვა იხმარება:

„ჰე, ჩემო, ესე უსტარი არს ჩემგან მონაღვაწები,
ტანი კალმათ მაქვს, კალამი ნაღველთა ამონაწები
მე გული შენი ქალაქი დაღ გულსავე ჩემსა ვაწები“¹.

ცნობილია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ მხოლოდ გვიანდელი ნუსხები გვაქვს (არა უადრეს მე-17 საუკუნისა). ქართულ წერილობით ძეგლებში ტერმინი „ქალაქი“ გაცილებით ადრე დასტურდება. ძველ ხელნაწერებზე მუშაობის

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია თბილისი, 1949, გვ. 39.

დროს ტერმინი „ქალაღი“ შეგვხვდა გაცილებით ადრეულ ხელნაწერთა როგორც ანდრე-მინაწერებში, აგრეთვე ხელნაწერის ტექსტში.

ხელნაწერი H—684 მე-11 საუკუნეშია გადაწერილი. ხელნაწერის ქალაღი არქაულია. ასეთ ქალაღს პირობითად ბომბიციანას უწოდებენ. ხელნაწერის გადაწერი ერთგან შენიშნავს:

„იმერთა რვეულთა წარვედ თუ კითხვაჲ არა მოგწყინებია, გლახაჲ ქალაღი ჰასეთსა ჰქვან ყოვლისავე სიკეთისაგან, ვითა მე ყოველთა სათნოებათაგან (!) აქა განვლო მელანზან“ (120v).

გადაწერმა ფურცლის მეორე გვერდზე წერა აღარ განაგრძო, რადგან მელანზა გაყონა². ამ მინაწერში საგულისხმოა ქალაღის აღმნიშვნელი ტერმინის არქაული ფორმა „ქალაღი“, რომელიც ზუსტად შეესაბამება სიტყვის არაბულ ფორმას—**كَلْدَان**—უაღეფოდ, **كَلْدَان**—ალეფით³.

რომ თავდაპირველად ქართულად „ქალაღი“ იხმარება, ეს სხვა ხელნაწერებითაც მტკიცდება. ამ მხრივ ძალიან საინტერესოა მე-11 საუკუნის ხელნაწერი ქალაღზე, A—1105—მამათა ცხოვრება (პატერიკი). პატერიკის პირველ თავში—„სწავლანი შუშნიერნი წმიდათა და ნეტართა მამათანი სისრულისათვის სათნოებათასა“ ვკითხულობთ⁴:

„და ამის ჯერისათვის თქუეს ნეტართა მამათა ჩუენთა, რათა არა წერდნენ უდაბნოსა ამას მყოფნი მწერალნი ცხოვრებათა და სიტყუათა წმიდათა მამათასა ეტრატსა ზედა, არამედ ქალაღსა ზედა, რამეთუ ეგულების მომავალსა ნათესავსა ახოცაჲ ცხოვრებასა წმიდათა მამათასა და დაწერად სხუასა რასმე, ნებისაებრ მათისა“ (32v).

არქაული ფორმა „ქალაღი“ გვხვდება უფრო გვიანაც. ხელნაწერი H—1347 ტიბიურ მე-13 საუკუნის ქალაღზეა გადაწერილი⁵. (აღწერილობით ეს ხელნაწერი მე-11—12 საუკუნეებითაა დათარიღებული, რაც სწორი არ უნდა. იყოს. ქალაღისა და პალეოგრაფიული ანალიზის საფუძველზე ხელნაწერი H—1347, ჩვენი აზრით, ადრეული მე-13 საუკუნით უნდა დათარიღდეს). ერთ-ერთი მინაწერი ამ ხელნაწერისა (მინაწერი ტექსტის ხელითაა, წვრილი კლასიკური ხანის ხელია) შემდგენიარად იკითხება: „ვია, ქალაღო, დავსუარე, ეგრევე უძილსა მე გარდამკრვია ბისტი, შენცა იჭირვოდი“ (26r).

აღწერილობაში მინაწერი ასეა დაბეჭდილი:

„ვია, ქალაღო, გავსუარე! ეგრევე ღვძლსა მე გარდამკრვია გესტი (!) შენცა იჭირვოდი“.

როგორც არ უნდა იკითხებოდეს ტექსტი, „ქალაღო“ ამ მინაწერში სავსებით უჩვეელია.

² „იმერთა რვეულთა წარვედ“ ნიშნავს—შემდგომ, მომდევნო რვეულებზე გადადი გ. ი. განაგრძე კითხვა. შეადარეთ ხელნაწერი—A—61 გვ.ები 258 და 266, სადაც მსგავსადვე წყდება წერა ერთ გვერდზე ქალაღის უფარვისობის გამო და გადაწერი ამბობს: „იმერთა პირსა წარვედ“—ო. XIII ს. H—1673 ხელნაწერის 180. v. და 182 v. ასეთი მინაწერები აქვს: „სტიქარონად გეონი წმიდისანი უტრცელსა იმერთი მოიძიე“ (182v). „სავალობელი ფურცელსა იმერთი მოიძიე“ (180v).

³ ბარანოვის არაბულ-რუსული ლექსიკონი.

⁴ ამ ხელნაწერზე მიჯვითთა პროფ. ილია აბულაძემ.

⁵ ქალაღის ქრონოლოგიური მონაცემების შესახებ ცალკე სპეციალურ სტატიაში გმქნება საუბარი.

გვაქვს კიდევ ერთი შემთხვევა „ქალაღი“-ს ხმარებისა:

ქუთაისის ეთნოგრაფიული მუზეუმის № 179 ხელნაწერი, მარხვანი, მე-16 საუკუნით არის დათარიღებული. ქალაღის ანალიზისა და პალეოგრაფიული მონაცემების საფუძველზე ამ ხელნაწერს ჩვენ მე-14 საუკუნით ვათარიღებთ. ხელნაწერის ტექსტში აღმოჩნდა წინადადება რომელიც ტექსტს არ ეკუთვნის და გადამწერის შენიშვნას წარმოადგენს:

„ვაი მე, გასჯილსა, ჰავად დაკანონვილისა ქალღისაგან“ (82v).

ცხადია, რომ ტექსტში იგულისხმება „ქალაღი“ და არა „ქალაღი“. ამგვარად, სიტყვის არაბული ფორმა „ქალაღი“ ცოცხალი ჩანს ქართულ ენაში ჯერ კიდევ მე-14 საუკუნეში.

რას უნდა ნიშნავდეს „ჰავად დაკანონვილი ქალაღი?“ მსგავსი სიტყვა ვნახეთ 1091 წლის Q-37 ხელნაწერში:

„...გარნა უნდოდ და ჰავად ჩხრეკისა და უქანონავად და იწროდ ჩასხმისათვის არა უმეცარ ვარ, რამეთუ არა კითხვისა გინა ლოცვისა ღირს ვარ, არამედ წინა უქმო...“ (გვ. 647).

ივანე ჯავახიშვილიმა ყურადღება მიაქცია მე-11 საუკუნის ამ ცნობას და სცადა კიდევ ამ სიტყვის განმარტება:

„ირკვევა, რომ ძველად წერისა და დანაწერისათვის გარკვეული „ქანონი“ ყოფილა შემუშავებული, როგორც ასოთა მოხაზულობა-გამოყენებისათვის, ისევე მათი „ჩასხმისა“-თვის. ამ წესების დარღვევა უქანონოდ იყო მიჩნეული და დაწერილს—უნდოდ და ჰავად ხდიდა“.

ახლა ორი ტექსტის შეპირისპირებით, ვგონებ ირკვევა, რომ ივანე ჯავახიშვილის ვარაუდი სიტყვის მნიშვნელობის შესახებ სწორი არ უნდა იყოს. „დაკანონვილი ქალაღი“—ერთ ტექსტში და „უქანონავად ჩასხმა“—მეორე ტექსტში *хххх* ბერძნული სიტყვისაგან უნდა იყოს წარმომდგარი. *хххх* ქართულად სახაზავს ნიშნავს, *Линейка для графления*. ხოლო „დაკანონვა“—დახაზვას უნდა ნიშნავდეს. „დაკანონვილი ქალაღი“ კი დახაზულ ქალაღს (*Графленая бумага*). უქანონავად ჩასხმა—დაუხაზავ ქალაღზე წერას უნდა ნიშნავდეს. ქუთაისის № 179 ხელნაწერისა და Q-37 ხელნაწერის ქალაღის ანალიზმა დაადასტურა ჩვენი ვარაუდი.

როგორც ჩანს უკვე მე-13 საუკუნეში „ქალაღი“ ფორმის პარალელურად „ქალაღიცი“ იხმარება. A-128 ხელნაწერი, ქალაღის ანალიზისა და პალეოგრაფიული მონაცემების საფუძველზე მე-13 საუკუნით თარიღდება. ხელნაწერის 611 გვერდზე, ქვემო არშიაზე ტექსტის ხელით დარჩენილია მინაწერის ფრაგმენტი:

„ვაიმე ქალაღ...“

თავისთავად ცხადია, აქ „ქალაღი“ ეწერა.

ტერმინი „ქალაღი“ დადასტურებულია აგრეთვე A-65 ხელნაწერში, რომელიც 1210 წელს უნდა იყოს გადაწერილი⁸. ხელნაწერში დაცულია ერთი მეტად

⁶ ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, 1949, გვ. 54.

⁷ Древнегреческо-русский словарь. Составил Дворецкий, И. X, Москва, 1958.

⁸ ხელნაწერს უხას 2 თარაღი: „წელნი ქრისტესითგან ვიდრე მოაქამომდე ქართველნი ვთვალავთ წელიწადსა ჩსი (1210) ხოლო ჯუშლად ყოველნი წელნი აღამისითგან დღესამომდე, ოდეს ესე დაიწერა, ხლგე (—1188) ქრონიკონი უჲ (—1188)“.

საინტერესო მინაწერი 341 გვერდის ქვემო არშიაზე. მინაწერში ლაპარაკი უნდა იყოს. ეგვიპტური და იქნებ კაფური (კუფური) ქალაქის შესახებ:

„ვითა შეჰგავს ეგუპტე, ეგუპტური ქალაქი კაფურსა“.

მინაწერის ხელი თუმცა ვადამწერის არ არის, გვიანდელი არ უნდა იყოს. პალეოგრაფიულად მე-13 საუკუნისაა, ან, უკიდურეს შემთხვევაში, მე-13—14 საუკუნეების მიჯნისა⁹.

ცნობილია ეგრემ მცირის ანდერძი, რომელიც გრიგოლ ღვთისმეტყველის „ათეჟსმეტთა დღეთა-ს“ ერთვის. ანდერძი დაცულია იერუსალიმის № 13 (ბლეიკის აღწერილობით) ხელნაწერში, რომელიც მე-13—14 საუკუნეებით თარიღდება. ანდერძში დადასტურებულია „ქალაქი“:

„ლოცვა ყავთ იოვანესათვის ხუცისა მთვარაჲსდისა, რომელმან არა დაგჰშურვა თჳსი ქალაქი სასურელად და პური საზრდელად, თანადგომითურთ თჳსით...“ (249r).

ადვილად დასაშვებია, რომ თავდაპირველად ეგრემ მცირის ანდერძში და შოთა რუსთველის ვეფხისტყაოსანში „ქალაქი“ ტერმინის უფრო ძველი ფორმა „ქალადი“ იყო ნახშიარი.

დაბოლოს, ტერმინი „ქალაქი“ ჩვენ ვნახეთ H—1760 პეტრიწონულ ხელნაწერში. ეს ხელნაწერი აღწერილობით მე-15 საუკუნისად არის მიჩნეული. ჭვირნიშნების ანალიზის საფუძველზე გამოირკვა, რომ ხელნაწერი ვადამწერი უნდა იყოს 1330-იან, ან, უკიდურეს შემთხვევაში, 1340-იან წლებში.

ამ ხელნაწერის (150 v.) ქვემო არშიაზე ტექსტის ხელით წერია:

„აქა პერპერისა ქალაქი გათავდა“.

უფრო გვიან, მე-15, მე-16 საუკუნის ხელნაწერებში ტერმინი „ქალაქი“ უკვე ხშირად გვხვდება.

ამგვარად, ვფიქრობ ქალაქი საქართველოში VII—IX საუკუნეებიდანვე უნდა ყოფილიყო ცნობილი. ამ დროიდან გავრცელდა ქალაქი არაბულ მახლობელ აღმოსავლეთშიც.

თავდაპირველად ქალაქის აღმნიშვნელ ტერმინად ქართულში სიტყვის წმინდა არაბული ფორმა „ქალადი“ უნდა ყოფილიყო ხმარებაში.

მე-13 საუკუნიდან ფორმა „ქალადის“ პარალელურად იხმარება „ქალაქი“.

ძველ, მე-11—17 საუკუნეების ქართულ ხელნაწერებზე მუშაობისას, წერილობით ცნობას საქართველოში ქალაქის წარმოების შესახებ ვერ მივაკვლიეთ. შესაძლებელია ასეთი ცნობა არც არსებობს. საკითხი, ყოფილა თუ არა ოდესმე საქართველოში საკუთარი ქალაქის წარმოება—ღია რჩება. ივანე ჯავახიშვილის თქმისა არ იყოს: „ვითარცა VII—IX საუკუნეებში არაბთა სახალიფოს ფარგლებში და მფარველობაში მყოფს და ბილადთან ეკონომიურად დაკავშირებულს აღმოსავლეთ საქართველოს, საფიქრებელია, ქალაქის ხმარება შედარებით ადრე უნდა შემოეღო...“ მაგრამ „ჰქონდა თუ არა საქართველოს XII—XIII სს. თავისი საკუთარი ქალაქი, თუ უცხოეთიდან მოტანილით კმაყოფილდებოდა, გამორჩეული არ არის“¹⁰.

⁹ მინაწერის გაგება გაძნელდა. დაწვრილებით ძნელია თქმა რას გულისხმობს მწერალი ტერმინით „კაფურსა“. იქნებ მხედველობაში აქვს კუფური ორნამენტული ასოები, რომლებიც გვხვდება 10 ფურცლის შემდეგ მინაწერისა. ნაკლებ სავარაუდოებელია გვეყუელთა კოლონიების ცენტრი ყირიმში—ქალაქი კაფა.

¹⁰ ივ. ჯავახიშვილი. ქართული პალეოგრაფია, თბ., 1949, გვ. 36, 40.

ამ საკითხის გამო კ. გრიგოლია „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ძველ ხელნაწერთა საცავების გზამკვლევის“ შესავალში ამბობს:

„ძველ საქართველოში საკუთარი ქალაქი ჰქონიათ. სამისო წარმოება აქ დიდად განვითარებული ყოფილა. თავისი ძირითადი თვისებებით (სისქე, სიმკვრივე, სითეთრე და სხვ.) ქართული ქალაქი არც ერთი სხვა ქვეყნის საუკეთესო ქალაქს არ ჩამოუვარდებოდა“¹¹.

რა საფუძველზე აკეთებს ასეთ დასკვნას კ. გრიგოლია, არ ვიცით.

საქართველოში საუკუნეების მანძილზე გავრცელებული ქალაქის სადა-ურობის საკითხს ჩვენ სპეციალურად ცალკე შევხებით. ამჯერად, ჩვენი მიზანია ქალაქის დამუშავების ორი ძველქართული ტერმინი გავარკვიოთ. ქართულ წერილობით ძეგლებში, ხელნაწერების ანდერძ-მინაწერებში დადასტურებულია ჩვენთვის სინტერესო ტერმინები—„ქალაქის გახამება“ და „ქალაქის გალესვა“. რას უნდა ნიშნავდეს და როგორ უნდა გავიგოთ ეს ტერმინები?

ორივე ტერმინი დაკავშირებულია ქალაქის უკვე მზა პროდუქციის დამუშავებასთან, რასაც „ქალაქის შეთავებას“ უწოდებდნენ. ხამი ქალაქის ფურცლებს ახამებდნენ სპეციალურად შემზადებული სახამებლით და შემდეგ ლესავდნენ სპეციალური ხელსაწყოთი, რომელსაც სალესი ერქვა ქალაქის გახამებასა და გალესვას უძველესი დროიდანვე მისდევდნენ.

მეტეორებაში პირობითად განარჩევენ უფრო ძველ, ბომბიციანად წოდებულ ქალაქსა და ჩვეულებრივ ქალაქს. რადგან დროთა მანძილზე ქალაქის ხარისხი თანდათანობით უმჯობესდებოდა, ამიტომ მკვეთრი ზღვარი ბომბიციანსა და ქალაქს შორის არ არსებობს.

ქალაქის წარმოების უძველეს ხანაში ბომბიციანის გახამებისა და გალესვის შესახებ ლაპარაკობს რუსი პალეოგრაფი ნ. პ. ლიხაჩოვი:

„...Сначала бумага выходила из рук мастера толстым, но неровным, рыхлым слоем с мохнатой, волокнистой поверхностью следы чего сохранялись на каждом листе несмотря на проклейку и сатинирование“¹².

„Проклейка“ ქართულად ქალაქის გაწებვას, გახამებას ნიშნავს, ხოლო „Сатинирование“ ქალაქის გალესვას. სხვაგან, ბომბიციანს ნ. ლიხაჩოვი შემდეგნაირად ახასიათებს:

„...Лоснящаяся от сильной проклейки и тщательного сатинирования зубом, оставляющим нередко на бумаге очевидные лысы...“¹³.

ქალაქის გახამებისათვის იხმარებოდა სახამებელი, კვერცხის ცილა, ან ბრინჯის ნახარში. ქალაქის ფურცლებს ჯერ სახამებლით გაწებავდნენ და შემდეგ ლესავდნენ. საქართველოსა და მახლობელ აღმოსავლეთში ქალაქის გახამებისათვის მცენარეულ სახამებელს ხმარობდნენ; ევროპელებმა გახამებისათვის ცხოველური წებო შემოიღეს. ამან გააუმჯობესა ქალაქის ხარისხი. რუსეთში ქალაქის გახამების შესახებ რუსი პალეოგრაფი ზ. უჩასტკინა წერს:

¹¹ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ძველ ხელნაწერთა საცავების გზამკვლევი, თბ., 1951, გვ. 16.

¹² Н. П. Лихачев, Палеографическое значение бумажных водяных знаков, т. I, С.—Петербург, 1899, стр. X.

¹³ Н. П. Лихачев, დასახ. ნაშრ., გვ. XV.



«Для проклейвания бумаги применяли животный клей, получавшийся при выварке шкур, обрезков и костей животных... Проклейвания бумаги осуществлялось погружением каждого листа в клеевой раствор, после чего бумага становилась прочнее и не пропускала чернил»¹⁴.

ქალაღის გახამების შემდგომ, როგორც უკვე ითქვა, ქალაღს ღესავდნენ. ქალაღის საღეს ხელსაწყო ს. ლიხაჩოვი უწოდებს „3 ყნ“. რუსულ ენაში ქალაღის საღეს ტერმინად უფრო დამკვიდრდა „Пошило“. აქედან — Пошениа ბუმაღა, რაც ქართულად გაღესილი ქალაღი იქნება.

გახამებისა და გაღესვის შემდგომ ქალაღი ხდებოდა მტკიცე, პრილა და მელანს აღარ ატარებდა. ხშირად „მწუე“ გაღესილი ქალაღი ეტრატს წააგავს ხოლმე, უნდა ვთქვათ, რომ ძველთგანვე ქალაღს ისევე ამუშავებდნენ, როგორც ეტრატს, ე. ი. ქალაღის გაღესვა იმავე წესით ხდებოდა, როგორც ეტრატისა. ეტრატის დამუშავების შესახებ ჩვენ ჯერჯერობით მხოლოდ ერთ ცნობას მივაკვლიეთ.

A—256 მე13 საუკუნის ხელნაწერია. ეტრატზე. მე-20 v-ს გვერდით არაზნავე ასეთი მინაწერია: „ამის ეტრატისა სირბილე და სიხორკლობა და ადგილადგილ ვერ წყობილობა ვისცა გიკვირდეს და წყვევა სთქუათ, მას მიმცეს ღმერთმან. მესხმან რამინ მყო უმეცარ, უწრფელომან დიაკონმან კუერცხის ცხება მოიგონა და შეგახმევა დაიქაღნა და ვერ კარგად ქნა უბადრუქმან“.

მე-14 საუკუნის დასაწყისიდან საუკუნეების მანძილზე საქართველოში იტალიური ქალაღი შემოქმონდათ, ამიტომ ინტერესს მოკლებული არ იქნება აღინიშნოს, რომ იტალიური ქალაღის წარმოებაში ქალაღის საღეს ხელსაწყო Cialandra ეწოდება, რაც მნიშვნელობით შეესაბამება ინგლისურ Candler ანუ Glazing stone, საღესი ქვა. იტალიის ქალაღის წარმოებაში საღესი ქვა უფრო ხშირად შუშისა იყო. იტალიელი პალეოგრაფი ა. გასპარინეტი საღეს ქვას ასე განმარტავს: „ქალაღის ოსტატთა ძველებური ხელსაწყო საღესი ქვა უპირატესად შუშისა, რომელიც ძველ დროს ქალაღის გასაღესად იხმარებოდა“¹⁵.

ქალაღის გაღესვა მეტად შრომატევადი სამუშაო იყო და დიდ დროს მოითხოვდა. რუსეთში ქალაღის გაღესვის ტექნიკას აგვიწერს ხ. უჩასტკინა: „В ручном производстве листы бумаги после проклейвания и воздушной сушки были, как правило, покороблены и имели шероховатую поверхность. Вначале ремесленники выравнивали бумагу вручную, разглаживая ее гладкой костью или деревянной гладилкой, а затем стали колотить по ней молотком, так как этот способ придавал бумаге более равномерную толщину... Производительность труда на разглаживание бумаги молотами была очень низкой—на 1 мотот приходилось 9 стоп в сутки“¹⁶ (1 стопа—20 დასტაა, ანუ 480 ფურცელია,—რ. პ.).

¹⁴ З. В. Участкина, Русская техника в производстве бумаги, Ленинград, 1949, стр. 117.

¹⁵ „Ancient paper-makers tool Glazing stone actually of glass, used in olden times to glaze the paper.“ — A. F. Gasparinetti. Paper, paper-makers and paper-mills of Fabriano. Monumenta III, Hilversum. Holland. გვ. 127.

¹⁶ З. В. Участкина, დასახ. ნაშრ., გვ. 119.

მზა ქალაღდი, საჭიროებისამებრ, შეიძლება მეტად ან ნაკლებად გახამებულიყო და გაღესილიყო, იმის მიხედვით თუ სად როგორი იყო წერის სპეციფიკა და მელნის თვისებები, ან როგორი იყო თვით ქალაღდის ხარისხი. ყველა ამ მიზეზით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ სავაჭროდ შემოჰქონდათ გაუხამებელი და გაუღესავი ქალაღდი და საწერად ქალაღდის გამზადება ანუ გახამება და გაღესვა ადგილობრივ სრულუღებოდა. ეს შეეხება როგორც აღმოსავლურ, ასევე დასავლურ (ეგრობულ, ჭვირნიშნიან) ქალაღდს.

ამ საკითხს ეხება თურქი პალეოგრაფი ა. სუპეილ უნვერი, რომელიც თავის სტატიაში: „ქალაღდი და ქალაღდის ჭვირნიშნები მეტოხთმეტე საუკუნის თურქეთში“¹⁷, აღნიშნავს, რომ თურქეთში მე-15 საუკუნის მანძილზე სავაჭრო-საქარავნო გზებით აღმოსავლური ქალაღდი შემოდიოდა, ხოლო ზღვით კონსტანტინეპოლში ვენეციელებს იტალიის ჭვირნიშნიანი ქალაღდი შემოჰქონდათ. თურქი მეცნიერი განსაკუთრებით ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ სავაჭრო ხაში და დაუმუშავებელი ქალაღდი შემოჰქონდათ, როგორც აღმოსავლური, და ამათ შორის საუკეთესოდ ცნობილი აბადი ქალაღდი, ასევე დასავლურიც. ქალაღდს თურქეთის სხვადასხვა ქალაქებში ამუშავებდნენ; თურქეთში ქალაღდის გახამება-გაღესვას ქალაღდის შეთავებას უწოდებდნენ; ქალაღდის მღესავნი—ქალაღდის შემთავებლებად (aherciler) იწოდებოდნენ.

სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია, რომ უკვე მე-15 საუკუნიდან კონსტანტინეპოლის მახლობლად ქალაღდის სახელოსნო არსებობდა. პალეოგრაფები ვარაუდობდნენ, რომ ამ სახელოსნოში ქალაღდი მზადდებოდა. სულ ბოლოს ამ ვარაუდის დამტკიცებას ცდილობდა ბულგარელი პალეოგრაფი ესევილოდ ნიკოლაევი, რომელიც მე-16—17 საუკუნის თურქულ დოკუმენტებში თურქულ ჭვირნიშნებსაც კი ეძებდა¹⁸. არაა ინტერესის მოკლებული აღინიშნოს, რომ თურქი მოგზაური ევლია ჩელები სპარსულ და ვენეციურ ქალაღდებთან ერთად კონსტანტინეპოლურ ქალაღდსაც ასახელებს. გერმანელმა მეცნიერმა ფრანც ბაბინგერმა პირველმა უარყო ეს შეხედულება. მისი აზრით, არც კონსტანტინეპოლში, არც სადმე სხვაგან თურქეთში ქალაღდი არ მზადდებოდა უწინარეს 1729 წლისა, როცა თურქეთში ბეჭდვის საქმე დამკვიდრდა. ფ. ბაბინგერის მტკიცებით, კონსტანტინეპოლის ქალაღდის სახელოსნოში ქალაღდი კი არ მზადდებოდა, არამედ შემოზიდული ქალაღდი იღესვებოდა.

ფ. ბაბინგერი წერს: „...დიდი ხანია ფიქრობდნენ, რომ ერთ ადგილას, ე. წ. „ტკბილი წყლების“ ველზე (ბოსფორის ევროპულ ნაპირებზე, კონსტანტინეპოლის ჩრდილოეთით), „ქალაღდის სახელოსნოდ“ წოდებულ საწარმოში ქალაღდი მზადდებოდა. „ტკბილი წყლების“ მახლობლად არსებობდა სახელოსნო, სადაც ქალაღდი კი არ მზადდებოდა, არამედ ევროპული ქალაღდი იღესვებოდა, რათა იგი აღმოსავლური წერის სპეციფიკისათვის გამოყენებულიყო“¹⁹.

¹⁷ A. Süheyl Ünver, XV, inci yüzyilde türkiye’de kullanılan kagitlar ve su damgalari. Türk tarih kurumu. Belleten. Cilt XXVI. Sayı: 104. Ekim 1962. Ankara.

¹⁸ Всеволод Николаев, Водяные знаки Османской империи, том I. София, 1954.

¹⁹ F. Babinger, Zur Geschichte der Papierzeugung im Osmanischen Reiches, Berlin, 1931, გვ. 7.

თურქი პალეოგრაფის ა. სუჰეილ უნვერის ბოლოდროინდელმა გამოკვლევამ სავესებით დაადასტურა ფ. ბაზინგერის თვალსაზრისი, ა. სუჰეილ უნვერი დაწვრილებით აგვიწერს კონსტანტინეპოლის ქალაქის სახელოსნოში ქალაქის გახამებისა და ვალესვის მთელ პროცედურას²⁰.

ამგვარად ირკვევა, რომ ქალაქის მშარობებელი ქვეყნიდან სავაჭროდ გაჰქონდათ გაუხამებელი და გაუღესავი ქალაქი; ქალაქის შეთავება კი—ქალაქის გახამება-ვალესვა—ადგილობრივ ქალაქის მომხმარებელ ქვეყანაში ხდებოდა.

სომხურ წერილობით ძეგლებში არის ცნობები ქალაქის ვალესვის შესახებ. ისტორიკოს ლ. ხაჩიკიანის აზრით, სომხეთში ხამი, დაუშუშავებელი ქალაქი შემოჰქონდათ, რომელიც შემდეგ ადგილობრივ სომხეთში მუშავდებოდა. სომხურ ხელნაწერებში დაცული ცნობები ქალაქის ვალესვისა და მღესავთა შესახებ მე-14 საუკუნიდან გვაქვს. მაგალითად 1322 წლის № 7450 სომხურ ხელნაწერში ასეთი მინაწერია:

„აწ მოხსენიების ღირსი ჰყავით ხურტერ სარკავაგი, რომელმაც ქალაქი ვალესა“.

1323 წლის № 1481 სომხურ ხელნაწერში ასეთი ცნობა გვაქვს:

„გვედრები მოიხსენო თოროს და გრიგორ, რომლებიც გაისარჯნენ ქალაქის ვალესვაში“.

1331 წლის № 4083 სომხური ხელნაწერის ანდერძში წერია:

„მოიხსენიეთ ჩემი მოწაფე ვნდიკი, რომელმაც ქარტა ვალესა“. *სისქე* ხუდაბაშიანის სომხურ-რუსულ ლექსიკონში განმარტებულია როგორც *МОШНИКЪ*, რაც ქართულად ვალესვას ნიშნავს.

თურქი პალეოგრაფი თავის გამოკვლევაში, რომელიც ზემოთ მოვიხსენიეთ აღნიშნავს, რომ კონსტანტინეპოლის ქალაქის სახელოსნოში ახამებდნენ და ლესავდნენ როგორც, აღმოსავლურ, ასევე ვენეციურ ქალაქს. ამგვარად იტალიური ქალაქი გამონაკლისს არ შეადგენდა და მსგავსად აღმოსავლური ქალაქისა სავაჭროდ გაუხამებელი და გაუღესავი შემოჰქონდათ.

საქართველოში იტალიური ქალაქი მე-14 საუკუნის დასაწყისიდანვე ჩანს, ხოლო მე-15—16 საუკუნეთა მიჯნიდან მოკიდებული საქართველოში ძირითადად იტალიური და კერძოდ ვენეციური ქალაქია ხმარებაში.

ვენეციის რესპუბლიკას ძირითადად მე-16 საუკუნიდან გაჰქონდა საკუთარი ქალაქი მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში, კერძოდ, ეგვიპტესა, სირიასა და კონსტანტინეპოლში; როგორც ახლა გამოირკვა ვენეციური ქალაქი საქართველოში უძველესი დროიდან შემოდის, მე-14 საუკუნიდან. ვარაუდობენ, რომ ვენეციას საკუთარ ქალაქთან ერთად ჩრდილოეთ იტალიის ქალაქიც გაჰქონდა. ჩრდილოეთ იტალიაში ქალაქის საწარმოებით ვანთქმული იყო სალო-გარდენის ტბასთან, ბერგამო, ვიჩენცე, პალუა, ფრიული და ვანსაკუთრებით ფაბრიანო.

წერილობითი ცნობები საქართველოში ქალაქის გახამებისა და ვალესვის შესახებ მე-16 საუკ. დასაწყისიდან გვაქვს. რამდენადაც საქმე ეხება იტალიურ ქალაქს და რათა ბოლომდე გაირკვეს ქალაქის გახამებისა და ვალესვის საკითხი საქართველოში, ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო უნდა იყოს ქალაქის დამზადების პროცედურა ჩრდილოეთ იტალიის ქალაქის

²⁰ A. Süheyl'sün vîer, ზემოთ დასახელებული შრომა.

სახელოსნოებში. ამის შესახებ საჭირო განმარტებებს იძლევა ცნობილი იტალიელი პალეოგრაფი ა. ფ. გასპარინეტი თავის გამოკვლევაში „ფაბრიანოს ქალაქის ხელოსნებისა და სახელოსნოების შესახებ“. ა. გასპარინეტის ეს გამოკვლევა დაბეჭდილია Monumenta-ს მესამე ტომში²¹.

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ევროპაში სახელოსნოს სადაც ქალაქი მზადდებოდა „ქალაქის წისქვილი“ ეწოდებოდა (Paper-mill, Бумажная мельница). ქალაქის წისქვილში ქალაქი დაკვეთით მზადდებოდა. ე. წ. ქალაქით მოვაჭრეთა ამქრობა ურიგდებოდა ქალაქის საწარმოს მებატრონეს, ან თვით ქალაქის ოსტატებს, თუ ქალაქის ხელოსნები თავად იყვნენ ქალაქის საწარმოს მესაკუთრენი, ან იჯარით ჰქონდათ აღებული ეს საწარმო.

ა. გასპარინეტი შემდეგ აღნიშნავს, რომ:

„...ვაჭრები ან ქალაქით მოვაჭრენი, აწინდელ ბითუმად მოვაჭრეთა დარად, ქალაქს ადგილობრივი მეწარმისაგან თავიანთ ანგარიშზე ყიდულობდნენ, ან ურიგდებოდნენ მეწარმესა და აძლევენ დაკვეთას, რომელსაც ისინი დამკვეთისაგან ღებულობდნენ. დაკვეთა ფორმდებოდა სავაჭრო კომერციული ორგანიზაციის მესვეურების მიერ...“²².

ამგვარად ქალაქის ოსტატები, დაკვეთით ამზადებდნენ ქალაქის ფურცლებს. ამით მათი საქმე თავდებოდა. ქალაქის შეთავება მათ არ ეხებოდა. ქალაქის დაჭრა, დაკეცვა, შეფუთვა ხდებოდა სხვა სახელოსნოში.

ამას გარდა, ა. გასპარინეტის გამოკვლევაში აღნიშნულია, რომ არსებობდა ცალკე სახელოსნო, სადაც ქალაქს ახამებდნენ და ლესავდნენ. იტალიაში ამ სახელოსნოს მღესავთა სახელოსნოს უწოდებდნენ, ხოლო სახელოსნოს ხელოსნები Cilandratore-დ იწოდებოდნენ, რაც ქართულად მღესავს იწინავს.

შემდეგ ა. გასპარინეტი ამბობს რომ ფაბრიანოს მუნიციპალურ არქივში ინახება მღესავთა სახელოსნოს ორი დავთარი. ერთ-ერთ მათგანში მღესავი ვინმე Cicco Antonio თავის თავს უწოდებს—Cialandratore aparechiattore de charta bandagina, ე. ი. მღესავი და შემთავებელი ბომბიცინის ქალაქისა, ხოლო სხვანაირი იგივე პირი მხოლოდ Cialandratore-დ, ე. ი. მღესავად იწოდება. ფაბრიანოს მუნიციპალური არქივის ეს ორი დავთარი მოიცავს წლებს 1442 წლიდან 1467 წლამდე და 1442 წლიდან 1468 წლამდე.

ა. გასპარინეტი ასახელებს მღესავთა კიდევ ერთ დავთარს. ამ დავთარში Bonaventura Lodovico და Vincenzo de Onofrio Giovanni თავიანთ თავს მღესავებს უწოდებენ. დავთარში აღნუსხულია შემოსული გასალესი და სახელოსნოდან გასული გალესილი ქალაქი 1435 წლიდან 1439 წლამდე.

ამგვარად ირკვევა, რომ იტალიაში, იმ ქვეყანაში, საიდანაც საქართველო ქალაქს ღებულობდა, ქალაქის დამზადება-შეთავება ერთ სახელოსნოში არ

²¹ A. F. Gasparinetty. Paper paper—makers and paper-mills of Fabriano. Monumenta III. Hilversum. Holland.

²² „...There were the merchants or dealers in paper, who correspond to the modern wholesalers and who purchased the paper for their own account from the local manufacturers, or placed with them the orders they received from their customers. These formed the heads, as it were of the commercial sales organization...“ A. F. Gasparinetty. Paper, paper-makers and paper-mills of Fabriano. Monumenta III. Hilversum. Holland., გვ. 204.

სრულდებოდა. ამიტომ გასაგები უნდა იყოს ის გარემოება, რომ ეაჭართა ამქრობას საქართველოში გაუხამებელი და გაულესავი ქალაქი შემოჰქონდა.

არის კიდევ ერთი გარემოება, რაც უსათუოდ უნდა იქნეს გათვალისწინებული და რასაც იმავე დასკვნამდე მივყევართ:

მე-15 საუკუნის მეორე ნახევრიდან ევროპაში ბეჭდური საქმე მკვიდრდება. სტამბური ბეჭდვა გერმანიელმა გუტენბერგმა გამოიგონა. ეს გამოგონება სწრაფად გავრცელდა ევროპაში. უკვე მე-15 საუკუნის მიწურულისათვის გერმანიაში 50-ზე მეტი სტამბა არსებობდა. ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ ბეჭდური საქმე ყველაზე მეტად ვენეციის ქალაქ რესპუბლიკაში განვითარდა. მე-15 საუკუნის დასასრულისათვის ვენეციაში 250 სტამბა იყო. სტამბური ბეჭდვისათვის საქირო აღარ იყო ქალაქის განსაკუთრებული შეთავება-გახამება და გალესვა. შესაძლებელია, რომ ევროპაში სტამბური ბეჭდვის შემოღებისა და ქალაქის ხარისხის გაუმჯობესების შედეგად, ქალაქის გახამებასა და გალესვას იქ აღარ მისდევენ.

მე-16 საუკუნიდან საქართველოში ქალაქის გახამება და გალესვა ჩვეულებრივი ამბავია. ადრეული მე-16 საუკუნის ხელნაწერის (A—1522) ანდერძში პირდაპირ მოიხსენება ქალაქის მღესავი:

„ამ ახლის ქალაქის მღესავსა პეტრეს შეუნდვეს ღმერთმა“ (173 v). იმავე ხელნაწერის მინაწერი გვამცნობს:

„ეს ერთი რვეული ელისაბედ გამილესა“ (308v).

ჩვენ ავლნიშნავდით რომ ქალაქის გალესვა შრომატევადი სამუშაო იყო და დიდ დროს მოითხოვდა. შემომოტანილი მინაწერი ამის დადასტურებად მიგვაჩნია. ხელნაწერის გადამწერს საქიროდ დაუნახავს ერთი რვეულის გამლესავიც მოეხსენებია.

ერთ მე-16 საუკუნის ხელნაწერში (S—1513) მოხსენებულია პირი, რომელიც ქალაქის მწეზავიცა და მღესავიც არის, ე. ი. ახამებს კიდევ ქალაქს და ლესავს კიდევ:

„ღმერთო შეიწყალე ამ გულანის მწეზავი და მღესავი—იოანე კალანდაძე“ (გვ. 203).

A—186 ხელნაწერში (გულანი, 1653—1655 წლებისა), მოიხსენება ქალაქის მღესავი:

„ღმერთო, შეიწყალე სულია კაპეტევაძე, კერძო დიაკონი, რომლისა ხელითა ილესებოდა ქალაქი ესე“ (გვ. 558).

1743 წლის A—176 ხელნაწერში ასეთი ცნობა გვაქვს:

„თავლაფიანმა მღესავმა ქალაქი გამიჩირქა. რა ვქნა ცოდვილმა, ნუ მწყევთ უფალნო ჩემნო“ (გვ. 291).

ამგვარად, ქალაქის მღესავნი ქართულ ხელნაწერებში მოიხსენებიან მე-16, მე-17 და მე-18 საუკუნეშიც კი.

ქუთაისის მუზეუმის № 38 ხელნაწერში (1579—1612 წლებისა) ასეთი ცნობა გვაქვს:

„ქალაქი გალესილი არ დამესწრა. წერას ვერ დავსცდებოდი და ესოთხული მისთვის მომიხდა“ (540v).

ოთხი ფურცელი ქალაქი გალესილი არ არის. ჩანს ქალაქის მღესავს დროზე ვერ მიუწოდებია ვადამწერისათვის გალესილი ქალაქი.

ზოგჯერ ვადამწერი იძულებული ყოფილა გაუხამებელ და გაულესავ ქალაქზე ეწერა. ეს ადვილი საქმე არ ყოფილა. ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდ-

ნეობის ინსტიტუტის იოანე ბატონიშვილის კოლექციის № 29 ხელნაწერში (1699 წლისა) ვადაძვარი თავის ანდერძში ამბობს:

„რაზომცა მალე წერას ვეცადე, დღეში ერთი რვეულის მეტი ვერ გვათავე. ჰელი უკეთესი ვიცოდი, მაგრამ ერთი ამ გზითა, რომე დავეშურე და მეორე ესე რომე ქალაქი გაულესავი იყო“.

სხვა XVI ს. ხელნაწერში ვადაძვარი ამბობს, რომ სწორადი ხელით დაიწერა რადგან ქალაქი გახამებული არ არისო, ე. ი. მელანი რომ არ გაშლილიყო: „ეს ქალაქი გაუხამებელი არის და მოსწრაფებთაც დაიწერა“ (S—1249, 350v).

ამგვარსავე რამეს ვტყობილობთ A—1582 ხელნაწერით (XVI საუკუნისა):

„ღვთის მადლს, ნუ დამწყვეთ, გაუხ(ა)მებელმა ქალაქმა აენო“. (602r.)— ამ გვერდზე რამდენიმე ადგილას მელანი გაშლილია, ვადაძვარის ზოდიში ამით არის გამოწყვეული.

მე-16 ს. ხელნაწერ S—1324-ში აღნიშნულია:

„ქალაქს ვალესვა აკლია“ (გვ. 43). ამის გამო ვადაძვარი ტოვებს გვერდის ნახევარსა და მეორე გვერდის ნახევრიდან იწყებს წერას.

მეტად საინტერესო მინაწერი აქვს ქუთაისის მუზეუმის № 5 ხელნაწერს (XVI საუკუნისა):

„ვაა და ოხრა, რას ქირში ვჰყავარ ქალაქსა, თუ მწუშ ვაგახამო—მელანს არ მოიკიდებს, თუ არა—შიგ ვავარდების. გებრალეზოდე კეთილ მუშაკნო, ღმრთისაჲსთვის ნუ მწყვეთ“ (482r).

ქალაქი შეიძლებადა მეტ-ნაკლებად გახამებულიყო და ვალესილიყო. ზემოთ მოტანილი მინაწერი სწორედ ამის შესახებ მეტყველებს. აღსანიშნავია, რომ მე-15 საუკუნეში ქალაქი ნაკლებ იხამება და ილესება, უფრო გვიან კი მე-17 და მე-18 საუკუნეში ქალაქს მწუშ ახამებენ და ლესავენ. ეს იმის გამო მოხდა, რომ დაეცა არა ქალაქის, არამედ მელნის ხარისხი.

სიტყვა „ვალესვა“ უფრო ხშირად გახამებასაც ნიშნავს. ე. ი. ქალაქი შეიძლება სახამებლით ვალესოს. 1686 წ. ხელნაწერ H—1681-ს ასეთი მინაწერი აქვს: „ეს თავლაფიანი ქალაქი საპონით ვავლესე“ (86v).

ძალიან ხშირად ვადაძვარი ქალაქს უჩივის. ასეთ მინაწერებში ვადაძვარი გულისხმობს იმას, რომ ქალაქი კარგად გახამებული და ვალესილი არ არის. მაგ., H—856 ვადაძვარი წერს: „ავი ქალაქი იყო“ (13v).

ქუთაისის მუზეუმის № 128 ხელნაწერზე ასეთი მინაწერია: „რა ავი ქალაქი იყო, ღმერთმან ჩემი ბრალი გკითხოს, ხელი წამიხდინა“ (21r). ხელნაწერ Q—657, 1575 წლისა, ასეთი მინაწერია: „ვაამე ცოდვილსა რაა ავი ქალაქი არს, ასრე ხელი წამიხდინა“ (17r).

როცა ქალაქი კარგად გახამებული არ არის ვადაძვარი ამბობს (H—1449):

„აქა მელანი გაუჯდა“ (6v).

ქუთაისის მუზეუმის ხელნაწერ № 2-ში აღნიშნულია:

„ქალაქსა ვაუარა უფალო ჩემო, მისთვის არ დავწერე უფალო“ (236v).

აქ ფურცლის ერთ გვერდზე წერია, მეორეზე არა, რადგან მელანი „გავარდა“. ქუთაისის მუზეუმის № 596 ხელნაწერში (1541 წლისა), ვადაძვარი წერს:

„ესე სტიქონი მისთვის დავაგდე, ვითარმედ ავი ქალაქი იყო, ვითა ნაწერი გაუწყებენ“.

გადამწერს გვერდის წერა ჩვეულებრივი ადგილიდან დაუწყია, მაგრამ რადგან ქალაქს არ გაუმართლებია, წაუშლია და უფრო დაბლიდან დაუწყია წერა.

ზოგჯერ გადამწერი ქალაქსაც და მელანსაც უჩივის:

„მელნისა სითხემან და ქალაქისა სიავემან გამსაჯა საწყალობელი“ (ქუთაისის მუზეუმის № 596, v).

ამგვარად ადვილი დასაშვებია, რომ მე-16 საუკუნის დასაწყისიდან საქართველოში იტალიიდან გაუზამებელი და გაულესავი ქალაქი შემოჰქონდათ და ეს ქალაქი ადგილობრივ ხამდებოდა და ილესებოდა.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას:

ქალაქის დამუშავებას, გახამება-გალესვას, საქართველოში, სავარაუდებელია, ძველი დროიდანვე, ქალაქის მოხმარების ადრეული ხანიდანვე მისდევდნენ.

ქალაქის დამუშავება, ქალაქის გალესვა დაახლოებით ისეთივე უნდა ყოფილიყო როგორც ეტრატისა.

საქართველოში ქალაქის გახამება-გალესვის შესახებ ცნობები მე-16 საუკუნიდან გვაქვს.

Р. М. ПАТАРИДЗЕ

К ВОПРОСУ ОБРАБОТКИ БУМАГИ В ФЕОДАЛЬНОЙ ГРУЗИИ

Резюме

Древние грузинские рукописные книги на бумаге, относятся к XI столетию.

Предполагается, что в Грузии знали о бумаге уже с IX века, во времена арабского господства. Бумажное производство распространилось на Ближнем Востоке, именно в эту эпоху. Древне-грузинский термин бумага—ქალაქი, употребляемый как обычный термин в литературных памятниках с XI века, точно соответствует арабскому كغف и كغف т. е. грузинский термин непосредственно заимствован у арабов.

Предполагается, что с древнейших времен в Грузию завозили бумагу-полуфабрикат, которая обрабатывалась на месте.

С конца XV и начала XVI века в Грузию, в основном, завозится итальянская и, в частности, венецианская бумага. Обработка европейской бумаги в Грузии производилась на протяжении XVI—XVIII столетий. Самые ранние сведения об обработке бумаги в Грузии, относятся к началу XVI века.

Обработка бумаги в Грузии разумеет проклейку и сатинирование бумаги. Русскому термину «проклейка бумаги» соответствует грузинский—„ქალაქის გახამება“, а термину «сатинирование бумаги»—грузинский „ქალაქის გალესვა“.

Мастера занимавшиеся обработкой бумаги в Грузии назывались „ქალაქის მლესავი“.

ც. ზანკივი

დაქარაგმების წისმლი ძველ ქართულ ხელნაწირობაში (V—X სს.)

ძველად გადაწერები საწერი მასალისა და დროის ეკონომიის, აგრეთვე სამუშაოს შემსუბუქების მიზნით მიმართავდნენ სიტყვების შემოკლებით წერას. სიტყვა იმგვარად უნდა ყოფილიყო შემოკლებული, რომ მკითხველს იგი ადვილად აღედგინა და ტექსტი არ დაემახინჯებინა. ეს პრინციპი ქართულ ხელნაწერებში ყოველთვის მტკიცედ იყო დაცული. მიუხედავად იმისა, რომ შემოკლებული სიტყვების რაოდენობა ხელნაწერებში IX—X საუკუნეებიდან თანდათანობით იზრდებოდა, ტექსტი მკითხველისათვის ყოველთვის გასაგები იყო, რადგან ქართველი გადაწერები შესამოკლებლად ყველასათვის ცნობილ და ხშირად ხმარებულ სიტყვებს არჩევდნენ და ამ ახალ სიტყვებსაც ძველთაგანვე დადგენილი წესების მიხედვით ამოკლებდნენ. შემოკლების აღსანიშნავად სიტყვას თავზე დასმული ჰქონდა ნიშანი, რომელსაც ქარაგმა ეწოდებოდა. ქარაგმა მიუთითებდა, რომ სიტყვა შემოკლებით ეწერა და მკითხველს ქარაგმიდართული სიტყვა სრულად უნდა წაეკითხა.

ქარაგმისა და დაქარაგმების წესების შესახებ ცნობები ძველთაგანვე გაბნეულია ქართველ მოღვაწეთა შრომებში.

ტერმინი ქარაგმა პირველად ნახმარია მიქაელ მოდრეკილის „იანდგარში“. ეს არის ძველი ქართული საგალობლების კრებული 978—988 წლებისა, შედგენილი X ს. ჰიმნოგრაფის, მიქაელ მოდრეკილის მიერ. მისივე გადაწერილია ხელნაწერის უმეტესი ნაწილი. ძლისპირებს ბოლოში ერთვის მიქაელ მოდრეკილის ანდერძი: „...შეწევნითა ღმრთისაათა, რომელი-იგი არს მიზეზი ყოვლისა კეთილისაჲ, მე, გლახაკმან მიქაელ მოდრეკილმან, ძმისწულმან ღმერთშემოსილისა მამისა დავითისმან, ვილუაწე და ყოვლით კერძო შრომაჲვაჩუენე უხეშთაეს ძალისა ჩემისა და ფრიადითა ხარკებითა და გულს-მოდგინეთ ძიებითა შეგვკრიბენ ძლისპირნი ესე ყოვლით კერძოვე, რომელნი ვპოვენ ენითა ქართველთაჲთა მეხურონი ბერძულნი და ქართულნი და სრულნი ყოვლითა განგებითა დაწერენ წმიდასა აბას შინა წიგნსა ყოვლითა განმარტებითა და ჭეშმარიტებითა. და ესრეთ განვაწესე თავით თჳსით და უმჯობეს ვყავ უმეტრებითა სიგლახაკისა ჩემისაჲთა, რამეთუ ყოველსა ვპასა პირველ უფალო-ღალადყავისა ძლისპირნი დაწერენ და შემდგომად გალობათანი, თჳნი იერ ქარაგმითა; და ყოვლითურთ სრულ იქმნა მუშაკობაჲ ესე საღმრთოჲ ძალითა და შეწევნითა დიდად სახიერისა მხოლოჲსა ღმრთისაჲთა, რომელი

კურთხეულ არს აწ და მერმეთა მათ საუკუნეთა, ამენ¹. მართლაც, ძღწისმარების მთელი ტექსტი 1r-დან 24r-მდე უპარაგმოდაა ნაწერი, არის მხოლოდ თითო-ოროლა შემთხვევა, როდესაც სიტყვა დაქარაგმებულია სტრიქონის ბოლოს უადგილობის გამო. ამრიგად, როგორც ანდერძიდან გამოჩნდა, მიქაელ მოდრეკილი ტერმინ ქარაგმას ხმარობს სიტყვათა შემოკლების აღმნიშვნელი ნიშნის გაგებით.

ჩვენ საგანგებოდ გადავთვალავთ ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდების, აგრეთვე საქართველოს ფარგლებს გარეთ დაცული ქართული ხელნაწერების აღწერილობები ნ. მარის, ი. ჯავახიშვილის, ა. ცაგარლის, რ. ბლექის და რ. ორბელიისა, მაგრამ ტერმინი ქარაგმა საბამდე არსად არ შეგვხვდა. მიქაელ მოდრეკილის „იადგარის“ მერმე ეს ტერმინი სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონაში“ დასტურდება.

საბა ქარაგმას რამდენიმე მნიშვნელობით ხმარობს: მახვილი, აპოსტროფი, მოკლე ან გრძელი ხმოვნების აღმნიშვნელი ნიშანი, ასონაკლებობის ნიშანი.

საბა „სიტყვის კონის“ შესავალში ქარაგმის სახელით აერთიანებს ყველა ნიშანს, რომელიც კი სიტყვას უზის: „არიან ქარაგმანიცა ათნი, რომელსა ქართულად ეწოდებთ განწილვა, ხოლო ელენებრ პაროსლიანი. ამათ მიერ ჯერ-არს ღრმთა წერილთა კითხვანი უცთენელად“². ესენია: ოქსია, ვარია, პერისპომენონი, მაკრა, ვრაქია, დანია, ფსილი, აპოსტროფოს, ვიპოდიასტოლი და ვიფენ. ეს მასალა საბასთან ამოღებული ჩანს პეტრიწის შრომიდან „განმარტებაჲ პოკლესთჳს დიადოხოსისა და პლატონურისა ფილოსოფიისათჳს“. პეტრიწთან: „მძღუარნი განიყოფვიან ანუ მახვლად, რომელ არს ოქსიაჲ, ანუ და მძიმედ, რომელ არს ვარიაჲ, ანუ და გარემომრთხმელად, რომელ არს პერისპომენონი, ანუ და დასია, რომელ არს წყნარად წარსავლელი სიტყუსაჲ, ანუ და ფსილი, რომელ არს წული, ანუ უკუსაქცეველი, რომელ არს ტროფოს, ანუ თუ და შემკრველი, რომელ არს ქუეშე გამოწყოფი“³. ამ განმარტებების გასწვრივ, ხელნაწერების კიდევბზე, ჩამოწერილია: „პაროსლიანი ათნი: ოქსია, ვარია, პერისპომენი, მაკრა, ვრაქია, დანია, ფსილი, აპოსტროფოს, ჯუენ, ვპოდიასტოლი“⁴ შესაბამისი ნიშნებითურთ⁵.

ლექსიკონში თითოეული მათგანი ჩართულია განსამარტი სიტყვების რიგში. მათი განმარტებისას საბა სარგებლობს პეტრიწის განმარტებებით, ოღონდ ზოგ შემთხვევაში მათ ავრცობს და საკუთარ რედაქციას უკეთებს. ამათგან აპოსტროფოსის, ვრაქიასა და მაკრას განმარტებები პეტრიწთან არ არის მოცემული, როგორც ჩანს, საბა მათ თავად განმარტავს. საბა მთარიცხვს უმატებს აგრეთვე ტროფოსს. ამის გამო ლექსიკონში პაროსლიანი ათის მაგივრად თერთმეტი გამოდის. ეს ტერმინები ბერძნულია, ამიტომ საბას განმარტებებთან ერთად მოგვაქვს მათი ბერძნული მნიშვნელობები⁶:

¹ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა S კოლექციისა, I, 1949, გვ. 544.

² H—1429, 7r.

³ იოანე პეტრიწის შრომები, II, ტექსტი გამოსცეს და გამოკვლევა დაურთეს მ. ნუცუბიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა, ტფილისი, 1937, გვ. 221.

⁴ A—69, გვ. 468; A—74, 238r; A—1150, 211r; H—2235, გვ. 376; H—2238, გვ. 658; H—2363, 176r.

⁵ ამ ტერმინების ბერძნული მნიშვნელობებისათვის გამოვიყენეთ ლექსიკონი: Древне-греческо-русский словарь, составил И. Х. Дворецкий, I и II. Москва. 1958.



ზემოთ ჩამოთვლილ ტერმინთა შორის საბას განმარტებული აქვს მკვლევარმა რაც: „მაკრა—სადა ეს უჯდეს, სიტყვას ასო აკლია“. ამ განმარტებაზე დაყრდნობით თ. ხაჯომია წერს: „საბას განმარტებით, ქარაგმა ასონაკლები სიტყვის ნიშანია, რომელიც მოკლე ჰორიზონტალური შტრიხით აღინიშნება და მაკრა ეწოდება: მაკრა, რომელ არს ქარაგმა, სადა ესე უჯდეს, ასო აკლია“⁶. გ. მიქაძეც სიტყვის შემოკლების მიხედნებულ ნიშნად ქარაგმასთან ერთად მაკრასაც ასახელებს⁷.

ჩვენის აზრით, საბა მაკრას ქარაგმის, ე. ი. შემოკლებული სიტყვის თავზე დასმული ნიშნის გაგებით არ უნდა ხმარობდეს. მაკრა ბერძნულში გრძელ მარცვალს აღნიშნავს, ამის საპირისპიროდ არსებობს მეორე ტერმინი, ვრაქია, რომელიც მოკლე მარცვლის აღმნიშვნელია: „ვრაქია, ქარაგმა ამგუარი. სადა ესე უჯდეს სიტყუასა თანა, მცირედ ნაკლებია“. საბას ვრაქიას განმარტებისას მოცემული აქვს ნიშანი, რომელიც მართლაც მოკლე ხმოვნის აღმნიშვნელია, ხოლო მაკრასთან ნიშანი, რომელიც გრძელ ხმოვანს აღნიშნავს, შდრ. მაკრასა და ვრაქიას ბერძნული მნიშვნელობები.

ზემოთ ჩამოთვლილი ტერმინები, მათ შორის მაკრა და ვრაქიაც, იოანე პეტრიწის მიერ შემოტანილია ბერძნულიდან. ბერძნულ წერილობით ძეგლებში ეს ნიშნები მართლაც გამოყენებულია, ქართული ენისათვის კი სრულიად უცხოა. საბაც მათ, როგორც ერთი რიგის ნიშნებს, ცალკე აერთიანებს „პროსოდიანის“ სახელწოდებით.

ქარაგმა კი, როგორც სიტყვის შემოკლების ნიშანი, ლექსიკონში ცალკეა გატანილი: „ქარაგმა—ასონაკლების ნიშანი“. ეს კი სწორედ ის ქარაგმაა, რომელსაც საბა, მიქაელ მოდრეკილის მსგავსად, სიტყვის შემოკლების ნიშნის გაგებით ხმარობს. საბასთან მაკრასა და ქარაგმის განმარტება მართლაც წააგავს ერთმანეთს. მსგავსი განმარტება აქვს ვრაქიასაც, ეს კი იმთ უნდა იყოს გამოწვეული, რომ ვრაქიასა და მაკრას განმარტებები საბასთან საკმაო სიხუსტით არ ჩანს ჩამოყალიბებულნი.

საბას ლექსიკონი ერთ-ერთი ყველაზე ადრინდელი სახელმძღვანელოა, სადაც შეტანილია დაქარაგმებული სიტყვები შესატყვისი ვახსნილი ფორმებითურთ. ლექსიკონში, განსამარტი სიტყვების რიგში, ჩართულია შემოკლებული სიტყვები, ხოლო გასწვრივ, განმარტებების რიგში, მოცემულია მათი შესაბამისი სრული ფორმები:

- ეე—ათხუთმეტი, რიცხვით ითქმის.
- იჯ—იესო, ქარაგმით ესრეთ ითქმის.
- კდ—კვალად, ქარაგმით ასრე ითქმის.
- ო—ქარაგმით ითქმის: უფალო.
- ოა—ქარაგმით უფალსა ითქმის.
- ოი—ქარაგმით უფალი.
- ონ—ქარაგმით უფალმან.
- ოჟ—ქარაგმით უფლისა.
- პდ—ქარაგმით პირველად ითქმის.

⁶ თ. ხაჯომია, ტერმინი პატივი-ს გამო ქართულ პალეოგრაფიაში, მიმოხილველი, III, 1953, გვ. 221—227.

⁷ გ. მიქაძე, ქართული ხელნაწერების შესწავლა და აღწერა, 1957.

უა—ქარაგმით უამსა.
 უი—ქარაგმით უამი.
 რ—ქარაგმით ითქმის რამეთუ.
 რა—რათა ქარაგმით.
 რი—ქარაგმით რომელი ითქმის.
 რნ—ქარაგმით რომელმან.
 სდ—ქარაგმით სრულიად ითქმის და რიცხვში ორას ოთხად და-
 ჯდების.

უჟ—ქარაგმით უკეთუდ ითქმის.
 ფდ—ქარაგმით ფრიად.
 ქა—ქრისტესა, ქარაგმით ესრეთ ითქმის.
 ქე—ქარაგმით იტყვის ქრისტე.
 ქნ—ქარაგმით ქრისტემან.
 ქს—ქარაგმით ქრისტეს.
 ლა—ქარაგმით ღმერთსა.
 ლი—ქარაგმით ითქმის ღმერთი.
 ლნ—ქარაგმით ღმერთმან.
 ლჟ—ქარაგმით ღმერთსა.
 ლო—ქარაგმით ღმერთო.
 ყა—ქარაგმით ყოველსა.
 ყდ—ქარაგმით ყოვლად.
 ყი—ქარაგმით ყოელი.
 ყნ—ქარაგმით ყოელმან.
 შა—ქარაგმით შინა ითქმის.
 შდ—ქარაგმით შემდგომად.
 შე—ქარაგმით შემოწყალე.
 შს—ქარაგმით ითქმის შორის.
 წა—ქარაგმით წმიდა.
 წე—ქარაგმით წინაშე.
 წო—ქარაგმით წმიდაო.
 წჟ—ქარაგმით წმიდაჟ.
 წნ—ქარაგმით წმიდამან.
 ხ—ქარაგმით ხოლო.
 ჯა—ქარაგმით ჯვარსა.
 ჯი—ქარაგმით ჯვარი⁸.

საბას დროს სიტყვათა ვაცელებით მეტი რაოდენობა იწერებოდა შე-
 მოკლებით, ვიდრე ლექსიკონშია გატანილი. ლექსიკონის მიზანი არ იყო მოე-
 ცა დაქარაგმებული სიტყვების სრული სია. საბას „სიტყვის კონა“ განმარ-
 ტებითი ლექსიკონია. აქ ჩართული დაქარაგმებული სიტყვები: კავშირები,
 სახელები, თანდებულები და ზმნისართები აღნიშნული ხელნაწერებიდან და-
 წყებული, თითქმის ყოველთვის დაქარაგმებულია, ამიტომ მათი მნიშვნე-
 ლობის გარკვევის მიზნით, საბამ თითოეულ მათგანს მიუწერა გახსნილი ფორ-

⁸ სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, ი. ყიფშიძისა და ა. შანიძის რედაქციით, თბილისი, 1928.

მები. შემოკლებული სიტყვები ლექსიკონში გახსნილია ისე, როგორც დასაბუთებულია კითხულობდნენ საბას თანამედროვეები.

ქართულში დაქარაგმების წესების შესწავლის პირველი ცდა მოცემულია ანტონ კათალიკოსის „ქართულ ღრამატიკაში“. არსებობს ამ გრამატიკის ორი რედაქცია: I—1753 წლისა, შედგენილი მხითარ სებასტიელის გრამატიკის მიხედვით და II—1760 წლისა, ახალი შევსებული და გადამუშავებული რედაქცია⁹.

გრამატიკის პირველ რედაქციაში ანტონი ქარაგმას ასე განმარტავს: „ქარაგმის დადება არს რომელთამე ღრამთა, ნაკულად ასოთა რომელთამე, შესამოკლებელად წერილისა“¹⁰. ქარაგმა ოთხგვარია: საუფლო, სასომთაგროლო, საყოვლადო და საწმოუანო.

საუფლო [იხ. სურათი II, 1]—ასომთაგროული ღ-ს მსგავსია, „გარნა აქათ და იქით ღრამებად განიზიდავს“. მაგალითები:

ღ ^ი	ღმერთი	ქ ^ე ხი	ქრისტესი
ღ ^ი ხა	ღუთისა	ღ ^ი	უფალი
ღ ^ა	ღმერთსა	ო ^ო	უფალო
ღ ^ო	ღმერთო	წ ^ა	წმიდა
ღ ^ნ	ღმერთმან	წ ^ო	წმიდაო
ი ^ჳ	იესო	ანგ ^ვ ს	ანგელოს
ი ^ჳ ხი	იესოსი	ი ^შ ლიმ	იერუსალიმ
ქ ^ე	ქრისტე	ი ^შ ლ	ისრაილ
ქ ^ე ხა	ქრისტესა	კ ^ს ი	კათალიკოსი ანუ კათალიკოზი

სამთაგროლო [იხ. სურათი II, 3]

ხ ^რ	ხოლო	რ ^რ	რამეთუ
----------------	------	----------------	--------

საყოვლადო [იხ. სურათი II, 3]

ა ^დ	არამედ	რ ^ლ ისაგან	რომლისაგან
ვ ^ე	ვიდრე	ვ ^ე მდის	ვიდრემდის
ვ ^დ	ვითარმედ	კ ^დ	კულად
ყ ^დ	ყოვლად	წ ^წ რ	წინასწარ
ყ ^ი	ყოველი	შ ^ს	შორის
რ ^{ლი}	რომელი	რ ^ლ	რომელ
რ ^ლ სა	რომელსა	შ ^ე ნ	შეგვწყალებ
რ ^ლ ნ	რომელმან	შ ^ე	შემიწყალებ და სხვ.

საწმოუანო [იხ. სურათი II, 2]

ჩ ^{მი}	ჩემი	შ ^{ნი}	შენი და სხვ.
-----------------	------	-----------------	--------------

დასასრულ, ჩამოწერილია ნიშნები, რომლებიც ცალკეული სიტყვების ნაცვლად იხმარება: ვერძი, კურო და ა. შ.

⁹ კ. ჰეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბილისი, 1960, გვ. 382.

¹⁰ H—852, 222r—223r.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ანტონის გრამატიკის პირველი რედაქცია შედგენილია მხითარ სებასტიელის გრამატიკის მიხედვით¹¹. მხითარ სებასტიელის გრამატიკაში ჩამოთვლილია სომხურში გამოყენებული ქარაგმის სახეობები:

1. იწერება სიტყვის დასაწყისი და დასასრული ასოები, ხოლო სიტყვის შუა ნაწილი ამოღებულია. ასეთი შემოკლების დროს სიტყვას თავზე ეწერება სწორი ჰორიზონტალური ხაზი: *მ-U, ა-ა*.

2. მ რ ჩ ო ბ ლ ი || იხმარება გამოტოვებული ხმოვნის ნაცვლად: *ს || აჰჰჰ || ა*.

3. სიტყვების ნაცვლად იწერება მათი შემცვლელი სპეციალური ნიშნები.

4. ს ვ ე ტ ი | — სიტყვაში ჩართულია გამოტოვებული ა ხმოვნის ნაცვლად: *ჟ | ა — ჟაა*.

ანტონიც ქართულში ოთხი სახის ქარაგმას გამოყოფს, ამათგან საჯ-მოუანო სომხური მ რ ჩ ო ბ ლ ი ს ა და ს ვ ე ტ ი ს ანალოგიით ჩანს შემოტანილი. სომხურში ს ვ ე ტ ი და მ რ ჩ ო ბ ლ ი, ვერტიკალური ერთი ან ორი სწორი ხაზი, გამოტოვებული ხმოვნის აღსანიშნავად იხმარებოდა. ანტონის საჯმოუანო ქარაგმაც ვერტიკალური სწორი ხაზი თავსა და ბოლოში დართული წერტილებით, და რაკი ეს ნიშნები სომხურში გამოტოვებული ხმოვნის აღსანიშნავად იხმარებოდა, ანტონიც მათ საჯმოუანოს უწოდებს [იხ. სურათი II, 2].

მხითარის გრამატიკიდან ჩანს გადმოტანილი აგრეთვე სიტყვების შემცვლელი სპეციალური ნიშნები.

გრამატიკის მეორე რედაქციაში ანტონი ქარაგმას ამგვარად განმარტავს: „ქარაგმი არს ღრამი რაჲმე ზედ-მდებარე ლექსთა, დასამოკლებლად წერილისა“¹². ქარაგმა ორგვარია: უაღრესობითი [იხ. სურათი II, 1] და საყოვლადო [იხ. სურათი II, 3]. უაღრესობითი ქარაგმა დაესმის წმინდა და საპატო სახელებს, ხოლო საყოვლადო—დანარჩენ შემოკლებულ სიტყვებს. თავის მხრივ უაღრესობითი „იწულებსის სამად: 1. ლატრიად, რომელიცა ითქმის სამლოთოთა ზედა. 2. ტულიად, რომელიცა იგმარების შემდგომად ღუთისა, დიდთა სიწმიდეთა ზედა. 3. იპერტულიად, ესე იგი დიდთა საპატოთა ზედა“. ანტონის აზრით, სამივეგან ერთი სახის ქარაგმა უნდა იყოს გამოყენებული [იხ. სურათი II, 1]¹³.

ლატრია

ღ [~] ი	ღმერთი	ქ [~] ე	ქრისტე
ღ [~] ისა	ღმერთისა	ქ [~] ესი	ქრისტესი
ღ [~] სა	ღმერთსა	ქ [~] ესხ	ქრისტესხ
ღ [~] ნ	ღმერთმან	ქ [~] ა	ქრისტესა
ღ [~] ო	ღმერთო	ქ [~] ნ	ქრისტემან
ი [~] სო	იესო	უ [~] ი	უფალი
ი [~] სი	იესოსი	უ [~] ო	უფალო

¹¹ მ ხ ი თ ა რ ს ე ბ ა ს ტ ი ე ლ ი ს გ რ ა მ ა ტ ი კ ი დ ა ნ ჩ ე ნ თ ე ის ს ა ქ ი რ ო ა დ გ ი ლ ე ბ ი გ ე თ ა რ გ მ ნ ა პ რ ო ფ ე ს ო რ მ ა ი ლ ი ა ა ბ უ ლ ა ძ ე მ .

¹² ქ ა რ თ უ ლ ი ღ რ ა მ მ ა ტ ი კ ა , შ ე დ გ ე ნ ი ლ ი ა ნ ტ ო ნ I მ ი ე რ , თ ბ ი ლ ი ს ი , 1885, გვ. 287—289

¹³ ა ნ ტ ო ნ ი მ ა ი ნ ც ვ ე რ ი ც ა ვ ს თ ა ნ ი მ დ ე ე რ ო ბ ა ს და ქ ე ვ მ ო თ ჩ ა მ ო თ ე ლ ი ლ მ ა გ ა ლ ი თ ე ბ თ ა ნ ზ ო გ ა ნ ე . წ . სა ყ ვ ლ ა დ ო ქ ა ო ა გ მ ა ს ა ე ხ მ ა რ ო ბ ს (ღ[~]ნ, ქ[~]ა, ქ[~]ნ და ა. შ.) . სა თ ა ნ ა დ ო ნ ი შ ნ ის უ ქ ო ნ ლ ო ბ ის გ ა მ ო ტ ე ქ ს ტ შ ი ა მ ის ა ღ ნ ი შ ე ნ ა ვ ე რ მ ო ზ ე რ ს დ ა .

ლატრია ბერძნული *λατρεία*, *λατρεία*-დან უნდა მომდინარეობდეს: *λατρεία*, *ισθ* *θ* *η* — *посланник, вестник, жрец.*
λατρεία *η* — *служение, почитание, культ.*

ტულია

ყდ-წა	ყოვლად წმიდა	ჯა	ჯუარსა
ღ-ის-მშობ-ლი	ღვთისმშობელი	სახ-რბა	სახარება
ღ-ის-მშ-ობსა	ღვთისმშობელისა	სახ-რბისა	სახარებისა
ჯი	ჯუარი	სახ-რბას	სახარებას
ჯისა	ჯუარისა	საკ-ნლი	საკურთხეველი

ბერძნულშია *τῆς θ* — *мозоль, деревянный гвоздь, вздутие, шишка*¹¹.
 მართლაც, ამ სიტყვების დაქარაგმების დროს გამოყენებული ქარაგმა ფორ-
 მით ამობურტულია და წააგავს ლურსმანს, კოპს.

იბერტულია

წა	წმიდა	მღუდელ-მგ-რი	მღუდელ-მთავარი
ანგ-ს	ანგელოს	მღ-დლი	მღუდელი
იშ-რლიმ	იერუსალიმ	კხ-ვა	კურთხევა
ი-ლ	ისრაილ	მოც-ქლი	მოციქული
კ-სი	კათალიკოსი	წწ-ყლი	წინასწარმეტყ- ველი

ეპი-სკსი ეპისკოპოსი

იბერტულია ბერძნული *ἐπέρερος* -იდან უნდა მომდინარეობდეს: *ἐπέ-
 ρερος* — *высший, высший*.

საყოვლადო ორგვარია: ა ს ო მ თ ა ვ რ უ ლ ე ბ ი თ ი, რომელიც იხმარება
 მთავრულით დაწერილ სიტყვებთან: ხ, რ, ად, და საზოგადო:

ა-დ	არამედ	შ-ს	შორის
ვ-მდის	ვიდრემდის	ფ-დ	ფრიად
ვ-ე	ვიდრე	შ-დ	შემდგომად
ქ-დ	ქუალად	შ-ა	შინა
ხ-	ხოლო	რ-ლ	რომელ
რ-	რამეთუ	შ-ე	შემიწყალე
ვ-ა	ვითარცა	შ-ენ	შეგვწყალენ
ვ-რ	ვითარ	ჩ-ი	ჩემი
ფ-დ	ფრიად	ჩ-ისა	ჩემისა
ყ-დ	ყოვლად	ჩ-სა	ჩემსა
ყ-ი	ყოველი	შ-ს	შენ
რ-ი	რომელი	შ-ნ-სა	შენსა
რ-ისა	რომლისა	თ-ქ-ნ	თქუნ
რ-ნ	რომელმან	ჩ-ნ	ჩუნ
წ-ნ-რ	წინასწარ	მ-ყ-ს-ლ-დ	მეყუსეულად

¹¹ Древнегреческо-русский словарь, составил И. Х. Дворецкий, I—II, Москва, 1958.

შემდგომ ჩამოწერილია სიტყვების შემცვლელი „ღრამნიშანი“.

დასასრულ ანტონი აღნიშნავს: „ჩუჲ არა ახალნი დაგუსხამნ ქარაგმანი, არცა ჩუჲნი რაჲმე პოვნილნი და თუ სადამე, რომელიმე ასოჲ განვმართეთ ქარაგმათა შინა, იგიცა განრყუნილი განვაახლეთ“. ქარაგმის არასწორად ხმარებამ „ადვილნი წერილნი ჩუჲნი გაძინელეს“, ამიტომ საჭიროა მწერლები „თქმულთა ქარაგმათა ეკრძაღნენ, და თუ სადამე თუთსჯულობით წინააღმდეგ იქმნენ, ჭეშმარიტად მეფობისა და მღუდელთ-მთავრობითისა ჭელმწიფებისა მიერ პატიებულნი, განიდევნებიან ტიპოღრაფიით“¹⁵.

ამრიგად, მეორე გადამუშავებულ რედაქციაში ანტონმა სულ მოხსნა საჭმოუანო ქარაგმა და მისი მაგალითები საზოგადოში გადაიტანა. საუფლო სიტყვებს უაღრესობითი უწოდა და სამად გაყო: საღმრთო სიტყვებად—ლა ტ-რ ი ა დ, ღმერთის შემდგომ წმინდა სიტყვებად—ტ უ ლ ი ა დ და საპატიო სიტყვებად—ი პ ე რ ტ უ ლ ი ა დ.

უაღრესობითი ქარაგმა ხელოვნურადაა შემოტანილი ანტონის მიერ. ძველ ქართულ ტექსტებში ყველა შემოკლებული სიტყვისათვის იხპარებოდა მხოლოდ ერთი სახის ქარაგმა, რომელსაც ანტონი საყოვლადოს უწოდებს. თავად ანტონიც ვერ იცავს თანმიმდევრობას და ე. წ. საპატიო სახელებისათვის ორივე ქარაგმას ხმარობს: უაღრესობითსაცა და საყოვლადოსაც. ასევე ხელოვნურია დაქარაგმებული სიტყვების დაყოფა ერთის მხრივ ლატრიად, ტულიად და იპერტულიად და მეორეს მხრივ—ასომთავრულებითად და საზოგადოდ.

საიდან შემოიტანა ანტონმა თავისი გრამატიკის მეორე რედაქციაში ბერძნული ტერმინები? როგორც ცნობილია, ანტონი გრამატიკის მეორე რედაქციაზე მუშაობდა რუსეთში ყოფნის დროს. ჩვენ გადავხედეთ მ. ლომონოსოვის „Российская грамматика“-ს, რომლითაც შესაძლებელია ესარგებლა ანტონს, მაგრამ ლომონოსოვი სიტყვათა დაქარაგმების წესებს სულ არ განიხილავს¹⁶. გრამატიკის მეორე რედაქციის შესავალში ანტონი აღნიშნავს: „როსიასა ყოფასა ჩემსა ვიკითხვი ელინურისა და ლათინურისა და ფრანციტულიისა და იტალიანურისა და გერმანიულიისა და რუსულიისა ენათა მეცნიერთად“. გრამატიკის პირველი რედაქციის შესავალშიც წერს: „მეცა და იგი ფილიპე არა სომეხთასა მართოდ ვიჭმარებდით ღრამმატიკოსობასა, არამედ ლათინთა ღრამმატიკასთაცა ვიკითხევდით“¹⁷.

ვფიქრობთ, ანტონს გრამატიკაზე მუშაობის დროს ხელთ უნდა ჰქონოდა რომელიმე ბერძნული სახელმძღვანელო, საიდანაც უნდა გადმოეტანა ეს ტერმინები.

პირველი მეცნიერული გამოკვლევა ქართული პალეოგრაფიის საკითხებზე და მათ შორის დაქარაგმების წესებზეც ეკუთვნის ი. ჯავახიშვილს. ი. ჯავახიშვილმა ქართული პალეოგრაფიის შესწავლას სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა—„ქართული დამწერლობათა-მკოდნეობა ანუ პალეო-

¹⁵ ანტონის გამოცემული გრამატიკა, გვ. 288—289.

¹⁶ М. В. Ломоносов, Труды по филологии, 1739—1758 гг., VII, Москва, Ленинград, 1952, გვ. 389—760.

¹⁷ ანტონის გამოცემული გრამატიკა, გვ. 2.

5. პალეოგრაფიული ძიებანი



გრადია¹⁸. ამ გამოკვლევაში სიტყვის შემოკლებულად წერის წესები განხილულია ცალკე თავში—„დაქარაგმების ნიშნები და წესი“.

ი. ჯავახიშვილი ასოს ან მარცვლის ნაკლებობის აღმნიშვნელ ტერმინებზედ ასახელებს ქარაგმასა და პატივს. ქარაგმა ბერძნული *τὸ χάρμα*-დან მომდინარედ მიაჩნია. ბერძნულში ეს ტერმინი „შუბლის ან ხელის ნაოჭს ნიშნავდა და, რაკი ქარაგმაც განივი სწორი ან ვახრილი ხაზის მსგავსად იწერებოდა, ალბათ, ამიტომ უნდა იყოს შემოკლების ნიშნის გამომხატველ ტერმინად გამოყენებული“¹⁹. მართლაც, ქარაგმა ბერძნულში ნიშნავს: *χάρμα* τὸ²⁰—1. знак, след, отпечаток, выжженный знак, клеймо, тавро, укус змеи.

2. изображение, чекан. ვ. начертание, письмо, рукопись, письмена. ამრიგად, ქართული ქარაგმის ბერძნული *τὸ χάρμα*-დან მომდინარეობა ეჭვს არ იწვევს.

მეორე ტერმინის, პატივის შესახებ ი. ჯავახიშვილი აღნიშნავს შემდეგს: „ტერმინი პატივი ეფერმე მცირის „გადმოცემისადმი“ დაწერილ შესავალშია ნახმარი. მას ნათქვამი აქვს, რომ ანტიოქიის მახლობლად მდებარე ბერძენთა სუბეონ-წმიდის მონასტრის წიგნთსაცავის ხელნაწერებში „საჭიროება სიტყვსა თარგმანი (იგულ. თარგმანება) პატივთა ზედა წიგნისათა უწერია“. ეს წინადადება მკვლევარს გადამწერთაგან დამახინჯებულად მიაჩნია: „დედანიში, ალბათ, ასე ეწერებოდა: „პატივთა კიდეთა ზედა წიგნისათა უწერია“-ო. ერთი სიტყვით, ეფერმე მცირეს უნდოდა ეთქვა, რომ ბერძნულ ხელნაწერებში განმარტებას კიდებზე წერდნენ დაქარაგმებული სიტყვებით. პატივი სპარსული სიტყვაა და თავსაკარავსა და თანამდებობას ნიშნავდა. სომხურშიც შემოსული იყო, სადაც *պատիւ*, ქართულის მსგავსად, სხვათა შორის, სიტყვის შემოკლების ნიშანსაც ეწოდებოდა“²¹.

თავდაპირველად ეს ვარაუდი სავსებით დამაჯერებელი ჩანდა, მაგრამ შემდგომ ტერმინი „პატივი“ გამოჩნდა სხვა ხელნაწერშიც, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი გახდა მისი მნიშვნელობის გარკვევა.

პატივის მნიშვნელობა გაარკვია თ. ხაჭომია²². მან ამ ტერმინს მიაკვლია ვანის სახარების ანდერძში. ვანის სახარების დასასრულს, რომელიც თამარ დედოფლის მლოცველს „იოანე საპყარს“ ეკუთვნის, წერია: „აწ ვინცა სწერდეთ, ვითა აქა პაოთ—ეგრე დაწერეთ წერტილითა: და პრეტთა ზედა მეორითა სიტყვითა: რანდერძი, ვითა აქა სწერია, ესრე პოვნილ არს ნუსხასა“. ხელნაწერში მათეს სახარების XII თავის მე-9 და მე-10 მუხლებს მოკლე შინაარსი გატანილია ხელნაწერის ზემო აწიაზე. სხვა შემთხვევაში ასეთ შინაწერებს ამავე სახარებაში ვხვდებით ქვემო აწიაზეც. მაშასადამე, ერთ სტრიქონში გადმოცემული მუხლების სწორედ ამ მოკლე შინაარსს უნ-

¹⁸ გამოცემულია ორჯერ: I—1926 წ. II—1949 წ. დამატებებითურთ, ი. აბულაძის რედაქტორობით.

¹⁹ იხ. ი. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 138.

²⁰ Древнегреческо-русский словарь, составил И. Х. Дворецкий, II, Москва, 1958, გვ. 1764.

²¹ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 138.

²² თ. ხაჭომია, ტერმინი პატივი-ს გამო ქართულ პალეოგრაფიაში, მიმოხილველი, III, 1953, გვ. 221—227.

და გულისხმობდეს გადამწერი „მეორითა სიტყვითა“—ში, და რაკი ეს მინაწერები ზემო ან ქვემო აშიაზა მოთავსებული, ნათელია, რომ პატივი ქართულში ზემო ან ქვემო აშიაზ ნიშნავს. მაშასადამე, დასკვნის ავტორი, „პატივი და ქარაგმა სხვადასხვა მნიშვნელობის ტერმინებია: ქარაგმა სიტყვის შემოკლების აღმნიშვნელი, ხოლო პატივი—წიგნის აშიაზა (კერძოდ, ზემო და ქვემო), რაც ტექსტებითაც დასტურდება“.

ი. ჯავახიშვილის გამოკვლევაში ზოგადადაა, მიმოხილული სიტყვათა შემოკლებით წერის წესების შემსწავლელი ლიტერატურა (კერძოდ, შასანისა და ტრაუბეს დებულებები) და შემუშავებულია მასთან დაკავშირებული ქართული ტერმინები. სიტყვათა შემოკლებით წერის აღსანიშნავად ი. ჯავახიშვილმა შემოიღო ტერმინი „დაქარაგმება“, suspension-ისთვის—ხოლო შეკვეცილობითი დაქარაგმება, contraction-ისთვის—შუა შეკვეცილობითი დაქარაგმება. დაქარაგმებისათვის, რომელიც სიტყვის უხმოვნოდ დაწერაზე დამყარებული—უხმოვნო დაქარაგმება, ხოლო დაქარაგმებისათვის, როდესაც სიტყვის მხოლოდ დასაწყისი ასო იწერება—მხოლოდ ასოიანი დაქარაგმება.

ქართულში დაქარაგმების წესებს ზოგადად ეხება აგრეთვე გ. მიქაძე²².

შემოკლებული სიტყვების მოკლე სია ძველი ხელნაწერების გამომცემელთა დასახმარებლად დაბეჭდა ნ. მარმა²⁴.

დაქარაგმებული სიტყვების სია ანბანურ რიგზე დართული აქვს ილ. აბულაძის მიერ გამოცემულ „პალეოგრაფიულ ალბომს“²⁵. ალბომში თავმოყრილია სხვადასხვა საუკუნეების ტექსტები სხვადასხვა ორთოგრაფიით. ქარაგმებიც ისეა გახსნილი, როგორც სათანადო ძველის წაითხვას შეეფერება.

ზემოთ ჩამოთვლილთა გარდა, ძველი ძეგლების გამომცემლები წინასიტყვაობებში შეტ-ნაკლებად მიმოიხილავენ ძეგლში ნახმარ დაქარაგმებულ სიტყვებს.

დაქარაგმების წესები ბერძნულში

ჩვენამდე მოღწეული უძველესი ქართული წერილობითი ძეგლები, პალიმფსესტებიდან დაწყებული, საღვთისმსახურო ხასიათისაა. ეს ტექსტები, ქრისტიანობის გავრცელებასთან ერთად, ძირითადად ბერძნულიდან ითარგმნებოდა, ამიტომ დაქარაგმების წესების შესწავლისათვის ქართულში აუცილებელია გავითვალისწინოთ, რა მდგომარეობა გვაქვს ამ მხრივ ბერძნულ ხელნაწერებში. ქართულად ბერძნული ტექსტების თარგმნასთან ერთად ხომ არ გადმოჰქონდათ დაქარაგმებისათვის ის პრინციპები, რაც ბერძნულ ხელნაწერებშია გამოყენებული.

ძველ ბერძნულ ხელნაწერებში სიტყვათა შემოკლებისათვის რამდენიმე სისტემა იყო შემუშავებული. შევხებით თითოეულ მათგანს ცალ-ცალკე:

²² გ. მიქაძე, ქართული ხელნაწერების შესწავლა და აღწერა, 1957.

²⁴ Пособие для работ по армяно-грузинской филологии, I. С. — П. 6. 1914, стр. 7. О написании сложных слов и раскрытии титла (к руководству—для издателей древнегрузинских текстов).

²⁵ ქართული წერის ნიმუშები, პალეოგრაფიული ალბომი, შეადგინა ილია აბულაძემ, თბილისი, 1949, გვ. 330—356.



I. სიტყვათა შემოკლების ყველაზე პრიმიტიული წესია სუსპენსია. სუსპენსიის დროს წერდნენ სიტყვის დასაწყის პირველ ნაწილს, სიტყვის ფუძეს. ხოლო ბრუნვის, ზმნის პირისა და რიცხვის ნიშნებს დაუწერელს ტოვებდნენ.

ქართულად ამ სისტემას ი. ჯავახიშვილი ბოლომეკვეცილობით დაქარაგმებას ან უბრალოდ ბოლომეკვეცილობას უწოდებს.

ძველ ქართულ ხელნაწერებში ამ წესით შემოკლებული სიტყვები ჩვეულებრივ არ დასტურდება, მაგრამ გვხვდება შემთხვევები, როდესაც სიტყვა გაწყვეტილია შუაზე სტრიქონის ბოლოს ან ჩამატების შემთხვევაში. შეწყვეტილ სიტყვას გადამწერები ზოგჯერ ქარაგმას ურთავენ.

II. ბერძნულში შემოკლების მიზნით წერდნენ აგრეთვე სიტყვის მხოლოდ დასაწყის ასოს (*littera singularis*). რაკი ასეთ შემოკლებას საფუძვლად სიტყვის დასაწყისი ასო ედო, თვით ამ სისტემასაც *abbreviaturae per litteras singulares* ეწოდა. ამ შემოკლებას ქართულად „მხოლოასოიანი დაქარაგმება“ ეწოდება. მხოლოასოიან დაქარაგმებას ბერძნული ხელნაწერები მიმართავენ ჩვენი წელთაღრიცხვის I ს-დან²⁶.

ეს წესი გამოასყენებლად მეტად მოუხერხებელი იყო და ხშირად გაუგებრობას იწვევდა, ამიტომ ამ წესის მიხედვით სიტყვათა მხოლოდ განსახლებულ რაოდენობას დაქარაგმებდნენ: კავშირებს, თანდებულებს. ბრუნვის ნიშნებსა და ზმნის დაბოლოებებს, აგრეთვე ზომა-წონის აღმნიშვნელ სახელებს. შემოკლების აღსანიშნავად ასოს თავზე ეწერებოდა ნიშანი, დახრილი ხაზი. თუ ორი სიტყვა ერთსა და იმავე ასოზე იწყებოდა, მაშინ ამ ხაზის მიმართულება განსაზღვრავდა სიტყვის შინაარსს. თუ x-ს თავზე დასმული დახრილი ხაზი მარცხნიდან მარჯვნივ იყო მიმართული, ქარაგმადართული x ნიშნავდა xz-ს, ხოლო თუ პირიქით, მარჯვნიდან მარცხნივ—xaz-ს.

მხოლოასოიანი დაქარაგმება ქართულში სისტემატურად მხოლოდ ორ სიტყვასთან გვხვდება: რამეთუ—რ, ხოლო—ხ. ეს ორი სიტყვა ძველ ქართულ ხელნაწერებში ყოველთვის ამგვარადაა შემოკლებული. ამათ გარდა იშვიათად ამ წესით შემოკლებულია თანდებული -გან და მოთხრობითი ბრუნვის ნიშანი -მან. თანდებული -გან ძველ ქართულ ხელნაწერებში ძირითადად დაქარაგმებულია -გნ ფორმით, მოთხრობითი ბრუნვის ნიშანი მან—მნ ფორმით. იშვიათად, მხოლოდ სტრიქონის ბოლოს, უადგილობის გამო ან ჩამატების შემთხვევებში თანდებული -გან გვხვდება -გ ფორმით, ხოლო მოთხრობითი ბრუნვის ნიშანი—-მან—მ ფორმით.

-გან: სიტყვათა შნთგ—ად. 43 v. 7, მისგ—პარხ. 28 ra 19; თუსგ—პარხ. 30 ra 8, ქლქებისგ—პარხ. 32 v. 11, მათთგ—პარხ. 35 r. 15, ჩემისგ—პარხ. 41 v. 4, საგრძნობელთგ—შ. კ. 2 ra 9, ორთგ—შ. კ. 3 v. 5, ძრვისგ—შ. კ. 4 v. 2.

-მან: ხ დღისა მისვე და ჟამისა არავინ იცის, არცა ძემ გარნა მამან მხოლომან—პარხ. 57 ra 20, r. 1--2. ერთმან იჯსთანამ პარხ. 64 ra 2.

ეს წესი სისტემატურად გამოყენებულია ქილ-ეტრატის იადგარში.

მხოლოასოიანი დაქარაგმება ქართულში სხვა სიტყვებთან ვერ გავრცელდა. ამ წესის გავრცელებას ხელი იმანაც შეუშალა, რომ შემოკლების აღსა-

²⁶ Г. Церетели, Сокращения в греческих рукописях, 1904, гл. XVI—XVII.

ნიშნავად ქართულში გამოყენებულია მხოლოდ ერთი სახის ქარაგმა, სწორი ჰორიზონტალური ხაზი თავსა და ბოლოში დართული წერტილებით, ან მოკლე დახრილი ხაზებით, ამიტომ ქარაგმადართული რ, რომელიც რამეთუ-ს აღნიშნავდა, რაათა-ს აღსანიშნავად უკვე ვეღარ გამოდგებოდა, შდრ. ბერძნული ქარაგმადართული χ, სადაც სიტყვის შინაარსს დახრილი ხაზის მიმართულება განსაზღვრავდა.

III. სიტყვათა შემოკლებისათვის ჯერ კიდევ ანტიკური ხანის ხელნაწერებში IV ს-დან ჩვ. წელთაღრიცხვამდე²⁷ გამოყენებული იყო სპეციალური სტენოგრაფიული ნიშნები, რომლებითაც აღინიშნებოდა თანდებულები, ნაცვალსახელები და სხვა ხშირად ხმარებული სიტყვები. უფრო გვიან, შუა საუკუნეებში, სტენოგრაფიული ნიშნებით გადმოიცემოდა სიტყვის შემადგენელი მარცვლები. სტენოგრაფიული ნიშნებით სიტყვათა შემოკლება ქართული ხელნაწერებისათვის სრულიად უცხოა.

IV. შემოკლების მიზნით წერდნენ სიტყვის დასაწყისს, მომდევნო ერთ ან ორ ასოს კი შემოკლებულ სიტყვას თავზე აწერდნენ, ან სტრიქონის ქვევით მიაწერდნენ ხოლმე. ეს წესი ბერძნულში საკმაოდ გავრცელებული იყო ჩვენს წელთაღრიცხვამდე III—II სს-ში, მას ბერძნული ხელნაწერები სხვადასხვა ფორმით იყენებდნენ:

1. სიტყვა წყდება ხმოვანზე, რომელიც თავზე ეწერება წინა თანხმოვანს.
2. სიტყვა წყდება თანხმოვანზე, რომელიც თავზე ეწერება წინა ხმოვანს.
3. სიტყვის დასაწყისი ასოები იწერება სტრიქონზე, ხოლო მომდევნო ერთი ან ორი თანხმოვანი თავზე ეწერება.
4. სიტყვის დასაწყისიდან მეორე ასო ან პირველ ასოშია ჩაწერილი, ან მიწერილია ქვევით.
5. სიტყვის დასაწყისი პირველი ასო ჩაწერილია მომდევნოში და ა. შ.²⁸ ქართულ ხელნაწერებში სიტყვათა შემოკლებისათვის არც ერთი ზემოთ ჩამოთვლილი წესთაგანი არ არის გამოყენებული.

V. სიტყვათა შემოკლების ერთ-ერთი სისტემაა კონტრაქცია. კონტრაქციის დროს იწერება სიტყვის დასაწყისი და დასასრული ასოები ან მარცვლები, სიტყვის შუა ნაწილი კი დაუწერელი რჩება. შემოკლების ნიშნად სიტყვას თავზე დასმული აქვს სწორი ჰორიზონტალური ხაზი. თუ შემოკლებული სიტყვა გრძელია, მაშინ ერთმანეთის გასწვრივ ორი სწორი ხაზი იწერება. სამეცნიერო ლიტერატურაში ამ წესს კონტრაქცია ეწოდება, ი. ჯავახიშვილი ქართულად „შუა შეკვეცილობით დაქარაგმებას“ ან მოკლედ „შუა შეკვეციობას“ უწოდებს.

ბერძნულ ხელნაწერებში კონტრაქციის წესით მოკლდებოდა სიტყვების მხოლოდ განსაზღვრული რაოდენობა, ე. წ. nomina sacra, წმინდა სახელები:

²⁷ С. И. Соколовский, Греческая палеография. Курс лекций, читанных в Московском археологическом институте в 1908 | 1909 г. Московская синодальная типография, 1909.

²⁸ გ. წერეთელი, დასახ. შრომა, გვ. XIV.

ΘΕΟΣ Θ̄C Θ̄U Θ̄Ω Θ̄N Θ̄E Θ̄EC
 ΚΥΡΙΟΣ Κ̄C K̄U K̄PC K̄OU K̄UΩ
 ΠΝΕΥΜΑ Π̄NΑ Π̄NC Π̄NΙ Π̄N Π̄MΑ Π̄NΙ Π̄NΙΚOC Π̄NΑΤΙΚOC
 Π̄NΑΤΑ
 ΠΑΤΗΡ Π̄HP Π̄PC Π̄PI Π̄PA Π̄EP Π̄PEC Π̄PΩN Π̄PAC Π̄P Π̄TP
 ΟΥΡΑΝOC ΟΥNOC ΟΥNΟΙ
 ΑΝΘΡΩΠOC ΑNOC ΑNΘΠIC ΑNΘPC ΑNHC ΑNΘΠHO ΑNΘΠHC
 ΑNΘPΩN
 ΔΑΥΕΙΑ Δ̄AΔ Δ̄IΔ Δ̄Δ
 ΙCΡΑΗΛ ῙHΛ ῙCΔ ῙCΗΛ ῙPΔ ῙCPΔ
 ΙΕΡΟΥCΑΛΗM ῙAHM ῙAM ΙΟΥCΑΑM ῙEΔHM ῙHM ῙEAM ῙEM
 ΙHCΟΥC XPICTOC ΙHC IC ΙHM IHY XC XPC XPU XOU
 UIOC UC UY
 CΩTHP CHP CPC CPI CPA COC CPC CΩP CPI CPIAN CΠION
 CTAPOC CTC CTPC CTPY CPN
 MHTHP MHP MPA MHPC²⁹.

ლ. ტრაუბე შრომაში „Nomina sacra“ დაწვრილებით შეეხო კონტრაქციის წარმომავლობის საკითხს²⁹.

ლუდვიგ ტრაუბეს კონცეფცია

ანტიკური ხანის პაპირუსებში თითქმის არ დასტურდება კონტრაქციის წესით შემოკლებული სიტყვები. კონტრაქციამ თავი იჩინა მხოლოდ და მხოლოდ ქრისტიანული ხასიათის ტექსტებში, სადაც თავდაპირველად მძან და ჯრძი იწერებოდა შემოკლებულად, შემდგომ ასეთი სიტყვების რიცხვი თანდათანობით გაიზარდა, მაგრამ ე. წ. „წმინდა სახელების“ ფარგლებს არ გაცილებია. რაკი კონტრაქციის წესით დაქარაგმებული სიტყვების რაოდენობა ბერძნულ ხელნაწერებში მეტად მცირე იყო, ტრაუბე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ამ შემოკლებებს არ ჰქონდათ ის პრაქტიკული დანიშნულება, რაც საერთოდ სიტყვათა შემოკლებით წერას ჰქონდა. კერძოდ, ის არ გამოადგებოდა დროისა და საწერი მასალის ეკონომიისათვის.

წმინდა სახელების ასე წერა ბერძნებს შეთვისებული უნდა ჰქონდეთ ებრაულიდან ბიბლიის თარგმანსთან ერთად. ებრაულ ხელნაწერებში ღმერთისათვის იწერებოდა ოთხი თანხმოვანი, მაგიური ტეტრაგრამა, რომელიც ღმერთის სახელზე დაფარულად მიანიშნებდა. მისი წარმოთქმა მხოლოდ ღვთისმსახურებს შეეძლოთ. ეს იყო Iaiue, რომელსაც ტრადიციით იელოვად წარმოთქვამდნენ. თუ როგორ გამოთქვამდნენ მას ებრაელი ღვთისმსახურები, ჩვენთვის უცნობია. ყველასათვის წარმოსათქმელად კი იყო ღმერთის მეორე სახელი Adonay, ჯრძი—უფალი. ამ სახელებს, ტექსტიდან გამოყოფის მიზნით, წერდნენ ოქროს ან ვერცხლის ასოებით. თანხმოვნებით გადმოცემული

²⁹ Traube, Nomina sacra. Versuch einer Geschichte der christlichen Kürzung, München, 1907.

ლმერთის აღმნიშვნელი სახელი ებრაელისათვის არავითარ შემთხვევაში არ წარმოადგენდა შემოკლებას, რადგან ებრაულში, როგორც საერთოდ სემიტურ ენებში, ტექსტი უხმოვნებოდ იწერებოდა. თანხმოვნებით დაწერილი ლმერთის სახელი ბერძნებმა ტაბუს, დაფარვის, მიზნით აგრეთვე უხმოვნებოდ, შესაბამისი თანხმოვნებით გადმოიღეს: $\Theta\bar{C}$ და $K\bar{C}$. ხოლო ტექსტიდან განოყოფის მიზნით თავზე გაუკეთეს სწორი პორიზონტალური ხაზი.

ბერძნულში თანხმოვნებით დაწერილი $\Theta\bar{C}$ და $K\bar{C}$ ძველი აღთქმის წიგნებში გვხვდება, მათ გვერდით ახალი აღთქმის წიგნებში გაჩნდა ამავე წესით დაწერილი IC და XC , შემდეგ კი ყველა დანარჩენი 15 სახელი. კონტრაქცია ბერძნულში ვერ გავრცელდა. იგი, როგორც ჩანს, ბერძნული ენის ბუნებისათვის მიუღებელი იყო. ეს კი კიდევ ერთი დამამტკიცებელი საბუთია იმისა, რომ კონტრაქცია ბერძნულში საკუთარ ნიადაგზე არ აღმოცენებულა. იგი ბიბლიის თარგმნასთან ერთად აღმოსავლეთიდანაა შეტანილი.

ტრაუბეს დებულება ბოლო დრომდე გაზიარებული იყო. მხოლოდ ბოლო დროს პაპმა მოითხოვა ამ დებულების გადასინჯვა. მან შეისწავლა გამოქვეყნებული პაპიროლოგიური მასალა და დაასკვნა, რომ თანხმოვნებით დაწერილი წმინდა სახელები ბერძნულ პაპირუსებში მხოლოდ აქა-იქ, სპორადულად გვხვდება. კერძოდ, ზედა პირველად II ს. პირველ ნახევარში შეგვხვდა შემოკლებული ფორმით. ამავე დროს გვხვდება აგრეთვე შემოკლებული Ἰεσοῦς , Ἰησοῦς , Ἰεραῖος , κρησῖς , πατρις და πνεῦμα ; σχαρῖς და σῖς გვხვდება ქრისტეს მერე 200 წელს, επαρῖς —ქრისტეს მერე 220 წელს; Χριστῖς —II ს. ის მეორე ნახევარში და III ს. პირველ ნახევარში. Ἰεσοῦς —III ს. მეორე ნახევარში; Δαυιδῖς —ქრისტეს მერე 300 წელს. μῆτρῖς —IV ს., σαρῖς —IV ს. ბოლოს. ტრაუბეს დებულებას დაბრკოლებაა უქმნის ის გარემოება, რომ ბერძნულ წარწერებში წმინდა სახელები აშკარად შემოკლებული ფორმით გვხვდება. შემოკლებისათვის გამოყენებულია ბერძნულში საკმაოდ ფეხმოკიდებული ხერხი, სუსპენსია (შდრ. IH —წარწერებში და IC —ხელნაწერებში).

ამრიგად, დასკვნის პაპი: „საკითხი, თუ სად ვეძიოთ წარმომავლობა წმინდა სახელების შემოკლებებისა, საძიებელია და ჯერ უმასხობა და არჩენილი“³⁰.

ჩვენ გადავთვალევრეთ ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში დაცული ბერძნული ოთხთავები IX—X საუკუნეებისა³¹. ამ ოთხთავებში კონტრაქციის წესით მხოლოდ წმინდა სახელები შეგვხვდა დაქარაგმებული, სახარების მთელი ტექსტი კი დაუქარაგმებლადაა ნაწერი.

ამრიგად, ბერძნულ ქრისტიანული ხასიათის ტექსტებში სიტყვათა შემოკლების ის პრინციპები, რომლებსაც ანტიკური ხანის ხელნაწერები მი-

³⁰ P a a p. Nomina sacra in the greek papyri of the first five centuries A. D. Scriptorium, t. XIII n° 2, 1959, გვ. 314.

³¹ ხელნაწერები: греч. 33, греч. 34, греч. 54.

გართავდნენ, არ არის გამოყენებული. საღვთისმსახურო ტექსტებში მხოლოდ წმინდა სახელებია დაწერილი კონტრაქციის წესით მათი შემოკლებისა თუ დატარვის მიზნით.

ბერძნულიდან სხვა ენებზე ქრისტიანული ლიტერატურის თარგმანსთან ერთად გადმოჰქონდათ სიტყვათა შემოკლების ის წესი, რომელიც ბერძნულ საღვთისმსახურო ტექსტებში იყო გამოყენებული, კერძოდ, ე. წ. წმინდა სახელების თანხმობებით წერა, ამიტომ სიტყვათა შემოკლების სხვა წესები, რომლებიც ბერძნულ არასასულიერო ხასიათის ტექსტებში იყო გამოყენებული, ამ ენებისათვის, და მათ შორის ძველი ქართულისა და ძველი სომხურისათვისაც, უცხო დარჩა.

სომხურისათვის მაგალითები ამოვიწერეთ 887 წლის სომხურა ოთხთავის³² მათეს თავიდან. სომხურ ოთხთავში დაქარაგმებული შეგვხვდა მხოლოდ ღმერთი, უფალი, იერუსლემი, ისრაელი, იესუ და ქრისტე სხვადასხვა ბრუნვებში. მათი ფორმები ზედმიწევნით თანხედება ბერძნულს (შდრ. გვ.78):

$\overline{\Theta C}$, $\overline{M\theta}$ — *ათათათ*

$\overline{M\theta}$ —7 ra, 15 va, 41va.

$\overline{2M\theta}$ —10 ra.

$\overline{M\theta}$ —6 vb, 8ra.

\overline{IHA} , $\overline{I\theta\theta}$ — *იერუსელე*

$\overline{I\theta\theta}$ —6 ra, 23 vb, 25 ra.

$\overline{2I\theta\theta}$ —5 ra.

$\overline{3I\theta\theta}$ —18 va, 22 vb.

\overline{IHM} , — *3E\theta* — *ეროსაელე*

$\overline{3E\theta}$ —4 va, 12rb, 35 vb.

$\overline{E\theta}$ —6 vb.

$\overline{E\theta}$ —4 vb.

$\overline{3E\theta}$ —9 vb, 31 vb.

\overline{IC} , $\overline{3M}$ — *3იოსა*

$\overline{3M}$ —3 vb, 4 ra, 4 va.

$\overline{3M}$ —7 va.

$\overline{23M}$ —37 ra.

$\overline{3M}$ —4 va, 20 rb, 20 va.

\overline{KC} , \overline{SP} — *სტე*

\overline{SP} —17 rb, 18 ra, 18 rb.

$\overline{2SP}$ —8 ra, 25 ra.

\overline{SN} —4 va, 5va, 6 ra.

\overline{SPN} —40va, 41 ra.

\overline{XC} , \overline{PM} — *ქრისტოს*

\overline{PM} —3 vb.

\overline{PM} —4 ra, 26 va.

\overline{PMN} —4 vb, 35 rb, 35vb.

³² *Աւետարանն զբարևիք ամի տէառն 887, Մովսէս, 1899.*

ასეთივე სურათი გვაქვს ერევნის „მატენადარანის“ ხელნაწერებში: 1099 წლის ოთხთავში № 288 და X—XI სს. ოთხთავში № 6384³³.

შემდგომ შემოკლებული სიტყვების რიცხვი სომხურ ხელნაწერებშიც თანდათანობით გაიზარდა.

ქართულში ბერძნულისა და სომხურისაგან განსხვავებული სურათი გვაქვს. აქაც უფალი, ღმერთი, ისრაელი, იერუსალემი, იესუ, ქრისტე, სული, ჯუარი და ა. შ. ისევეა დაქარაგმებული, როგორც ბერძნულში, ოღონდ ბერძნულისა და სომხურისაგან განსხვავებით, ჯერ-ჯერობით ჩვენამდე მოღწეულ ქართულ ძეგლთაგან, იქნება ის ხანმეტრი, პანმეტრი თუ X ს-ისა, არც ერთი არ იფარვლება მხოლოდ ამ სიტყვებით. აქ ზემოთ ჩამოთვლილი სახელების გარდა დაქარაგმებულია არსებითი სახელები, ზედსართავი სახელები, ნაცვალ-სახელები, თანდებულები, კავშირები, ზმნები, ზმნისხედები, ზმნისწინები, უფრო გვიან ბრუნვისა და ზმნის ჰირის ნიშნები.

„წმინდა სახელების“ შემოკლების მიზანი ქართულში

რა მდგომარეობა გვაქვს ე. წ. წმინდა სახელების შემოკლების მხრივ ქართულში?

ძველად არსებობდა შეხედულება, რომ წმინდა სახელები, სხვა სახელებისაგან განსხვავებით, სრულად არ უნდა ეწერათ, მათზე მხოლოდ უნდა მიენიშნებინათ და ქარაგმით დაეფარათ. პირველად ტრაუბემ მიაგნო IX ს. ლათინურ პაპირუსს, რომელიც წმინდა სახელების ქარაგმით წერას ეხებოდა. ამ პაპირუსის სიტყვა-სიტყვითი თარგმანი მოტანილია დობიაშ-როჯდესტვენსკაიას წიგნში: „Так поучает христиан из Ставеляо (середина IX в.)— Имя Иисус пишется у нас через иота, эта, сигма и черту (над ними). Потому, что... (так) пишется оно в греческих книгах. Подобно тому и другие имена божии должны писаться прикровенно, ибо имя божие не может быть выражено в буквах. Когда же означает просто человека, пишется всеми буквами“³⁴.

ასეთივე შეხედულება არსებობდა ძველ სლავურშიც: „О, каллиграфе, не смешай несмешное, но отделий Спасово имя... и солнце праведное... сия вся покрыто пиши, и солнню видимое... складом пиши“³⁵. ან „Богов идолских и благ земных... отнюдь не покрывай, но складом пиши“³⁵.

ეს მოსაზრებები ბერძნულისა და სლავურისათვის საფუძველს მოკლებული არ არის. ცხადია, რომ დაფარვის მიზნით იყო თუ სიტყვების შემოკლებით წერის მიზნით, ბერძნულ ქრისტიანული ხასიათის ტექსტებში და მათი მიბძვით აღრიცხულ ლათინურ, სომხურ და სლავურ ტექსტებშიც ქარაგმის ქვეშ მხოლოდ წმინდა სახელები იწერებოდა. ქართულისათვის მსგავსი მოსაზრება ვამოთქმული აქვს სულხან-საბა ორბელიანს. ლექსიკონში ღმერთის განმარტებისას საბა აღნიშნავს: „უკეთუ დამბადებელსა ღოსა ქარაგმა დაუსვა, ზედეთ ჭამს დასმა, ხოლო ცრუსა და ამაოსა ღოსა კერპათასა ქვეშეთ ჭამს

³³ ამ ხელნაწერების შესახებ ცნობები მოგვაწოდა ვლენე ცაგარეიშვილმა.

³⁴ О. А. Добиаш-Рождественская, История письма в средние века, 1936.

³⁵ Л. В. Черепнин, Русская палеография. Москва, 1956, гл. 153.

დასმა ქარაგმისა, რათა გაირჩეოდეს³⁶. ამ განმარტებიდან ჩანს, რომ ღსანა ქარაგმას სიტყვის შემოკლების გარდა კიდევ აძლევს დამატებით დანიშნულებას, როგორც სიტყვის გამრჩევებს. ქარაგმის საშუალებით გაირჩევა ქეშმარიტ „დამბადებელ“ ღმერთზეა ლაპარაკი, თუ „ცრუ და ამოა“ ღმერთზე. გარჩევისათვის გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება ქარაგმის ადგილს, სიტყვის „ზედეთ“ იქნება დასმული, თუ სიტყვის „ქვეშეთ“. ქეშმარიტ ღმერთს ქარაგმა სიტყვის „ზედეთ“ დაესმის, ხოლო ცრუ ღმერთს—„ქვეშეთ“.

ანტონ კათალიკოსიც თავის გრამატიკაში დაქარაგმებულ სიტყვებს ორ ნაწილად ჰყოფს: წმინდა სახელებად და სხვა შემოკლებულ სიტყვებად. ქარაგმაც ორგვარია: უაღრესობითი და საყოვლადო. უაღრესობითი ქარაგმა წმინდა სახელებს დაესმის, ხოლო საყოვლადო—სხვა დანარჩენ სიტყვებს.

ამრიგად, საბასა და ანტონის აზრით, ქართულში „წმინდა სახელებიც“ ქარაგმით იწერებოდა და „არაწმინდაც“. თავად ქარაგმაც სიტყვის შემოკლების აღმნიშვნელია, ოღონდ წმინდა სახელების გამოყოფა მაინც ხერხდება.

რამდენად შეესაბამება საბასა და ანტონის მიერ გამოთქმული მოსაზრებები ძველი ქართულის სინამდვილეს. ძველ ქართულში ქარაგმით იწერებოდა როგორც წმინდა სახელები, ასევე მთელი რიგი სხვა სიტყვებიც. ყველაზე უძველესი ქართული ძეგლებიც კი წმინდა სახელების გვერდით ამოკლებს სხვა სახელებსაც, აგრეთვე თანდებულებს, კავშირებს, ნაცვალსახელებს, ზმნებსა და ზმნისზედებს. მეტიც, ძველ ქართულ ხელნაწერებში ქარაგმით იწერებოდა ის სიტყვებიც, რომლებიც თავისი შინაარსით „არაწმინდა სახელების“ რიგში ჩადგებოდა:

მაგ.: არ აწ^ა—H—1329 ჰაემეტი პალიმფსესტის საკითხავებში 32v 15, ჯრ. 49va 2, ბარხ. 27va 15. არ აწ^ა—ად. 148 va 12, 203 vb 1, ჯრ. 33 ra 3, ბარხ. 20 ra 15.

ანტექე—შ. კ. 278 ხ 8, 319 ხ 13, 369 ა 3. ანტექა—383 ა 3. ეშმქა—შ. კ. 116 ra 8.

ც^ადვა—შ. კ. 520 rb 12. ც^ადვა—ბარხ. 62va 2.

ც^ადვლა—ს. მრ. 52va 8.

წრმრ^ათა—შ. კ. 339 ა 25.

ჯჯ^ახთი—ს. მრ. 121 vb 5. ჯჯ^ახთისნი—ს. მრ. 126 va 23. ჯ^აჯ^ახთისათა—ს. მრ. 126 vb 18.

ულ^ათა—შ. კ. 555ხ 33.

ძველ ქართულ ხელნაწერებში უფრო მეტი რაოდენობით მაინც წმინდა სახელები ქარაგმდებოდა. ეს კი გამოწვეული უნდა იყოს იმით, რომ ბერძნულში, საიდანაც ძირითადად ითარგმნებოდა ქართული ტექსტები, მხოლოდ წმინდა სახელები იყო დაქარაგმებული, ამას კი მაინც ჰქონდა გავლენა შესამოკლებელი სიტყვების შერჩევისათვის. თანაც, სიტყვათა შემოკლების დროს ყველასათვის ცნობილ და ფართოდ გავრცელებულ სიტყვებს ამოკლებდნენ. ქრისტიანული ხასიათის ტექსტებში კი ასეთი სიტყვები, ბუნებრივია, საღვთისმსახურო ლექსიკიდან იქნებოდა.

შემოკლებულ სიტყვას თავზე იწერებოდა მხოლოდ ერთი სახის ქარაგმა. ამრიგად, ანტონის დებულება, რომ წმინდა სახელებს უაღრესობითი ქარაგ-

³⁶ ს. სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი. ყიფშიძისა და ა. შა-ნიძის რედაქციით, ტფილისი, 1928, გვ. 378.

მა დაესმის, ხოლო სხვა შემოკლებულ სიტყვებს — საყოველთაოდ, ხელოვნურია და სინამდვილეს არ შეეფერება. ასევე ხელოვნურია საბას მიერ გამოთქმული მოსაზრება ქარაგმის ადგილის შესახებ. ქარაგმა შემოკლებულ სიტყვას, ქრისტიანული ღმერთის სახელი იქნებოდა თუ ცრუ ღმერთის სახელი, ყოველთვის თავზე ეწერებოდა.

ამრიგად, თუ ბერძნულ ქრისტიანული ხასიათის ტექსტებში კონტრაქციის წესით დაქარაგმებული წმინდა სახელები საწერი მასალისა და დროის ეკონომიისათვის არ გამოდგებოდა და ქარაგმა, შესაძლებელია, წმინდა სახელების დაფარვის მიზნით ყოფილიყო ნახმარი, დაქარაგმებას ქართულში წმინდა პრაქტიკული დანიშნულება აქონდა: საწერი მასალის ეკონომია. ამის ყველაზე საუკეთესო დამამტკიცებელი ფაქტი ის არის, რომ ძველ ქართულ ხელნაწერებში შემოკლებული სიტყვების ყველაზე დიდი რაოდენობა სტრიქონის ბოლოს მოდიოდა. ჩვენს მიერ განხილული ხელნაწერებიდან გამოიყოფა რიგი სიტყვებისა, რომლებსაც გადამწერები ჩვეულებრივ არ აქარაგმებენ, მაგრამ სტრიქონის ბოლოს, უადგილობის გამო შემოკლებულად წერენ.

ჩვენამდე მოღწეული უძველესი ქართული ძეგლებიდან განვიხილეთ ხუთი ხანმეტური პალიმფსესტი V—VI საუკუნეებისა³⁷:

I. ოქსფორდის პალიმფსესტი, შეიცავს იერემიას წინასწარმეტყველებას.

II. თბილისის უნივერსიტეტის სიძველეთა მუზეუმის ხელნაწერი A—737. ნაწერია სხვადასხვა ხელით: ასომთავრულითაცა და ნუსხურითაც. შეიცავს აპოკრიფს „საქმენი მოციქულთანი“.

III. თბილისის უნივერსიტეტის სიძველეთა მუზეუმის ეტრატის ხელნაწერი A—89, ოთხთავი.

IV. თბილისის უნივერსიტეტის სიძველეთა მუზეუმის ხელნაწერი A—844, ოთხთავი.

V. საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმის ხელნაწერი H—999, შეიცავს ფრაგმენტებს დაბადებიდან და ოთხთავიდან. ი. ჯავახიშვილის აზრით, ხუთივე პალიმფსესტი V—VI საუკუნეებისად უნდა იყოს მიჩნეული.

ხანმეტი ლექციონარი³⁸, გადაწერილი VII ს-ის მეორე ნახევარში.

ხანმეტი მრავალთავი³⁹—VIII ს. I ნახევრისა.

ჰემეტი პალიმფსესტი, იერუსალიმის განჩინებისა და განწესების წიგნი⁴⁰, VIII ს-ისა.

სიტყვების დაქარაგმების მხრივ ზემოთ განხილული ხელნაწერები, გარდა იერუსალიმის განჩინების წიგნის ტიპიკონური შენიშვნებისა, დაახლოებით ერთნაირ სურათს გვაძლევს. ყველგან დაქარაგმებული გვხვდება კავშირები: ად, ვე, ვრ, ვა, ვდ, რა, რ და ხ. ვითარ დაქარაგმებულია აგრეთვე გეგვრ-სა და ესეგვრ-ში.

³⁷ ი. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, თბ., 1949, გვ. 274—366.

³⁸ ხანმეტი ლექციონარი, ფოტოტიპიური რეპროდუქცია, გამოსცა და სიმფონია და-ურთო ა. შანიძემ, თბილისი, 1944.

³⁹ ა. შანიძე, ხანმეტი მრავალთავი, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, VII, გვ. 98—159.

⁴⁰ ა. შანიძე, ჰემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართულ ენის ისტორიისათვის, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, № 3, 1923, გვ. 354—388.

სახელთაგან ყველგან დაქარაგმებულია: იერუსალემი, ისრაელი, უფალი, ღმერთი, იესუ, ქრისტე, ჯუარი, დავით, ფსალმუნი. ერთგან, H—999 პალიმფსესტში, სტრიქონის ბოლოს დაქარაგმებული შეგვხვდა ქუეყანა. ხანმეტ მრავალთავში მათ რიცხვს ემატება მამა, სულ და წმიდა, აგრეთვე ერმან და წიგნი, ხოლო იერუსალიმის განჩინებისა და განწესების წიგნის საკითხავეებში: არაწმიდა.

პალიმფსესტებს შორის დროული განსხვავება დაახლოებით თითო საუკუნეა. ჩვენამდე პალიმფსესტები ფრაგმენტულადაა მოღწეული და დასკვნების გამოტანაც უძრის, მაგრამ მაინც შეინიშნება, რომ ხანმეტ მრავალთავში, რომელიც VIII ს-ის I ნახევრისა უნდა იყოს, V—VI სს. პალიმფსესტებისა და ხანმეტი ლექციონარისაგან (VII ს. II ნახ.) განსხვავებით, დაქარაგმებული სახელების რაოდენობა შედარებით გაზრდილია.

ზემოთ განხილულ ხელნაწერებში ზნებიდან დაქარაგმებულია მხოლოდ თქუა და ხრქუა III პირის ფორმებში. ხრქუა ერთსა და იმავე ხელნაწერში ორი ფორმითაა დაქარაგმებული: ხრქა და ხქა. გამოანაკლისია ხანმეტი ლექციონარი, სადაც ერთი ხელით ნაწერ ტექსტში ეს ზნა მხოლოდ ხრქა ფორმით გვხვდება, ხოლო მეორე ხელით ნაწერ ტექსტში — ხქა ფორმით¹¹. ჩვენ შესამოწმებლად დანარჩენი დაქარაგმებული სიტყვებიც ცალ-ცალკე ამოვიწერეთ ორივე ხელით ნაწერი ტექსტიდან, მაგრამ სხვა შემთხვევებში სიტყვები ორივე ნაწილში ყოველთვის ერთგვარადაა შემოკლებული.

ნაცვალსახელთაგან ყოველთვის დაქარაგმებულია რომელიც ყოველიც V—VI სს. პალიმფსესტებსა და ხანმეტ ლექციონარში დაქარაგმებულიც გვხვდება და დაუქარაგმებელიც, მომდევნო ხანის ხანმეტ მრავალთავსა და პანმეტ პალიმფსესტში კი ყოველთვის დაქარაგმებულია. ასეთივე სურათი გვაქვს ჩუენ და თქუენ ნაცვალსახელებთანაც. აქედან რაიმე დასკვნის გამოტანა უძრის. საქმე იმაშია, რომ ჩვეულებრივ ერთი და იგივე სიტყვა ერთ ხელნაწერში სრული სახითაც გვხვდება და შემოკლებულითაც. ჩვენამდე მოღწეული პალიმფსესტებიდან კი არც ერთი არ გვაძლევს სრულ ხელნაწერს, ყველა ამა თუ იმ ხელნაწერის მხოლოდ ფრაგმენტებს შეიცავს, ამიტომ შესაძლებელია ხელნაწერის იმ ნაწილში, რომელიც ჩვენამდე არ არის მოღწეული, საძიებელი სიტყვა სრულადაც ყოფილიყო ნახმარი.

თანდებულები ზედა და წინაშე ძირითადად ყველგან დაქარაგმებულია, იშვიათად გვხვდება სრული ფორმითაც. თანდებული -გან მხოლოდ ორჯერ შეგვხვდა დაქარაგმებული, ისიც სტრიქონის ბოლოს, რაც უადგილობრით უნდა იყოს გამოწეული (მათგან—III, IV პალიმფსესტებში, სრულად—II, III და IV პალიმფსესტებში).

ზნისართები რაქამს, რასქამს და ფრიად დაქარაგმებულიც გვხვდება და დაუქარაგმებელიც. ხოლო ზნისართი ამინ —V—VI სს. პალიმფსესტებში, ამინ —ხანმეტ ლექციონარში, სრულად შეგვხვდა; ხანმეტ მრავალთავში კი დაქარაგმებული ან ფორმის გვერდით გვხვდება სრულად ნაწერი ამინ.

ცალკე გამოგყოფთ ზნურ -ოდ სუფიქსს, რომელიც ხანმეტ ლექციონარში ერთხელ შეგვხვდა დაქარაგმებული სტრიქონის ბოლოს: მივიდეს—გვ.

¹¹ ხანმეტი ლექციონარი, ფოტოტიპირი რეპროდუქცია, გამოსცა და სიმფონია დაუროთო ა. შანიძემ, თბილისი, 1944, გვ. 321.

26,4 (მივილოდეს), რაც უადგილობით ჩანს გამოწვეული, სხვა შემთხვევებში ეს სუფიქსი სრულად წერია (გვ. 19 და 31). ასევე აშკარად უადგილობია გამოა დაქარაგმებული თანანი — სხუანი მათთან (გვ. 18,6). ასეთი ფორმა ხელნაწერში მეორეგან სრულად გვხვდება (გვ. 28).

ზემოთ განხილული ხელნაწერებიდან ცალკე გამოყავით ის სიტყვები, რომლებიც მომდევნო IX—X სს. ძეგლებში დაქარაგმებული გვხვდება, აქ კი სრულადაა დაწერილი. საზოგადო სახელები: ანგელოზი, დიდება, დიდებული, ზეცა, თავი, კაცი, მოწაფე, მღვდელი, ჟამი, სასუფეველი, სასყიდელი, სიტყუა, სიწმიდე, სოფელი, ქალაქი, წინაწარმეტყუელი, ჳმა. საკუთარი სახელი: მარიამ. თანდებული: შინა.

ამრიგად, ერთის მხრივ შეინიშნება, რომ VIII ს-ის ხანმეტ მრავალთავსა და ჰაემეტ პალიმფსესტი დაქარაგმებული სახელების რაოდენობა შედარებით გაზრდილია V—VI სს. პალიმფსესტებისა და ხანმეტი ლექციონარისაგან (VII ს. II ნახევარი) განსხვავებით. მეორეს მხრივ, გამოიყოფა რიგი სიტყვებისა, რომლებიც მომდევნო IX—X სს. ძეგლებში დაქარაგმებული გვხვდება, ჩვენს მიერ განხილულ ხელნაწერებში კი სრულადაა დაწერილი. ეს კი საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ დაქარაგმებული სიტყვების რაოდენობას ხელნაწერის გადაწერის დრო განსაზღვრავდა: ადრეულ ხელნაწერებში სიტყვათა უფრო მცირე რაოდენობა იწერებოდა შემოკლებით, შემდგომ კი მათი რიცხვი თანდათანობით იზრდებოდა.

ცალკე უნდა განვიხილოთ ჰაემეტი პალიმფსესტი, ხელნაწერი H—1329, იერუსალიმის განჩინებისა და განწესების წიგნი, კერძოდ, მისი ტიპიკონური შენიშვნები. ხელნაწერი შეიცავს საკითხავებსა და ტიპიკონურ შენიშვნებს, ძირითადი ტექსტის, საკითხავების, ვასწვრივ აწიგნებ ნებდროდ, შედარებით მომცრო ასოებით, მიწერილია ტიპიკონური შენიშვნები. ტექსტის ორივე ნაწილი, საკითხავებიცა და ტიპიკონური შენიშვნებიც, გადაწერილია ერთდროულად, ერთი ვადამწერის ხელით, შემოკლებული სიტყვების რაოდენობა კი ტიპიკონურ შენიშვნებში გაცილებით ჭარბობს საკითხავებისას.

დაქარაგმებული სიტყვებიდან კავშირები: ვითარცა, ხოლო; სახელები: იერუსალემი, იესუ, წმიდა; ნაცვალსახელები: რომელი და თქუენი—საკითხავებშიც დაქარაგმებული გვხვდება და ტიპიკონურ შენიშვნებშიც. ამთვან გამოიყოფა რიგი სიტყვებისა, რომლებიც მხოლოდ ტიპიკონურ შენიშვნებშია დაქარაგმებული:

თ^ვსა—თავისაჲ
 თ^ა — თთუესა
 დს^{ლი}, დს^{სლი} — დასასრული
 ებ^კსისაჲ, ებ^კსისა — ებისკოპოსისაჲ
 ლ^ა — ლოცვაჲ
 მ^რტ^ა — მარტოაჲ
 მოც^ქლისაჲ — მოციქულისაჲ
 მოწ^{თა}, მოწ^{ათა} — მოწანეთაჲ
 ნათლიმც^{ლა} — ნათლისმცემელისაჲ
 სხბ^ა, სხბ^ა, სახარებ^ა — სახარებაჲ
 წინაწ^{სა} — წინაწარმეტყუელისაჲ
 ვსბ^ა — ვსენებაჲ

ასეთი ინტენსიური დაქარაგმება ტიპიკონურ შენიშვნებში მხოლოდ და მხოლოდ ადგილის ეკონომიით აისხნება. თვით აღრინდელ ხელნაწერშიც კი, კიდებზე მიწერილ შენიშვნებში, დაქარაგმებული სიტყვების რაოდენობა გაზრდილია.

პალიმესტებში ერთი რიგის სახელები, კერძოდ ე. წ. წმინდა სახელები, ისევეა დაქარაგმებული, როგორც ბერძნულ ქრისტიანული ხასიათის ტექსტებში: უფალი, ღმერთი, იესუ, ქრისტე, იერუსალემი, ისრაელი, სული, წმიდა, ჯუარი; საკუთარი სახელი: დავით. ამ სახელების შემოკლებული ფორმები სხვადასხვა ბრუნვებში თანხვედება ბერძნულს (შდრ. გვ. 70):

1. ღმერთი: ღნი, ღნ, ღა, ღისა, ღთისა, ღა, ღისასა, ღთისასა, ღათა, ღისანო.
2. უფალი: ონი, ონ, ოა, ონისა, ოლისა, ოო, ოა, ოლისასა, ოათა
3. სული: სლი.
4. დავით: დთ, დთისო.
5. ისრაელი: იშლი, იშლსა, იშლისაჲ, იშლისაო.
6. იერუსალემი: იშშს, იშშსა, იშშით, იშშმდ, იშშისაჲ, იშშისასა.
7. იესუ: იჯ, იჯს, იჯას, იჯასნი, იჯასთა, იჯასისა.
8. ქრისტე: ქე, ქშ, ქესა, ქშსა, ქსითა, ქსენი.
9. ჯუარი: ჯნი, ჯრითა.

ამ სახელების შემოკლებისათვის გამოყენებულია შუამეკვეცილობითი დაქარაგმება, რომლის დროსაც იწერებოდა სიტყვის დასაწყისი და დასასრული ასოები, სიტყვის შუა ნაწილი კი ამოღებული იყო: ღნი, ღნ, ღა. ეს პრინციპი ქართულში ყველა ბრუნვისათვის ვერ გამოდგებოდა, რადგან დამთხვევოდა მიცემითის, ნათესაობითისა და მოქმედებითი ბრუნვების ფორმები, ამიტომ შემოკლებულ ფუძეს ნათესაობითისა და მოქმედებითში სრულად დაერთო შესაბამისი ბრუნვის ნიშნები, ზოგან გამოჩნდა ფუძისეული თანხმოვანიც: ღნისა, ღთისა. შემდგომ, ამ ფორმების ანალოგიით მსგავსი დაქარაგმება იმ ბრუნვებშიც გვხვდება, სადაც ამის საჭიროება უკვე აღარ არის, კერძოდ, მოთხრობითში, მიცემითში და ნანათესაობითარ სახელობითში: ღთმან, ღთსა, ღსაჲ, ღთისაჲ, თუმცა გაცილებით ჭარბობს ღნ, ღა და ღა ფორმები. მსგავსი სურათი გვაქვს უფალ-თანაც.

ამავე პრინციპით დაქარაგმებული გვხვდება კავშირები: ად, ვე, ვემდე, ვდე, ვდს, ვს, ვრ. (ვრ დაქარაგმებული გვაქვს ეგვიპტისა და ესევიტ-შიც) ვა, ვდ, ვრმედ, რა.

თანდებულები: გნ, ზა, წე.

ნაცვალსახელები: რომელი—რლ, რნი, რნ. ყოველი—ყი, ყნ, ყლ. ნაწევარი მას—მს—ხ. ლ-ში.

სახელები: წმიდა—წა, წნ, წსა. ჯმაჲ—ჯა. თთუესა—თა. ლოცვაჲ—ლა H—1329, ტიპიკონურ შენიშვნებში.

ზმნისართები: აწ, მწ, ოწ, ოწკე, ფწ.

მათ დასაქარაგმებლადაც გამოყენებულია შუაშეკვეცილობითი დაქარაგმება. ამავე პრინციპით ხანმეტ მრავალთავეში დაქარაგმებული გვხვდება სახელები: ეწ — ერმან და წწ — წიგნი: ეწ—25 ს 6. წწ—14 ს 9, მაგრამ ეს ფორმები ვერ დამკვიდრდა, შემდგომ ისინი შეცვალა ერმწ და წწნი ფორმებმა.

როგორც გამოჩნდა, პალიმფსესტებში დაქარაგმებული სახელების რაოდენობა შეზღუდულია. ძირითადად დაქარაგმებულია ის სახელები, რომლებსაც ბერძნული ქრისტიანული ხასიათის ტექსტები ამოკლებდნენ, ამასთანავე დაქარაგმებულია იმავე ფორმით, რა ფორმითაც ეს სახელები ბერძნულ ხელნაწერებში გვხვდება. შემოკლებისათვის გამოყენებულია შუაშეკვეცილობითი დაქარაგმება. ამავე წესით პალიმფსესტებში დაქარაგმებულია დამხმარე სიტყვებიც: კავშირები, თანდებულები, ნაცვალსახელები, ზმნისართები. შუაშეკვეცილობითი დაქარაგმება გამოსაყენებლად მოუხერხებელი იყო, იგი გამოდგებოდა მხოლოდ მცირე რაოდენობის სიტყვითა შემოკლებისათვის. შემდგომ, როდესაც დაქარაგმებული სიტყვების რიცხვი თანდათანობით იზრდებოდა, შემოკლებისათვის დამკვიდრდა ე. წ. უხმოვნო დაქარაგმება, რომლის დროსაც შემოკლება ძირითადად ხმოვნების ხარჯზე ხდებოდა.

უხმოვნო დაქარაგმება ჯერ კიდევ პალიმფსესტებში დასტურდება. აქ ამ პრინციპით შემოკლებულია ჰრქუა—ჰრქა, ჰქა. ამ უკანასკნელში ხმოვნებთან ერთად ამოღებულია თანხმოვანი რ, და თქუა—თქა. აგრეთვე ზმნისართი რაქამს — რქს ფორმით, აქ ხმოვნებთან ერთად ამოღებულია მ. შემდგომ კი უხმოვნო დაქარაგმება იმდენად გავრცელდა, რომ ყველგან, გარდა კავშირებისა და ზემოთ ჩამოთვლილი წმინდა სახელებისა, შემოკლებისათვის ეს პრინციპი გამოყენებული. ზოგჯერ კი თვით კავშირებშიც გვხვდება უხმოვნო დაქარაგმების ფორმები. მაგ. ჰილ-ეტრატის იადგარში: აწდ, აწრმდ; ვწ, ვწრდ; ვწდ, ვწრდ, ვწრმდ; ვწა, ვწრცა; რწა, რწთა.

ჩვეულებრივ პალიმფსესტებში უხმოვნო დაქარაგმების შემთხვევები იშვიათად გვაქვს. H—999 პალიმფსესტში ამ პრინციპით დაქარაგმებული გვხვდება ქუყანა—ქყანა (87r, 1), ისიც სტრიქონის ბოლოს. სხვაგან, A—89 და A—844 პალიმფსესტებში, ეს სიტყვა სრულად გვხვდება. ეს პრინციპი თავს იჩინს თქუენ ნაცვალსახელთან, აგრეთვე რომელი და ყოველი ნაცვალსახელების ირიბ ბრუნვებში.

ხანმეტ ლექციონარში შეგვხვდა ამ წესით შემოკლებული ფსალმუნი—ფსალი (გვ. 43,2).

უხმოვნო დაქარაგმების შემთხვევები ქარბად გვხვდება H—1329 ჰამეტი პალიმფსესტის ტიპიკონურ შენიშვნებში (იხ. გვ. 77).

შატბერდული ოთხთავები

პალიმფესტების შემდეგ განვიხილავთ შატბერდულ—ადიშის, ჯრუჭის პარხლისა⁴² და ქსნის—ოთხთავებს.

ადიშის, ჯრუჭისა და პარხლის ოთხთავები გადაწერილია ერთ სამწერლობო კერაში, შატბერდში, ამიტომ სამეცნიერო ლიტერატურაში ეს ოთხთავები შატბერდული ოთხთავების სახელითაა ცნობილი. დროული განსხვავება მათ შორის დიდი არ არის: ადიშის ოთხთავი გადაწერილია 897 წ., ჯრუჭის ოთხთავი—936 წ. და პარხლის ოთხთავი—973 წ.

ადიშის, ჯრუჭისა და პარხლის ოთხთავები სიტყვათა დაქარაგმების მხრივ დაახლოებით ერთნაირ სურათს გვაძლევს, დაქარაგმებული გვხვდება: ქაეშირი: ად (არამედ), ვე (ვიდრე), ვრ (ვითარ, ვითარ დაქარაგმებულია აგრეთვე ეგვიტარ ში—ეგვერი და ესევიტარ—ში—ესვერი), ვა (ვიტარცა), ვდ (ვიტარმედ), რა (რაჰთა), რ (რამეთუ), ხ (ხოლო).

სახელი (სხვადასხვა ბრუნვასა და რიცხვში): ანგელოზი, დიდება, იერუსალემი, ისრაელი, კაცი (ჯრუჭისა და პარხლის ოთხთავებში), მოციქული (ჯრუჭისა და პარხლის ოთხთავებში), მოწადე (ჯრუჭისა და პარხლის ოთხთავებში), მდელი (ჯრუჭის ოთხთავში), ჟამი, სასუფეველი (ჯრუჭის ოთხთავში), სახარება (პარხლის ოთხთავში), სიტყუა (ჯრუჭის ოთხთავში), სული, უფალი, ქალაქი, ქალწული (ჯრუჭისა და პარხლის ოთხთავებში), ქრისტე, ქუეყანა, ღმერთი, წინაწარმეტყუელი, წმიდა (არაწმიდა), წყალი (ჯრუჭის ოთხთავში), წყალობა (ჯრუჭის ოთხთავში), ჯუარი, ჳმა.

საკუთარი სახელი: დავით, იესუ, იოვანე, მარია.

ნაცვალსახელი: თქუენი, მათი, რომელი, სხუა, ყოველი, შენი, ჩუენი).

თანდებული: ზა (ზედა), თნა (თანა), შნა (შინა, შნს (შორის), წე (წინაშე).

ზმნა: თქუმა, რქუმა, წინაწარმეტყულება.

ზმნისართი: ან (ამენ), კდ (კუალად), მს, მდს (მარადის), რჟს, რჟმს (რაჟამს), სდ (სრულიად), ოქი (უქუნითი), ოქე, უქე (უქუნისამდე), ფდ (ფრიად).

ამათ გარდა სამივე ოთხთავიდან გამოიყოფა სახელები, რომლებსაც ეს ოთხთავები სისტემატურად არ აქარაგმებენ, მაგრამ ცალკეულ შემთხვევებში, ჩამატებისას ან სტრიქონის ბოლოს, შემოკლებულად წერენ.

ადიშში: ზცთ (ზეციით)—290 rb 14.

ქსარსა (ქვისარსა)—87 va 11, ჩამატებულია.

მშდბთ (მშვდობით)—209 rb 13.

ნთლსა (ნათელსა)—223 vb 4.

სამრთი (სამართი)—271 va 8, ჩამატებულია და ა. შ.

ჯრუჭში: გზნი (გზანი)—37 rb 20

ლცვად—111rb 2

სამოსლსა—22 va 9

წარმარტსა (წარმართასა)—206 va 10 და ა. შ.

⁴² ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით (1897, 936 და 973), გამოცემა აკაკი შანიძემ, თბილისი, 1945.

პარხალში: აღსსრულმდე (აღსასრულამდე)—70 va 18.

თ⁷ვსა (თავსა)—207 rb 20.

კბ⁷ლთაა (კბილთაა)—31 ra 4, გვიდროდ.

მსახ⁷რ (მსახურ)—53 ra 7, გვიდროდ და ა. შ.

სამივე ოთხთავში დაქარაგმებული შეგვხვდა ბრუნვის ნიშნები: სახელობით ბრუნვაში ამოღებულია ხმოვანფუძიანი სახელების ბოლო ხმოვანი. მოთხრობითი ბრუნვის ნიშანი -მან დაქარაგმებულია -მ⁷ნ ფორმით. ვითარებითი ბრუნვის ნიშანი -ად თანხმოვანფუძიან სახელებთან დაქარაგმებულია დ⁷ფორმით, ხმოვანფუძიან სახელებთან ამოღებულია ფუძის ბოლო ხმოვანი. ნანათესაობითარი სახელობითის ბრუნვის ნიშნები -ისაა დაქარაგმებულია -ის⁷ა ფორმით და -თაა— -თ⁷ა ფორმით. ნანათესაობითარი მიცემითის ბრუნვის ნიშანი -ისასა დაქარაგმებულია -ის⁷სა ფორმით და ნანათესაობითარი მოქმედებითი ბრუნვის ნიშანი —ისაათა დაქარაგმებულია ის⁷ათა ფორმით. აღსანიშნავია, რომ ეს მაგალითები სამივე ოთხთავში დასტურდება მხოლოდ სტრიქონის ბოლოს, რაც უადგილობით ჩანს გამოწვეული.

შატბერდული ადიშის, ჯრუჭისა და პარხლის ოთხთავებისაგან განსხვავებით სიტყვათა დაქარაგმების მხრივ რამდენადმე თავისებურ სურათს გვაძლევს ქსნის ოთხთავი (ხელნაწერი A—509).

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია ვარაუდი, რომ ქსნის ოთხთავი გადაწერილია შატბერდს IX საუკუნის გასულს ან X საუკუნის დასაწყისში⁴².

ზემოთ განხილული შატბერდული ოთხთავებისაგან განსხვავებით, ქსნის ოთხთავში თითქმის სისტემატურად, დაქარაგმების შედეგად ამოღებულია ორ ხანს შორის მოქცეული ხმოვანი ა⁴³:

დღეს⁷სწაულსა—16 va 8.

ს⁷სუმელი—17 vb 12, 18 vb 4, 19 ra 1.

ს⁷სუფეველი—4 rb 3, 8 ra 12, 13 rb 18.

ს⁷სყიდელი—21 vb 4.

ს⁷სწაული—11 vb 9 და ა. შ.

ამავე წესით დაქარაგმებულია ნანათესაობითარი მიცემითის ფორმებიც: გეჭენიაას⁷სა—9⁷vb 5.

კაცის⁷სა—5 va 3.

კეთროგნის⁷სა—16 va 13.

მომღორის⁷სა—16 va 4.

პიტნაკის⁷სა—8 vb 13 და ა. შ.

ამავე ხერხით დაქარაგმებული სიტყვები შეგვხვდა აგრეთვე ლენინგრადის სალტიკოვ-შიგერდინის სახელობის ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში დაცულ ქართული ოთხთავის ფრაგმენტებში (ხელნაწერი Грузинская новая серия, № 8—9). ამ ფრაგმენტებიდან მაგალითების ამოწერის დროს

⁴² ი. იშნაიშვილი, ქნას ოთხთავის რედაქცია, ლიტერატურული ძიებანი, V, თბილისი 1924, გვ. 296.

⁴³ რაც შეეხება სხვა შემოკლებულ სიტყვებს, ქსნის ოთხთავი დანარჩენი შატბერდული ოთხთავების გვერდით დგას.

6. პალეოგრაფიული ძიებანი

ნათელი ვახდა, რომ აქაც თითქმის სისტემატურად ამოღებულია ორ ხანს შორის მოქცეული ა:

აღსარული — 3 rb.

სსუფეველი — 2 va.

სსყიდელი — 14 ra.

სსწაული — 10 vb.

დაქარაგმებული შეგვხვდა აგრეთვე ნანათესაობითარი მიცემითის ფორმები:

გალილეახსა — 9 vb.

გენესარეთისა — 7 va.

მღოვჯსა — 2 va.

სსჯელისა — 1 ra.

ცეცხლისა — 4 rb.

სიტყვათა შემოკლების ამგვარი პრინციპი ვადაწყურისათვის იმდენად ჩვეულებრივია, რომ ერთგან სრულიად უადგილოდ ხმარობს ქარაგმას:

აღსარული ა მ ი ს ს ო ფ ლ ი ს ა ე — 3 rb.

ორ ხანს შორის მოქცეული ა ხმოვნის ამოღება უცხოა ადიშის, ჯრუჭისა და პარხლის ოთხთავებისათვის, იგი მხოლოდ ქსნის ოთხთავესა და ჩვენს ნიერ ზემოთ განხილულ ფრაგმენტებშია გამოყენებული. შემდგომში ხელის შედარების შედეგად ნათელი ვახდა, რომ ზემოაღნიშნული ფრაგმენტები ქსნის ოთხთავეს კუთვნილებათ⁴⁵.

ამგვარად, ერთ სამწერლობო კერაში, დაახლოებით ერთი დროის მონაკვეთში, ვადაწყერილია ერთი ხასიათის ხელნაწერები: ადიშის, ჯრუჭის, პარხლისა და ქსნის ოთხთავეები. ამათგან დაქარაგმების მხრივ ერთად დვას ადიშის, ჯრუჭისა და პარხლის ოთხთავეები. მათგან რამდენადმე განსხვავებულ სურათს გვაძლევს ქსნის ოთხთავეი, რომელიც ერთი რიგის სახელებს თითქმის სისტემატურად აქარაგმებს.

პალიმფსესტებისაგან განსხვავებით შატბერდულ ოთხთავეებში გაზრდილია დაქარაგმებული სიტყვების რიცხვი, მათი შემოკლებისათვის ძირითადად გამოყენებულია ე. წ. უხმოვნო დაქარაგმება.

ს ა ხ ე ლ ი: ანგელოზი — ფუძე შემოკლებულია ანგელზ, ანგლზ, ანგზ ფორმებით: ამოღებულია ხმოვნები, ზოგან ხმოვნებთან ერთად ამოღებულია თანხმოვანი ლ.

დიდება — ფუძე შემოკლებულია დბ ფორმით, ამოღებულია ხმოვნები და თანხმოვანი — დ.

კაცი — კც ამოღებულია ხმოვნები.

მოციქული — მცქლ " "

მოწაფე — მწფ " "

მღელელი — მღლლ " "

ქაში — ქმ " "

სასუფეველი — სსფვლ, სსფეველ, სსფველი ამოღებულია ხმოვნები

სახარება — სხრბ, სხრებ, სახრებ " "

სიტყუა — სტყ " "

სული — სლ " "

⁴⁵ ც. ჭ ა ნ კ ი ე ვ ი, ქსნის ოთხთავეის ლენინგრადული ფრაგმენტები, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის მთაბმე, IV, თბილისი, 1962, გვ. 163 — 223.

ქალაქი — ქლქ ამოღებულია ხმოვნები
 ქალწული — ქლწლ, ქწლ " " ზოგან ხმოვნებ-
 თან ერთად ამოღებულია თანხმოვანი ლ
 წინაწარმეტყუელი — წწწყლ, წწწყლ, წწწყლ, წწწყლ, წწყლ.
 ხმოვნებთან ერთად ამოღებულია თანხმოვნები მ, რ და ტ. ამავე პრინციპითაა
 შემოკლებული ზმნური ფორმებიც.
 წყალი — წყლ ამოღებულია ხმოვნები.
 წყალობა — წყლბ, წყლობ " "
 ჯუარი — ჯრ " "
 ჳმაჳ — ჳჳჳ შუაშეკვეცილობითი დაქარაგმება.
 ს ა კ უ თ ა რ ი ს ა ხ ე ლ ი : იოვანე — იონე, ამოღებულია ხმოვნები და თან-
 ხმოვანი ვ.

მარიამ — მრმ, მმ ამოღებულია ხმოვნები, ზოგჯერ ხმოვნებთან ერთად
 ამოღებულია რ.

თ ა ნ დ ე ბ უ ლ ი : თანა — თწა ამოღებულია ხმოვანი
 შინა — შწა " "

ზემოთ ჩამოთვლილ მაგალითებში შემოკლებისათვის ძირითადად გამო-
 ყენებულია უხმოვნო დაქარაგმება. ამავე პრინციპით შემოკლებულია აგრეთ-
 ვე ის სიტყვები, რომლებიც შატბერდულ ოთხთავებში მხოლოდ სტრიქონის
 ბოლოს ან ჩამატების შემთხვევებში გვხვდება დაქარაგმებული.

დასასრულ, სიტყვები, რომლებიც ხელნაწერში შემოკლებულია უხმოვნო
 დაქარაგმების წესით, იმავე ხელნაწერში ხშირად სრულადაც გვხვდება. რა
 ნიშნის მიხედვითაა ეს სიტყვები ერთგან დაქარაგმებული და სხვაგან დაუ-
 ქარაგმებელი, არ ჩანს. ორივე შემთხვევა გვხვდება სტრიქონის თავშიც,
 შუაშიც და ბოლოშიც (შდრ. შუაშეკვეცილობა... წესით შემოკლებული სი-
 ტყვები, რომლებიც თითო-ორიგან გამოჩაგმისის გარდა, ყოველთვის დაქა-
 რაგმებულია).

შატბერდის კრებული

შატბერდის სამწერლობო სკოლაშივეა გადაწერილი შატბერდის კრე-
 ბული (S—1141). ხელნაწერი შეიცავს სხვადასხვა თარგმნულ და ორიგინალურ
 თხზულებებს, გადაწერილია 973—976 წლებში. ხელნაწერს ბოლოში
 ერთვის ანდერძი, რომელიც ჩვენამდე სრული სახით არ არის მოღწეული:
 „.. მეცა არა დავჟარ[ე] სწრაფაჲ სულისა ჩემისაჲ მიზნითა ნაკულუევან-
 ბისაჲთა და შეუდევ კეთილსა გულსმოდგინებასა მე, ცოდვილი და უნარჩვე-
 სი ყოველთა მოწესეთაჲ იოვანე ბერაი, და გავასრულე წმიდაჲ ესე წიგ-
 ნი კაცისა შესაქმმ და მეორედ წიგნი თუალთაჲ და სახისმეტყუე-
 ლი და იპოლიტე და ქართლის მოქცევაჲ და ცხოვრება ნეტა-
 რისა მის და დიდებულისა მღუდელთ მოძღურისაჲ იაკობ ნასიბ[ინე]ლი-
 საჲ და თარგმანებაჲ ზოგთარე ფსალმუნთა დავითისაჲ მოლუაწებითა [და
 თანადგომითა] დედის ძმისა ჩემისა მიქაელისა და ძმისა ჩემისა დავითი-
 სითა და სხუაჲ [არაჲ] არაგის პრთავს, თუნიერ [სივლახა]კისა ჩემისა, და
 შევ[წირე] [შატბერ]დს, საყოფელსა წმიდისა [ღმრთისმშობლისასა], როჲელსა-
 ცა შინა აღვიზარდე...“⁴⁶ როგორც ანდერძიდან ირკვევა, ხელნაწერი გადა-

⁴⁶ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა S კოლექციისა, II, თბილისი, 1961, გვ. 38—39.

წერილია სამი პირის მიერ. ამათგან ერთ-ერთია პარხლის ოთხთავი მწერი იოვანე ბერა.

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო იყო შატბერდის კრებულის ის ნაწილი, რომელიც იოვანე ბერას ხელითაა გადაწერილი (1—126, 434—499 გვ. გვ.). ერთი გადამწერის ხელით გადაწერილმა ორმა სხვადასხვა ხასიათის თხზულებამ სიტყვათა დაქარაგმების მხრივ ძირითადად ერთგვარი სურათი მოგვცა, თუმცა შეინიშნება, რომ დაქარაგმებული სიტყვების რაოდენობა შატბერდის კრებულში, ოთხთავებთან შედარებით, უფრო გაზრდილია.

შატბერდის კრებულში, იოვანე ბერას ხელით გადაწერილ ტექსტში, პარხლის ოთხთავისაგან განსხვავებით დაქარაგმებული შეგვხვდა:

დიაკონი: დქნი—458 ა 20; დქნისაჲ—483 ხ 27.

მთავარდიაკონი: მთავარდქნმან—485 ა 4.

ეპისკოპოსი: ეპსკპსი—438 ხ 14; ებსკპსი—443 ა 5; ებსკპსდ—441 ხ 19; ებსკპსთა—437 ა 14.

მთავარეპისკოპოსი: მთავარებსკპსი—440 ხ 13, 442 ხ 20; მთავარებსკპსსა—499 ა 20; მთავარებსკპსნი—443 ხ 2.

კურთხევა: კხვა—456 ა 14.

პატოხანი: პტსნსა—494 ა 16; პტსნისა—485 ა 7.

სოფელი: სფლისა—483: 8 და ა. შ.

ზემოთ ჩამოთვლილ სიტყვათაგან ნაწილი ოთხთავის ლექსიკაშიც შედის (კურთხევა, პატოხანი, სოფელი).

მთელი ხელნაწერის მანძილზე, გარდა ხელნაწერის ბოლო ფურცლებისა, თითქმის ერთი და იგივე სიტყვებია დაქარაგმებული (თუ მხედველობაში არ მივიღებთ სტრიქონების დაბლოკებებს, სადაც შემოკლებული სიტყვების რიცხვი ჩვეულებრივ ჭარბობს). ასე, რომ შატბერდის კრებულის გადამწერები სიტყვათა დაქარაგმებისას რაიმე ხელშესახებ თავისებურებებს არ გვიჩვენებენ.

დაქარაგმებული სიტყვების რაოდენობა საგრძნობლად იზრდება ხელნაწერის ბოლო ფურცლებზე. კრებულის ბოლო ნაწილი (515r—572v) გადაწერილია წვრილი ხელით. ტექსტი მჭიდროდაა ნაწერი, გაზრდილია სტრიქონების რაოდენობაც. ჩვეულებრივ შატბერდის კრებულში ერთ გვერდზე 27 სტრიქონია, აქ კი სტრიქონების რაოდენობა 32-მდე და 33-მდე აღის. ამის შესაბამისად იზრდება შემოკლებული სიტყვების რიცხვიც:

აღსწრლსა—549 ა 8.

ადგლსა—567 ხ 2.

მრწმუნეთა—549 ხ 14, 552 ხ 26.

მსხრპლთა—560 ა 13.

მხოლოდმზღლისა—563 ა 24.

სიმრვლჳ—550 ხ 10.

სიმართლისა—567 ა 33.

ცქცლსა—566 ხ 24 და ა. შ.

ხელნაწერში შეგვხვდა ერთი საინტერესო მაგალითი. ერთი გვერდის მანძილზე ზმნა ცხოვნდა გვხვდება თითქმის ყველა სტრიქონზე. ეს ზმნა თავდაპირველად ყოველთვის სრულად გვხვდებოდა, მერმე დაქარაგმებული იყო მხოლოდ სტრიქონის ბოლოს, უადგილობის გამო, შემდგომ კი სტრიქონის თავშიც და შუაშიც. ამ ზმნის მაგალითზე ჩანს, თუ როგორ აქარაგ-

მებდნენ გადაწერები სიტყვებს ჯერ მხოლოდ უადგილობის გამო, მერმე კი მათი შემოკლება ჩვეულებად ექცეოდათ ხოლმე და უკვე სხვა შემთხვევებშიც შემოკლებით წერდნენ:

1. ადამ ცხოვნდა სლ წელ—გვ. 247b 12 შ.
2. სეთ ცხოვნდა სე წელ—13 შ.
3. ენუს ცხვნდა რე წელ—14 ბ.
4. კაინან ცხოვნდა რო წელ—16 შ.
5. მალელელ ცხოვნდა რმე წელ—17 ბ.
6. იარძლ ცხოვნდა რაბ წელ—19 თ.
7. ენუქ ცხოვნდა რაე წელ—20 შ.
8. მათუსალა ცხოვნდა რაზ წელ—22 შ.
9. ლამექ ცხოვნდა რაშ წელ—23 შ.
10. ნოეშ ცხოვნდა ფ წელ—24—25
11. სემ ცხოვნდა რ წელ—26 შ.
12. არფაქსად ცხოვნდა რლე წელ—გვ. 248a 6 შ.
13. სალა ცხვნდა რლ წელ—7 ბ.
14. ებერ ცხვნდა რლდ წელ—8 ბ.
15. ფაღეც ცხოვნდა რლ წელ—10 თ.
16. რაგავ ცხოვნდა რლე წელ—11 შ.
17. სერუქ ცხოვნდა რლ წელ—12 შ.
18. ნაქორ ცხვნდა რთ წელ—13 ბ.
19. თარა ცხვნდა რ წელ—15 ბ.
20. აბრაჰამ ცხვნდა რე წელ—16 შ.
21. აბრაჰამ ცხვნდა რ წელ—გვ. 248b 2 შ.
22. მოსე ცხვნდა მ წელ—3 შ.
23. ცხვნდალა მწელ—10 შ.
24. ცხვნდა მათ თანა კე წელ—14 შ.

ამრიგად, ჩვენ ხელთ გვაქვს ერთ სამწერლობო სკოლაში, შატბერდში გადაწერილი სხვადასხვა ხასიათის ძეგლები—ოთხთავეები და შატბერდის კრებული. შეინიშნება, რომ შატბერდულ კრებულში დაქარაგმებული სიტყვების რაოდენობა შედარებით გაზრდილია. როგორც ჩანს, გადაწერები ოთხთავის ტექსტს, როგორც კანონიკურს, უფრო სიფრთხილით ეკიდებოდნენ, საგულდაგულოდ წერდნენ და სიტყვებსაც იშვიათად აქარაგმებდნენ, სხვა ტექსტებში კი დაქარაგმებას უფრო თავისუფლად მიმართავდნენ.

სინური მრავალთავი

„სინური მრავალთავი“⁴⁷ პირველი ქართული თარიღიანი ხელნაწერია, გადაწერილია იერუსალიმში, საბაწმიდის ლავრაში 864 წელს. ხელნაწერი გადაწერილია რამდენიმე პირის მიერ, ამათგან კარგად გამოირჩევა სამი ხელი, რომლებიც გამოცემაში A, B და C ლიტერებითაა აღნიშნული:

A—1r—55 r, 70 v, 116 v, 145r—160 r, 202r—274r.

B—55v—70v.

C—11r—140 v, 160 v—169v.

⁴⁷ სინური მრავალთავი 864 წლისა, აკაკი შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობით და გამოკვლევით, თბილისი, 1959.

ხელნაწერში, სამივე ხელით გადაწერილ ტექსტში, ტრადიციული წესითაა შემოკლებული კავშირები, ნაცვალსახელები, ზმნისართები, თანდებულები და ე. წ. წმინდა სახელები.

უხმოვნო დაქარაგმების წესით სამივე ხელით ნაწერ ტექსტში შემოკლებული შეგვხვდა სახელები: ანგელოზი, გალობა, გული, დიდება, თავი, კაცი, მადლი, ჟამი, საფლავი, სახარება, სიტყუა, სიხარული, სოფელი, სული, სულიერი, ფსალმუნი, ქალაქი, ქალწული, ქუეყანა, ცხორება, წინაწარმეტყუელი და ჯოჯოხეთი სხვადასხვა ბრუნვასა და რიცხვში, და ა. შ.

ზმნური ფორმები: გალობა, დიდება, თაყუანისცემა, თქუმა და რქუმა სხვადასხვა პირში, დროსა და რიცხვში.

მხოლოდ მჭიდროდ ნაწერი სტრიქონის ბოლოს გვხვდება დაქარაგმებული ბრუნვის ნიშნები და ბრუნვის ნიშნების დართვის შედეგად ფუძის ბოლო ხმოვანი ხმოვანფუძიან სახელებში.

მატბერდის სკოლის გადაწერებისაგან განსხვავებით, სინას მრავალთავის გადაწერები ნებისმიერად არჩევენ შესამოკლებელ სიტყვებს.

A ხელით გადაწერილ ტექსტში

მადლი: მდლსა — 45 vb 15.

მხოლო: მხლჲ — 40 va 23.

ნათესავი: ნთსეთა — 28 ra 25.

ნაყოფი: ნყფსა — 8 va 1.

ქერაბინი: ქერბნნი — 30 va 23.

ქორწილი: ქორწლისა — 32 va 4.

ცოდვილი: ცდვლთა — 52 va 8 და ა. შ.

B ხელით გადაწერილ ტექსტში

კუერექსი: კრქსისა — 68 ra 4.

საკითხავი: სკხვისა — 68 ra 26.

საყუარელი: სყრლი — 66 va 26, სყრლო — 64 rb 5.

სახელი: სხლითა — 59 ra 18.

ძალი: ძლი — 70 rb 25 და ა. შ.

ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა C ხელით ნაწერი ტექსტი:

გლახაკი: გლხკისა — 124 vb 12.

დაბადებული: დბლნი — 135 rb 13.

ვედრება: ვდრებანი — 124 rb 6, ვედრების — 118 va 6.

ზეცა: ზცისა — 117 va 10, ზციით — 117 va 19.

თესლი: თსლსა — 133 va 21.

კეთილი: კთილი — 118 vb 19, კთლისა — 118 vb 18.

მარტული: მრტულთა — 117 va 13, მრტულთა — 118 rb 4.

მადალი: მდლთა: 130 ra 23, 121 va 15, 138 rb 7.

მაცხოვარი: მცხრი — 132 vb 12, 133 rb 3, მცხრბან — 137 vb 18, 139 vb 10.

მკუდარი: მკდრი — 122 rb 14, 122 va 13, 122 vb 5, მკდრსა — 122 va 17.

მომავალი: მმვლი — 135 vb 11, მომვლი — 12 ra 9, 137 rb 6, 140 rb 24.

მოწყალე: მწყლე — 123 ra 14.

მშულობა: მშდბა — 121 va 16, 136 rb 17, 138 rb 7.

მხოლოდშობილი—მხლოდშობილი—133 rb 12, მხლოდშობლმწ—132 rb 16,
მხოლოდშობლისათჳს—134 ra 23.

ნელსაცხებელი: ნელსცხბელი—119 va 24.

პირველი: პრვლისა — 124 va 23.

საკვრველება: საკვრვლბა — 117 va 10.

სარწმუნოება: სრწმწბისმან—129 rb 24.

სახიერი: სხრით—119 va 10.

სიკუდილი: სკდლი — 121 vb 6, სკდლსა—122 vb 7.

ტაბლა: ტბლა—124va 12.

უფლება: ოფლბა—133 va 20, 133 rb 20, ოფლებით — 121 vb 2.

ქება: ქბა—131 va 9, 137 rb 15, 140 ra 10. აქბდეს — 130 rb 4, 131 va 2.

შემოქმედი: შმქმდისა — 123 ra 3.

ჩჩლი: ჩჩლთა—137 ra 11.

ცეცხლი: ცცხლი—117 vb 15. ცცხლსა — 117 vb 6, ცცხლისასა—118 vb 4.

ცხოველსმყოფელი: ცხვლსმყოფელით — 119 va 10.

წყალი: წყლი—125 ra 14.

ჭაბუკი: ჭბკნი—118 va 8.

ჭეშმარიტი და ჭეშმარიტება: ჭშმრითდ — 118 vb 5, ჭშმრტება — 117 va 11.

ჯორცი: ჯრცთა—119 ra 11.

ჯორციელება: ჯრცელბისა—133 vb 22.

C ხელით გადაწერილ ტექსტში დაქარაგმებული შეგვხვდა აგრეთვე შე- ზნისწინი: ლოცვისა შშწწწწწ—119 ra 19.

სისტემატურად შეგვხვდა დაქარაგმებული გამო- ზნისწინი: გ-მომიყვანენ— 117 vb 15. გ-მოსრულ არს—119 vb 10. გ-მოიჯნა—120 ra 11. გ-მოსწერს— 120 rb 6. გ-მოჩნდეს—121 ra 1. გ-მოვედ—121 vb 13. გ-მოზრდა—123 rb 20, გ-მოზრდად—123 va 20.

„სინას მრავალთაეის“ გადამწერები თავისებურებებს გვიჩვენებენ რთული სიტყვების დაქარაგმებისასაც, რომლებშიც პირველი შემადგენელი ნაწილი ნათესაობით ბრუნვაშია. A ხელით გადაწერილ ტექსტში რთული სიტყვების პირველი შემადგენელი ნაწილი დაქარაგმების შედეგად ნათესაობითი ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი. B და C ხელით ნაწერ ტექსტში კი ასეთი ფორმების პარალელურად გვხვდება ფორმები, სადაც რთული სიტყვის პირველი შემადგენელი ნაწილი მიცემითი ბრუნვის ფორმითაა დაქარაგმებული.

A ხელით გადაწერილ ტექსტში

- ღთისმეტყუელებით — 10 ra 11.
- ღთისმეტყენიერებისა — 12 vb 12, ღთისმეტყენიერებისა — 15 vb 4.
- ღთისმოშიში — 43 vb 3.
- ღთისმსახურთა—8 va 5, ღთისმსახურებისა—1 rb 21, ღთისმსახურებისა—9 va 23, 37 ra 17; ღთისმსახურებისანი — 25rb 6; ღთისმსახურებისათა — 9 va 6.
- ღთისმშობელ — 13 ra 2; ღთისმშობელმან — 16ra 6, ღთისმშობელსა— 4 vb 5; ღთისმშობელო— 51 vb 23; ღთისმშობელისა 6 va 9, 19 vb 17 და ა. შ.
- ღთისშემოსილთა — 17 rb 14.
- ღთისშუენიერად — 39 vb 1.

B ხელით გადაწერილ ტექსტში

ლ¹-თსმსახურებისაო — 57 ra 18, 58 ra 12.

ლ²-თსმზობელად — 56 vb 25, 57 va 12.

შეგვხვდა ნათესაობითი ბრუნვის ფორმითაც: ლ³-თისმსახურნო — 59 vb 19.

C ხელით გადაწერილ ტექსტში

ლ⁴-თისმოყუარეთასა — 136 rb 6.

ლ⁵-თისმოშიშო — 139 ra 7. მაგრამ.

ლ⁶-თსმსახურთა — 119 rb 23.

ლ⁷-თსმსახურებისა — 119 va 2, ლ⁸-თსმსახურებისაგან — 118 vb 1, ლ⁹-თსმსახურებისათა — 118 vb 22.

თავისებურებანი, რომელთაც სინური მრავალთავის გადამწერები დაქარაგმებისას იჩენენ, მხოლოდ ზემოთ მოტანილი მაგალითებით ამოიწურება.

ჰილ-ეტრატის იადგარი

ჰილ-ეტრატის იადგარი წარმოადგენს სავალობელთა კრებულს. ასეთი სახელწოდება ამ ხელნაწერმა მიიღო იმის გამო, რომ დაწერილია ჰილზეც და ეტრატზეც. ხელნაწერში ერთმანეთს ენაცვლება ჰილისა და ეტრატის ფურცლები. ხელნაწერი XIX ს. 50-იან წლებში პროფ. უსპენკიმ იერუსალიმიდან, საბას ლავრიდან, წამოიღო რუსეთში, 1923 წლამდე ინახებოდა პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკაში, ანუამად დაკულია ხელნაწერთა ინსტიტუტის H ფონდში № 2123 (I—III). სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია ვარაუდი, რომ ჰილ-ეტრატის იადგარი გადაწერილი უნდა იყოს პალესტინაში, რადგან „ჰილი, როგორც საწერი მასალა, იქ უფრო იყო ხმარებაში“⁴⁸. ხელის მიხედვით ძველი X ს. განეკუთვნება⁴⁹. ხელნაწერი ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა იმის გამო, რომ ტექსტში თითქმის ყველა სიტყვა დაქარაგმებულია⁵⁰. ერთი გვერდის ნიმუში:

...რ მღ-წბთა თქ-ნითა მზ-მნ სიპარ
 თლისამ გამ-ბრწყენა ყრმ-ა თქ-ნი, სი
 ხარულითა აღ-ვსთ ზეცისა ძ-ლნი
 და კტთა ნთს-ვნი. მზიარულეებითა
 მზ-ბსა სქდ-ლნი მხეყ-ნთ ს-ლთა ჩ-ნს,
 ღ-რსნო მ-მნო, არა ეცით ძ-ლი თ-ვთა
 თქ-ნთა, არცა რული წმ-თა თქ-ნთა,
 ვ-ს ს-ლნი და ჳ-რცნი ს-ნთაგ- განა
 თავისუფლენით და განუშ-ზადეთ
 თ-ვი თქ-ნი ს-ლთა გ-მ-ბრწყენდ. რ მო-
 რა-ა-ვიდა მცხ-ვრი თ-ნა მამითურთ,
 სავანეა თქ-ნ თანა დაიდვა ერთა
 რსებითა ს-ლსა წმდ-სათა. ნ-ბს მყოფ
 ელნო ქდ-გნო წ-ნო, მ-მნო, მზ-გყვთ ს-ლ-თა
 ჩ-ნთა, რ-ა მ-დლნი კურნებათა თქ-ნ-
 თანი, პ-ტსნო და ნტ-რლნო მ-მნო, ღ-თვ მ-ნ-ქბლ

⁴⁸ ი. აბულაძე, ქართული წერის ნიმუშები, 1949, გვ. 295.

⁴⁹ ი. აბულაძე, გვ. 294—295.

⁵⁰ ქარაგმის ხმარებას ამ ძველში განიხილავს ა. მარტიროსოვი, ჰილ-ეტრატის იადგარის ორთოგრაფიული და ფონეტიკური თავისებურებანი, ქარაგმის ხმარება, (მანქანაზე გადაბეჭდილი დისერტაცია), გვ. 11—14.

ითა სლთა ვნებათა სენნი გსდევ
 ნენით და სიმდაბლითა და მრხვთა
 აღსრულენით წლნი ცხრბსა თქნსნი
 და აგლთა თნა მოქლქე იქმნთ.
 მხზა გქს ქტს მიმართ სლთა ჩნოს,
 ქედსი მცნზა უბიწოდ დამიარხე
 თ, წნო და ნტრლნო მწნო, რლთა
 აღავსენით საუნჯენი თქნი... (59v).

ერთი გვერდის მანძილზე დაქარაგმებული შეგვხვდა 78 სიტყვა, სრულად—24.

ხელნაწერში მხოლოასიოიანი დაქარაგმება გამოყენებულია კავშირებთან: რ და ხ.

თანდებული -გან უმეტესად -გ ფორმით გვხვდება შემოკლებული: რ-ისა გ—1r. შნ გ—1 v. საცთურისა გ—4v. იშვიათად -გ-ნ ფორმით: ქწლს გ—1 r.

მოთხრობითი ბრუნვის ნიშანი -მან, როგორც წესი, შემოკლებული გვხვდება -მ ფორმით, იშვიათად—მნ ფორმით.

1. დლ-ს გწყობანი შემოკრბინა დიდებოლმ სავალთბელმ წინამდელუარმ მოწამეთა შნთამ ქე პირველ მოწამემ შნმ—4 v; ყველა მაგალითი სტრიქონის შუაში გვაქვს.

2. პირველ მოწამემ შნმ ოო, იხილნა ცანი გზმულნი—1 v.

სხვა ხელნაწერებში ამგვარი მაგალითები მხოლოდ თითო-ორიოლა გვხვდება, სტრიქონის ბოლოს ან ჩამატების შემთხვევებში, აქ კი განის-გ და მან-ის -მ ფორმით შემოკლება ჩვეულებრივია.

ამავე წესით დაქარაგმებული გვხვდება ზმნისწინი გან-გ ფორმით: გმათავისუფლებელ მექმენ ჩნ—4 r, გწესებული სსენება—4v, ცანი გზმულნი—5 v, გსწმიდენ ცოდვანი—49r და ა. შ. ამგვარად დაქარაგმებული ზმნისწინი გან- ჩვენს მიერ განხილული ხელნაწერებიდან მხოლოდ ჭილ-ეტრატის იადგარში დასტურდება.

კავშირები დაქარაგმებული გვხვდება ორგვარად, შუაშეკვეცილობითი დაქარაგმების წესითაც და უხმოვნო დაქარაგმების წესითაც: ად, არმდ; ვე, ვდრე; ვდ. ვორდ, ვორმდ; ვა, ვორცა; რა, რთა. კავშირების სისტემატური შემოკლება უხმოვნო დაქარაგმების წესით მხოლოდ ჭილ-ეტრატის იადგარში გვხვდება.

დაქარაგმებულია სახელები: უფალი, ღმერთი, წმიდა, ჯუარი და ა. შ. ტრადიციული წესის მიხედვით, მაგრამ ამათ გარდა ჭილ-ეტრატის იადგარში თითქმის ყველა სიტყვა და ზოგჯერ მთელი წინადადებებიც კი დაქარაგმებულია.

ცალკეული სიტყვების დაქარაგმებისას შემოკლება ხდება ერთი ან რამდენიმე ხმოვნის ხარჯზე. ზოგჯერ ხმოვნებთან ერთად ამოღებულია თანხმოვნებიც:

ავაზაკი—ავზკსა—119r 5.

აღმართება—აღმრთებასა—23r 7.

გალობა—გლზა—104r 13, გლზსა—74 v 17, 95 r 3.

განუყოფელი—გნუფლი—49v 11.

დაფართული—დფრლნი—116r 15, დფრლთა—101 r 13.

ზიარი—ზარნო—19 v 7.

კალინიერება — კდნ-რბა—56 r 17, 65 v 14. კნიერება—54 r 19 და ა. შ.
 მაგალითების მოტანა უსასრულოდ შეიძლება.

ცალკეული სიტყვების გარდა შემოკლებულია მთელი წინადადებებიც:
 მოხვეცლთინს — მეოხ გუეყავ სულთა ჩუენთასა—5v.

მეოხებითა შთა აცჩი — მეოხებითა შენითა აცხოენენ სულნი ჩუენნი—12 v.

რით აიხსნება ჭილ-ეტრატის იადგარში ასეთი ინტენსიური დაქარაგმე-
 ბა? ამ ხელნაწერში სიტყვათა ხშირ შემოკლებას თვით ძველის შინაარსი უნ-
 და განსაზღვრავდეს. ხელნაწერი საგალობელთა კრებულია, საგალობლები კი
 ჩვეულებრივ ზეპირად იცოდნენ ხოლმე, ამიტომ სიტყვათა ხშირი შემოკლე-
 ბა წამკითხველისათვის დაბრკოლებას არ ქმნიდა. ამის გამოა, რომ საგალო-
 ბელთა კრებულებში დაქარაგმებული სიტყვები ხშირად გვხვდება, ჭილ-ეტ-
 რატის იადგარი კი ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა. შესაძლებელია
 ჭილ-ეტრატის იადგარში ასეთი ინტენსიური დაქარაგმება ეტრატის სიმცი-
 რითაც იყოს გამოწვეული, ეგების ჭილის ფურცლები სწორედ ეტრატის ნა-
 ლებობის გამოა ხელნაწერში ჩართული.

იადგარებში აღსანიშნავია ძლისპირების მინიშნების წესიც. ჭილ-ეტრატის,
 აგრეთვე მიქაელ მოდრეკილის იადგარებში ძლისპირები მხოლოდ დასაწყის-
 სებითაა მინიშნებული.

ჭილ-ეტრატის იადგარში

1. ქსენებასა ყლდ ქზლისა და პირველმოწამისა შინისა სტფნასსა
 ორ 4r.
2. წნო მო—5r.
- 3 კრთხლრს ონი რუნ გა—5r.
4. შნ რი გიხილა ბჟ—5 r.

მიქაელ მოდრეკილის იადგარში (S—425).

1. ყოველნი ვაკურთხევთ და აღ—21 r.
2. წინამძღუარ გუეჟ—11 v.
3. ღო მა—4r.
4. ვიტყვთ კურთ — 20v.
5. კურთხეულ ხარ უ—20v.
6. აღმოგვცენე რქაჲ ცხოვრებისაჲ ქ-შ ღმ—5 r.
7. უუალო ღმერ—4 r.
8. ღაღადებდეს ყოველ—13v.
9. ესრეთ ვღაღადებდეთ მამათა ჩ— 20v.
10. ღმერთო კურთხეულ ხ — 20v.
11. გუნ ქწლო მრმ შე—25r.
12. უმეტეს ხარი შენ ყ—27r და ა. შ.

ამგვარი შემთხვევები მხოლოდ საგალობელთა კრებულებში დასტურდე-
 ბა, ეს კი იმიტომ უნდა იყოს გამოწვეული, რომ ძლისპირები ძველად ზეპირად
 იცოდნენ, ამიტომ აუცილებელი არ იყო ფრაზის ბოლომდე დაწერა, საკმა-
 რისი იყო მხოლოდ დასაწყისის ჩვენება. აღსანიშნავია, რომ შუაზე გაწყვეტილ
 ფრაზას შემოკლების ნიშანი არ ეწერებოდა. ეს არ იყო იმ რიგის შემოკლება,
 როგორც სხვა დაქარაგმებულ სიტყვებთან გვაქვს.

დასკვნები

განვიხილოთ სხვადასხვა პირის მიერ შატბერდის სკოლასა და საბაწმინდის ლავრაში გადაწერილი სხვადასხვა ხასიათის ხელნაწერები IX—X საუკუნეებისა, აგრეთვე გამოცემული პალიმფსესტები. ამოწერილი მასალის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ:

ქართველი გადაწერები სიტყვათა დაქარაგმებას მიმართავენდნენ საწერი მასალის დაზოგვისა და სამუშაოს გაადვილების მიზნით. შეინაშნება, რომ შემოკლებული სიტყვების რიცხვი გაზრდილია კიდევ მეწერილ კომენტარებში, აგრეთვე ძირითად ტექსტში სტრიქონის ბოლოს. მეტიც, ხელნაწერის ბოლო ფურცლებზე შემოკლებული სიტყვების რიცხვი საგრძობლად გაზრდილია (შატბერდის კრებულის ბოლო ნაწილი, სინას მრავალთავის C ხელი).

დაქარაგმებული სიტყვების რაოდენობა ერთის მხრივ ქრონოლოგიური თანმიმდევრობით იზრდება: უფრო ადრეულ ხელნაწერებში შედარებით უფრო მცირე რაოდენობის სიტყვებია დაქარაგმებული, ხოლო უფრო გვიანდელ ხელნაწერებში—მეტი რაოდენობისა (შდრ. პალიმფსესტები და შატბერდული ოთხთავები). მეორეს მხრივ, შემოკლებულ სიტყვათა რაოდენობას განსაზღვრავს გადასაწერი ძეგლის ხასიათი: ოთხთავებს, როგორც კანონიკურ ტექსტებს, გადამწერები უფრო სიფრთხილით ეკიდებიან და დაქარაგმებასაც უფრო შეზღუდულად მიმართავენ (შატბერდული ოთხთავები), ხოლო სხვა ტექსტებს ამ მხრივ უფრო თავისუფლად ეკიდებიან (შატბერდის კრებული და სინას მრავალთავი).

დაქარაგმებისათვის ქართულში გამოყენებულია შემდეგი წესები:

1. მხოლოასოიანი დაქარაგმება—ძირითადად კავშირებთან: რ და ხ. მხოლოასოიანი დაქარაგმება ბერძნულში გავრცელებული იყო ჩვენი წელთაღრიცხვის I ს-დან არასაღვთისმსახურო ტექსტებში. ქარაგმად გამოყენებული იყო დახრილი ხაზი. ქართულში შემოკლებულ რამეთუ-სა და ხოლო-ს ერთვის ისეთივე ქარაგმა, როგორიც ბერძნულ ხელნაწერებში გვხვდება ე. წ. წმინდა სახელებთან.

2. შუაშეკვეცილობითი დაქარაგმება—ამ წესით დაქარაგმებულია კავშირები—აღ, ვე, ვღ, ვრ, ვა, რა. ე. წ. წმინდა სახელები: უფალი, ღმერთი და ა. შ. აგრეთვე ჯმაღ და სხვ. თანდებულები: -გნ, ზ ა, შს, წე. ნაცვალსახელები: მთ, რი, ყი. ზმნისართები: ან, მს, ფღ, ოი, ო კე. ბერძნულში ამ წესით დაქარაგმებულია მხოლოდ ე. წ. წმინდა სახელები. ეს წესი ქართულში საღვთისმსახურო ტექსტების თარგმანსთან ერთად ბერძნულიდან გადმოვიდა, ოღონდ, ბერძნულისაგან განსხვავებით, ქართულში სხვა სიტყვებზედაც გავრცელდა.

3. სიტყვათა უმეტესი ნაწილი ქართულში შემოკლებულია უხმოვნო დაქარაგმებით, რომლის დროსაც შემოკლება ძირითადად ხმოვნების ხარჯზე ხდება, თუმცა ხმოვნებთან ერთად ზოგჯერ ამოღებულია თანხმოვნებიც. თანხმოვანთაგან უმეტესად ამოღებულია ლ, მ, რ.

შემოკლებულ ფუძეს ერთვს, სახელებს—ბრუნვისა და რიცხვის, ხოლო ზმნებს—პირისა და რიცხვის ნიშნები, ამიტომ შემოკლებული სიტყვების გასიფრვა ადვილად ხერხდება. იშვიათად ემთხვევა შემოკლებული ფორმები მიცემითისა და ნათესაობითისა, აგრეთვე მოქმედებითისა და თანხანი მრავლობითისა. ეს ფორმანტა მსგავსებით უნდა აიხსნას.

სა — ისა თა — ითა

ასეთ შემთხვევებში აუცილებელია კონტექსტის მოშველიება:

წმ-დათა—სულითა წმ-დათა — ად. 122 va 9.

ღ-ბთა—რომელნი გამოჩნდეს ღ-ბთა—ად. 213 rb 2.

მიცემითისა და ნათესაობითის შემოკლებული ფორმები ემთხვევა რთულ სიტყვებში:

ღ-თის მოშიში — ს. მ. 43 vb 3. ღ-თის მეცნიერებისაჲ ს. მ. 15 vb 4, მაგრამ, ღ-თს მსახურებისაო — ს. მ. 57 ra 18, 58 ra 12.

უხმოვნო დაქარაგმება ქართულ ნიდაგზე ჩანს შექმნილი და ქრონოლოგიური თვალსაზრისითაც უფრო გვიანდელი ჩანს. ჩვენამდე მოღწეულ ყველაზე უძველეს ქართულ წერილობით ძეგლებში, პალიმფსესტებში, ქარბოხს შუაშეკვეცილობითი დაქარაგმების მაგალითები. უხმოვნო დაქარაგმება ძირითადად დამკვიდრებულია ზმნებთან: თქუა და ჰრქუა. შუაშეკვეცილობითი წესით დაქარაგმებული სიტყვების რაოდენობა შემდგომ აღარც გაზრდილა. გვიანდელი ხანის ძეგლებში ახალი სიტყვების დაქარაგმებისათვის გამოყენებულია უხმოვნო დაქარაგმება.

ზემოთ ჩამოთვლილთა გარდა იადგარებში მიღებულია ძლისპირების მხოლოდ დასაწყისების ჩვენება. ეს მხოლოდ საგალობლების სპეციფიკით აიხსნება და სხვა ხელნაწერებში არ დასტურდება.

დაქარაგმებისათვის ერთხელ შემუშავებულ პრინციპებს ყველა გადამწერი უცვლელად იყენებს და ახალ სიტყვებსაც ამ წესების მიხედვით ამოკლებს. გადამწერთა ინდივიდუალური მანერა სიტყვათა დაქარაგმებისათვის თითქმის არ შეინიშნება. მართალია გამოჩნდა, რომ ხანმეტ ლექციონარში ერთი ხელით გადაწერილი ტექსტის მანძილზე ხრქუა ყველგან ხრქა ფორმითა დაქარაგმებული, ხოლო მეორე ხელით გადაწერილში—ხქა ფორმით, აგრეთვე ერთგვარ თავისებურებებს გვიჩვენებენ სინური მრავალთავის A, B და C გადამწერები, მაგრამ ეს თავისებურებები მხოლოდ თითო-ოროლა სიტყვებთან იჩნის თავს. შედარებით გამოკვეთილად შემოკლების თავისებური მანერა შეინიშნება ქსნის ოთხთავში. ქსნის ოთხთავის ფრაგმენტების გამოვლინებაში ამან გარკვეული როლიც შეასრულა, მაგრამ სხვა ხელნაწერებთან მსგავსი შემთხვევა არ დასტურდება.

დასასრულ, შემოკლების ნიშნის, ქარაგმის შესახებ. დაქარაგმებულ სიტყვას შემოკლების აღსანიშნავად თავზე ეწერებოდა ნიშანი, რომელსაც ქარაგმა ეწოდებოდა. ქართულში ძირითადად გამოყენებულია ერთი სახის ქარაგმა. ეს არის სწორი ჰორიზონტალური ხაზი თავსა და ბოლოში დართული წერტილებით ან მოკლე დახრილი ხაზებით. თავში დართული წერტილები ან მოკლე ხაზები ძირითადი სწორი ჰორიზონტალური ხაზიდან ზევითაა მიმართული, ბოლოში დართული—ქვევით. სწორი ჰორიზონტალური ხაზი კალმის მსუბუქი გასმით შედარებით უფრო მქრქალადაა გამოყვანილი, მასზე დართული წერტილები და ხაზები კი კალმის უფრო მკვეთრი დაჭირებით—მუქად. დახრილი ხაზები სწორ ხაზთან უფრო მსხვილადაა შეერთებული და ბოლოები წამახული აქვს. მოკლე ხაზები ძირითადი ხაზის გადაკვეთისას ქმნიან მახვილ კუთხეს.

უფრო ადრეული ხანის ძეგლებში, პალიმფსესტებსა და ხანმეტ ლექციონარში, ქარაგმად გამოყენებულ სწორ ხაზს ერთვოდა მსხვილი წერტილები,

ძირითადად სამი სახით [იხ. სურათი III, 1], მომდევნო ხანის ძეგლებში კი წერტილებიც და დახრილი ხაზებიც [იხ. სურათი III, 2].

ქარაგმა სიტყვას ეწერებოდა გამოტოვებული ხმოვნის ან მარცვლის აღსანიშნავად დასაწყისში, შუაში ან ბოლოში იმის მიხედვით, სიტყვის დასაწყისში, შუაში თუ ბოლოში იყო გამოტოვებული ასო ან მარცვალი, მაგრამ ყოველთვის ზუსტად გამოტოვებული ასოს ან მარცვლის თავზე მაინც არ იწერებოდა: ანგელსნი — პარხ. 23 r1b 20. სიტყუა — პარხ. 27 ra 10. შნწენო — ს. ძ. 119 ra 19.

თუ შემოკლებული სიტყვა გრძელი იყო, ან შემოკლებული ფორმა ერთი სტრიქონიდან მეორეზე გადადიოდა, მაშინ სიტყვას ორი ქარაგმა ეწერებოდა:



წ-ნაწ-რმტყლნი — აღ. 243 va

წ-ნაწყ-ლნი — აღ. 234 vb


წნწტიყ-ლისაჲ — პარხ. 66ra 5—6

წ-ნწტიყ-ლისაჲ — ჯრ. 12va 1—2

ს უ რ ა თ ე ბ ი



III



I პრ. ოსტოდიანი: 1) აპოსტროფოს, 2) დანია, 3) ვარია, 4) ვრაქია, 5) მაცრა, 6) თქსიო, 7) ჯოდიასტოლი, 8) ჯფენ, 9) ფსილი.

II 1) საუფლოა, უადრესობითი. 2) საწნოუანო. 3) სამთაგრულო. საყოველთაო.

ბამოყენებულნი წყაროები

გამოცემული ძეგლები

1. ხანმეტი ლექციონარი, გამოსცა ა. შანიძემ, თბ., 1944.
2. ხანმეტი მრავალთავი, გამოსცა ა. შანიძემ, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, ტ. VII, ტფ., 1927.
3. ხანმეტი ტექსტები, გამოცემული ი. ჯავახიშვილის მიერ, ქართული პალეოგრაფია, თბ., 1949, გვ. 274—366.
4. ჰემეტი ტექსტები, გამოსცა ა. შანიძემ, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, ტ. III, ტფ., 1823.

ხელნაწერები

A—69, 74, 509, 1150.

H—852, 1658, 1660, 2123 2235, 2238, 2363.

S—425, 1141.

sin ²²/_{აბ}

ფოტოაპირების კოლექცია № 62

887 წ. სომხური ოთხთავის ფოტოაპირი

Греч. 33,34, 54 (ლენინგრადის სალტიკოვ-შხედრინის საბ. ბიბლიოთეკისა).

შემოკლებათა განმარტებები

ად.—ადიშის ოთხთავი.

ჯრ.—ჯრუჟკის ოთხთავი.

პარბ.—პარბლის ოთხთავი.

შ. კ.—შატბერდის კრებულში.

ს. მრ.—სინური მრავალთავი.

თ.—სტრიქონის თავი.

შ.—სტრიქონის შუა.

ბ.—სტრიქონის ბოლო.

Ц. А. ЧАНКИЕВА

СОКРАЩЕНИЯ В ГРУЗИНСКИХ РУКОПИСЯХ (V—X ВВ.)

Резюме

Переписчики грузинских рукописей сокращали слова с целью экономии пишущего материала и облегчения работы (замечается, что число сокращенных слов увеличивается в комментариях и на последних страницах рукописей).

Число сокращенных слов, с одной стороны, увеличивается хронологически: в более ранних рукописях сокращается сравнительно меньшее количество слов, чем в более поздних (палимпсесты и шатбердские четвероглавы).

С другой стороны, количество сокращенных слов определяется характером материала, подлежащего переписи. К четвероглавам, как к каноническим текстам, переписчики обращались более бережно и, следовательно, сокращали меньшее количество слов (шатбердские четвероглавы), чем в других текстах (Шатбердский сборник и Синайский многоглав).

В грузинских рукописях применены следующие принципы сокращения:

1. Писали только начальные буквы слов (რ—რაბეთუ, ხ—ხოლო).
2. Писали только начальные и конечные буквы или слоги (აღ—აღამედ, ვა—ვითარცა).
3. Писали слова только согласными буквами) ქლქი—ქალაქი. ქყნა—ქუყყანა).

მლ. მაზაპარიანი

ერთი ძველი ოთხთავის დათარიღების საკითხისათვის

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში დაცული ქართული ოთხთავი—A—26 სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილი ხელნაწერია.

თ. ჟორდანია ხელნაწერს მოიხსენიებს საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობის I ტომში¹. იგი გვაძლევს ხელნაწერის მოკლე კატალოგურ აღწერილობას: ჩამოთვლის მინაწერში მოხსენებულ პირებს, აღნუსხავს შემკულობის ელემენტებს და ხელნაწერს პალეოგრაფიის მიხედვით XIII ს. მიაკუთვნებს.

რ. შმერლინგი თავისი წიგნის—„ქართულ ხელნაწერთა მორთულობის ნიმუშები“—შესავალში, სადაც იძლევა ქართულ ხელნაწერი წიგნის მორთულობის მოკლე მიმოხილვას, A—26 ხელნაწერი მოჰყავს მე-13 საუკუნისათვის დამახასიათებელი კოლორიტული თავისებურებების საილუსტრაციოდ².

შ. ამირანაშვილი A—26 ხელნაწერის სიუჟეტური სცენების იკონოგრაფიას უკავშირებს ცნობილ ფსალმუნს (A—1665), რომლის შესახებ აღნიშნავს: მთავარ დღესასწაულთა იკონოგრაფია და შესრულების მანერა „მოგვაგონებს მე-13 საუკუნის ილუსტრირებულ ხელნაწერს, განსაკუთრებით კი საეკლესიო ფონდის ილუსტრირებული სახარების A—26-ის მინიატურებს“³.

თ. ვირსალაძე მაცხვარიშის ფრესკული მხატვრობის ორნამენტული მოტივების განხილვის დროს კუფურ ორნამენტებთან დაკავშირებით პარალელურ მასალად მოიხსენიებს⁴ ამ ხელნაწერს.

წარმოდგენილი სტატიის მიზანს შეადგენს ხელნაწერის თარიღის დაზუსტება, მისი დასაბუთება ვადამწერის ანდერძის, და ხელნაწერის ზოგიერთ მხატვრულ-სტილისტურ თუ პალეოგრაფიულ თავისებურებათა შესწავლის საფუძველზე.

A—26 ხელნაწერს გააჩნია ტექსტის ხელით შესრულებული ორი მინაწერი. ერთია ვადამწერის ანდერძი, ხოლო მეორე, თ. ჟორდანია აზრით, დამკვეთისა უნდა იყოს.

დამკვეთის მინაწერში აღნიშნულია:

„ო რო ღო მეოხ ექმენ ელმელიქს და

ლოფსა და მათთა ძეთა გ'ის დაღუნასა“ (20v).

ქარავნების გახსნით: „უფალო ღმერთო, მეოხ ექმენ ელმელიქს

და ლოფსა და მათთა ძეთა; გიორგის, დაღუნასა“.

¹ Т. Ж о р д а н и я, Описание рукописей старопечатных книг церковного музея духовенства Грузинской епархии. Тифлис, стр. 27.

² რ. შმერლინგი, ქართულ ხელნაწერთა მორთულობის ნიმუშები, თბ., 1945, გვ. 21.

³ შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბილისი, 1961, გვ. 301.

⁴ Т. В и р с а л ა ძ ე, Фресковая роспись художника Микаела Маглакели в Мацхвариши, ქართული ხელოვნება, № 4, 1955, გვ. 132.

ამ მინაწერით ხელნაწერის თარიღის გარკვევა არ ხერხდება. აქ მოხსენებული პირები სხვა საბუთებიდან ცნობილნი არ არიან. ვინმე სვიმონ ელმელიქის ძე ჯვარის მიმად მოხსენებულია მე-14 ს. პირველ მეოთხედში⁸, მაგრამ საეჭვოა სჯომნი ამ ელმელიქის ძე იყოს: მინაწერში ელმელიქის ძეთა შორის სჯომნი არ არის მოხსენებული.

გადამწერის ანდერძში, რომელიც მოცემულია სახარების ბოლოს, აღნიშნულია: „სრლ იქმნა სრლებით წა ესე სზრბა გნგბითა და ზანდუკთა სრული და მართლი ხელითა ნიკზ კატრაწის ცი[სა]თა ვინცა იმსზრბდეთ [ლცვა] ყვთ ჩმთს: რმშრომელნი მტუერ] და ნაცარ ვიქმნებ[ით ხნაშრომი ჰვიეს: უ(კე)“ (533r).

ქარაგმების გახსნით:

„სრულ იქმნა სრულებით წმიდა ესე სახარება, განგებითა და ზანდუკითა სრული და მართალი, ხელითა ნიკოლოზ კატარაწისცი(საა)თა. ვინცა იმსახურებდეთ (ლოცვა) ყავთ ჩემთვის, რამეთუ მშრომელნი მტუერ] და ნაცარ ვიქმნებით. ხოლო ნაშრომი ჰვიეს უ(კუნისამდე)“.

მაშასადამე, ამ ანდერძის მიხედვით ხელნაწერი გადაუწერია ვინმე ნიკოლოზ კატარაწისძეს.

იერუსალიმის ბერძენთა საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში დაცულია ერთ-ერთი ხელნაწერი — „მარხვანი“, იერ. 67, რომელსაც გააჩნია ტექსტის ხელით შესრულებული ანდერძი. ეს ანდერძიც ხელნაწერის გადამწერად ასახელებს ნიკოლოზ კატარაწისძეს⁹:

„სრულ იქმნეს სრულებით წი ესე მარხვნი ხლითა ნკ ლზ კატარაწისძისათა: ღთისათს ლცვა ყვთ რმშრომელნი მტუერ და ნაცარ ვიქმნებით ხ ნაშრომი ჰვიეს უკე“.

ქარაგმების გახსნით:

„სრულ იქმნეს სრულებით წმიდანი ესე მარხვანი ხელითა ნიკოლოზ კატარაწისძისათა. ღმერთისათს ლოცვა ყავთ, რამეთუ მშრომელნი მტუერ და ნაცარ ვიქმნებით, ხოლო ნაშრომი ჰვიეს უკუნისამდე“.

A—26 და იერ. 67 ხელნაწერთა შორის პალეოგრაფიული მსგავსებანი, აგრეთვე გადამწერთა სახელების იდენტურობა მიგვითითებენ იმაზე, რომ ამ ხელნაწერთა გადამწერი ერთიდაიგივე პიროვნებაა.

მართალია, იერ. 67 ხელნაწერის გადამწერის ანდერძს პირდაპირი მითითება ხელნაწერის თარიღის შესახებ არ გააჩნია (ყოველგვარი დასაბუთების გარეშე ცაგარელი მას XI—XII საუკუნით ათარიღებს, ხოლო ბლეიკი XII

⁸ ელ. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI—XVIII), თბილისი, 1962, გვ. 136, 142 (იხ 65 და 84 ალაპის კომენტარები).

⁹ მინაწერი მიგვითითა ელ. მეტრეველმა, რისთვისაც მას დიდ მადლობას ვუძღვნი, ხელნაწერის კატალოგური აღწერილობა მოცემული აქვს ალ. ცაგარელს (იხ. „Памятники грузинской старины в святой земле и на синае“. Изд. Прав. Палест. общ. 1888, т. IV, вып. 1, стр. 168—169).

საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში დაცულ ხელნაწერებთან ერთად ეს ხელნაწერი აღწერა ბლეიკმა (იხ. Catalogue des manuscrits Georgiens de la Bibliotheque des manuscrits Georgiens de la bibliotheque patriarchale Creque a Jerusalem par Robert P. Blacq, Paris, 1927, № 67). კ. კეკელიძე ამ ხელნაწერს კაპათურ ხელნაწერად იხსენიებს ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ნაკვ. IV, თბილისი, 1927, გვ. 202—203). ხელნაწერი მოუხატავია, მხოლოდ ზოგიერთი ასომთავრული ინიციალები და სტრიქონები ტექსტში სინგურითაა შესრულებული.

საუკუნეს შიკაუთენებს), მაგრამ ხელნაწერს ტექსტის ბოლოს აქვს მინაწერი, რომელიც დათარიღებისათვის იძლევა საგულისხმო ცნობას. ამ მინაწერით შესაძლებელი ხდება ხელნაწერის შესრულების ზედა ქრონოლოგიური ზღვარის დადგენა და ამდენად ნიკოლოზ კატარაწისძის მოღვაწეობის ხანის განსაზღვრა. მინაწერი ეკუთვნის ჯვარის მონასტრის ძმობის ერთ-ერთ წევრს, ეინზე გიორგის, რომელსაც, დიდ გაჭირვებაში მყოფს, „შემდგომად ხვარაზმელთაგან ტყუშობით გამოსვლისა“, იერუსალიმის ერთ-ერთ ქუჩაში შეუსყიდია ეს ხელნაწერი:

„...მე, სულითა საწყალობელი, მიწაა უღირსი წმიდათა და პატიოსანთა მამათა ჯუარელთა ძმობისაა გიორგი ღირს მყო მოგებად წმიდათა ამათ მარხვათა, დიდსა სივლახაკესა შინა, შემდგომად ტყუშობით გამოსვლისა ხვარაზმელთაგან. ესე ყოველთა შემდგომითი შემდგომად მოგეთხრას მაშინდელნი ყოველთა ქრისტეანეთა ჭირნი და განსაცდელნი: ოკრებანი მონასტერთა და ეკლესიათანი, რომელ არ სადა დარჩომილა ერთი წიგნისა თურცელი. იმრუსალემს შუკათა შინა შაასულმან ვნახენ ესე ორნი წიგნნი: ერთი ესე და ერთი საწინასწარმეტყულოა სპარსსა კაცსა ჰქონდეს, ზისგან თელაველსა სპარსსა კაცსა ეყიდნეს. მატებითა და მატებითა ცლივ წაუხუმნ ესე. სადღესასწაულოა წარილო, მე სყიდისა ღონე აღარ მქონდა. აწ მოვაგსენე მასვე მონასტერსა კაპკათისსა, რომლისაჲცა პირველ ყოფილიყო. აწ, გინათუ კაპკათას შინა, გინა ვარეთ სუშტსა შინა, ანუთუ ჯუარსავე შინა იყუნენ, ვინცა მიემთხვნეთ და იმსახურებდეთ ამათ წმიდათა მარხვათა, ხსენებულმცა ვარ წმიდათა შინა, ლოცვათა თქუნეთა უსასყიდლოდ შენდობასა იტყოდეთ, რათა ღმერთმან თქუნეცა უსასყიდლოდ მოგმადლოს წყალობაჲ მისი, ამინ. (524 გვ.)“

მაშასადამე, ამ მინაწერის მიხედვით, ხვარაზმელების მიერ იერუსალიმის აოხრებამდე⁷ ეს ხელნაწერი ინახებოდა კაპკათას მონასტერში, ე. ი. იგი მე-13-ს 40-იანი წლებისათვის უკვე გადაწერილი ყოფილა. ამდენად, ნიკოლოზ კატარაწისძის მოღვაწეობის ხანა მე-13-ს პირველ ნახევარს არ უნდა ვასციოდეს. A—26 ხელნაწერის შექმნაც ამ პერიოდისთვისაა სავარაუდებელი. ხელნაწერის მხატვრულ-სტილისტური და პალეოგრაფიული თავისებურებანი ამ ხანაზე მიუთითებენ. A—26 ხელნაწერი ხელის მიხედვით ძალიან ახლოს დგახ იერ. 67-თან. ჩვენს მიერ წარმოდგენილ ტაბულაზე (იხ. ტაბ. I), სადაც მოცემულია ანბანური თანმიმდევრობით A—26 ხელნაწერის ცალკეულ ასოთა გრაფიკული მონახაზები, A—26 ხელნაწერს ვადარებთ ცნობილ ასტრონომიულ ტრაქტატსა (A—65, XIII ს. დასაწყ.) და შიომღვიმის ოთხთავს (H—1344,

⁷ ხვარაზმელებმა იერუსალიმი აიღეს 1244 წ. იხ. ცაგარლის ზემოთ დასახელებული ნაშრომი, გვ. 183.

7. პალეოგრაფიული ძიებანი



დათარიღებულია 1304 წლით). აქ წარმოდგენილი ტაბულა ცხადყოფს ეგვიპტის იგი ასოთა გრაფიკული მოხაზულობით პირველ მათგანს ემსგავსება.

მხატვრული თავისებურებებიდან უნდა აღინიშოს რამდენიმე ნიშნები, რომლებიც მე-13 ს. ხელნაწერი წიგნის დეკორატიულ მორთულობას ახასიათებს.

ხელნაწერი წიგნის მხატვრული შემკულობა წარმოდგენილია ერთის მხრივ ორნამენტული მორთულობის ცალკეული ელემენტებით—კამარებით, თავსამკაულებითა და ინიციალებით, ხოლო მეორეს მხრივ—მინიატურებით, რომლებიც შეიცავენ მახარებელთა გამოსახულებებს და რამდენიმე კომპოზიციას ახალი აღთქმიდან: ხარებას, შობას, იერუსალიმს შესვლას და სულიწმიდის მოფენას.

ეს შემკულობა ხელნაწერის ტექსტში განაწილებულია შემდეგი თანმიმდევრობით: ხელნაწერის დასაწყისში თავმოყრილია კამარები. სახარების ცალკეულ თავს ერთვის მახარებლის გამოსახულება (ხელნაწერში შემორჩენილია მარკოზ და ლუკა მახარებლის გამოსახულება). ქრისტეს ცხოვრების ამსახველი სცენებიდან მათგან სახარებას წინ უძღვის ხარება და შობა, ხოლო იოანეს სახარებას იერუსალიმს შესვლა და სულიწმიდის მოფენა. სახარების ცალკეული თავის დასაწყისს ამკობს თავსართები, ხოლო ტექსტის დასაწყისი და ასევე ხელნაწერში არსებული აბზაცები აღნიშნულია მარტივი აგებული ფორმების ინიციალებით, რომლებიც წარმოადგენენ სინგურზე ოქროთი დაფერილ დიდი ზომის მთავრულ ასოებს.

A—26 ხელნაწერის დეკორში განსაკუთრებული ადგილი ორნამენტებს უჭირავს. ორნამენტითაა შევსილი დეკორის ცალკეული ელემენტები—თავსამკაულები, კამარები და მინიატურათა ჩარჩოები.


მიუხედავად იმისა, რომ ეს ელემენტები სტრუქტურულად ერთნაირი აგებულებისა არიან, მაგ. კამარის არქიტექტონიკა მ შემთხვევაში ერთნაირია, ასევე თავსამკაულები (ტაბ. II) ოთხივე შემთხვევაში სწორხაზოვან ფორმას იმეორებს, ხელნაწერის დეკორი მრავალფეროვნების შთაბეჭდილებას ტოვებს.

ხელნაწერში არსებული ორნამენტები წარმოდგენილი არიან მცენარეული და გეომეტრიული მოტივების სახით. მათ შორის რამდენიმე ჯგუფი შეიძლება გამოვყოთ:

ე. წ. ყვავილოვან-ფოთლოვანი ორნამენტი (ამ ორნამენტითაა შევსილი კამარაში ჩაწერილი თაღები, ასევე თაღსა და სწორკუთხედს შორის დარჩენილი სამკუთხა არეები. ეს ორნამენტები გვხვდება თავსართებსა და მინიატურათა ჩარჩოებში), ჯვარისებრი ტიპის ორნამენტი (წარმოდგენილია კამარებში, თაღისა და ვიწრო ზოლის სახით), კიბისებური ორნამენტი (ვიწრო ზოლის სახით გარს უვლის სამ კამარაში სწორკუთხედს და მინიატურულ კომპოზიციებს), ტიხრული ორნამენტი (ქმნის ლუკას გამოსახულების ჩარჩოს), სტილიზებული მცენარეულობის ტალღისებური სახის ორნამენტი (გვხვდება მხოლოდ ერთ-ერთი კამარის კიდევში ჩართული), კუფური ორნამენტი ავსებს პირველსა და მესამე კამარაში ჩაწერილ ორმაგ თაღებს), ლენტისებური ორნამენტი (ჩაწერილია მეორე კამარის თაღებში).


	A-65	A-26	H-1344		A-65	A-26	H-1344
ა	ა	ა	ა	ბ	ბ	ბ	ბ
ბ	ბ	ბ	ბ	გ	გ	გ	გ
გ	გ	გ	გ	დ	დ	დ	დ
დ	დ	დ	დ	ე	ე	ე	ე
ე	ე	ე	ე	ვ	ვ	ვ	ვ
ვ	ვ	ვ	ვ	ზ	ზ	ზ	ზ
ზ	ზ	ზ	ზ	თ	თ	თ	თ
თ	თ	თ	თ	ი	ი	ი	ი
ი	ი	ი	ი	კ	კ	კ	კ
კ	კ	კ	კ	ლ	ლ	ლ	ლ
ლ	ლ	ლ	ლ	მ	მ	მ	მ
მ	მ	მ	მ	ნ	ნ	ნ	ნ
ნ	ნ	ნ	ნ	ო	ო	ო	ო
ო	ო	ო	ო	პ	პ	პ	პ
პ	პ	პ	პ	ჟ	ჟ	ჟ	ჟ
ჟ	ჟ	ჟ	ჟ	რ	რ	რ	რ
რ	რ	რ	რ	ს	ს	ს	ს
ს	ს	ს	ს	ტ	ტ	ტ	ტ
ტ	ტ	ტ	ტ	ც	ც	ც	ც
ც	ც	ც	ც	ძ	ძ	ძ	ძ
ძ	ძ	ძ	ძ	წ	წ	წ	წ
წ	წ	წ	წ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ
ჭ	ჭ	ჭ	ჭ	ხ	ხ	ხ	ხ
ხ	ხ	ხ	ხ	ყ	ყ	ყ	ყ
ყ	ყ	ყ	ყ	შ	შ	შ	შ
შ	შ	შ	შ	ჩ	ჩ	ჩ	ჩ
ჩ	ჩ	ჩ	ჩ	ცხ	ცხ	ცხ	ცხ
ცხ	ცხ	ცხ	ცხ				

ფაგ. II



ამ ორნამენტული ნახატის კოლორიტსა და ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებაში უნდა აღინიშნოს ის თავისებურებანი, რითაც A—26 ხელნაწერის მხატვრობა მე-13 ს. უკავშირდება.

როგორც ზევით აღენიშნეთ, რ. შერლინგი, როდესაც ლაპარაკობს მე-13 ს-ში მომხდარ კოლორიტულ თავისებურებათა ცვლილებებზე, ასახელებს A—26 ხელნაწერის მაგალითს. იგი აღნიშნავს, რომ მე-13 ს. ფერადოვანი გამა „საღებავის გათეთრებულობისა და უჩვეულო ვარდისფერი და ღია ცისფერისაკენ მისწრაფებას იჩენს“.




სურ. 1. ორნამენტები XIII ს. ხელნაწერიდან (A—26)

A—26 ხელნაწერის დეკორი ამ თავისებური კოლორიტული გამით ხასიათდება: ორნამენტები იჩენენ მისწრაფებას ბაცი ცისფერი ტონებისაკენ. ადგილი აქვს ღია ცისფერი, ვარდისფერი, შინდისფერი ფერების ურთიერთ შენაცვლებას, მათ ფერადოვან კომბინაციებს. ბელილას საღებავი, რომელიც ამუშავებს ორნამენტულ დეტალებს, ცალკეულ ფერთა ურთიერთშეხამებას უწყობს ხელს. ოქროს საღებავი, რომელიც ფონად ემსახურება ორნამენტულ ნახატს, შეეხამება ამ საერთო ფერადოვან გამას.

ფერადოვანი გამის ასეთი შეხამებით ცალკეული კამარისა თუ თავსამკაულის ორნამენტულ კომპოზიციას ერთიანობაში, მოლიანობაში აღვიქვამთ.

ასეთი კოლორიტული გადაწყვეტა ახასიათებს მე-13 ს. ხელნაწერებში ამ პერიოდის გრაფიკული ტიპის ხელნაწერებში ნახატი მონოქრომულია, ორნამენტული დეკორი ზოგჯერ ერთი ფერითაა შეფერილი. მაგ., A—496 თავსამკაულის ორნამენტი (1r) ღია ყავისფერით ან სინგურითაა (99r) გადმოცემული, A—135 ოთხთავში ფერადოვანი გამა ნახი ფერების შეხამებით ხასიათდება. ეს თავისებურება კიდევ უფრო აშკარად მკლავდება უფრო მოგვიანო პერიოდის მრავალშრიანი საფერწერო ტექნიკით შესრულებულ ხელნაწერებში: კერძოდ, შიომღვიმის (H—1344), მოქვის (Q—904) ოთხთავებში კოლორიტული გამა ბელილაშერეული ტონებისადმი იჩენს მისწრაფებას.



სურ. 2. თავსამკაული XIII ს. ხელნაწერიდან (A—496)

მთავარი და ძირითადი, რაც მე-13 ს. ხელნაწერთა მორთულობის კოლორიტში შეიმჩნევა — ეს არის შეუფერავი ეტრატის ფერის მნიშვნელობით წარმოდგენა.


ქართულ ხელნაწერებში, განსაკუთრებით გრაფიკული ტიპის ორნამენტებში ეტრატი დიდ როლს თამაშობს. მაგრამ თუ აღვინიშნავთ ხანის ხელნაწერთა თავსამკაულებში, საზედაო ასოებში, მაგ. ურბნისში, A—28, S—962, მიქელ მოდრეკილის ფსალმუნებში დაუფერავი ეტრატი ფონის როლს ასრულებდა, მე-13 ს. დაუფერავი ეტრატის ხმარება ორნამენტსა და ინიციალში გათვალისწინებულ მომენტად გვევლინება. როგორც დამატებითი ტონი, იგი

წარმოდგენილია გრაფიკული ტიპის ხელნაწერებში A—138, A—146, იენაშის ოთხთავში; იგი გვხვდება ცხოველსახული ტიპის ხელნაწერებში, მაგ. შიომღვიმის ხელნაწერში თავსამკაულთა (17r, 20r) შემადგენელ ყვავილოვან-ფოთლოვანი ორნამენტის ძირითად კონტურულ მონახაზს შეუფერავი ეტრატე ქმნის.

ეს თავისებურება A—26 ხელნაწერში ჯვარისებრი ტიპის ორნამენტებში შეინიშნება.

ჯვარისებრი სახის ორნამენტი, ე. წ. ცხოველსახული ტიპის ხელნაწერებში, შედგება პატარ-პატარა ჯვრებისაგან. ორნამენტული ნახატი შექმნილია თეთრ ფონზე გამობატული ლურჯი და მწვანე ფერის ჯვრების მონაცვლეობით, რომლებიც ერთმანეთისაგან ოქროს ფაჭიში ხაზებითაა გამოიჯნული. ნახატი ტიხრულ მინანქარს მოგვგავონებს. ასეთი ორნამენტებისაგან შედგება ალავერდის ოთხთავის (A—484) ჯვარი, ვანის ოთხთავის (A—1335) კამარის ნახევრადწრედი (4v).

☞ A—26 ხელნაწერის ჯვარისებრი ორნამენტები განსხვავებული კოლორიტული შეხამებითა და გამართივებული საფერწერო ტექნიკითაა შესრულებული (იხ. სურ. 1). ნახატი შექმნილია დაუფერავი ეტრატისა და ბაცი ცისფერი ფერის



სურ. 3. თავსამკაული XIII ს. ხელნაწერიდან (A—138)

დაპირისპირებით. უარყოფილია ცალკეული დეტალის ოქროს ხაზებით გამოყოფა, ორნამენტული ნახატის ამოვსება სქელი გაუმჭვირვალე საღებავებით. ყოველივე ამის გამო ფერები ერთმანეთისაგან არ არიან გამოიჯნულნი, მისპირტიხარი ამ ოქროს ხაზებისა და კონტრასტული ფერების სახით. ორნამენტული დეტალი არ იკითხება ფერადონებისა თუ ნახატის მხრივ დამოუკიდებლად. თითოეულ დეტალს, ჯვრის ფორმას არ სჭირდება ცალ-ცალკე დათვლიერება. იგი მთლიან ზოლადაა შერწყმული. ორნამენტული ნახატი მთლიანობაში აღიქმის...

მხატვრული აღქმის თვალსაზრისით ასეთი ერთიანობა მე-13 ს. ხელნაწერთა შემკულობაში მიღწეულია ასევე დეკორატიულ კომპოზიციითა თავისე-

ბური გადაწყვეტით. მე-13 ს. მთელ რიგ ხელნაწერებში შესამჩნევია არა მარტო ერთ ტონში გადაწყვეტილი კოლორიტული გამის არსებობა, არამედ დეკორატიული სიბრტყის მთლიანი ორნამენტული ნახატი შეესება. თავსამკაულთა არე წარმოადგენს მთლიან დაუნაწევრებელ სიბრტყეს, ორნამენტული წნული, რომელიც მრავალჯერ გადახლართულია, ერთიან ორნამენტულ მონახაზს ქმნის. ჩარჩო ეხლა ორნამენტის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, იგი შეზრდილია ჩარჩოს ორნამენტთან, მასთან ერთად ქმნის ერთიან სქემატურ ნახატს.

კლასიკური სიმეტრია უკვე აღარ მიაჩნიათ სავალდებულოდ და მას არღვევენ კიდევ. ფონი მინიმუმამდეა დაყვანილი. თუ უწინ იგი ორნამენტის საფუძველს შეადგენდა, კონტურის ნახატის ქვეშ მკვეთრად იყო გამოვლენილი, ეხლა ფონი ორნამენტის ქვეშ იფარება, მხოლოდ აქა-იქ გამოსჭვდევს უმნიშვნელო სახით. ყოველივე ამის გამო ორნამენტის სქემატური ნახატი აღარ იკითხება ცხადად, თითოეული ორნამენტული დეტალი ერთ მთლიანობაშია შერწყმული⁸.

უფრო მეტიც: თავსამკაული—ერთიან ორნამენტულ სიბრტყედ გააზრებული, არა მარტო უკუაგდება ჩარჩოს, არამედ სცილდება მის საზღვრებს: A—138, 3r, 141r; A—496, 1r (იხ. სურ. 2). თავსამკაულის ორნამენტი იმორ-



სურ. 4. თავსამკაული XIII ს. ხელნაწერიდან (A—138)

ჩილებს გვერდის თავისუფალ კიდეებს, მისწრაფის შეერწყას ინიციალს, შეიჭრას ტექსტში (A—138, 3r, 10r. იხ. სურ. 3); ერთ შემთხვევაში იგი ერთ-ვის ინიციალს, მასზედ არის შედგმული (A—138, 61r. იხ. სურ. 4), მეორე შემთხვევაში ინიციალთან ერთად ტექსტის ვერტიკალური სვეტის გასწვრივ ჩამოზრდილია (A—922, A—138 102r, 141r). A—138-ში ასო „პ“ (141r) თითქმის ტექსტის ვერტიკალს შეესაბამება.

⁸ რ. შმერლინგი, ქართულ ხელნაწერთა მორთულობას ნიმუში, თბ., 1945, გვ. 17.

ტექსტთან ასეთი ურთიერთკავშირი შესამჩნევია მინიატურულ კომპოზიციებშიც. მაგ. ჯრუჭის II ოთხთავში სიუჟეტური კომპოზიციების ცალკეული დეტალები, ხეები თუ ადამიანთა ფიგურები ჰკვეთენ ჩარჩოს ნაწილებს, ჩარჩოს ფარგლებიდან გამოდიან, ტექსტისათვის განკუთვნილ არეში იჭრებიან. «დეკორაციული ფორმის მისწრაფება ტექსტთან უფრო შერთული და არა მხოლოდ მექანიკური თანაარსებობისაქენ—ამ დროის ყველაზე უფრო აშკარა თავისებურებათაგანია»⁹.

ცალკეული დეკორაციული ელემენტებისა თუ ტექსტისა და დეკორის ამ ცალკეულ ელემენტებს შორის ასეთი ერთიანობა ქმნის დინამიურ კომპოზიციას, რაც ახალი სტილის

წარმოშობას უკავშირდება. XI—XII სს. ხელნაწერებში, კერძოდ ალავერდის, გელათის, ბერთის, წყაროსთავის და სხვ. ხელნაწერებში თავსამკაული, ინიციალი თუ მინიატურა დამოუკიდებელ დეკორატიულ ელემენტებს წარმოადგენენ. ტექსტის დასაწყისი გვერდის კომპოზიციური გადაწყვეტა სიცხადით ხასიათდება. ეს კლასიკური სიცხადე შენარჩუნებულია იმით, რომ ამ გვერდის მომრთველ თითოეულ ელემენტს — თავსამკაულსა და ინიციალს თავისი განსაზღვრული ადგილი აქვს მიჩნეული. თავსამკაული სწორხაზოვან, სწორკუთხა, ან ასო II-ს ფორმისაა, რომ-



სურ. 5. ხარების სცენა XIII ს. ხელნაწერიდან (A—26)

ლის კიდევები ხაზგასმულია ორნამენტირებული ან ფერადხაზოვანი ზოლებით, ე. ი. ორნამენტი ვარკვეულ გეომეტრიულ ჩარჩოშია ჩაწერილი, აგვირგვინებს ორ სვეტად დაწერილ ტექსტს (თავსამკაულის ზომას ტექსტის სივანე განსაზღვრავს). ინიციალიც ტექსტის ვერტიკალური სვეტის მოხაზულობიდან მარჯვნივ, გვერდის თავისუფალ არეზე ოდნავ გამოიწეულია, ამ მხატვრულ ანსამბლში დამო-

⁹ რ. შმეკლინგი, ქართულ ხელნაწერთა მორთულობის ნიმუშები, თბ., 1945, გვ. 22.

უკიდებლად იკითხება. არაც შეეხება მინიატურულ კომპოზიციებს, ისინი ასევე შემოფარგლულნი არიან ორნამენტირებული თუ ფერადხაზოვანი ზოლის სახით წარმოდგენილი დეკორატიული ჩარჩოებით.

XIII ს. დეკორატიული სისტემა გამომსახველობის ახალ ფორმებს ეძებს, ცდილობს თავი დააღწიოს მშვიდ ფორმებს, ჩარჩოს ფარგლებიდან გამოდის.

ეს ახალი სტილი, რომელიც გამოიხატა ამ გართულებული დეკორატიული სისტემის შექმნაში, რთულ ორნამენტულ ვარიანტებსა და დინამიურ



სურ. 6. მახარებლის გამოსახულება XIII ს. ხელნაწერიდან (A—26)

კომპოზიციებში, A—26 ხელნაწერში გამოვლინდა დეკორის მხოლოდ ზოგერთ ელემენტში, კერძოდ მინიატურულ კომპოზიციებში— მახარებელთა და ქრისტეს ცხოვრების ამსახველი სცენების დეკორატიული ჩარჩოების მხატვრულ გადაწყვეტაში. კომპოზიციის ცალკეული დეტალები თუ არქიტექტურული მასები არღვევენ ჩარჩოს ფარგლებს, სრულიად უკუაგდებენ მის ნაწილს. მაგ., ხარების სცენაში (გვ. 23) (იხ. სურ. 5) ანგელოზის ფრთა, ფარდული ფარავს ჩარჩოს, გუმბათი გადის ჩარჩოს ფარგლებს გარეთ. ბზობის სცენაში (328 გვ.) დეკორატიული ჩარჩო კომპოზიციის პერსონაჟებთან თუ არქიტექტურულ მასებთან ერთად არის გააზრებული. მახარებელთა გამოსახულებებში (იხ. სურ. 6) კარდა გამოსულია ჩარჩოს ფარგლებიდან. მახარებელთა გამოსახულებების შემცველ მინიატურათა მსგავს კომპოზიციურ გადაწყვეტას ვხედავთ მე-13 საუკ. ხელნაწერში A—496 (იხ. სურ. 7).

ნიკოლოზ კატარაფისძის მოღვაწეობის განსაზღვრას XIII ს-ზე ადრეული პერიოდით, კერძოდ XII საუკუნით, გამორიცხავს A—26 ხელნაწერის მხატვრული თავისებურებანი.

უნდა აღინიშნოს, რომ მხატვრული შემკულობისათვის დამახასიათებელი თავისებურებანი შესაძლებლობას გვაძლევს A—26 ხელნაწერი მივიჩნიოთ არა განვითარებული მე-13 ს. მხატვრული სტილის წარმომადგენლად, არამედ

ხელნაწერად, რომელშიც მხოლოდ იჩენს თავს ამ ახალი სტილის თავისებურებანი. ამდენად, A—26 ხელნაწერის თარიღი შესაძლებელია მე-13 ს. პირველი ნახევრით განისაზღვროს¹⁰.



სურ. 7. მახარებლის გამოსახულება XIII ს. ხელნაწერიდან (H—496)

Е. М. МАЧАВАРИАНИ
К ВОПРОСУ ДАТИРОВКИ ОДНОГО ГРУЗИНСКОГО
ЧЕТВЕРОГЛАВА

Резюме

Данная статья посвящена вопросу датировки одной грузинской рукописи, хранящейся в фондах Института рукописей им. К. Кекелидзе АН СССР (А—26).

¹⁰ კატარაწისძეთა საგვარეულოდან მე-13 ს. ცნობილია აგრეთვე მწიგნობარი მიქელირომელსაც 1222 წელს გადაუწერია ლაშა გიორგის სიგელი (Qd—8511). ეს საბუთი თ. ჯორდანას შეცდომით დათარიღებული აქვს 1082 წლით. აქ მოხსენებული გიორგი მეფე მიჩნეული ყავს გიორგი II-დ. ნ. შოშიაშვილმა შეასწორა ეს თარიღი და დაათარიღა საბუთი 1222 წლით (იხ. ნ. შოშიაშვილი, „აკონის დაწერილი როგორც საისტორიო წყარო“, ხელნაწერი, გვ. 54).

Рукопись размером 23,5x17,5 (536 стр.), представляет собой четверо-глав. Написана она на пергаменте, древнегрузинским строчным письмом „нухური“, в два столбца и украшена заставками, канонами и миниатюрами, на темы Нового Завета („Рождество Христово“, „Благовещение“, „Вход в Иерусалим“, „Сшествие во ад“).

Дата исполнения рукописи уточнена на основании записи переписчика, а также некоторых ее палеографических и художественных особенностей. При этом надо отметить, что хотя в рукописи нет прямых указаний о дате ее исполнения (указывается только имя переписчика — Николая Катарацидзе), но в другой рукописи Ier. 67 (хранится в иерусалимской греческой патриаршей библиотеке), переписанной тем же Николаем Катарацидзе, имеется приписка, указывающая на верхнюю хронологическую грань исполнения этой рукописи. Эта приписка, принадлежащая одному из членов братства Крестного монастыря в Иерусалиме Георгию, дает основание полагать, что она была переписана до взятия Иерусалима хорезмийцами, т. е. в первой половине XIII века.

Указанное обстоятельство, а также палеографические и художественные данные рукописи А—26 дают основание датировать ее первой половиной XIII века.

რამაზ პატარიძე

XIV—XV საუკუნეების ქართული ხელნაწერების ჰვირნიშნები

ქართული ხელნაწერებისა და სიგელ-გუჯრების პალეოგრაფიულმა შესწავლამ გამოარკვია საუკუნეების მანძილზე საქართველოში გავრცელებული ქალაქის სადაურობა.

ივანე ჯავახიშვილი ქართულ პალეოგრაფიაში წერდა: „საერთოდ ჯერ გამოკვეთილი არ არის. პირველად როდის შემოდის ჩვენში ევროპული ქალაქი...“¹.

ჩვენი მიზანია ასწორედ ეს საკითხი გავარკვიოთ. ქართული ხელნაწერების ანალიზმა ცხადყო, რომ მე-15 საუკუნის მიწურულსა და მე-16 საუკუნის დამდეგიდან საქართველოში საუკუნეების მანძილზე იტალიური ქალაქი ხმარებაში. მე-16, მე-17 საუკუნეების მანძილზე საქართველოში მთლიანად იტალიური ჰვირნიშნის ქალაქი გაბატონებული და აღმოსავლური ქალაქი ძლიერ იშვიათად გვხვდება.

ჰვირნიშანი, როგორც ქალაქის სადაურობის დამა წმინდა ევროპული და თავდაპირველად იტალიური წარმოშობისაა. აღმოსავლურმა ქალაქმა ჰვირნიშანი არ იცის.

მე-14 საუკუნის დამდეგიდან იტალიური ქალაქი უკლებლივ ჰვირნიშნისა.

ქართული ხელნაწერი წიგნებისა და დოკუმენტების შესწავლისას (ხელნაწერთა ინსტიტუტი, ცენტრალური არქივი, ქუთაისის მუზეუმი) გამოვლინდა უძველესი იტალიური ჰვირნიშნები მე-14, მე-15 საუკუნეებისა.

ქუთ: მუზეუმის ხელნაწერი № 329. „ყამნი“ აღწერილობით დათარიღებულია მე-16—17 საუკუნეებით. ხელნაწერი ჰვირნიშნის იტალიურ ქალაქზეა დაწერილი. ჰვირნიშანია Horn. Without band vertical ფრანგ. Huchet (cornet), რუსულად Охотничий Рог. ქართულად ამ ჰვირნიშანს „ბუკი“ უნდა ვუწოდოთ. ეს ჰვირნიშანი საუკუნეების მანძილზე იხმარებოდა. იგი ერთ-ერთი უძველესი ჰვირნიშანია. პირველად ჩნდება 1314 წელს იტალიაში. XIV—XVIII საუკუნეების მანძილზე „ბუკი“ განუწყვეტლივ იხმარება იტალიურ, ფრანგულ, გერმანულ და პოლანდიურ ჰვირნიშანად.

¹ ი. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, თბილისი, 1949, გვ. 40.

ქართულ ხელნაწერებში „ბუკი“ უძველესი დროიდანვე გვხვდება. პირველად მე-14 საუკუნის ქუთაისის ხსენებულ ხელნაწერში (ტაბ. I, ნ. 1). შემდეგ — Ad ფონდის № 723 უთარილო დოკუმენტში, მე-15 საუკუნისა (ტაბ. I, ნ. 2), (ამ ჰვირნიშნის შესახებ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი) და მესამედ S—1274 ხელნაწერში, მე-16 საუკუნისა (ტაბ. I, ნ. 3) (წიგნი სააქიმოა). ეს ხელნაწერი (S—1274) აღწერილობით მე-15—16 საუკუნეებით არის დათარიღებული. ჰვირნიშნების ანალოზის საფუძველზე კი (ხელნაწერში 13 სხვადასხვა ტიპის ჰვირნიშნის) ხელნაწერი ადრეული მე-16 საუკუნით თარიღდება, კერძოდ 1520—1530-იანი წლებით.

ამგვარად, ადრეულ მე-14—16 საუკუნეების ქართულ ხელნაწერებში გვაქვს სამი სახეობა ჰვირნიშნისა „ბუკი“: მე-14 საუკუნის—მარტივი ფორმისა; მე-15 საუკუნის თასმით და მე-16 საუკუნისა „ბუკი თასმით წრეში“.

განიხილოთ ქუთაისის ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერი № 329. აღწერილობით ხელნაწერი მე-16—17 საუკუნეებით არის დათარიღებული. დათარიღება მცდარია. იტალიური ქალაქისა და ჰვირნიშნის ანალოზის საფუძველზე ირკვევა, რომ ხელნაწერის ქალაქი მე-14 საუკუნის ტიპური იტალიური ქალაქია.

ქუთაისის ხელნაწერში ყურადღებას იპყრობს განივი ხაზების (ვერცხერების) სპეციფიკა. მსხვილი და წვრილი განივი ხაზების თანამიმდევრობა ძლიერ იშვიათი შემთხვევაა. უდიდესი პალეოგრაფი ბრიკე, რა თქმა უნდა, იცნობს ასეთი აგებულების ქალაქს, რომელიც იხმარება დროის მეტად მცირე მოხაკეეთის მანძილზე, კერძოდ 1330 წლიდან—1340 წლამდე—სულ ერთი ათეული წლის მანძილზე. ამგვარი ვერცხერების ქალაქი ბრიკეს მითითებული აქვს თავის ალბომში № 537—1333 წლისა და № 543—1340 წლისა.

ქუთაისური ხელნაწერის ქალაქის განსაკუთრებული აგებულების წყალობით, განივი ხაზების მიხედვით, ხელნაწერი № 329 თარიღდება 1330-იანი წლებით. ამგვარად ვერცხერები ქუთაისური ხელნაწერის ქალაქისა გვაძლევს ქრონოლოგიის უმცირეს მონაკვეთს—1330-იან წლებს.

განიხილოთ ხელნაწერის ჰვირნიშანი. „ბუკი“, როგორც აღვნიშნეთ, საუკუნეების მანძილზე იხმარება. დათარიღებისას მნიშვნელობა აქვს რა მდებარეობა აქვს ამ ჰვირნიშანს ქალაქზე. არსებობს „ბუკის“ სამგვარი მდებარეობა—ვერტიკალური, დიაგონალური და ჰორიზონტალური. „ბუკის“ ამგვარი კლასიფიკაცია მიგნებული აქვს უდიდეს პალეოგრაფ ბრიკეს. ამ კლასიფიკაციას იზიარებს მოშინიც თავის კაპიტალურ ნაშრომში „ჰვირნიშნები მე-13, მე-14 საუკუნეებისა“.

„ბუკი“ ვერტიკალური მდებარეობისა, ბრიკესა და მოშინის ცნობარების მიხედვით, პირველად ჩნდება 1314 წელს და იხმარება 1400 წლამდე, მოშინის ცნობარის მიხედვით (მოშინის ცნობარი მე-13, მე-14 საუკუნეებს მოიცავს), და 1420 წლამდე, ბრიკეს ცნობარის მიხედვით (ბრიკეს ცნობარი მე-13—16 საუკუნეებს მოიცავს).

„ბუკი“ დიაგონალური მდებარეობისა, მოშინის ცნობარით, პირველად ჩნდება 1360-იან წლებში; ბრიკეს მიხედვით 1370-იან წლებში, ხოლო აღარ იხმარება 1424 წლის შემდეგ.

მოშინის ცნობარის მიხედვით, ჰორიზონტალური მდებარეობის „ბუკის“ პირველად ჩნდება 1351 წელს. ამგვარი „ბუკი“ იხმარება დიდხანს, როგორც მე-14 აგრეთვე მე-15 და მე-16 საუკუნეებში. ბრიკეს ცნობარით, ასეთი „ბუკი“ უკანასკნელად 1519 წლით თარიღდება.

ძირითადად არსებობს „ბუკის“ რამდენიმე სახე: „ბუკი უთასმოდ“, „ბუკი თასმით“ და „ბუკი თასმით წრეში“.

„ბუკი უთასმოდ“, მოშინის ცნობარით, იხმარება 1314 წლიდან. ასევეა ბრიკეს ცნობარით. „ბუკი უთასმოდ“ საერთოდ ვხვდებოდა ძლიერ იშვიათად. ყველა ასეთი სახის ჰეირნიშანი ვერტიკალური მდებარეობისაა. უკანასკნელად „ბუკი უთასმოდ“ 1392 წელს ჩანს (მოშინის ცნობარით).

„ბუკი თასმით“ პირველად ჩნდება (მოშინის ცნობარის მიხედვით, რომელიც ყველაზე უფრო სრულია დღემდე არსებულ ცნობარებს შორის) 1333 წელს (ერთადერთი ნიმუშია ასეთი ადრეული პერიოდისა), ძირითადად „ბუკი თასმით“ ხმარებაში შემოდის 1360-იანი წლებიდან.

„ბუკი თასმით წრეში“, როგორც უკვე ითქვა, აღმოჩნდა 1530-იანი წლების ქართულ ხელნაწერში. ბრიკეს ცნობარში „ბუკი თასმით წრეში“ თარიღდება № 7855—1513, 1515 წლებით. ხოლო ქართული ხელნაწერის ჰეირნიშნის ანალოგიური № 7856—1520, 1528 წლებით. ლიხაჩოვს ანალოგიური ჰეირნიშანი—*Por (cornet) № 3269* მოტანილი აქვს პირადი არქივიდან (*Из письма Гвидо Медичи от 21 июля 1520 года*).

გვიანდელ მე-17—18 საუკუნეების ქართულ ხელნაწერებში გვხვდება „ბუკის“ ისეთი სახეობა, რომელიც გავრცელებულია არა მხოლოდ იტალიაში, არამედ საფრანგეთის, გერმანიისა და პოლანდიის ქალაქის წარმოებაშიც. ეს ჰეირნიშანი გვხვდება მაგალითად H ფონდის № 2140 ქართულ ხელნაწერში, რომელიც 1696—1710 წლებით თარიღდება (ტაბ. I, ნ. 4).

ქუთაისის № 329 ხელნაწერში ჰეირნიშანი „ბუკი“ უძველესი და უიშვიათესი ფორმისაა: „ბუკი უთასმოა და ვერტიკალური მდებარეობისა“.

ანალოგიური ჰეირნიშანი, ბრიკეს ცნობარით, № 7635 თარიღდება სამგზის 1328 წლით, ერთგზის 1330 წლით და ერთგზის 1335—1336 წლებით. იგივე ჰეირნიშანი, მოშინის ცნობარით, № 4826 თარიღდება 1329—1331 წლებით; № 4824—1328—30 წლებით; № 4825—1328—30 წლებით და № 4827—1329—31 წლებით.

ამგვარად ქალაქისა და ქალაქის ვერსიების ანალიზის საფუძველზე ქუთაისის ხელნაწერი № 329—1330-იანი წლებით თარიღდება. ჰეირნიშნის ანალიზის საფუძველზე ქუთაისის ხელნაწერი № 329 აგრეთვე 1330-იანი წლებით თარიღდება. ბრიკესა და მოშინის მონაცემებით ჰეირნიშანი ჩვენი ხელნაწერისა მხოლოდ 1328—1336 წლებს.

ამიტომ ქუთაისის მუზეუმის ხელნაწერი თამამად შეიძლება 1330-იანი წლებით დათარიღდეს. სხვა პალეოგრაფიული მონაცემები ამ დათარიღებას არ ეწინააღმდეგება.

ამგვარად ყოველმხრივი პალეოგრაფიული ანალიზის შედეგად ქუთაისის ეს ხელნაწერი სამი საუკუნით უფრო ადრინდელი აღმოჩნდა ვიდრე ვარაულობდნენ.

ხელნაწერთა ინსტიტუტის H—1760 ხელნაწერი—„საკითხავნი დღესათვის ულთახნი“ აღწერილობით მე-15 საუკუნით თარიღდება. ხელნაწერი გადაწერილია პეტრიწონში ერთგვაროვან იტალიურ ქალაღზე (ხელნაწერში ორი სხვადასხვა ხელია). ამ ხელნაწერში სხვადასხვა სახის თერთმეტი უძველესი იტალიური ჰვირნიშანია (იხ. პეტრიწონული ხელნაწერის ჰვ. ნები 5—15).

საინტერესო შედეგებს გვძლევს ქალაღდის ანალიზი. ხელნაწერში ქალაღდის ვერყერების (განივი ხაზების) სამი სახეობა გვხვდება: ხშირი ვერყერი; მეჩხერი ვერყერი, რაც 1329—1380 წლების პერიოდს მიუთითებს (ამის შესახებ დაწერილებით ქვემოთ ვიტყვი) და მსხვილი და წვრილი ვერყერების თანამიმდევრობა, რაც როგორც უკვე ითქვა 1330-იან წლებს მიუთითებს.

ქალაღის ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ხელნაწერი გადაწერილია მაშინ, როცა ხშირ, ჩვეულებრივ ვერყერებთან ერთად ხმარებაში შემოდის მეჩხერი ვერყერი ე. ი. არა უადრეს 1330-იანი წლებისა, მაგრამ არა უგვიანეს 1380-იანი წლებისა, როცა მეჩხერი ვერყერი ქრება. ამავე დროს ხელნაწერის ქალაღზე მსხვილი და წვრილი ვერყერების თანამიმდევრობა ისევ 1330-იან წლებს მიუთითებს.

განივილით ხელნაწერის ქალაღდის ჰვირნიშნები.

ხელნაწერის ჰვირნიშნებიდან „Coats of Arms“ — „საღერბო ნიშანი“; ბრიჯეს ცნობარის მიხედვით № 872, თარიღდება 1327 და 1328 წლებით. ჰვირნიშანი Sickle — „Сѣки“ — ქართულად „მღული, ნამგალი“, ბრიჯეს ცნობარით № 6147, თარიღდება 1335 წლით, ხოლო მოშინის ცნობარით № 3791 აგრეთვე 1335 წლით. ჰვირნიშანი „Star“ — „Звѣзда“ — „ვარსკვლავი“, მოშინის ცნობარით № 3743 და № 3744, თარიღდება 1333 და 1334 წლებით. ჰვირნიშანი „Bell with framework“ — „Колокол с каркасом“ — ქართულად „ხარი სარქმელი“, მოშინის ცნობარით № 2987 და 2988, თარიღდება 1336 და 1335 წლებით, ხოლო ბრიჯეს ცნობარით № 4025 — 1336 და 1339 წლებით. ჰვირნიშანი „Hammer“ — „Молоток“ — ქართულად „ურო“, მოშინის ცნობარით № 6193, თარიღდება 1335 წლით.

ამგვარად ხელნაწერის ჰვირნიშნების ანალიზი გვძლევს 1327—1339 წლებს. ხელნაწერის ქალაღდის ვერყერების და ქალაღდის ჰვირნიშნების ქრონოლოგიური მონაცემები ერთმანეთს დამთხვა. ამიტომ პეტრიწონული ხელნაწერი H—1760 თამამად შეიძლება 1330-იანი ან უკიდურეს შემთხვევაში 1340-იანი წლებით დათარიღდეს. ეს ხელნაწერი ერთი საუკუნით უფრო ადრინდელი აღმოჩნდა ვიდრე ვარაუდობდნენ.

შეიძლება დაგვეშვა, რომ 1330-იანი წლების ქუთაისის მუზეუმის ქართული ხელნაწერი № 329, მსგავსად პეტრიწონული ხელნაწერისა, საქართველოში გადაწერილი არ არის, მაშინ იტალიური ქალაღდის არსებობა საქართველოში საეჭვოდ უნდა მიგვეჩნია.

გვიქრობ, რომ ქუთაისის მუზეუმის ხელნაწერის პალეოგრაფიული ანალიზი ცხადყოფს, რომ ხელნაწერის ხელი ტიპიური, მე-14 საუკუნის, ადგილობრივი ხელია. ვარდა ამისა ჩვენ გვაქვს ერთი დოკუმენტი, რომელიც მე-14 საუკუნის საქართველოში იტალიური ქალაღდის არსებობის ფაქტს უიჭველს ხდის.

ხელნაწერთა ინსტიტუტის Ad ფონდის საბუთი № 547—უთარილოა. მისი რაობაა: ერთგულებისა და მორჩილების ფიცის წიგნი მიცემული ნიკოლოზ მაწყვერელის მიერ იოვანე ქართლის კათალიკოსისათვის.

ქართველი მეცნიერები ამ საბუთს სხვადასხვანაირად ათარიღებენ. თ. ჟორდანიას თავის ქრონიკებში ამ დოკუმენტს მე-16 საუკუნით ათარიღებს, კერძოდ 1505—1526 წლებით². იგივე თ. ჟორდანიას თერთმეტი წლის შემდეგ იმავე საბუთს 1356 წლის ახლო დროით ათარიღებს³,—ოღონდ გაურკვეველია რა მონაცემების საფუძველზე. დიმიტრი ბაქრაძემ ხსენებული საბუთი 1292—1308 წლებით განსაზღვრა⁴. ქრისტინე შარაშიძემ საბუთი 1505—1515 წლებით დაათარიღა⁵. აღწერილობით დოკუმენტი მე-16 საუკუნით არის დათარიღებული. ამგვარად სავარაუდო მოსაზრებითაა საფუძველზე დოკუმენტი № 547 შეიძლება მიჩნეულ იქნეს, როგროც მე-13 საუკუნის ადრეულ საბუთად, ასევე მე-16 საუკუნის გვიანდელ დოკუმენტად.

საბუთი № 547 ჰვირნიშინანია. დაწერილია იტალიურ ჰვირნიშინან ქალაქზე. განვიხილოთ ქალაქი. საკმარისია ერთი თვალის გადავლებაც კი, რომ დავრწმუნდეთ დოკუმენტი მე-13 საუკუნისაა. ქალაქი ხასიათდება ძალიან მეჩხერი ვერყერით. ასეთი მეჩხერი განივი ხაზების ქალაქი მხოლოდ მე-14 საუკუნის გარკვეულ პერიოდში იხმარება. ბრიკეს გამოკვლევების წყალობით მეჩხერი ვერყერის ქალაქი პირველად ჩნდება 1329 წელს და 1380 წლის შემდეგ აღარ ჩანს⁶. ასეთი მეჩხერი ვერყერის ქალაქის შესახებ ნ. პ. ლიხაჩოვი ამბობს:

«Можно утверждать, что выделка бумаги с очень широкими вержеями прекратилась еще в XIV веке. Мне не удалось видеть ни славянской, ни греческой рукописи на такой бумаге, датированной хотя бы 1400 годом. Для русских палеографов очень широкие вержеи есть драгоценнейший признак — рукопись на такой бумаге определяется второй половиной XIV столетия по первому же взгляду. Только в виде редкого исключения по тщательном исследовании и сопоставлении всех палеографических данных такая рукопись могла бы оказаться написанной между 1335—1350 годами⁷».

ამგვარად, ჩვენი დოკუმენტის ქალაქის ანალიზის შემდგომ განსახილველი დოკუმენტი უნდა შემოიფარგლოს 1329—1308 წლების პერიოდით. ლიხაჩოვის თქმისა არ იყოს, უფრო სავარაუდებელია, რომ საბუთი განეკუთვნება მე-14 საუკუნის მეორე ნახევარს. კერძოდ 1350—1380 წლების ქრონოლოგიურ პერიოდს.

განვიხილოთ დოკუმენტის ქალაქის ჰვირნიშანი. ჰვირნიშანს ჰქვია «Fruit. Pear with two lives» ფრ. «Fruit. Poire avec deux Feuilles» რუსულად:

2 თ. ჟორდანიას, ქრონიკები, I, ტფილისი, 1892, გვ. 330.

3 თ. ჟორდანიას, ქართლ-კახეთის მონასტრებისა და ეკლესიების ისტორიული საბუთები, ფოთი, 1903, № 260, გვ. 194.

4 დ. ბაქრაძე, ვახუშტი, ისტორია, I, გვ. 286.

5 ქრისტინე შარაშიძე, სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, XV—XVI ს., 1961, გვ. 28.

6 Briguet Sur les papiers usites en Sicile. Palermo, 1892.

7 Briguet, Le papier et ses filigranes, Paris, 1894.

8 Н. П. Лихачев, Палеографическое значение бумажных водяных знаков С.—П., 1899, стр. XXII.

„Плод. Груша с двумя листьями“. ქართულად ამ ჰერონიშანს უნდა ეწოდოს: „ხილი. მსხალი ორი ფოთლით“ (ტაბ. IV, ნ. 16). ჰერონიშანი იტალიური წარმოშობისაა. ბრიკეს ცნობარით, „მსხალი ორი ფოთლით“ პირველად გაჩნდა 1331—1332 წელს. მოშინის ცნობარით, 1330 წელს. დროთა მანძილზე ჰერონიშანი იცვლებოდა. ქართულ დოკუმენტში დადასტურებული ეს ჰერონიშანი მე-14 საუკუნისაა და არა უგვიანეს მე-14 საუკუნისა.

ამ ჰერონიშანის შესახებ ლიხაჩოვი ამბობს:

«Груша с двумя листьями — знак очень распространенный в XIV столетии, зарисован нами в разных вариантах с 1331 по 1387 год. Брике встречал эту филигрань даже в 1393 году, но не позднее»⁹.

მოშინის ცნობარით, ჰერონიშანი „მსხალი ორი ფოთლით“ გვხვდება მე-14 საუკუნის მიწურულამდე. უნდა ითქვას, ეს ჰერონიშანი 1390-იანი წლებიდან თავის მოხაზულობას შესამჩნევად იცვლის. ამიტომ უნდა განვასხვაოთ ამ ჰერონიშანის ჩვეულებრივი მოხაზულობა და განსხვავებული ტიპი, რომელიც თავს იჩენს სწორედ მე-14 საუკუნის 90-იანი წლებიდან და თანდათანობით ცვლილებებით გვხვდება, როგორც მე-15. აგრეთვე მე-16 საუკუნის მიწურულამდე. ბრიკეს ცნობარით, ჰერონიშანი „მსხალი ორი ფოთლით“ გვხვდება სულ ბოლოს 1590 წელს (იხილე ბრიკეს ალბომი №№ 7367—7395—1403—4 წ.—1590 წ.) ჩვენი დოკუმენტის ჰერონიშანი თავისი მოხაზულობით მე-14 საუკუნისაა. ბრიკეს ცნობარით, მსგავსი მოხაზულობის ჰერონიშანი მოიცავს 1331—1393 წლებს; ლიხაჩოვის ცნობარით, 1331—1387 წლებს, მოშინის ცნობარით 1330—1397 წლებს. „Monumenta“-ს მე-3 ტომში — **The principal watermarks in the papers of Fabriano from 1293 to 1599 collected and explained by canon Aurelio Zonghi**“, მსგავსი ჰერონიშანი № 177 — გვიან ჩანს 1396 წელს.

ამრიგად ჩვენი დოკუმენტის ჰერონიშანის ზოგადი ანალიზი გვაძლევს ქრონოლოგიურ პერიოდს — 1330—1397 წლებს.

მაგრამ საქმე ის არის, რომ ქართული დოკუმენტის ჰერონიშანის ერთი განსაკუთრებული თავისებურების გამო ქრონოლოგიური პერიოდი საგრძნობლად მცირდება. როგორც წესი „ჩვენი ჰერონიშანი“ ყველა ცნობარში გვხვდება სტილიზებული ჯამის ორი ფოთოლაკით. იშვიათად ჯამის ერთი ფოთოლაკით და ძალიან იშვიათად ჯამის ფოთოლაკების გარეშე. Ad—547 დოკუმენტში ჰერონიშანი სწორედ ძლიერ იშვიათი ფორმისაა — ჯამის ფოთოლაკების გარეშე. ბრიკეს ცნობარში ჩვენი დოკუმენტის ანალოგიური ჰერონიშანი არ არის. ლიხაჩოვის ცნობარში ჩვენი დოკუმენტის ანალოგიური თარიღიანი ჰერონიშანი №№ 2044—46 სამივე უთარიღოა. ჩვენი დოკუმენტის ანალოგიური თარიღიანი ჰერონიშანი აღმოჩნდა მოშინის ცნობარში — ჯამის ფოთოლაკების გარეშე და მეჩხერი ვერყერით, № 4424, რომელიც 1360—70 წლებით და vers 1360 წლით თარიღდება. ე. ი. ჰერონიშანი ჩვენი დოკუმენტისა 1360 წლის ახლო დროისაა.

⁹ Н. П. Лихачев, Палеогр. знач. водян. знаков, С.-П. 1889, т. I, стр. 60.

ამგვარად ქალაქის ვერაქერებისა (განივი ხაზებისა) და კვირნიშნის ანალიზის საფუძველზე საბუთი Ad № 547 თარიღდება 1350—1370 წლების პერიოდით. ე. ი. არა უადრეს 1350 წლისა და არა უგვიანეს 1370 წლისა.

რადგან Ad № 547 დოკუმენტში მოხსენებულია მეფეთ-მეფე დავითი, ამიტომ საბუთი დავით IX ზეობის წლების დროინდელი უნდა იყოს (1346—1360 წლებისა). კვირნიშნის მონაცემების საფუძველზე დოკუმენტი უნდა დაწერილიყო 1360 წლის ახლო დროს ანუ დავითის მეფობის უკანასკნელ წლებში. ამგვარად Ad № 547 პალეოგრაფიული ანალიზისა და ისტორიული რეალების საფუძველზე თარიღდება ზუსტად 1360 წლის ახლო დროით (და არა უგვიანეს 1360 წლისა).

დოკუმენტის თარიღის დადგენის შემდგომ შესაძლებელია მიახლოებით გავითვალისწინოთ საბუთში მოხსენიებულ ისტორიულ პირთა მოღვაწეობის დროც:

1350—1360-იან წლებში ქართლის კათალიკოსად არის იოვანე.

1360—70-იან წლებში მაწყვერელ მთავარებისკოპოზად არის ნიკოლოზ. ეს ნიკოლოზი წინ უნდა უსწრებდეს პიმენ მაწყვერელ მთავარებისკოპოზს, რომლის მაწყვერელობა მე-14 საუკუნის ბოლო მეოთხედზე მოდის. პიმენ მაწყვერელ მთავარებისკოპოზი მოხსენებულია იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპებში. პიმენის მომდევნო მაწყვერელად უნდა იყოს გერასიმე მაწყვერელი (იხ. ქვემოთ Ad ფონდის საბუთი № 522) და სერაპიონ მაწყვერელი (იხ. ქვემოთ Ad ფონდის საბუთი № 320). ამგვარად მაწყვერელ მთავარებისკოპოზთა შემდეგი ქრონოლოგიური რიგი ჩანს:

1. ნიკოლოზ მაწყვერელი 1360—70-იან წლებში.
2. პიმენ მაწყვერელი 1370—80-იანი წლებიდან 1400 წლამდე.
3. გერასიმე მაწყვერელი 1400-იანი წლებიდან 1420-იან წლებამდე.
4. სერაპიონ მაწყვერელი 1430-იან წლებში.

1400-იანი წლების უძველესი დოკუმენტი იტალიურ ქალაქზე დაკუთვლია ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში: ფონდი 1448, საბუთი № 532. დოკუმენტი ფრაგმენტულია, მაგრამ თარიღიანი. საბუთის რაობაა: მცხეთის სახლისათვის მიცემული სითარხნის წიგნი ქკ-ნსა პთ—1401 წ. ნოემბერსა კზ—27. საბუთის ქალაქზე იტალიური კვირნიშნის ფრაგმენტია შემორჩენილი (ტაბ. V, ნ. 17). ამ ფრაგმენტის საშუალებით კვირნიშნის აღდგენა-ამოცნობა მოხერხდა, იგივე კვირნიშანი „He-goat“ „Kozza“ — „თხა“. ბრიკეს ცნობარში № 2841, თარიღდება იმავე 1401 წლით, ამგვარად კვირნიშანი ადასტურებს ჩვენი დოკუმენტის თარიღს.

Ad ფონდის № 522 დოკუმენტი ისტორიული რეალების საფუძველზე 1414—1426 წლებით თარიღდება¹⁰. საბუთის რაობაა: ერთგულების ფიცის წიგნი მიცემული გერასიმე მაწყვერელს მიერ ქართლის კათალიკოს მიქაელისათვის. საბუთი იტალიურ კვირნიშნის ქალაქზეა დაწერილი. კვირნიშნის ამოცნობა სრული სახით ვერ მოხერხდა. კვირნიშანი ძლიერ ცუდად ჩანს, მაგრამ ცხადია, რომ ეს არის კვირნიშანი „Letter“ ასო „რაე“ (ტაბ. V, ნ. 18). კვირნიშანი თავისი მოხაზულობით უდავოდ 1400-იანი წლებისაა. საქმე ის არის, რომ არ ჩანს ნიშანი კვირნიშნის თავზე, რაც შესაძლებლობას გვართმევს

ჰვირნიშანი ზუსტად დავათარიღოთ. ყოველ შემთხვევაში ჰვირნიშანი ადასტურებს, რომ დოკუმენტი ადრეული მე-15 საუკუნისაა.

ხელნაწერი H—1335 გადაწერილია იტალიურ ქალაღზე. ხელნაწერი უთარიღოა. ქალაღდის ჰვირნიშანია—„ზარი სარქმელით“ (ტაბ. V, 5. 19). ანალოგიური ჰვირნიშანი ვნახე ყირიმში გადაწერილ, სომხურ, 1422 წ-ით დათარიღებულ ხელნაწერში—№ 2037. ჩვენი ქართული ხელნაწერი შეიღღება სავარაუდოდ 1420-იანი წლებით დათარიღდეს. „Three mountains“—„სამი გორა“ ჯვრით (ტაბ. V, 5. 20). ჰვირნიშანი ვნახეთ Hd—11.634 დოკუმენტში. დოკუმენტი თარიღიანია, 1429 წლისა. მსგავსი ჰვირნიშანი ლიხაჩოვის ცნობარში თარიღდება № 360—1421 წლით, ხოლო № 937—939—1434 წლით. ამგვარად ჰვირნიშანი ადასტურებს დოკუმენტის თარიღს.

ჰვირნიშანი „Seissors“—„მაკრატელი“ ვნახეთ Ad—320 დოკუმენტში (ტაბ. VI, 5. 21). საბუთის რაობა: ერთგულების ფიცის წიგნი მიცემული სერაპიონ მაწყვერელის მიერ ქართლის კათალიკოს თეოდორქსათვის. ქრისტიანე შარამიძე დოკუმენტს ისტორიული რელიევის საფუძველზე 1430—1434 წლების პერიოდით განსაზღვრავს. ჰვირნიშანი „მაკრატელი“ უძველესი იტალიური ჰვირნიშანია, გვხვდება 1293 წლიდან მე-14 და მე-15 საუკუნეების მანძილზე. ქართულ ხელნაწერ წიგნებსა და საბუთებში ეს ჰვირნიშანი საკმაოდ ხშირად გვხვდება, როგორც მე-15 აგრეთვე მე-16 საუკუნეშიც. შეიღღება დავსახელოთ: Hd — 2082 — (1453 — 59 წლებისა) (ტაბ. VI, 5. 22). S—1278 — მე-15 საუკუნის უკანასკნელი მეოთხედისა (ტაბ. VI, 5. 23); H—1674 მე-15 საუკუნის უკანასკნელი მეოთხედისა (ტაბ. VI, 5. 24); ც. არქ. ფ. 1446, № 311; ც. არქ. ფ. 1446, № 75—ორივე ხელნაწერი მე-15 საუკუნის უკანასკნელი მეოთხედისა, (ტაბ. VII, 5. 25, 26); H—375 (ორი სხვადასხვანაირი მაკრატელია) მე-15 საუკუნის მიწურულისა (ტაბ. VII, 5. 27, 28); Hd—2130 (1500—1503 წლებისა) (ტაბ. VIII, 5. 29); A—1737 (1505—1515 წლებისა) (ტაბ. VIII 5. 30); A—433—მე-16 საუკუნის პირველი ნახევრისა (ტაბ. VIII, 5. 31); A—426 (მე-16 საუკ. 60-იანი წლებისა). მაკრ. წრეში წრის თავზე ვარსკვლავი (ტაბ. VIII, 5. 32). მაგრამ Ad—320 დოკუმენტში დაცული „მაკრატელი“ ყველაზე უფრო ადრეული დადასტურებაა ამ ჰვირნიშნისა ქართულ ხელნაწერებში. ამის დამამტკიცებელია პონტიუზოების (შვეული ხაზების) განსაკუთრებული განლაგება, რაც შედარებით უფრო ძველ ადრეულ მე-15 საუკუნეს მიუთითებს. ამგვარად ჰვირნიშანი ადასტურებს დოკუმენტის დათარიღებას 1430—1434 წლების პერიოდით.

იტალიურ ქალაღზეა დაწერილი ცენტრალური საეზღმწიფო არქივის (ფონდი 1448, № 531) დოკუმენტი:

„ღვთივ გუირგუინოს სნმან მეფემან გიორგი ესე სიმტკიცისა და გათავებისა სიგელი და ნიშანი კადრეთ და მოგაქსენეთ თქუნე პატრონსა და სულისა ჩუენისა შესავედრებელსა დავითს მოკითხული ვქენით საბალახისა და არცამამის ჩუენისა ჟამშიგან და არცა ოდეს მას წინათ მისთა დღეთა შიგან მცხეთის სახლისა და მამულისა საბალახე არასა ჟამსა არა ყოფილიყო და აწ ჩუენ მისადვე შედეგად ესე სიგელი და ნიშანი თქუნე მოგაქსენეთ ამა პირსა ზედან რომ მცხეთის სახლსა და მამულსა საბალახე არასა ჟამსა არა ეთხოვბოდეს ქქს რმე თუესა მისისა“.

ამგვარად ეს იტალიურ ქალაქზე დაწერილი საბუთი თარიღიანია, 1457 წლისა. სამწუხაროდ დოკუმენტის ქალაქს კვირნიშანი არ გამოჰყოლია. შემოწმების შედეგად საბუთის თარიღი ეჭვს არ იწვევს.

Hd — 2082 ისტორიული რეალებით 1453 — 1459 წლებით თარიღდება. საბუთის რაობაა: ერთგულების ფიცის წიგნი მიცემული ლასურძე კუმურდოელის მიერ ქართლის კათალიკოზ დავითისათვის. დოკუმენტი კვირნიშანიან იტალიურ ქალაქზეა დაწერილი. კვირნიშნად არის მე-15 საუკუნეში განსაკუთრებით გავრცელებული კვირნიშანი „მაკრატელი“ (ტაბ. VI, ნ. 22).

დოკუმენტი Ad—723 ფრაგმენტულია. რადგან საბუთი მეტად საინტერესო ისტორიულ ცნობებს შეიცავს, ჩვენ შეძლებისდაგვარად აღვადგინეთ დოკუმენტის ტექსტი:

„...ესე წიგნი გკადრეთ თქუენ წმიდასა [მეუფესა] ქრისტეს ღთისა მიერ ქართლისა კათალიკოზსა დავითს (?)... აღ ვარძისა ძმათა მას ეამსა, ოდეს ძცბიერი ბერძენი მოვიდა ცრუ წინასწარმეტყუელი და მცირითა რათმე სიტყუითა მიგუიზილნა. აწ თქუენ გაგუიწყერით და კიდეც უმართლვ იყვენით, იმად რომე დღეთა მისთა... აწ დღეს და დღესისა უკანის ვიყუნეთ თქუენი და თქუენი საყდრისა ერთგულნი] და მადიდებელნი, რაგურც დღეთა მისთა [თქუენისა საყდრისა წესითა ვყოფილვართ, მითვე წესითა ვიყვენეთ, არც მიტრაბოლიტი შემოღუშათ, არც მისი წიგნი ვნახოთ, არცა მისი მცნება გავიგონოთ და არასთანა მისი არა ვირწმუნოთ, არც უმცხეთოდ ჩუენი მღრდელი და დიაკონი იკურთხეოდეს, არც რამ ჯავახეთს და წალისყურს ვისაქმოთ სამწყსოობისა პირზედა და ვიყვენეთ თქუენისა ბრძანებისა მორჩილნი ასრე რაგურც ესე მ... [ესე ასრე გაგითაოთ ღმერთმან მამამან, ძემან] და წმიდამან სულმან და ამა ვარძისა ღთისმშობელმა. [და ვინცა შეშალოს] კრულია პირითა ღთისათა ცათა შინა და ქუეყანასა ზედა პირითა ღთისათა“.

თ. ჟორდანიას ამ საბუთს ცოტა სხვაგვარად კითხულობს, მაგრამ ტექსტში ქართლის კათალიკოსად დავითს მიიჩნევს და საბუთს 1453 წლის ახლო დროით თარიღებს¹¹.

დოკუმენტის ქალაქის კვირნიშანია „ბუკი თასმით“ პორიზონტალური მდებარეობისა (ტაბ. I, ნ. 2). ბრიკეს ცნობარში მსგავსი მოხაზულობის კვირნიშანი არ არის, მაგრამ როგორც უკვე აღვნიშნეთ ასეთი კვირნიშანი აღარ გვხვდება 1519 წლის შემდეგ. საერთო დამახასიათებელი ნიშნებით კვირნიშანი მე-15 საუკუნისაა და კიდეც უფრო ზუსტად მე-15 საუკუნის შუა ხანებისა. შეიძლება ითქვას, კვირნიშანი არ ეწინააღმდეგება თ. ჟორდანიას მიერ საბუთის დათარიღებას 1453 წლის ახლო დროით.

კვირნიშანი „სვეტი“, „Column“, „Колонна“ (ტაბ. IX, ნ. 33). კვირნიშანი ვნახეთ Ad—601 დოკუმენტში. საბუთი თარიღიანია—1460 წლისა. მსგავსი კვირნიშანი, ბრიკეს ცნობარით №4352, თარიღდება 1457, 1463, 1466, 1469 წლებით. კვირნიშანი გვაძლევს 1457—1469 წლების პერიოდს. ამგვარად კვირნიშანი ადასტურებს ჩვენი დოკუმენტის თარიღს.

¹¹ თ. ჟორდანიას, ქრონიკები, II.

ჰვირნიშანი „Ship“—„Корабль“—„ხომალი“ (ტაბ. IX, ნ. 34). იშვიათი ჰვირნიშანია. ვნახეთ Hd—14858 დოკუმენტში. თარიღიანი საბუთია 1461 წლისა (მე-16 საუკ. ქართულ ხელნაწერებში ჰვირნიშანი „ხომალი“ მხოლოდ ორჯერ გვხვდება).

ჰვირნიშანი „Fish“—„Рыба“—„თევზი“ (ტაბ. IX, ნ. 35). ორიგინალური ჰვირნიშანია, რომლის ანალოგიური ცნობარებში ვერ ვიპოვეთ. ეს ჰვირნიშანი ვნახეთ ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში, ფონდი 1448, № 64. დოკუმენტი 1467 წლითა დათარიღებული. საბუთის რაობა: ყმა-მამულის წყალობის წიგნი მიცემული კონსტანტინე მეფის მიერ ზაზა ფანასკერტელი-სათვის: „დაიწერა მტკიცე ნიშანი ესე ჩუენი ქკსა რნე“ (1467 წ.). საბუთი ჩანს ორმეფეობის დროინდელია (იგივე ჰვ. ნ. აღმოჩნდა 1467—1468 წწ. თურქულ დოკუმენტში)¹².

ჰვირნიშანი „Steer or Bull“—„Бык“—„ხარის თავი შვიდფურცელა ყვა-ვილით“ (ტაბ. X, ნ. 36). ბრიკეს ცნობარით № 15119, 15120, 15122 და № 14766 თარიღდება 1470-იანი წლებით.

ეს ჰვირნიშანი ფრაგმენტების სახით გვხვდება ხელნაწერთა ინსტიტუტის Hd ფონდის № 1799, № 1800, № 14903 უთარილო დოკუმენტებში. ჰვირნიშანი ჩვენ მიერ აღდგენილია.

ხელნაწერი H—2820 იტალიურ ჰვირნიშნიან ქაღალდზეა გადაწერილი. ვარაუდით მე-15 საუკუნის პირველი ნახევრისა უნდა იყოს. სამწუხაროდ ჰვირნიშანი ჩვენ მიერ ჯერ ამოცნობილი არ არის.

ცენტრალური სახელმწიფო არქივის ფონდი 1446 № 75 მე-15 საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის იტალიურ ქაღალდზეა დაწერილი. ჰვირნიშანია „მაკრატელი“ (ტაბ. VII, ნ. 26).

ცენტრალური სახელმწიფო არქივის ფონდი 1446, № 311 მე-15 საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის იტალიურ ქაღალდზეა დაწერილი. ჰვირნიშნებია „მაკრატელი“ (ტაბ. VII, ნ. 25), „მთვარე“ (ტაბ. X, ნ. 37) და „მახვილები ჯვარედინად“ (ტაბ. X, ნ. 38).

ზემოთ უკვე მოხსენებულ მე-15 საუკუნის მიწურულის H—375 ხელნაწერში გარდა ორი სხვადასხვა სახის „მაკრატელისა“ გვხვდება აგრეთვე ჰვირნიშნები „მთვარე“ და „ასო პარი“ (ტაბ. X, ნ. 39; ტაბ. XI, 40).

1480—90-იანი წლებით თარიღდება ორი თავისებური ჰვირნიშანი, რომელიც ქართლის ანაეულ ნუსხაში აღმოჩნდა. ეს ჰვირნიშნებია „Siren or Mermaid“ — „Сирена“—„სირინოზი“ და „მთვარე ჯვართით“ („Crescent“, „Полумесяц“) (ტაბ. XI, 41 და 42). ქართლის ცხოვრების ანაეული ნუსხა უთარილოა, მაგრამ ისტორიული რეალიებით მე-15 საუკუნის მიწურულით თარიღდება. მსგავსი ჰვირნიშნები—დახვეწილი, ესთეტიკური მოხაზულობისა ცნობარებში ვერ ვნახეთ. ეს ჰვირნიშნები უკვე ის სპეციფიკური ვენეციური ჰვირნიშნებია, რომლებიც მე-15 საუკუნის მიწურულიდან და მე-16 საუკუნის დამდეგიდან ვრცელდება საქართველოში და ოტომანთა იმპერიაში, ხო-

¹² Türk tauruh kurumu. Belleten, cilt XXVI, Sayı 104. Ekim 1962. Ankara A. Süheyl Ün ver. XV inci yüzyılda türkiye'de kullanılan kagitlar ve su damgalari № 35.

ლო დასავლეთში არ ჩანს.

ამგვარად მე-14 და მე-15 საუკუნეების მანძილზე საქართველოში იტალიური ქაღალდი, შეიძლება ითქვას, განუწყვეტლივ იხმარება. ძირითადად ამ საუკუნეებში საქართველოში გავრცელებულია აღმოსავლური და დამასკური ქაღალდი და იტალიური უფრო სპორადულად გვხვდება. მაგრამ მიუხედავად ამისა, იტალიურ ქაღალდზე გადაწერილი ქართული ხელნაწერი წიგნები და სიგელ-გუჯრები მაინც საკმაოაა. ეს ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტია. თავისთავად ისმის საკითხი რა გზით შემოდიოდა საქართველოში იტალიური ქაღალდი.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ იტალიური ქაღალდი შემოდიოდა ბიზანტიიდან (სამხრეთ საქართველოს გავლით) და უშუალოდ იტალიიდან შავი ზღვის საქართველოს ნავსადგურებით.

Р. М. ПАТАРИДЗЕ

ВОДЯНЫЕ ЗНАКИ ГРУЗИНСКИХ РУКОПИСЕЙ XIV—XV ВЕКОВ

Резюме

На основе палеографических изысканий и изучения письмого материала — бумаги грузинских рукописей XIV—XV вв. в статье даны следующие выводы:


В XIV—XV веках в Грузии в основном распространена бумага восточного производства. В XV веке в Грузию завозится дамаскская бумага. В этот же период употребляется также итальянская бумага, которую с начала XIV века метили водяными знаками. В статье дан список грузинских рукописей на итальянской бумаге и таблица водяных знаков XIV—XV столетий. В таблицу, с целью сравнения, включены некоторые водяные знаки грузинских рукописей последующих XVI и XVII столетий.

С конца XV и начала XVI века в Грузии восточная бумага почти полностью заменяется итальянской бумагой с водяными знаками.


Посредством водяных знаков уточнена датировка некоторых рукописных книг и документов: Рукопись № 329 Кутаисского музея датировалась XVI—XVII в. Водяной знак дает новую датировку — 1330-ые годы; Рукопись Н—1760 датировалась XV веком. Водяные знаки указывают новую дату — 1330-ые, 1340-ые годы; Документ Ad—547 датировался XVI веком. Водяной знак дает дату около 1360 года; Рукопись Н—1335 датировалась XIV—XV в. Водяной знак указывает на 1420-ые годы.

В ряде случаев водяной знак подтверждает дату документов: ЦИА, Фонд 1448, № 532—1401 года; Hd—11634—1429 года; Ad—320—1430-ые годы и т. д.


ტაბულა I




1



2




3




4




5



6




7




8


ტაბულა III




9



7




11




12


ტაბულა IV




13



14




15




16



ტაბულა V



17




18





20



ტაბულო VI




21



22







23



24





ტაბულა VII



25

26





27

28


ტაბულა VIII




29



30




31




32


ტაბულა IX




33




34





35



36



37




39



38


ტაბულა XI



40



41



42

6. შიშიაშილი

ურბნისის ძველი ქართული წარწერები*

ურბნისის შესახებ ცნობებს გვაწვდის შემდეგი ქართული წერილობითი წყაროები: ნარატიული ხასიათის ძეგლებიდან: მოქცევა ქართლისაჲ (IX ს.), ნინოს ცხოვრება (IX ს.), ლეონტი მროველი (XI ს.), შიო მღვიმელის სასწაულები, ბასილი ვაჩეს ძისა (XI ს.) და ვახუშტი ბაგრატიონი (XVIII ს.) — როგორც თავის ისტორიაში, ისე გეოგრაფიაში.

დოკუმენტალურმა მასალამ ურბნისის შესახებ, 30-ოდე საბუთის სახით, მოაღწია მხოლოდ გვიანდელი პერიოდის (XVI — XVIII სს.). დიდი მნიშვნელობა აქვს ურბნისის ისტორიის შესასწავლად V — XVIII სს. ეპიგრაფიკულ მასალას, შემორჩენილს ურბნისის ტაძრის კედლებზე.

ლეონტი მროველის ცნობები ურბნისის შესახებ თითქმის ანალოგიურია „მოქცევა ქართლისაჲ“-ს და ნინოს ცხოვრების ცნობებისა (როგორც ცნობილია, ლეონტი მროველს გამოყენებული აქვს ეს წყაროები თავის თხზულებაში). ვახუშტი ბაგრატიონი თავის ისტორიაში იძლევა აგრეთვე „მოქცევა ქართლისაჲ“-ს და ლეონტი მროველის ანალოგიურ ცნობას, ხოლო გეოგრაფიაში, ჩვენთვის უცნობ წყაროზე დაყრდნობით, გვაწვდის მეტად მნიშვნელოვან ცნობას ურბნისის ქალაქობის პერიოდის შესახებ.

ურბნისის ეკლესიის წარწერათა ძველი ნაწილი უთარიღოა და ისინი პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით უნდა დათარიღდნენ. წარწერები ცნობებს გვაწვდიან ტაძრის აშენებასა და შემდეგ მის განახლებათა ეტაპებზე. ტაძრის აშენება და შემდეგ მისი დანგრევა-განახლება მჭიდროდ იყო დაკავშირებული მთელი ურბნისის ბედთან და ამდენად, მისი თავგადასავალი რამდენადმე ურბნისის თავგადასავალსაც ასახავს.

ურბნისის წარწერათა ძველი ნაწილი ფრიად საინტერესოა არა მარტო ისტორიული, არამედ — პალეოგრაფიული თვალსაზრისითაც.

სამეცნიერო ლიტერატურაში ურბნისის ისტორიაზე სპეციალური ნარკვევი არ მოგვეპოვება. მასთან დაკავშირებულ ზოგიერთ საკითხს ეხებიან მკვლევარები: მ. ბროსე¹, დაუბუა დე მონპერე², კონდაკოვი³. უვაროვა⁴,

* ნაშრომი, შემოკლებული სახით, გამოქვეყნებულია ჟურნალ „ცისკარი“ 1958 წ. № 4-

¹ M. Brosset, Rapports sur un voyage archéologique dans la Géorgie et dans, e'Armenie, VI, SPB, 1851.

² Dubois, Voyage autour du caucase, t. III, Papis.

³ Кондаков, Древняя архитектура Грузии, 1876.

⁴ Уварова, Материалы по археологии Кавказа, вып. IV.

ბ. იოსელიანი⁵, დ. ბაქრაძე⁶, ექ. თაყაიშვილი⁷, ივ. ჯავახიშვილი⁸, გ. ჩუბინაშვილი⁹, ს. ჯანაშია¹⁰, ნ. ბერძენიშვილი.

* * *

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ურბნისს უკვე ადრეანტიკურ ხანაში (ძვ. წ. IV ს. ბოლოსთვის) არსებულ ქალაქად თვლის. მისი ცნობით, როცა ალექსანდრე მაკედონელი საქართველოში შემოვიდა, მას აქ დახვდნენ ბუნთურქნი, რომლებიც მტკვარზე მდებარე 4 ქალაქსა და მათ ციხეებში ისხდნენ. ამ 4 ქალაქში დასახლებულია ურბნისიც:

„პირველ, ოდეს ალექსანდრე მეფემან ნათესავნი იგი ლოთის შვილთანი წარიქცივნა და შევადნა ივინი კეღარსა მას ქუეყანასა, იხილნა ნათესავნი სასტიკნი — ბუნთურქნი, მსხდომარენი მდინარესა ზედა მტკუარსა, მიხუვეით ოთხ ქალაქად და დაბნები მათი:

სარკინე ქალაქი, კასპი, ურბნისი და ოძრგე და ციხენი მათნი: ციხე დიდი — სარკინისაჲ, უფლის ციხე — კასპისა, ურბნისისა და ოძრგისა“¹¹ (სასვენი ნიშნები და ხაზი ჩვენია, — ნ. შ.).

ამასვე იმეორებს ლეონტი მროველი, მხოლოდ, აღნიშნული 4 ქალაქის გარდა, ასახელებს სხვა ქალაქებსაც:

„... პოვნა ციხე ქალაქნი ესე (ალექსანდრე მაკედონელმა, — ნ. შ.) ძლიერნი შუა ქართლ: წუნდა, ხერთვისი მტკურისა, ოძრგე — მოკიდებული კლდესა ლადოსსა, თუხარისი — მდინარესა ზედა სპერისასა, რომელსა ჰქუიან ჭორობი, ურბნისი, კასპი, და უფლისციხე, ქალაქი დიდი მცხეთა და უბანნი მისნი: სარკინე, ციხე დიდი და ზანავი — უბანი ურიათა, და რუსთავი, და დედა ციხე, სამშვილდე, და მტუერის ციხე, რომელ არს ხუნანი, და კახეთისა ქალაქნი“¹², სასვენი ნიშნები ჩვენია, — ნ. შ.).

⁵ П. Иоселиани, Города существующие и существовавшие в Грузии, 1850, гл. 66—67.

⁶ Д. Бакрадзе, Кавказ в древних памятниках христианства. Записки общества любителей кавказской археологии. I. Тифлис, 1875, гл. 151—152.

⁷ ექ. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, 1, 1907 წ., გვ. 41—59. აქ ექ. თაყაიშვილს გამოცემული აქვს ურბნისის ტაძრის წარწერები, ფოტოების გარეშე, მაგრამ შეუძლებლად თვლის მათ დათარიღებას. აქვე აღწერილია ურბნისის ტაძრის სიძველეები.

⁸ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, II.

⁹ გ. ჩუბინაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, I, თბ., 1936, გვ. 49.

¹⁰ ს. ჯანაშია, გვაროვნული წყობილება ძველ ქართველ ტომებში, შრომები II, 1952, გვ. 127.

¹¹ Опис., II, გვ. 708.

¹² ქართლის ცხოვრება, I, ს. ყაუხჩიშვილის გამ., 1955, გვ. 17—18. უნდა აღინიშნოს რომ ჩემი აზრით, ლეონტი მროველისა და „ქართლის მოქცევაჲ“ შორის ამ შემთხვევაში, არ არის ის წინააღმდეგობა, რომელსაც ზედავე ივ. ჯავახიშვილი (იხ. მისი: ქართვ. ერის ისტორია, წ. 1, 1951, გვ. 454): თითქოს, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ცნობით საქართველოში ძვ. წ. IV ს. მხოლოდ 4 ქალაქია, ხოლო ლეონტი მროველის ცნობით არსებობს სხვა ქალაქებიც. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ალექსანდრე მაკედონელის ქართლში შემოსვლის დროს ასახელებს არა ქართლში არსებულ ყველა ქალაქს, არამედ — მხოლოდ მტკვართან მდებარე იმ ქალაქებს, სადაც ბუნთურქნი ისხდნენ. ლეონტი მროველი კი ასახელებს ალექსანდრე მაკედონელის შემოსვლის დროს „შუა ქართლ“ არსებულ ყველა ქალაქს (დამახასიათებელია რომ „შუა ქართლად“ ლეონტი მროველი ამ შემთხვევაში თვლის ჯავახეთს, სამცხეს, ტაოს შიდა ქართლს, ქვემო ქართლს, გარდაბანს და კახეთს), რაც შეეხება ბუნთურქებს, ლეონტი მროველის ცნობით, ისინი მხოლოდ სარკინეში ისხდნენ (იხ. ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 15, 8). ამდენადვე, არ ჩანს მართებული ის მოსაზრებაც, თითქოს „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ მცხეთას

როგორც „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ს ზემომოყვანილი ტექსტიდან ჩანს, ქრონიკის ცნობით, აღნიშნულ 4 ქალაქს ჰქონია თავისი დაბებები და ციხეები. აქედან 2 ქალაქის (სარკინის და კასპის) ციხეებს საკუთარი, ქალაქისგან განსხვავებული სახელები (ციხედიდი და უფლისციხე) ჰქონია¹², 2 ქალაქის (ურბნისის და ოძრკის) ციხეები კი არ ატარებდნენ ქალაქისგან განსხვავებულ სახელებს და ამდენად, ისინი ციხე-ქალაქებად წარმოგვიდგება¹⁴.

ამრიგად, ძველი ქართული ეროვნული ტრადიცია ურბნისს ძვ. წ. IV ს. 20-იან წლებში უკვე არსებულ ქალაქად მიიჩნევს¹⁵.

როგორც აღვნიშნეთ, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ — ურბნისის შესახებ შემონახულ წერილობით წყაროებში ყველაზე უძველესი — მიჩნეულია IX ს. თხზულებად (თუმცა ექვ. თაყაიშვილს ის უფრო ადრინდელ წყაროდ მიაჩნია).

არ იხსენიებს აღნიშნულ 4 ქალაქში იმიტომ, რომ თელის მას შედარებით გვიანდელად (იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტ., I, 1951, გვ. 449, ს. ჯვანაშია, დასაბ. ნაშრომი, გვ. 127). ეს რომ ასე არ უნდა იყოს, ჩვენი აზრით ჩანს თუნდაც იქიდან, რომ სხვა შემნიშვნევაში, იმავე ალექსანდრე მაკედონელის დროს, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ იხსენიებს მცხეთას, რომელიც, მისივე ცნობით, სწორედ ამ დროს იქცა სამეფო რეზიდენციად (იხ. Опис., II, стр. 709) აღსანიშნავია მხოლოდ, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ასხვავებს „ძველ მცხეთას“ ახლისგან, რომელიც, მისი ცნობით, აშენდა აზოს მომდევნო მეფეთა მიერ (იხ. იქვე).

¹² ჩვენი აზრით, უფლისციხეს და ციხედიდს „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ გულისხმობს შესაბამისად კასპის და სარკინის მფარვე ციხეებად (იხევე, მაგალითად, როგორც ლეონტი მროველი თბილისში აგებულ ციხეს მცხეთის ციხეს უწოდებს: „აღაშენა ერისთავან სპარსთაჲნ ტფილისის ქართ სორის ციხედ მცხეთისაჲ“, იხ. ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 136). ასეთ, შემთხვევაში ადგილი აღარ ექნება იმ რიცხობრივ შესაბამობას „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მიერ დასახელებულ ქალაქებსა და მათ ციხეებს შორის, რაც შენიშნული იქნა აკად. ივ. ჯავახიშვილის მიერ (იხ. მისი: ქართველი ერის ისტორია, წ. 1, 1951, გვ. 447); 4 ქალაქს (სარკინეს, კასპს, ურბნისს და ოძრკეს) აღარ ექნება 5 ციხე (ციხედიდი, უფლისციხე, კასპი, ურბნისი, ოძრკე). ციხედიდი რომ სარკინის ციხედა მიჩნეულია, ამას მოწმობს აგრეთვე „შიო მღვიმელის სასწაულები“ ბასილი ვაჩეს ძისა, სადაც ეს ორი სახელი ასევე ერთმანეთთანაა დაკავშირებული (იხ. ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, ილ. აბუ-ლაძის გამოც., 1955, გვ. 206).

¹⁴ აქვე, სხვათა შორის უნდა აღინიშნოს, რომ ოძრკის დასახელება „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ს ქრონიკაში მტკვარზე მდებარე ქალაქად საეჭვოდ ხდის მის გაიგივებას დღევანდელ აბასთუმანთან, რომელიც მტკვარზე არ მდებარეობს.

¹⁵ მაგრამ, ამ თვალსაზრისით, მაინც შეიძინევა საყურადღებო ნიუანსი ლეონტი მროველის ცნობაში. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უფლისციხეს მხოლოდ კასპის ციხედ მიიჩნევს და კასპთან და ურბნისთან შედარებით მეორეხარისხოვან პუნქტად ასახელებს, ლეონტი მროველი კი უფლისციხეს უკვე კასპზე და ურბნისზე მნიშვნელოვან ქალაქად მიიჩნევს. ურბნისიც და კასპიც, უფლისციხესთან ერთად, მისი ცნობით, დაარსებულია მცხეთოსის (ქართლოსის შვილი) უფროსი შვილის—უფლოსის მიერ, რომელიც „დარჩა საყოფელსა მამისა მათისა მცხეთოსისსა მცხეთას. და ეპყრა ქუეყანა არაგუთგან და ტფილისითგან ვიდრე ტასისკარამდე და ფანავრამდე... არაგუთგან და არამზითგან, ვიდრე ტასისკარამდე უწოდა ამის ქუეყანასა ზენას-სოფლისა, რომელსა აწ მქვან შიდა-ქართლი“ (იხ. ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 10). ერთი სიტყვით, ლეონტი მროველი შიდა ქართლის (ზენა სოფლის) ცენტრად ანტიკურ ხანაში ასახელებს უფლისციხეს. საერთოდ, ლეონტი მროველი ქართლის (ამ ცნების პოლიტიკური გაგებით) ქალაქების ჩაჩენის რიგს შენდევნი სახით წარმოგვიდგენს:

I რიგის ქალაქები ააშენა ქართლოსმა: ციხე ორბისა (ან უ სამშენილდე), მტუერის ციხე (ან უ ხუნანი).

II რიგის ქალაქები ააშენა ქართლოსის ცოლმა: დედა ციხე, ბოსტან ქალაქი (ან უ რუსთავი).

ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ თავისზე ძველ წყაროებს იყენებს და ამასთან, მრავალი მისი ცნობა ძველი პერიოდის შესახებ დასტურდება, მაინც არ შეიძლება მის ცნობას ურბნისის არსებობაზე ძვ. წ. IV საუკუნეში შეუღოწმებლად ვენდოთ. შესამოწმებლად კი, წერილობითი წყაროების უქონლობის გამო, არქეოლოგიური მასალა უნდა გამოვიყენოთ.

იმ დროისთვის, როდესაც აღმოსავლეთ საქართველოში კლასობრივი საზოგადოება, მონათმფლობელური სახელმწიფო წარმოიქმნა (ძვ. წ. IV — III სს. მიჯნა) და პირველი ქართული ქალაქებიც გაჩნდა, ურბნისის ტერიტორია (ცვალებადი სიდიდის ფართობზე) არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, ორი ათას წელზე მეტი ხნის დასახლებულ ადგილს წარმოადგენდა. ამასთან, ეს დასახლებული ადგილი მდებარეობდა საქართველოში ისეთ ზოლში, სადაც კლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესი ყველაზე ინტენსიურად მიმდინარეობდა და, ამდენად, ქალაქების აღმოცენებისათვისაც ყველაზე ხელსაყრელი პირობები იყო (სწორედ ასეთ ზოლში იხსენიებენ კიდევ პირველ ქართულ ქალაქებს საისტორიო წყაროები). ურბნისისთვის ზღუდის გარსშემოვლება მიუთითებს ერთი მხრივ იმაზე, რომ ამ დროს ის მნიშვნელოვანი ადმინისტრაციული და ეკონომიური ცენტრი იყო, ხოლო მეორე მხრივ იმაზე, რომ ასეთი ზღუდის საჭიროება იყო — ე. ი. მოსალოდნელი იყო ურბნისზე მტრის თავდასხმა (ეს ფაქტორიც უნდა მივიღოთ მხედველობაში ზღუდის დათარიღების დროს). ურბნისის ალიზის ზღუდის პირვანდელი აგებისა და მისი შემდგომოდინდელი ფენების დათარიღება დიდად შეუწყობს ხელს ურბნისის ქალაქობის პერიოდის დაზუსტებას.¹⁶

ქალაქ ურბნისის წარმოქმნა ბუნებრივად დაუცველ ზეგანზე (რამაც საჭირო გახდა შემდეგ თხრილით გარსშემოვლებული ზღუდის აგება) პირ-

III რიგის ქალაქები ააშენეს ქართლოსის შვილებმა:

მცხეთოსმა (ფლობდა არმაზს); მცხეთა.

გარდაბოსმა (ფლობდა ხუნანს).

კახოსმა (ფლობდა დედა ციხეს); ჩეღეთი (ანუ ბერ).

კუხოსმა (ფლობდა ბოსტან-ქალაქს, ანუ რუსთავს).

გაჩიოსმა (ფლობდა ორბის ციხეს); გაჩიანი—სანადირო ქალაქი.

IV რიგის ქალაქები ააშენეს მცხეთოსის შვილებმა:

უფლოსმა (ფლობდა მცხეთას); უფლისციხე, ურბნისი, კასპი.

ორძვოსმა: ოძრე, თუხარისი.

ჯავახოსმა: წუნდა, ქალაქი არტანისა (ანუ ქაჯთა ქალაქი ანუ პური).

უნდა ვიფიქროთ, რომ როგორც „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ავტორზე, ისე ლეონტი მროველზე რამდენადმე გავლენას ახდენს მათი თანადროული (ან მათთვის უფრო ახლო წარსულის) ვითარება. ამდენად, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს დაწერის დროს (ან მისი ავტორისთვის თვალმისაწვდომ წარსულში) ურბნისი უფლისციხეზე უფრო მნიშვნელოვანი ქალაქია, უფლისციხე კი ამ დროს შედარებით უმნიშვნელო პუნქტია და ქრთნიკის ავტორისთვის ის ცნობილია როგორც კასპის ციხე. ლეონტი მროველის დროს კი (ან მისთვის თვალმისაწვდომ წარსულში) ურბნისი გაცილებით უფრო მცირე მნიშვნელობისაა, ვიდრე უფლისციხე, რომელიც მთელი შიდა ქართლის ცენტრია (ასეთად უფლისციხე, როგორც ცნობილია, IX ს. ბოლოს და X ს. I ნახევარში იყო).

¹⁶ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ქალაქის წარმოქმნა აქ წინ უსწრებდა ალიზის ზღუდის აგებას.

ველ რიგში აიხსნება საამისოდ ხელსაყრელი სოციალ-ეკონომიური და პო-
 ლიტკური პირობებით, რაც შეექმნა ძვ. წ. პირველ ათასწლეულში აქ უკვე
 ენეოლითის დროდან დამკვიდრებულ მოსახლეობას. ეს ხელსაყრელი პირო-
 ბები შემდეგი იყო: მტკვრის სანაპირო ზოლში ვაჭრობა-ხელოსნობის და
 მიწათმოქმედების მაღალი განვითარება, ამ რაიონის კავშირი სანაოსნო თუ
 ხანმელეთო გზებით მონათმფლობელურ გარეშე სამყაროსთან (აქემენიდების
 ხპარსეთი, საბერძნეთი, ელინისტური ქვეყნები, რომი...), ყოველივე ამასთან
 დაკავშირებული კლასობრივი დიფერენციაციის ინტენსიური პროცესი და ამ
 რაიონის ქცევა აღმოსავლეთ საქართველოს სახელმწიფოებრივ ცენტრად.

ურბნისის წარმოშობაზე ცნობის შემდგომ წერილობითი წყაროები (მო-
 ქცევად ქართლისა და ნინოს ცხოვრება, ხოლო მათ მიხედვით ლეონტი მრო-
 ველი და ვახუშტი ბაგრატიონი—ისტორიაში) მას ქართლის გაქრისტიანების
 (ე. ი. IV საუკუნის) ამბებთან დაკავშირებით იხსენიებენ. ამ ცნობის თან-
 ხმად, ქართლის განმანათლებელი ნინო სომხეთიდან მოვიდა ჯავახეთის მთებ-
 ში, ფარავნის ტბაზე, გამოჰყვა აქედან გამომდინარე წყალს, ჯერ გაჭირებთ
 იარა, ხოლო შემდეგ, როცა წყალმა აღმოსავლეთით მოუხვია, გზა უქეთესი
 გახდა, მგზავრებიც შეხვდნენ და ნინო ურბნისში ჩამოვიდა. მივიყვანოთ „ნი-
 ნოს ცხოვრების“ ეს ადგილი:

„წარმოვემართე მათა ზედა ჯავახეთისათა, რათა ვცნა თუ სადათ არს
 მცხეთაჲ. და მივემთხუე მათა ზედა ტბასა დიდსა, გარდამდინარესა, რო-
 მელსა ერქუა ფარავნაჲ. და დავდეგ მუნა ორ დღე. ვითხოვე საზრდელი მე-
 თევზურთაგან და განვძლიერდი ძალითა მით საზრდლისთა და მადლი შეეწი-
 რე ღმერთსა. და მწყემსნი იყვნეს მასვე ადგილსა და უმოიღვიდეს საწმილავსა
 ღამისსა, სამწყსოთა შინა მათთა და ხადოდეს ღმერთთა მათთა და წყეულთა
 არმაზს და ზადენს და უთქმიდეს შესაწირავთა, რაჟამს მოვიდეთო. დილასა
 ადრე მივე და ვჭკითხე ერთსა მათგანსა, თუ: რომლისა სოფლისანი ხართ
 თქუნენ? ხოლო მან მომიგო მე: ზოგნი დაბით¹⁷ და ზოგნი საფურცლით და
 ზოგნი ქინჯარელნი¹⁸ და რაბატელნი დიდისა ქალაქისა მცხეთისანი, სადა ღმერ-
 თნი ღმერთობენ და მეფენი მეფობენ. მივსეღენ მათა ჩრდილოსთა, რომელ
 დღეთა ზაფხლისთა საესენი ჩნდეს ჰაერითა და თოვლითა სასტიკითა და შევ-
 ძრწუნდი ფრიად და ვთქუ: უფალო, უფალო, მიმიღე სული ჩემი ჩემგან! და
 მოვიღე ლოდი ერთი და დავიდევ სასთუნალად თავსა და გარდასადინალსა
 მის ტბისასა დავიძინე...

გარდამოსადინალსა მის ტბისასა მოვეყვ და წარმოვემართე. და იყო დი-
 ნებაჲ წყლისა დასავლით კერძო. მიუდეგ წყალსა მას. და მივემთხუე გზათა
 ძნელთა და ფიცხელთა. და ვნახენ ჭირნი დიდნი გზათა მათგან და მიშნი
 მწეცთაგან, ვიდრე არა მოვიწიე, სადა იგი იწყო წყალმან დინებად აღმოსავ-
 ლეთით. მაშინლა იქმნა მოლხინებაჲ ჩემი, და ვბოვენ მოგზაურნი, და შევე-
 მოყსიე მათ, და მოვიწიე სანახებსა ქართლისასა და ურბნისსა“¹⁹.

¹⁷ იგულისხმება მცხეთის დაბა.

¹⁸ საფურცლე და ქინჯარა, ან ქინძარა, გეოგრაფიული სახელებია—შესაძლოა მცხეთის დაბანი.

¹⁹ Опис. II, გვ. 749 — 750.

როგორც ამ ცნობიდან ჩანს, ურბნისში სამხრეთიდან მოდიოდა გზა, რომელზეც გაცხოველებული მიმოსვლა სწარმოებდა. საქიროა ვაირკვეს რომელი გზა იგულისხმება აღნიშნულ წყაროში.

ჩენი აზრით, „ნინოს ცხოვრების“ ავტორი შეცდომით ასახელებს ფარავნის ტბას — უნდა იყოს საღამოს ტბა, საიდანაც გამომდინარე ჯავახეთის მტკვარი მართლაც მიედინება წყაროში აღნიშნული მიმართულებით და ერთვის მტკვარს, რომელიც ჩრდილოეთით უხვევს. ფარავნის ტბიდან გამომდინარე მდინარე, კი, ჯერ ერთი, სამხრეთით მოედინება და არა დასავლეთით, და მეორეც, ერთვის საღამოს ტბას, რაც არ არის აღნიშნული იმ მდინარეზე, რომელსაც, წყაროს ცნობით, ნინო გაჰყვა. ჯავახეთის მტკვრის მტკვართან შერთვამდე, როგორც აღვნიშნეთ, გზა მის გაყოლებით უვალი და საშიში ყოფილა. მტკვართან მისი შერთვის შემდეგ კი, მტკვრის გაყოლებით, გზა საკმაოდ ქარგი ყოფილა, მასზე გაცხოველებული ყოფილა მიმოსვლა. ამ გზას ნინო ქართლის სანახებში, ურბნისში მიუყვანია. ნინოს მიერ გავლილი გზა რომ სწორედ მტკვრის გაყოლებით იგულისხმებოდა, ამას მოწმობს „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ჰელიოზორის ნუსხა, რომელიც გვამცნობს:

„ნინო — წარმოემართა მათაჲ კერძო ჩრდილოჲსათა და მოვიდა მდინარეჲსა მტკვარისა, მოჰყვა და მოვიდა მცხეთად ქალაქსა დიდსა მეფეთა საჯდომელსა“²⁰.

ვახუშტი ბაგრატიონი მოგვითხრობს, რომ ჯავახეთში, ნინოს კიანჯახზე, თუ „სადა არს მცხეთა“, მწყემსები უბასუხებენ: „გარდამდინარე ამის ტბისა მიმდინარეობს ქალაქსა მცხეთას“, ცხადია, რომ ამ „გარდამდინარედ“ ჯავახეთის მტკვარი იგულისხმება. მტკვრის ხეობით შიდა ქართლში ჩამავალი ეს სავაჭრო-სამომოსვლო გზა, როგორც აღვნიშნეთ, ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორი იყო, რამაც ხელი შეუწყო ურბნისის ეკონომიურ დაწინაურებას და მის ქალაქად გადაქცევას.

„ნინოს ცხოვრების“ ცნობით, ურბნისი, ა.წ. IV საუკუნეში, მჭიდროდ დასახლებული ერზრავალი ქალაქი ყოფილა. აქ ყოფილა ებრაელთა უბანი (ლეონტი მროველის ცნობით — „უბანი ურიათა“)²¹, თავისი ბაგინით — სამლოცველოთი. მოსახლეობა ჩაბმული ყოფილა ვაჭრობაში. ნინო მოგვითხრობს:

„... მივიწიე სანახებსა ქართლისასა. ქალაქსა ურბნისასა... შეეურვა სულსა ჩემსა წარწყმედასა მათსა ზედა. და მოვედ ბაგინსა ჰურიათასა, ენისათჳს ებრაელებრისა, და ვიყავ მუნ ერთ თთუშ და განვიცდიდ ძალსა ამის ქუეყანისასა.“

და იყო დღესა ერთსა აღიძრნეს ერნი ძლიერნი და ურიცხუნი სიმრავლითა შით ქალაქით, წარმავალნი დიდად ქალაქად მცხეთად, რომელი იყო საჯდომელი დიდთა მეფეთაჲ, ვაჭრობად და ლოცვად არმაზ-ღვთისა მათისა“²².

ამავე ცნობას იმეორებს ლეონტი მროველი²³ და ვახუშტი ბაგრატიონი — ისტორიაში (ეს უკანასკნელი ცოტა შემოკლებით)²⁴.

²⁰ Опис., II, გვ. 712.

²¹ ქართლის ცხოვრება (ანასუელი) 1942, გვ. 4.

²² Опис., II, გვ. 750.

²³ ქართლის ცხოვრება. I, 1955, გვ. 88.

²⁴ ვახუშტი ბაგრატიონი, საქართველოს ისტორია, დ. ბაქრაძის გან., 1885.

ლეონტი მროველის ცნობით, ქრისტიანობამდე ურბნისის მცხოვრებნი თაყვანს სცემდნენ ცეცხლს, ქვასა და ხეს²⁵.

ურბნისის ქალაქობის პერიოდში ვაჭრობა-ხელოსნობასთან ერთად დიდ როლს თამაშობდა ქალაქის მეურნეობაში მიწათმოქმედება და მესაქონლეობა. ურბნისის მიწების მოსარწყავად ძველად გამოუყენიათ არხი ლიახვიდან, რომელიც სოფ. რუისზე გადიოდა. თუ კი ამ არხთან—რუსთანაა დაკავშირებული რუისის სახელწოდება, მაშინ არხის გაყვანა არა უგვიანეს V საუკუნისა უნდა ვიგულისხმოთ, რადგან რუისი მოხსენებულია 506 წელს, „ებისტოლეთა წიგნში“²⁶. ვახუშტი ბაგრატიონი ამ არხზე გვამცნობს: „რუისის მთის სამკრეთის მინდორი ნიჭოზანდე და ლიახვით დვანის-წყლამდე ირწყვის ორის ლიახვის რუთი, თამარ მეფის ქმნულითა, და ნაყოფიერებენ დაბნები ყოვლითავე მრავალნი. ხოლო საღვთისის რუ განაახლა ე მეფემან ვახტანგ, არამედ აწ უქმი იყო... და ირწყვის მინდორი ურბნისამდე ამითვე“²⁷.

ვახუშტი ცნობას გვაწვდის აგრეთვე ურბნისის ახლოს მდებარე წყაროზე, რომელზეც წისქვილი მუშაობდა: „ურბნისის დასავლით, დუდეს დის წყარო ფრიად დიდი, კიდესა მტკვრისასა, რომლით ბრუნვენ დიდი წისქვილნი ზამთარცა, ვინათგან ვერ განჰყინავს“²⁸. აქ დღესაც მუშაობს წყაროზე რამდენიმე წისქვილი და ამ ადგილს „დეგოთ-სერები“ ეწოდება. ალბათ, ეს მართლაც დიდი წყარო, უძველესი დროიდანვე იქნებოდა გამოყოფილი წისქვილების გასამართად.

* * *

ფეოდალიზაციის პროცესი საქართველოში, ცხადია, თავის გავლენას ახდენდა ქალაქების განვითარებაზეც. მონათმფლობელური ხანის ქალაქები ფეოდალური ხანის ქალაქებისგან განსხვავდებიან როგორც თავისი გარეგნული სახით, ისე შინაარსით (ე.ი. ეკონომიკით, მოსახლეობის სოციალური სტრუქტურით, შინაგანი მმართველობის სისტემით). ფეოდალურ ურთიერთობას მანამდე არსებულ ქალაქთა ნაწილი ვერ ეგუება, ზოგი მათგანი ქრება როგორც ქალაქი, ზოგის მნიშვნელობა მცირდება, ზოგი კი ეგუება ახალ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებას და იცვლის თავის შინაარსსა და გარეგნულ სახესაც. ამასთან ერთად ჩნდებიან ახალი—ფეოდალური ქალაქები.

ურბნისი — ანტიკური ხანის საქართველოს ქალაქი, შეეგუა რამდენადმე ფეოდალურ ურთიერთობას და რამდენიმე საუკუნე შეინარჩუნა თავისი მნიშვნელობა, თუმცა, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ახალ ვითარებაში საკმარისი აღმოჩნდა ერთი მძლავრი ბიძგი, რომ ის საბოლოოდ გამქრალიყო, როგორც ქალაქი.

ურბნისი რომ V საუკუნეში მნიშვნელოვანი ეკონომიური და აღმინის-ტრაციული ცენტრია შიდა ქართლში, ამას მოწმობს აქ, ამ პერიოდში საეპისკოპოსო კათედრალის აგება. ურბნისის ტაძარი, პროფ. გ. ჩუბინიშვილის

²⁵ ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 87.

²⁶ *Фихре Радийе. Источники*, 1901, გვ. 179.

²⁷ ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941, გვ. 73—79.

²⁸ იქვე, გვ. 79.

აზროთ, V — VI სს. მიჯნაზე აგებული ბაზილიკაა.²⁹ ასეთ თარიღს ადასტურებს ეკლესიის სამსტრიქონიანი საამშენებლო წარწერა, წესრულეზული ასომთავრული დამწერლობით. წარწერა ჩატანებულია ჩრდილოეთის კედელში (რა თქმა უნდა, ადგილშენაცვლებულია) და შემდეგნაირად იკითხება (იხ. ტაბულა 1).



ქარაგმების გახსნით:

ოფალო იესუ ქრისტე,

კოსტანტი,³⁰ მამა მიქელ შეიწყალენ—

ამის სიონისა მაშენებელნი.

წარწერა, თავისი პალეოგრაფიული ნიშნებით, დღემდე ცნობილ ყველა ქართულ წარწერაზე (მათ შორის ბოლნისის წარწერებზე) უფრო არ ქაული ჩანს.

წარწერის სიძველეზე მიუთითებს, უპირველეს ყოვლისა, შერეული ასოები:

ბჟ, ყყ, ჯჟ და უფ

აკად. ივ. ჯავახიშვილი თავის ნაშრომში: „ქართული პალეოგრაფია“, განიხილავს რა ქართული დამწერლობის განვითარების მთავარ საფეხურებს, აღნიშნავს:

„VI საუკუნის დამდეგის ძეგლებში ხუცური ასომთავრული დამწერლობის ნიშანდობლივ თავისებურებას თავშეკრული „ზ“, „ჟ“ და „ყ“ შეადგენენ. ამას გარდა, აღსანიშნავია თავშეკრული „შ“, რომელსაც ბოლოკიდურიც ძალზე მოკაუჭებული აქვს. ასე თავშეკრული იწერება ბ, ჯ და ყ მცხეთის ჯვარის ეკლესიის VI საუკუნის დამლევის წარწერებშიც, ხოლო „შ“ თემისტიას წარწერაში ისევე თავშეკრულია, მაგრამ ამავე დროის დანარჩენ წარწერებში ამ ასოს თავი პირღია აქვს. აღსანიშნავია, რომ მცხეთის ჯვარის VII საუ-

²⁹ გ. ჩუბინიშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, 1, 1936, გვ. 32. კონდაკოვი ურბნისის ეკლესიის გიორგი III და თამარის დროს აგებულად თვლიდა (იხ. Древняя архитектура Грузии, 1876, გვ. 59).

³⁰ ექ. თაყაიშვილი კითხულობს: „კალატონი“.

კუნის შუა წლების სტეფანე-ქობულის წარწერაში „ბ“-ანსაც თავი ოდნავ პირ-
ლია აქვს³¹.

შემდეგ:

„ამგვარად, ირკვევა, რომ „ბ“, „კ“, „ყ“ და „შ“ VI საუკუნის დამდეგი-
დან და, რასაკვირველია, უწინარესაც თავშეკრული იწერებოდა და გამოისა-
ხებოდა და ასეთი მოხაზულობა „ბ“-ანს მთელი საუკუნის განმავლობაშიც შეუ-
ნარჩუნებია, VII საუკ. შუა წლებში კი თავი ოდნავ პირგახსნილი უჩანს და
ასე გვევლინება იგი VIII საუკ. ძეგლშიაც.

„კ“ და „ყ“ თავშეკრული დარჩენილა მთელი VI, VII და VIII სს-ში.
ამასთანავე, რადგან IX საუკ. ძეგლებში ორივე ასო თავგახსნილი გვევლინე-
ბა, ამიტომ, ამ მოვლენის დასიწყისი უკვე VIII საუკ. მეორე ნახევრიდან და
იქნებ უწინარესაცაა საგულისხმებელი. მაინცდამაინც „კ“-ს „ყ“-ართან შედა-
რებით ძველი მოხაზულობა უფრო ხანგრძლივ შეუნარჩუნებია და ზოგან IX ს.
და თვით X საუკ. შუა წლებამდისაც კი ამ სახით მოულწევიან.“³²

მართლაც V—VIII სს. ეპიგრაფიკული ძეგლების განხილვა ცხადჰყოფს,
რომ ქართული დამწერლობის განვითარების აღრინდელი საფეხურისთვის და-
მახასიათებელია ასოების შეკრულობა. კერძოდ ასეთებია: ბჟ, ყჟ, (იხ. ტაბ. I,
№ 6). V — VIII სს. ის გარდამავალი ეტაპია ქართული დამწერლობის განვითა-
რებაში, როდესაც აღნიშნულ ასოებს თანდათანობით ეხსნებათ თავი. ამის გამო,
ამ პერიოდში, ეს ასოები ხან გახსნილი გვხვდება და ხან შეკრული. ზოგჯერ,
ერთსა და იმავე წარწერაში, ერთი და იგივე ასო ხან შეკრულია და ხან გა-
ხსნილი. კერძოდ, ამ მხრივ, ჩვენთვის ცნობილ ეპიგრაფიკულ ძეგლებში შემ-
დეგი ვითარებაა:

ასოების მიხედვით:

ახლ ბჟ.

1. ბოლნისის წარწერები:

1. პეროზის — 1 თავშეკრული.
2. დავით ეპისკოპოსის მეორე წარწერა — 1 თავშეკრული.

II. მცხეთის ჯვრის წარწერები:

1. ქობულ სტეფანოზის — 1 თავგახსნილი.
2. თემისტიას — 2 თავშეკრული.

III. უკანგორი — 1 თავშეკრული (?).

IV. პალესტინის წარწერები:

I წარწერა³³ — 2 თავშეკრული.

II წარწერა — 1 თავშეკრული.

III წარწერა — 2 თავშეკრული.

V. ვეჟან ატენელის — I თავგახსნილი.

VI. უსანეთის — 1 თავგახსნილი.

ახლ ყჟ.

1. ბოლნისის წარწერები:

1. პეროზის — 2 თავშეკრული,
2. დავით ეპისკოპოსის მეორე წარწერა — 1 თავშეკრული.

³¹ ივ. ჯავახიშვილი. ქართული პალეოგრაფია, თბილისი, 1949, გვ. 185

³² იქვე, გვ. 186.

³³ წარწერების რიგს ვიცავთ გ. წარათლის გამოცემის მიხედვით: „უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან“, თბილისი, 1960.

II. მცხეთის ჯვრის წარწერები:

1. დემეტრე ჰაბთოსის — 1 თავშეკრული.
2. ადარნესე ჰაბთოსის — 1 თავშეკრული.
3. თემისტას — 3 თავშეკრული.
4. სტელა (სტეფანოს პატრიკიოსის, დემეტრე ჰაბთოსის, ადარნესე ჰაბთოსის) — 1 თავშეკრული.

III. წყისეს — 1 თავშეკრული.

IV. ვეჟან ატენელის — 3 თავშეკრული.

2 თავგახსნილი

ასო ჯ 4

I. ბოლნისის წარწერები:

1. პეროზის — 1 თავშეკრული.
2. დავით ეპისკოპოსის მეორე წარწერა — 3 თავშეკრული.
8. სტელა — 1 თავშეკრული.

II. მცხეთის ჯვრის წარწერები:

1. დემეტრე ჰაბთოსის — 1 თავშეკრული.
2. ადარნესე ჰაბთოსის — 1 თავშეკრული.
3. თემისტას — 2 თავშეკრული.
4. სტელა (სტეფანოს პატრიკიოსის, დემეტრე ჰაბთოსის, ადარნესე ჰაბთოსის) — 2 თავშეკრული.

III. უკანგორის — 2 თავშეკრული.

IV. წყისეს — 2 თავგახსნილი:

V. პალესტინის III წარწერა — 3 თავშეკრული.

VI. ვეჟან ატენელას — 4 თავშეკრული.

VII. წრომის — 1 თავშეკრული.

VIII. უსანეთის — 3 თავშეკრული.

ასო შ 3

I. ბოლნისის წარწერები:

1. პეროზის — 1 თავშეკრული და მშუცელგახსნილი³⁴.

2 თავ-მშუცელგახსნილი

2. დავით ეპისკოპოსის მეორე წარწერა — 4 თავ-მშუცელგახსნილი
3. სტელა — 2 თავშეკრული და მშუცელგახსნილი.

II. მცხეთის ჯვრის წარწერები:

1. ქობულ სტეფანოზის — 1 თავ-მშუცელგახსნილი.
2. სტეფანოს პატრიკიოსის — 1 თავ-მშუცელგახსნილი.
3. თემისტას — 1 თავშეკრული და მშუცელგახსნილი.

1. თავ-მშუცელგახსნილი

III. უკანგორის — 1 თავ-მშუცელგახსნილი

IV. წყისეს — 1 თავ-მშუცელგახსნილი.

V. პალესტინის ქართული წარწერები:

1 წარწერა — 2 თავ-მშუცელგახსნილი

III წარწერა — 1 თავ-მშუცელგახსნილი.

³⁴ მშუცელს აქ პირობითად ვუწოდებთ ასო შ (ქ)-ს ქვედა ნაწილს, ხოლო თავს — ზედა

VI. ვეჟან ატენელი ს — მ თავ-მუცელგახსნილი.

VII. წრომის — 1 თავ-მუცელგახსნილი.

ეპიგრაფიკული ძეგლების მიხედვით:

1. ბოლნისის წარწერები:

1. პეროზის: ბ (Ⴀ) — 1 თავშეკრული.
 ყ (Ⴁ) — 2 თავშეკრული.
 ჰ (Ⴂ) — 1 თავშეკრული.
 შ (Ⴃ) — 1 თავშეკრული და მუცელგახსნილი.
 2 თავ-მუცელგახსნილი.
2. დავით ეპისკოპოსის მეორე წარწერა:
 ბ (Ⴀ) — 1 თავშეკრული.
 ყ (Ⴁ) — 1 თავშეკრული.
 ჰ (Ⴂ) — 3 თავშეკრული.
 შ (Ⴃ) — 4 თავ-მუცელგახსნილი.
3. სტელა: ³⁵ ჰ (Ⴂ) — 1 თავშეკრული,
 შ (Ⴃ) — 2 თავშეკრული და მუცელგახსნილი.

II. მცხეთის ჯვრის წარწერები:

1. დემეტრე ჰბატოსის: ყ (Ⴁ) — 1 თავშეკრული.
 ჰ (Ⴂ) — 1 თავშეკრული.
2. ადარნერსე ჰბატოსის: ყ (Ⴁ) — 1 თავშეკრული.
 ჰ (Ⴂ) — 1 თავშეკრული.
3. სტეფანოზ პატრიკიოსის: შ (Ⴃ) — 1 თავ-მუცელგახსნილი
4. ქობულ სტეფანოზის: ბ (Ⴀ) — 1 თავგახსნილი.
 შ (Ⴃ) — 1 თავ-მუცელგახსნილი.
5. თემისტიას: ბ (Ⴀ) — 2 თავშეკრული.
 ყ (Ⴁ) — 2 თავშეკრული.
 ჰ (Ⴂ) — 2 თავშეკრული.
 შ (Ⴃ) — 1 თავშეკრული და მუცელგახსნილი.
 1 თავ-მუცელგახსნილი.

6. სტელა (სტეფანოზ პატრიკიოსის, დემეტრე ჰბატოსის, ადარნერსე ჰბატოსის):

ყ (Ⴁ) — 1 თავშეკრული.
 ჰ (Ⴂ) — 2 თავშეკრული.

III. უკანგორის: ბ (Ⴀ) — 1 თავშეკრული (?)
 ჰ (Ⴂ) — 2 თავშეკრული

IV. წყისეს: ყ (Ⴁ) — 1 თავშეკრული.
 ჰ (Ⴂ) — 2 თავგახსნილი.
 შ (Ⴃ) — 1 თავ-მუცელგახსნილი.

V. პალესტინის წარწერები:

- 1 წარწერა: ბ (Ⴀ) — 2 თავშეკრული.
 შ (Ⴃ) — 2 თავ-მუცელგახსნილი
- II წარწერა: ბ (Ⴀ) — 1 თავშეკრული.

³⁵ ჩვენ აღარ ვეხებით ბოლნისის სხვა ფრაგმენტალურ წარწერებს, რადგან ისინი, პალეოგრაფიის თვალსაზრისით, ახალს აღარაფერს იძლევიან ბოლნისის ამ სამ წარწერასთან შედარებით.

III წარწერა: ბ (ღ) — 2 თავშეკრული.

ჴ (ჳ) — 3 თავშეკრული.

შ (შ) — 1 თავ-მუცელგახსნილი.

VI. ვეჟან ატენელის: ბ (ღ) — თავგახსნილი.

ყ (ყ) — 3 თავშეკრული.

2 თავგახსნილი.

ჴ (ჳ) — 4 თავშეკრული,

შ (შ) — 3 თავ-მუცელგახსნილი.

VII. წრომის: ჴ (ჳ) — 1 თავშეკრული.

შ (შ) — 1 თავ-მუცელ გახსნილი

VIII. უსანეთის: ბ (ღ) — 1 თავგახსნილი

ჴ (ჳ) — 3 თავშეკრული³⁶.

როგორც ვხედავთ, V—VIII სს-ის ჩვენთვის ცნობილ ეპიგრაფიკულ დამწერლობის ძეგლებში ასოები: ბ, ყ და ჴ, როგორც წესი, თავშეკრულებია, მაგრამ, რამდენიმეჯერ ეს ასოები თავგახსნილიც გვხვდება (ბ — ქობულ სტეფანოზისა და ვეჟან ატენელის წარწერებში თითოჯერ. ყ — ვეჟან ატენელის წარწერაში — ორჯერ. ჴ — წყისეს წარწერაში — ორჯერ). ასო შ მხოლოდ სამჯერ გვხვდება (ურბნისის წარწერის გარდა) თავშეკრული და მუცელგახსნილი: 1. ბოლნისის (პეროზისა), 2. ბოლნისის (სტელის) და 3. მცხეთის ჯვრის თემისტიას წარწერებში.

IX—X სს ოცდაათიდან ჩვენთვის ცნობილ წარწერაში (ატენის 853 წ., ხუნამისის, ზემო სკრის, ზემო ნიქოზის, ერედვის, ფიის, უბისის, კუმურდოს, ოშკის, ტბელბის 3 წარწერა, არეშის, ყველის, მეჯუდას 2 წარწერა, ზემო კრიბის, ყალა-ბოინას და სხვები) აღნიშნული ასოები, როგორც წესი, თავგახსნილებია³⁷.

³⁶ ჩვენ აქ არ ვეხებით ჯვარისაა ხატის წარწერას (საქაღვთის), რადგან ჯერ ერთი ლითონზე გაკეთებული წარწერები პალეოგრაფიულად განსხვავდებიან ქვაზე ანოკვეთილი წარწერებისგან და მეორეც, ჩვენ საცხებით ვიხიარებთ აქად. გ. ჩუბინაშვილისა და პროფ. გ. წერეთლის მოსახრებას, რომ ეს წარწერა V ს. კი არ არის, როგორც ამას გ. ბოჭორიძე და შ. ამირანაშვილი ფიქრობენ, არამედ გაცილებით გვიანი (იხ. გ. ბოჭორიძე, რაჭის ისტორიული ძეგლები, საქართველოს მუზეუმის მოამბე, V, 1928, გვ. 173 — 177. მისივე: ჯვარისას ძეგლი, საქართველოს არქივი, III, 1927, გვ. 206 — 208. შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბილისი, 1944, გვ. 190 — 191. Г. Н. Чубинашвили, Грузинское чеканное искусство, Тбилиси, 1950, стр. 421 — 429. გ. წერეთელი, უძველესი ქართული წარწერები პალესტიინიდან, თბილისი, 1960, გვ. 40, შენიშვნა 4).

³⁷ თავშეკრულობა, არქაულიდან გადმონაშთის სახით, ზოგჯერ გვიანაც გვხვდება (მაგალითად, ივანე ათაბაგის XV ს-ის წარწერაში, ოშკის X ს-ის წარწერაში და სხვა), მაგრამ, ეს, რა თქმა უნდა, არ არის დამახასიათებელი ამ პერიოდისთვის.

V—VIII სს-ის წარწერებს IX—X სს-ის წარწერებისგან პალეოგრაფიულად განასხვავებს კიდევ ერთი ნიშანი: ასოები ჳ, ჴ, ჵ, და ჶ არა აქვთ მარცხნივ გახიდილი ჰორიზონტალური ხაზი, რომელიც მათ უჩნდებათ IX—X სს-ში: (იხ. ტაბ. I, № 1, 3, 4, 5) მართალია, ამ პერიოდშიც გვხვდება ზოგჯერ ეს ასოები ამ ხაზის გარეშე, მაგრამ V—VIII სს-ში არც ერთ შემთხვევაში არ გვხვდება აღნიშნული ასოები ასეთი ხაზით.

X ს-დან წარწერებში ერევა ნუსხური ასოები (ჯერ ლ მ, ხოლო XI ს-დან — სხვა ნუსხური ასოებიც და ზოგჯერ მიედრულიც კი, როგორც, მაგალითად. აღის წარწერაში), ჩნდება ისეთი მ, რომლის მუცლის შემკრეული ხაზი მარჯვნივ აღარ გადადის (შ).

ამრიგად, როგორც ვხედავთ, საეკლესიო მართებულობა აკად. ივ. ჯავახიშვილის შვილის ზემომოყვანილი მოსაზრება, რომ ასოები ბ, ჯ, ყ და შ ქართული დამწერლობის უძველეს ძეგლებში თავშეკრული იწერებოდა (ფ, ყ, გ, დ).

ურბნისის ჩვენს მიერ განსახილველ წარწერას ახასიათებს არქაულობის ყველა ზემოდასახელებული ნიშანი. თითქოს განზრახ, ამ პატარა, სამსტრიქონიან წარწერაში გვხვდება ოთხივე ზემოდასახელებული ასო, რომლის თავშეკრულობა დახასიათებელია ძველი წარწერებისთვის (ალარაფერს ვამბობთ ასოებზე ე ႁ და ლ ხ, რომელთაც, რა თქმა უნდა, არა აქვთ მარცხნივ გაზიდული ხაზი).

მაგრამ, ურბნისის ამ წარწერას V — VIII სს-ის ყველა ცნობილი ძეგლისგან განასხვავებს ასო შ შ. ამ წარწერაში ეს ასო ორჯერ გვხვდება და ორივეჯერ მას შეკრული აქვს არა მარტო თავი, არამედ — მუცელიც. ასეთი მოხაზულობის შ არ გვხვდება V — VIII სს-ის არც ერთ წარწერაში და მათ შორის უძველესად მიჩნეულ ბოლნისის წარწერებშიც.

იმდენად, რამდენადაც ჩვენ ზემომოყვანილი წარწერების განხილვის, საფუძველზე მართებულად ვცანიტ აკად. ივ. ჯავახიშვილის თვალსაზრისი, რომ ასოების: ბ ფ, ყ გ, ჯ დ და შ შ თავშეკრულობა არქაულობის ნიშანია, ურბნისის წარწერის შ, ნახშირი ამ წარწერაში ორჯერ, ორჯერვე თავ-მუცელშეკრულად (იხ. ტაბ. I, №7), უნდა მივიჩნიოთ ყველაზე არქაული მოხაზულობის შ-დ, დღემდე ცნობილია შორის. V—VIII სს-ის არც ერთ დღემდე ცნობილ ძეგლში არა აქვს ადგილი ისეთ შემთხვევას, რომ რომელიმე, ზემოდასახელებულ ასოთაგან, უკვე გახსნილი არ იყოს. ამას ადგილი აქვს მხოლოდ ურბნისის წარწერაში. შშ-ს გახსნა უფრო ადრე იწყება, ვიდრე ბ ფ, ჯ დ და ყ გ-სი. თუ ამ შ ასოს გახსნა მთავრდება VIII ს-ში, შ შ შეკრული სახით აღარ გვხვდება VI ს-ის შემდეგ.

VII — VIII სს-ის წარწერებში ბ, ჯ და ყ ხან თავშეკრულია და ხან თავგახსნილი, ისე რომ ხანდისხან, ერთსა და იმავე წარწერაში, ზოგი ეს ასო გახსნილია და ზოგი შეკრული (ასეთებია მაგალითად, წყისეს, ვეჟან ატენელის, უსანეთის წარწერები — იხ. ზემომოყვანილი ნუსხა წარწერებისა), ზოგიერთ წარწერაში კი, ერთი და იგივე ასოც კი, ხან გახსნილია და ხან შეკრული (ვეჟან ატენელის წარწერა).

ასევე, V—VI სს-ის 2 წარწერაში (ბოლნისის პეროზის და მცხეთის ჯგრის თემისტის) შ ხან თავშეკრული გვხვდება (იხ. ტაბ. I №6) და ხან თავგახსნილი (შ), V—VI სს-ის ბოლნისის სტელის წარწერაში ის მხოლოდ თავშეკრული იხმარება, ხოლო V — VI სს-ის სხვა წარწერებში კი (ბოლნისის დავით ეპისკოპოსის მეორე წარწერა, მცხეთის ჯგრის სტეფანოზ პატრიკიოსის, უკანგორის, წყისეს) შ ყველგან თავ-მუცელგახსნილია.

ე. ი. თუ ბ, ყ და ჯ-თვის თავშეკრულობიდან თავგახსნილობისაკენ გარდამავალი პერიოდია VII—VIII სს., შ-სთვის ასეთი პერიოდი ჩანს V—VI სს.

მაშასადამე, ურბნისის წარწერა, სადაც შ თავ-მუცელშეკრულია (იხ. ტაბ. II. № 7) პალეოგრაფიულად უფრო არქაული ყოფილა ამ გარდამავალი პერიოდის წარწერებზე.

როგორც ურბნისის განხილული წარწერიდან ჩანს, ურბნისის სიონი აუშენებიათ ვინმე კოსტანტის და მამა მიქელს. კოსტანტი შესაძლოა ადგი-

ლობრივი ფეოდალი იყო, ხოლო მამა მიქელი — პირველი ურბნელი ეპისკოპოსი.³⁸

ურბნისის ეპისკოპოსი მოხსენებული არ არის არც ეპისტოლეთა წიგნში³⁹ და არც ჯუანშერის მიერ მოცემულ V — VI სს. ეპისკოპოსთა სიაში⁴⁰. მაგრამ, ეს რა თქმა უნდა, სრულიადაც იმას არ ნიშნავს, რომ ამ დროს არ არსებობდა ურბნისის ეპარქია. არც ერთი აღნიშნული სია ეპისკოპოსებისა სრული არ არის. ეპისტოლეთა წიგნში და უხტანესის თხზულების შესაბამის ადგილზე 506 წლისთვის დასახელებულია ქართლის 23 ეპისკოპოსი (რომელთა სახელების ნაწილი ისეა სომხურში დამახინჯებული, რომ ვერ დგინდება), მაშინ, როცა იმავე საუკუნის დამდეგისთვის, სხვა წყაროს ცნობით, ქართლში 33 ეპისკოპოსი ყოფილა,⁴¹ ხოლო იმავე ეპისტოლეთა წიგნის 607 წლის ეპისტოლეს ცნობით — 35 ეპისკოპოსი.⁴² ჯუანშერის სია, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო შორს არის სისრულისგან და ივ. ჯავახიშვილი ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ ჯუანშერს გამორჩენია ისეთი საეპისკოპოსოც კი, როგორცაა ურბნისი.⁴³ ე. ი. ივ. ჯავახიშვილს უეჭველად მიაჩნია ურბნისის ეპარქიის არსებობა (თუმცა, არ ჩანს რას ემყარებოდა ამ შემთხვევაში პატ. მკვლევარი).

დ. ბაქრაძე და ე. თაყაიშვილი აღნიშნავენ, რომ ურბნისის პირველ ეპისკოპოსად მიჩნეულია ნეოფიტე⁴⁴. ამ შემთხვევაში აღნიშნული მკვლევარები ემყარებიან XI ს. მწერლის ბასილი ვაჩეს ძის თხზულებას „თხრობაჲ სასწაულთათჳს წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა შიოაქათაჲ“.⁴⁵ აღნიშნული წყაროს ცნობით, მურვან ყრუს ერთ-ერთმა სარდალმა ომარმა, განცვიფრებულმა შიო მღვიმელს სასწაულებით, მიიღო ქრისტიანობა და ბერად აღიკვეცა ნეოფიტეს სახელით, ხოლო სამოელ კათალიკოსმა მას ურბნისის საეპისკოპოსო ჩააბარა.⁴⁶ წყაროში სრულიადაც არ არის ნათქვამი, რომ ნეოფიტე იყო პირველი ეპისკოპოსი ურბნისში.

³⁸ პროფ. გ. ჩუბინაშვილს ვერ შეუნიშნავს ურბნისის დასახელებული წარწერა და სამშენებლო წარწერად ასახელებს მეორე, უფრო გვიანდელ — განმარტებლის წარწერას. პატ. მკვლევარი წერს: „ურბნისის ბაზილიკის წარწერანი არ შეიცავენ სამწუხაროდ ზედმიწევნით თარიღს, მაგრამ აშწნებლად იხსენიებენ ეპისკოპოსს თევდორეს, ლუკას ძეს. ამასთანავე, ნამუბობია, რომ „იყო ესე სიონი დაძველებულ უფროს ზომისა: ოთხნი კუთხენი და კონკი გაბობილ იყვნეს“, აგრეთვე სვეტიტეი(?) მაშინ, ეპისკოპოსმა თევდორემ ააშენა აქ მომეტებულ ნაწილად დღემდე შენახული ტაძარი“ (გ. ჩუბინაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, 1, 1936, გვ. 49). ცხადია, თევდორე განმარტებულია ტაძრის და არა ამშენებელი, ხოლო დღემდე შემონახული ტაძარი (თუ კი აქ შემონახულია ძირითადად აშენების თავდაპირველი ფორმა) აშენებულია კონსტანტისა და მამა მიქელის მიერ.

³⁹ *იხრე შიქიე* გვ. 182 — 183.

⁴⁰ ქართლის ცხოვრება, 1, 1955, გვ. 198 — 199.

⁴¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, 1951, გვ. 301 — 302.

⁴² *იხრე შიქიე* გვ. 179.

⁴³ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 301.

⁴⁴ იხ. Д. Бакрадзе, Кавказ в древних памятниках христианства, გვ. 151—162. ექ. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, 1, გვ. 42.

⁴⁵ ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, ილ. აბულაძის გამოც., 1955, გვ. 199 — 213.

⁴⁶ დასახ. ნაშრ., გვ. 206 — 207.

ურბნელი ეპისკოპოსი მოხსენებულა „განგება დარბაზობისა“-ში, რომელიც, თვით საბუთში დაცული ცნობით, შედგენილია არჩილ მეფისა და ქართლის კათალიკოზ მიქელის მიერ, ე. ი. VIII საუკუნეში⁴⁷. ჩვენი აზრით, „განგება“, მიუხედავად გვიანდელი ჩანართებისა, თავდაპირველად მართლაც არა უგვიანეს VIII საუკუნისა უნდა იყოს შედგენილი.⁴⁸ თუ კი ურბნისის ეპარქია VIII საუკუნეში უკვე არსებობდა, მისი დაარსების დროდ უნდა ვიგულისხმოთ V, VI ან VII საუკუნე. აქედან ჩვენი აზრით, ყველაზე შესაფერისი დრო ახალი ეპარქიის წარმოქმნისა V საუკუნე იყო. თუ გავითვალისწინებთ ურბნისის კათედრალის აშენების თარიღსაც, ურბნისის ეპარქიის წარმოქმნა V საუკუნეში უნდა ვიგულისხმოთ.

* * *

მურვან ყრუს გამანადგურებელი ლაშქრობის დროს, უნდა ვიფიქროთ, დარბევა-აოხრება არ ასცდებოდა ქართლის ისეთ მნიშვნელოვან პუნქტს, როგორც იყო ციხე-ქალაქი და საეპარქიო ცენტრი — ურბნისი. ამ მხრივ ნიშანდობლივია ვახუშტი ბაგრატიონის ცნობა, რომლის თანახმად, ურბნისი „ყო ქალაქი ყრუსადმდე“.⁴⁹ ის, რომ ურბნისის, როგორც ქალაქის ხსენება ქრება წყაროებში, ხოლო საერთოდ ურბნისს რუს-ურბნისის კრებამდე აღარ ახსენებენ. მხარს უჭერს ვახუშტის აღნიშნულ ცნობას.

მაგრამ, ცხადია, არ შეიძლება არც ურბნისის და არც სხვა რომელიმე ქალაქის საბოლოო გაქრობა მურვან ყრუს, ან სხვა ლაშქრობის შედეგად მივიჩნიოთ. რა თქმა უნდა, მურვან ყრუს ლაშქრობით გამოწვეული ნგრევა-აო-

⁴⁷ იხ. ქრონიკები, 1, გვ. 45 — 46; ე. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 78 — 80 83 — 85.

⁴⁸ იმის გამო, რომ აღნიშნულ დოკუმენტში მოხსენებული არიან მხოლოდ აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს მღვდელმთავარი, ივ. ჯავახიშვილი ფიქრობს, რომ ის შედგენილია საქართველოს სამეფოს დაშლის შემდეგ არა უადრეს XV საუკუნისა (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. V, 1953, გვ. 196 — 197). ეს რომ ასე იყოს, მაშინ აქ შეტანილი არ იქნებოდნენ სამხრეთ საქართველოს მღვდელმთავრები. მართლაც, როცა ერეკლე II ეს განგება თავის დროს შეუფარდა, მან ამოიღო იქიდან სამხრეთ საქართველოს მღვდელმთავრები (იხ. ე. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 85 — 88). მაგრამ, „განგება“ საქართველოს სამეფოს ერთიანობის ხანაშიც არაა შედგენილი. ასეთ შემთხვევაში „განგებაში“ დასავლეთ საქართველოს მღვდელმთავრებიც იქნებოდნენ მოხსენებულნი; ამაზევე მიუთითებს: 1. სპასალარის მოხსენება „განგებაში“ ამირსპასალარის მაგიერად. 2. „განგებაში“ მოხსენებულ მღვდელმთავართა რიცხვის (35) შესაბამისობა VI — VII საუკუნეებში სხვა წყაროებით ცნობილ ქართლის საეპისკოპოსოთა რიცხვთან. 3. მაწვევრელს „განგებაში“ მეტად საპატიო ადგილი უჭირავს. ის ყველაზე წინ დგას სამხრეთ საქართველოს მღვდელმთავრებში. „იშნელი აქ მე — 10 ადგილზეა. ასეთვე მდგომარეობა აქვს მაწვევრელს IX ს. 1 ნახევარში. გიორგი მერჩულეს ცნობით (იხ. ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა, 1949, გვ. 92, 96); გაერთიანების ხანაში კი, სამხრეთ საქართველოს მღვდელმთავრებში იშნელი იჭერს პირველ ადგილს, მაწვევრელი კი მის შემდეგ გადადის (იხ. ხელმოწევის კარის გარიგება, ექვ. თაყაიშვილის გამ., გვ. 14¹¹¹—121).

აღნიშნულის საფუძველზე ვფიქრობთ, რომ „განგება“ შედგენილია არა უგვიანეს VIII საუკუნისა.

„განგების“ თავდაპირველი ნუსხა არ შემონახულა. შემონახული ნუსხები გვიანდელია. (XVII—XVIII სს.) და სხვადასხვა დროის გვიანდელ ცვლილებებს შეიცავენ.


⁴⁹ ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941, გვ. 78.



ბრება დიდად შეუწყობდა ამას ხელს, მაგრამ, მთავარი მიანიც ის არის, რომ აოხრების შემდგომ აღარ ყოფილა ამ ქალაქის აღორძინებისთვის ხელშემწყობი პირობები. გარდა სოციალ-ეკონომიური პირობების შეცვლისა, აქ აღბათ როლი ითამაშეს პოლიტიკურმა ფაქტორებმაც. IX — X სს. მიჯნაზე შიდა ქართლის ცენტრი ხდება უფლისციხე. ხოლო XI საუკუნეში ურბნისის გვერდით ჩნდებიან ახალი ფეოდალური ქალაქები — გორა და ატენი.

* * *

ურბნისის ეპარქია XIX საუკუნემდე არსებობდა. ურბნისის ტაძარს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, რამდენჯერმე დასჭირებია განახლება, მისი დაცვლებისა, თუ მტრისგან დანგრევის გამო. მის აირველ ასეთ განახლებაზე გვამცნობს ტაძრის სამხრეთის კარის თავზე მოთავსებული. ასომთავრული წარწერა (იხ. ტაბ. II):⁵⁰ მოვიყვანოთ მისი პალეოგრაფიული პირო:



ქარაგმების გახსნით:

უფალო ღმერთო, შეიწყალე თეოდორე ებისკოპოსი, ძეა ლუკაასი, მაშენებელი ამის სიონისაა⁹. ოდეს ღმერთმან ღირს მყო ამის სიონისა¹⁰) ებისკოპოსად, იყო ესე სიონი დაძულებულ უფროას ზომასა. ოთხნი კოთხენი და კონქი¹¹ განპებულ იყუნეს, სუეტნი ქტცი(?) დამბალ იყუნეს და მოპმადლა ღმერთმან ამის ყოვლისაა აღშენებაა, ყოველთა¹² გაკეთებაა. ძალითა ღმრთისაათა¹³, მეოკებითა ღმრთისაათა, ყოველი გათაეებითა მიქმნია.

წარწერას თარიღი არა აქვს. პალეოგრაფიული ნიშნებით ის თარიღდება X საუკუნით. V — VIII სს. ძეგლებიდან წარწერას გამორიცხავენ საეკესიოთ თავგახსნილი ბ (ჲ). ყ (ყ) და შ (შ), აგრეთვე ორფეხიანი (ტაბ. I, № 3, 5.). ეს უკანასკნელი უკვე ნუსხურ მოყვანილობასაც კი უახლოვდება. IX საუკუნის

⁵⁰ წარწერები განსხვავებულად აქვთ წაკითხული ეჭვ. თაყაიშვილს (იხ. არქ. მოგ., I, 1907, გვ. 43 — 44) და მ. ბროსეს (იხ. დასახ. ნაშრ.). ეჭვ. თაყაიშვილის წაკითხვა ქვემოთ აღნიშნული გვექნება T-თი, ხოლო ბროსესი — B-თი.

- | | | |
|---------------|-----------------|-------------------|
| 1 — შჟჲ (B). | 5 — ტიჟჲტ (B). | 9 — ამისსაა(T). |
| 2 — შტჲ (T). | 6 — ტჩჲსუა (T). | 10 — ამისსა (T). |
| 3 — ტიჟჲ (B). | 7 — შქტ (T). | 11 — კათოლიქე(B). |
| 4 — ხიჟჲ (B). | 8 — ჲტჩტ (T). | კანქელი(T). |
| | | 12 — ყოვლითა(T). |
| | | 13 — ძალისაა(T). |

ტაძრის აგებაში თეოდორეს დახმარებია ვინმე მიქელ, ძე კონსტანტინესი, რის შესახებაც გვამცნობს აღმოსავლეთის კედელში ჩატანებული ასომთავრული წარწერა. წარწერა ორ, ერთიმეორის გვერდით მოთავსებულ ფილანგია ამოკრილი, ამასთან მეორე ფილა ადგილშენაცვლებისას თავდაყირა ამოუტრიალებიათ. წარწერა ასე იკითხება:

- | | |
|-------------|---------|
| 1. ოჲაჲჲჲჲ | ჲჲჲჲჲჲჲ |
| 2. აჲჲჲჲჲჲჲ | ჲჲჲჲჲჲჲ |
| 3. Პჲჲჲჲჲჲჲ | ჲჲჲჲჲჲჲ |
| 4. Პჲჲჲჲჲჲჲ | ჲჲჲჲჲჲჲ |

ქარაგმების გახსნით:

დიდებაა შენდა ქრისტე, რამეთუ მომბადლე თეოდორე ებისკოპოსსა ამის სიონისა⁵⁹ აღშენებდა, თანაშეწვევითა მიქელ, ძისა კონსტანტინესითა,⁶⁰ ქრისტემან შეუნდვენ. ესე მე აბითარ დავეწრე⁶¹.

აქ მოხსენებული კონსტანტინეს ძე მიქელი შესაძლოა ადგილობრივი ფეოდალია⁶².

ამ წარწერის გვერდით მოთავსებულია ზუსტად იმავე დამწერლობით შესრულებული წარწერა (ესეც რა თქმა უნდა ადგილშეცვლილი), რომელიც შემდეგნაირად იკითხება:

1. სჲო. ჲო. Პჲჲჲჲ
2. Პჲჲჲჲჲჲჲ
3. Პჲჲჲჲჲჲჲ
4. Პჲჲ Პჲჲ Პჲჲ Პჲჲ

ქარაგმების გახსნით:

სამებაო წმიდაო, შეიწყალე მონაა შენი ქავთარ, შუშან და ნაზობნი მათნი, შემწენი ამის სიონისანი. ქრისტემან შეუნდვენ, ამინ.

დაძველება და ნაწილობრივ დანგრევა VI—VII საუკუნეებში. საეკვია, რომ ის მტრვან ყრუს შემოსევამდე აქამდე მიეყვანათ. აქვე უნდა შეგინზნოთ. რომ 1566 წელს ურბნისის ტაძარი არ განუახლებიათ, სიმონ I სიგელში, რასაც ემყარება ალბათ პროფ. გ. ჩუბინაშვილი, ლაპარაკია არა ტაძრის, აღდგენაზე, არამედ, საეპისკოპოსოს აღდგენაზე. არავითარი ცნობა არა გვაქვს აგრეთვე შაჰ-აბასის შემოსევის დროს ტაძრის დაზიანებაზე, რაზეც პატ. მკვლევარი აღნიშნავს.

⁵⁵ Პჲჲჲ — მიმადლე (B).

⁵⁶ Პჲჲ (B).

⁵⁷ Პჲ (T).

⁵⁸ Პჲჲჲ — დავეწრე? (B).

⁵⁹ ამისსა (T).

⁶⁰ მიქელა — ძისა ვალატოზით (B).

⁶¹ ყურადღებას იქცევს სახელების მიქელისა და კონსტანტინეს დაშთხვევა ველისის საამშენებლო წარწერაში მოხსენებული მამა მიქელისა და კონსტანტინეს სახელებთან.

⁶² ექ. თაყაიშვილის აზრით. ეს მიქელი კალატოზი, ან ხუროთმოძღვარია.

⁶³ Პჲჲჲ (B).

⁶⁴ Პჲჲჲ — შეწირულნი (B).

ქავთარ და შუშან შესაძლოა აგრეთვე ადგილობრივი ფეოდალური სახლის წარმომადგენლები არიან, რომლებიც რაღაცით შესწევნიან ეკლესიას.

* * *

1103 წელს რუის-ურბნისის საეკლესიო კრება მოწმობს, რომ ამ დროს ურბნისი კვლავ მნიშვნელოვანი საეპისკოპოსოა.

ურბნისის ეკლესიის აღმოსაელეთ კედელზე შემორჩენილია 6 პატარა გვიანდელი წარწერა სხვადასხვა დროისა (5 ასომთავრული და 1 მხედრული). ეს წარწერები შემწირველებს ეკუთვნის.

I

1. **ქუ შინა უძინ** ქრისტე მონაჲ ვახთანგ.
2. **ქუ შყნუ⁶⁵ შინა შინ** ქრისტე მოიქსენე მონაჲ შენი ვახთანგ
3. **უძინ⁶⁶**

II

1. **ჯღიბ** აბიათარ დეკანოზი უფალო შეიწყალე.
2. **შხნი ოღ**
3. **ჟ**

III

1. **ქუ ჟუ შინა ჟინ...** ქრისტე შეიწყალე მონაჲ შენი...
2. **[ქ]უ ჟუ შინა შინ...** ქრისტე შეიწყალე მონაჲ შენი...

IV

1. **ქუ ჟუ** ქრისტე შეიწყალე მონაჲ შენი
2. **შინა ჟუ** დეკანოზი, ამინ.
3. **ნი შხ**
4. **ჯნ**

V

1. **ქუ ჟუ ხ** ქრისტე შეიწყალე ზაქარია.
2. **ქატ შხ** მჭედელაჲს ძეჲ, დეკანოზი.
3. — **ხჯახ**
4. **ქა შხინ**
5. **ნი (!)**

VI (მხედრული)

1. **ქ. ოი ყლთა მწთა უწარ** ქრისტე. ოი, ყოველთა მოწამეთა
2. **[ხ] ინებულესო პირველ** უწარჩინებულესო სტეფანე, შეიწყალე ფრიად ცოდვილი მონაჲ
3. **[შქიწყ[ა]ლე ფრიად ცოდვილი** მამუკა(?).
4. — **ნი შხყ...**
5. — ...
6. — ...

⁶⁵ შყნუ (T).

⁶⁶ უძინ (T).

* *

საქართველოს პოლიტიკური დაშლილობის ხანაში ურბნისი საეკლესიო სოფელი იყო, ვაჭრობა-ხელოსნობა აქ ჩაკვდა, მდიდართა ფენა გაქრა, მოქალაქეთა ადგილი ყმა-გლეხებმა დაიკავეს. საქალაქო-სამეურნეო ნაგებობები დაინგრა: ალიზის ზღუდეც საკმაოდ დანგრეულა და მისთვის მიწა დაუპრიათ. გასამაგრებლად, რადგან ურბნისის არც ქალაქობის შემდგომ პერიოდში ჰქონდა მოსვენება გარეშე მტრისგან. უშუალო მწარმოებელი მოსახლეობა — ყმა-გლეხები ერთის მხრივ მძიმე კლასობრივ ჩაგვრას განიცდიდნენ, ხოლო მეორეს მხრივ ხშირ რბევა-აწიოკებას დამპყრობლისგან. ამაზე ნათლად მიუთითებს თვით ურბნისის საეპისკოპოსოს ბედი. საქართველოს პოლიტიკური დაშლილობის ხანიდან (XV — XVIII სს.) ურბნისზე შემონახულია ოცდაათიოდე საბუთი (ნაწილი ამ საბუთების მხოლოდ მოკლე შინაარსის სახით და გვაქვს დ. ფურცელაძის მიერ გამოცემული)⁶⁷, რომლებიც მოწმობენ, რომ ქართლის მეფეები, როცა კი მშვიდობა იყო, ზრუნავდნენ ურბნისის საეპისკოპოზე, მისი ტაძრის შეკეთება-აღდგენაზე, მის მატერიალურ უზრუნველყოფაზე. ამასთან, მეფეები ხაზს უსვამენ იმ ზარალს, რაც მიაყენეს ურბნისის ეკლესიას. ცხადია, თუ ურბნისის ეკლესია ასე ზარალდებოდა, მტრების მიერ, არც თვით სოფელს დაადგებოდა უკეთესი დღე. კერძოდ, როგორც ჩანს, XIII — XVI საუკუნეთა დაუდგრომელ, შემოსევა-რბევა-აოხრებით აღსავსე ხანაში ურბნისის საეპისკოპოსო საესებით მოიშალა. ქართლის მეფე სიმონ 1 ზრუნავს მის აღდგენაზე, რაზეც გვამცნობს მისი 1566 წლის სიგელი;

„ძველითგან მრავალყამ დავიწყებული საეპისკოპოზო ურბნისი... მოწილი იყო ჟამთა ვითარებისგან და უღმრთოთა აგარიანთა ჯვლითა ტყუედ ქმნილი იყო განძი და გუჯარი მისი... ძალითა, შეწევნითა ლთისათა ჯელ ვჰყავ და ვიწყეთ განახლებად ამისად“.⁶⁸

მეფე უახლებს ურბნისის ტაძარს მამულების მფლობელობას. საბუთიდან ისიც ჩანს, რომ მამულები ურბნისის ეკლესიისთვის სიმონის მამას ლუარსაბსაც შეუწირავს.

ამის შემდეგ ურბნისის ეკლესიაზე ცნობები გვაქვს როსტომის დროიდან: 1655 წელს როსტომი და მარიამი ურბნელ ეპისკოპოსს ზაქარიას, რომელიც ძალიან ცოტა შემოსავალს ღებულობდა სამწყვსოდან და საეკლესიო მამულიდან, უდიდებენ შემოსავალს.⁶⁹

1668 წელს ურბნისის ტაძარს აღადგენს მარიამ დედოფალი, რის შესახებაც გვამცნობს სამხრეთის კარის თავზე მოთავსებული მხედრული წარწერა: „ქ. შენ, ყოვლად სანატრელო, ღვაწლ მრავალო და დიდებულო, ყოელთა მოწამეთა უწინარესო და უწარჩინებულესო, წმიდაო სტეფანე, შემწე მექმენ ორსავე შინა ცხორებასა, რომელმან აღვაშენეთ ძირითურთ აღმოფხვრული ტაძარი შენი ჩვენ, დადიანის ასულმან, დედოფალმან, პატრონმან მარიამ, რათა მეოხ ექმნა სულსა ჩემსა და სულსა ძისა ჩვენისა — სასურველისა ოტიასისა,

⁶⁷ იხ. საქართველოს სიძველენი, წ. 1, გვ. 321 — 333. № 266-277; ქრონიკები, II, გვ. 407; დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ნ. ბერძენიშვილის გამოც., II, გვ. 176. Д. Пурцеладзе, Грузинские церковные Гуджары, стр. 25 — 28,

⁶⁸ საქართველ. სიძველენი, 1, 321, № 266; ქრონიკები, 11, გვ. 407.

⁶⁹ დ. ფურცელაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 25.

წინაშე ღვთისა შენისა, დღესა მას გაკითხვისასა, ქორონიკონსა ტნე“.

ტაძრის „ძირითურთ აღმოფხრულობა“, რაზეც წარწერა გვამცნობს, გადაჭარბებული ჩანს, რადგან ეკლესიას ძირითადად შენარჩუნებული აქვს ძველი ფორმა.⁷⁰ მაგრამ ის ნაწილობრივ მაინც რომ დანგრეული ყოფილა, ბუნებრივად (მოუფლგლობით, ან მიწისძვრით), თუ ხელოვნურად (ნტრის მიერ), ეს ცხადია.

1669 წელს ურბნისის ეკლესიას 1 კომლი გლეხი შესწირეს და ურბნისში დაუსახლეს ვახტანგ V შაჰნავაზის ძეგბმა: გიორგიმ და ლევანმა.⁷¹

ამ პერიოდში ურბნისის ეპისკოპოსად იყო ევდემოზი. ის, როგორც ჩანს, დიდად ზრუნავს ურბნისის საეპისკოპოსოს აღდგენაზე. მის დროს აღადგინა ტაძარი მარიაშმა.⁷²

1672 წელს საქართველოში მყოფი შარდენი აღნიშნავს, რომ გორთან ახლოს არის დიდა ქალაქი, თითქმის მთლად ნანგრევებად ქცეული, სადაც ახლა 500 კომლი მცხოვრები და დაითვლება, წინათ კი, როგორც ამბობენ, 12000 იყო. აქ ცხოვრობს ეპისკოპოსი და არის ერთი დიდი ეკლესია, აგებული ჯერ კიდევ აქ სპარსელთა გაბატონებამდე.⁷³ ცხადია, აქ იგულისხმება ურბნისი. ცნობა მოწმობს, რომ ჯერ კიდევ XVII საუკუნეში ურბნისი ნანგრევებად ყოფილა ქცეული და აქ მაინც 500 კომლი მცხოვრები ყოფილა. ამასთან, საინტერესოა იმდროინდელი წარმოდგენა ხალხში ურბნისის ძველ სიდიდეზე (12000 კომლი), რასაც, ცხადია, თავისი საფუძველი ექნებოდა. საერთოდ, უნდა ვითქვითოთ, რომ ურბნისის მოსახლეობის ნაწილი, მისი ზრდის პროცესში, დასახლდებოდა ზღუდის ფარგლებს გარეთაც და მხოლოდ საშიშროების დროს შეაფარებდა ხოლმე თავს ზღუდეს.

შემდეგ ურბნისის საეპისკოპოსოზე ზრუნავს ერეკლე I, რომელიც რამდენჯერმე სწირავს მას გლეხებს რუსიში და ათარხნებს მათ.⁷⁴

ამის შემდეგ ურბნისის ტაძარში დიდი სააღმშენებლო მუშაობა ჩაატარა ვახტანგ VI: ააგო სამრეკლო, გალავანი და პალატი. ამის შესახებ გვამცნობს ურბნისის სამრეკლოს 1705 წ. სააღმშენებლო წარწერა, შესრულებული მხედრული დამწერლობით:

„ქ. ჩვენ, დიდის მეფისა შახნავაზის ძის ლევანის ძემან და საქართველოს ბრძანებელმან და კეთილად განმგემან ბატონისშვილმან ვახტანგ და თანამეცხედრემან ჩვენმან, დიდის ჩერქეზის ბატონის ასულმან, დედოფალმან რუსუდან ავაშენე სამრეკლო ესე, გალავანი, პალატი და სხვა სახლებითა, სულისა ჩვენისა საოხად და ძისა ჩვენი-

⁷⁰ გ. ჩუ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ხელოვნების ისტორია, I. გვ. 32.

⁷¹ საქ. სიძველენი, I, № 267, გვ. 323 — 324.

⁷² ეს არის ცნობილი ევდემოზ გლონის თავის ძე, რატის შვილი. ქნის ერისთავთერის-თავის სახლის ძე, რომელიც ჯერ ურბნელი ეპისკოპოსი იყო. შემდეგ მანგლელი, ხოლო ბოლოს — ქართლის მთავარეპისკოპოსი. მისი დაკვეთითაა გადაწერილი ყანჩაეთის ჟამნ-გულანი (იხ. საქ. მუხ. ხელნაწერთა აღწერილობა. III. № 1452, შენიშვნები და ანდრძო მინაწერები) დაკრძალულია მცხეთის სამთავროს ტაძარში, ეპიტაფიიდან ვტუობილობთ, რომ ცხოვრობდა 1623 — 1710 წწ. (იხ. ექ. თაყაი შვილი, არქ. მოგზაურობანი და შენიშვნანი, 1, 1907, გვ. 47).

⁷³ Путешествие Шардена по Закавказью в 1672 — 1673 гг., пер. Е. В. Бахутовой и Д. П. Косовича, 1902, გვ. 161 — 162.

⁷⁴ საქ. სიძველენი, № 269, გვ. 326. დ. ფუოცელაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 25.

სა ბაქარისი აღსაზრდელად. შეიწირე შენ, ღვაწლ მრავალო, პირველ მოწამეო სტეფანე და მეოხ გვეყავ დღესა მას დიდსა განკითხვისასა. მას ჟამსა, ოდეს გადგა სარქრად ბეგიდასშვილი ⁷⁵ — ჩემი ჯვარის მამა — ურბნელი ეპისკოპოზი, ყოვლად საღმრთო ⁷⁶ ქრისტეფორე. ინდოქტიონსა მეფობის ჩვენისასა ბ ⁷⁷, ქორონიკონს ტედ⁴.

ვახტანგ VI ღვაწლს ურბნისის ეკლესიაზე გვაძინობს, აგრეთვე მისი ეპიტაფია, რომელიც, როგორც ველ. მეტრეველმა გაარკვია, ეკუთვნის ვახტანგის თანამედროვე მდივან-მწიგნობარს გივი ზურაბის-ძე თუშანიშვილს:

„მე, უმცირესიან ძმათაგან — ვახტანგმან სახელდებულად, ვჰქმენ ოთხ წელ მცხეთა, ურბნისი, საღვთო კამარაგებულად, ტფილის სიონი ზედახლა შევამრწე ქანდაკებულად, ჩემოჲს სახლი სარკისა, შიგ ლხინი მოწონებულად. სტამბა მოვიღე ვლახეთით, ვამრავლე წიგნი, მელანი, ქტიის რუ ხუნანს წავიღე, გაღმითად მოვრწყე ველანი, მაშაერის რუ ხომ ტბას შევრთე, შიგ თევზი ჩაესხი ყველანი, ესე მთა მოვიწადირე, ეხოცე ირემი ძევილანი.

სამართლის წიგნი დავსწერე, მსაჯულსა არა ცილობა, ვეფხის ტყაოსნის თარგმნობა, სხუა წერილ არ ვსთქუა ცილობა, ბოლოს მიიღო სოფელმან სიმდიდრე, მეფეთ შვილობა“ ⁷⁸.

ვახტანგ VI შეუმკია ურბნისის ქვის კანკელი. რომელზეც ექ. თაყაი-შვილს უნახავს მხედრული წარწერა:

„... განმგებელი ქართლისა ბატონიშვილი ვახტანგ, რომელმან შევამკე კანკელი ესე, რათა მექოხ მეყოს ორსავე შინა ცხოვრებასა, მეუღლით, ძით და ასულით. ქორონიკონსა ტედ“ ⁷⁹.

ვახტანგმა შესწირა ურბნისის ეკლესიას 1 კომლი გლეხი სოფ. აქეშში (?), ერთი — რუისში, 2 კომლი — საქაშეთში, 2 სოფელი — ზემო და ქვემო ნადვალეთი (თრიალეთი), ნასოფლარი გუჯარეთი. შეწირულ ყმებს ის ათავისუფლებს სახელმწიფო გამოსადებთაგან, 2 კომლი გლეხი ურბნისის ეკლესიას ვახტანგ VI მეუღლემ დედოფალმა რუსუდანმა შესწირა. ⁸⁰

დ. ბაქარძეს ურბნისის ხელნაწერებში უნახავს გულანი, გადაწერილი 1707 წ. ვახტანგ VI ბრძანებით და შეწირული მის მიერ ურბნისის ეკლესიისათვის. გულანს ჰქონია ამის შესახებ სათანადო მინაწერი. ⁸¹ მასვე უნახავს წმ. სტეფანეს ხატი, შეწირული 1707 წ. ვახტანგ VI მიერ, სათანადო წარწერით. ⁸²

⁷⁵ ბეზიდას შვილი (T).

⁷⁶ ფალავანდის შვილი (T).

⁷⁷ გ. (T).

⁷⁸ ქურნ. „ივერია“, 1879 წ., № 7, გვ. 104; „ივერია“, 1880, № 2, გვ. 146 — 147. Опис. I, стр. 6; ველ. მეტრეველი, „ვახტანგ VI-ის ეპიტაფიის ავტორი“, თბ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. 43, გვ. 141—152.

⁷⁹ ექვ. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, 1, 1907, გვ. 51.

⁸⁰ დ. ფურცელაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 25 — 26.

⁸¹ ექ. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 56.

⁸² იქვე, გვ. 52.

1723 წლიდან აღმ. საქართველოში ოსმალობის ხანა მყარდება. ოსმალთა თარეშის დროს, როგორც ჩანს, აუოხრებიათ ურბნისის ტაძარიც. ვახტანგ VI მიერ აგებული გალავანი კვლავ ასაშენებელი ვაშხდარა. 1739 წელს ის აღშენებია ურბნელ ეპისკოპოსის ნიკოლოზ ხერხეულიძეს, რომელიც XVIII ს. 30—40-იან წლებში ენერგიულად ზრუნავს ურბნისის ტაძრისა და მისი მამულების აღდგენა-მოწესრიგებაზე. ნიკოლოზის საამშენებლო საქმიანობაზე გვამცნობს ექ. თაყაიშვილის მიერ ნახული და გამოქვეყნებული (ამჟამად დაკარგული) წარწერა:

„ეჰა, სამებაო წმიდაო, მე, შენ მიერ ნამუშავევ მიწა მიწისგან და აწცა მე, მუშაკ მიწიერობთა შემზადებათაჲ, შენ, წმიდათა შორის მოწამეთა უპირველესო და ქრისტეს ღვთისაჲთუის ღვაწლმრავლობითა მსხვერპლად შეწირულო, დიდო მოწამეო სტეფანე! ჩუენ, შენ მიერთა შეწვენითა ხარისხსა საყდრისა შენისა მჯდომარე, ურბნელ ეპისკოპოსი ხერხეულიძე ნიკოლოზ, უღირსი ესე, ღირს ვიქმენ მსახურებად ეკლესიისა შენისა: დავიწყე აღშენებად გალავნისა ამის, კოშკებითურთ და ზღუდე გარე მოვსდევ მას და ბრჭე ესცვა, სადგურ-სავანითურთ. ამად, ჩუენცა მოქენე ოხათა შენთა ვითხოვ დიდსა. მას დღესა განკითხვასა. ქკსა უკჲ“.

იმავე ქვაზე ამოჭრილი ყოფილა შემდეგი ლექსი:

„ქ. მარტივად მდგომი ტბა რა ვიხილე სრულად უშენი, გალავან კოშკებნი სიმაგრით, სრა განწყობილი, უშენი, ქართლს უსჯულონი მკვიდრობენ, ვინ ძალ მწე მყეო, უშენი, და პატივს მოგაპყრობ ქვათავან, არა ხარ პირველ უშენი.“

ქ. განვასრულე გალავანი ქორონიკონს უნ კან ზენით, ისმაიტელთ ერთა მიერ ჩვენ ვიყვენით განუსვენით, რაც დამცალდა კარგად ვამკობ, აქ მყოფო ნუ მოიწყენით, და შემდგომ ჩემსა ვინც დამკვიდრდეთ, უბადრუკო მომიხსენით. ამინ. ურბნელი ნიკოლოზ“⁸³.

ნიკოლოზ ხერხეულიძისთვის დომენტი კათალიკოსს სამწყსოდ უბოძებია სადგრის ხეობა და ბაგინეთ-გუჯარეთი (როგორც ჩანს, ახლად განთავისუფლებული ოსმალთავან).⁸⁴ ამ სამწყსოში ნიკოლოზ ურბნელს შესცილებია მროველი ეპისკოპოსი. კათალიკოსის დავალებით ეს საქმე განუხილავთ მთავარეპისკოპოსს (აღბათ ქართლის?) კირილეს და ტფილელ მიტროპოლიტ ეფთჳმეს, რომელთაც საკითხი ურბნელის სასარგებლოდ გადაუჭრიათ.⁸⁵

XVIII ს. II ნახევარში ურბნისის ტაძარი, როგორც ჩანს, აღარ აუოხრებიათ. ამ დროის ერთ-ერთი საბუთი, 1776 წლისა, გვამცნობს, რომ ერეკლე II, ურბნელი ეპისკოპოსის საჩივრის გამო, უბრძანებია ამილახვარისთვის, რათა მას ურბნისის მცხოვრებლები დაემორჩილებინა ეკლესიისთვის და აემულებინა ისინი ეხალათ გამოსაღები.⁸⁶ მეორე, 1784 წლის საბუთით, სარდალი

⁸³ ექ. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 48 — 50.

⁸⁴ საქართველოს სიძველენი, 1, გვ. 330 — 331. № 274; დ. ფურცელაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 26 — 27.

⁸⁵ საქართველოს სიძველენი, 1, გვ. 331 — 332. № 275.

⁸⁶ დ. ფურცელაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 27.

დავით ციციშვილი, მეუღლით მარიამით სწირავს ტყვეს ურბნისის ეკლესიას, რომელსაც არ ჰქონია ტყე არც თავისთვის და არც თავის გლეხთათვის. ეს უკანასკნელნი, ამის გამო ითმენდნენ მრავალ შევიწროებას ციციშვილების გლეხთაგან⁸⁵. ერეკლე II და გიორგი XII რამდენჯერმე სწირავენ ურბნისის ეკლესიას გლეხებს⁸⁶.

ურბნისის სიძველეთა იმ წარწერებიდან, რომლებიც გამოქვეყნებული აქვს ექ. თაყაიშვილს, ჩანან აგრეთვე შემწირველები: ბეჟან დადიანის ასული თამარ, კაკაშვილის ქალი მარიამ, ურბნელი იუსტინე და სხვა⁸⁷.

დოკუმენტებისა და ეპიგრაფიკული მასალის მიხედვით ურბნისში ჩანან შემდეგი ეპისკოპოსები:

1. მამა მიქელ(?) (ურბნისის ტაძრის საამშენებლო წარწერა).
2. ნეოფიტე(?) (VIII ს).
3. თეოდორე ლუკას ძე (X ს).
4. ვლასე (1566 წ.).
5. ზაქარია ბარათაშვილი (1655 წ.).
6. ევდემონ რატიშვილი (1666—1674).
7. იოსებ ჯავახიშვილი (1697—1700).
8. ქრისტეფორე ბეგიდაშვილი (1706 წ.).
9. ელისე (1711 წ.).
10. ნიკოლოზ ორბელიანი — მროველ — ურბნელი (1717 წ.).
11. ნიკოლოზ ხერეხულიძე XVIII ს. (30-იანი წლები).
12. იოსები (1768 წ.).
13. იუსტინე მალაღაძე — მროველ-ურბნელი (1786 წ.).
14. იოსებ ჯავახიშვილი (1798 წ.).
15. იული(?) (1799 წ.).
16. ზაქარია (1799 წ.).
17. ზაალი (1801 წ.).
18. იულონი (1802 წ.).

* * *

ასეთია ურბნისის ისტორია წერილობითი წყაროების მიხედვით, მისი ქალაქობისა და ქალაქობის შემდგომ პერიოდში. ეს ისტორია, როგორც ვხედავთ, მეტად ნაკლებია და მისი რამდენადმე სრული სურათი (განსაკუთრებით ქალაქობის პერიოდისა) არქეოლოგიური მონაცემების წერილობით წყაროების ცნობებთან შეჯერების შედეგად უნდა დადგინდეს. ეს მომავლის საქმეა.

Н. Ф. ШОШИАШВИЛИ

ДРЕВНЕ-ГРУЗИНСКИЕ НАДПИСИ ИЗ УРБНИСИ

(Резюме)

В труде рассмотрены надписи Урбнисского храма и установлена история Урбниси — одного из древнейших грузинских городов.

⁸⁵ დ. თ. ურცელაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 27.

⁸⁶ იქვე.

⁸⁷ ექ. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, 1, გვ. 54.

Древнейшие надписи из Урбинси (V—X вв.) исполнены заглавным церковным письмом (мтаврული), более же поздние надписи (XVII—XVIII вв.) — гражданским письмом (мхედრული).

В труде надписи рассмотрены как палеографически, так и по содержанию — как источник истории.

Маленькая строительная надпись Урбинского храма по палеографическим признакам датируется V веком. В частности, на древность этой надписи указывают, первым долгом, буквы **ჟ** (б), **ყ** (q) с замкнутыми головками и буква **შ** с замкнутой головкой и брюшком (табл. I, № 7). Буква **შ** с аналогичным очертанием не встречается ни в одной из грузинских надписей V—VIII вв.

Надпись возобновителя церкви епископа Давида, также по палеографическим признакам, датируется X веком. Из памятников V—VIII вв. эту надпись исключают буквы **ჟ** (б), **ყ** (q) и **შ** (ш) с раскрытыми головками, а также буквы **ე** и **ღ**, с растянутыми влево верхними чертами (табл. II, № 3, 5). Из памятников IX века надпись исключает буква **მ**: черта замыкающая брюшко этой буквы не растянута вправо, как это наблюдается у той же буквы в памятниках IX века.

Из памятников XI века надпись исключает буква **დ** — без шейки (табл. I, № 2), что характерно только для памятников VIII—X вв.


В грузинских летописях Урбинси упоминается в числе первых грузинских городов (IV в. до н. э.). В V веке н. э. в Урбинси был построен кафедральный храм. Т. о. Урбинси в этот период являлся значительным административным и церковным центром Картли.

В 30-х годах VIII века Урбинси был razорен арабским полководцем Мерваном, после чего он терпит упадок (тем более, что феодальные отношения не благоприятствовали возрождению этого античного города). Урбинси превратился в деревню. Урбинский храм несколько раз был поврежден, в результате нашествия врагов, или естественных причин, а затем восстановлен два раза: в X веке — епископом Давидом и царицей Марией в 1668 году.

В начале XVIII века большую строительную работу провел тут царь Вахтанг VI, выстроивший колокольню, ограду и другие сооружения.

Урбинская епархия просуществовала до XIX века.

ტაბულა 1



წყაროები და ლიტერატურა ურბნისზე
წყაროები:

1. მოქცევა ქართლისა, {Описание рукописей „Общества распространения
2. ნინოს ცხოვრება. {грамотности среди грузинского населения. II, Тифлис, 1906—1912.
3. ლეონტი მროველი, ქართლის ცხოვრება, I. 1955.
4. ბასილი ვანეს ძე, თბრობა სასწაულთათჳს წმიდისა და ღმერთმშემოსილისა მამისა შიოძისა, ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, ილ. აბულაძის გამოცემა, 1955.

5. ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის გამოც., 1941.
6. ვახუშტი ბაგრატიონი, საქართველოს ისტორია, დ. ბაქრაძის გამოც., 1885.
7. ექ. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, I, 1907.
8. M. Brosset, Rapports sur un voyage archiologique dans la Géorgie et dans l'Arménie, VI, SPB, 1851.
9. Путешествие Шардена по Закавказью в 1672—1673. гг. Тифлис, 1902.
10. Д. Бакрадзе, Кавказ в древних памятниках христианства.
11. ექ. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, I, გვ. 321—333, № 266—277.
12. Грузинские церковные гуджары (грамоты), сост. Д. П. Пурцелაдае, 1881. стр. 25—28.
13. თ. ყორღანი, ქრონიკები, II, გვ. 407.
14. ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. II, გვ. 176, № 287.
15. Описание рукописей. „Общества распространения грамотности среди грузинского населения“, I, стр. 6.
16. საქ. მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, II—III, № 1452.
17. განგება დარბაზობისა. ქრონიკები, I, გვ. 45—46; ექ. თაყაიშვილი არქეოლ. მოგზ. და შენიშვნ., I, გვ. 78—80; 83—85.

ლიტერატურა:

1. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. I, II.
2. გ. ჩუბინაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, I, 1936.
3. ექ. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, წ. I, 1907.
4. Д. Бакрадзе, Кавказ в древних памятниках христианства, Тифлис, 1875.
5. Уварова, Материалы по археологии Кавказа, вып. IV.
6. Кошдаков; Древняя архитектура Грузии, 1876.
7. Dubois, Voyage autour du Caucase, t. III, Paris.
8. Муравьев, Грузия и Армения, ч. III.
9. П. Иоселиани, Города, существующие и существовавшие в Грузии, 1850.
10. M. Brosset, Rapports sur un voyage archeologique dans la Georgie et dans l'Arménie, VI, SPB, 1851.





დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედ.-საგამომც. საბჭოს დადგენილებით

*

რედაქტორი ნ. შოშიაშვილი
გამომცემლობის რედაქტორი ც. შალამბერიძე
ტექნიკური ე. ბოკერია
კორექტორი დ. წერეთელი

ბელოწერილია დასაბეჭდად 13.5.1965; ქალაქის ზომა $70 \times 108 \frac{1}{16}$;
ნაბეჭდი თაბაზი 13.02; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბაზი 11.98;
უე 02111; ტირაჟი 1500; შეკვეთა 1159;
ფასი 96 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, ძერჟინსკის ქ. № 8
Издательство «Мецниереба», Тбилиси, ул. Дзержинского № 8

გამომცემლობა „მეცნიერების“ სტამბა, თბილისი, გ. ტაბიძის ქ. № 3/ა
Типография Издательства «Мецниереба», Тбилиси, ул. Г. Табидзе 3/5

Коллектив авторов
ПАЛЕОГРАФИЧЕСКИЕ РАЗЫСКАНИЯ
(на грузинском языке)

ფასი 96 კპ.

513/907.

